სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობის
ჰუმანიტარული ინსტიტუტი

ლადო ჭანია

კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი

გამომცემლობა "ბედია"
თბილისი 1997

კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკურ მსოჟლმხედ-ველობას, რომელიც ყალიბდებოდა ჩვენი საუკუნის 10-20-იან წლებში, ჩვენს პირობებშიც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. მასში დასმულ-მა ეროვნულმა ტკივილმა მთელის სიმძაფრით იჩინა თავი დამოუკიდე-ბელი ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი აღმშენებლობის გზა-ზე.

ხსენებული პრობლემა მონოგრაფიულად არ შესწავლილა. წინამ-დებარე ნაშრომი მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს ქართულ ლიტე-რატურათმცოდნეობაში არსებული ხარვეზის შესავსებად.

რედაქტორი გელა მამფორია

თავი I. "მე იმ გვარისა ვარ, ვისაც შკან დაბრუნება არა სჩვევია"

კონსტანტინე გამსახურდია ქართული სულის უნიკალური გამობრწყინებაა. ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალმა დიდი ერის ნატეხად აქცია კ.გამსახურდიას დროინდელი საქართველო. ერი ჰიპნოზურ ძილს იყო მიცემული. პოლიტიკურ ხუნდებში გახვეული ქართველობა ანტისახელმწიფოებრივი ტრადიციების ერთგულებას ამქღავნებდა და სულაც არ აპირებდა პოლიტიკური კირთებისაგან თავდახსნას. მაგრამ ერის რჩეული ნაწილი ძილ-ფხიზლობდა და ერთგულ მეაბჯრედ იდგა ქვეყნის სულიერი სიმტკიცის საგუშაგოზე. ასეთ ძლიერ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება კ.გამსახურდია. მწერალი არ შეუშინდა ჟამთა სიავეს. მისი ეროვნული ძალისხმევა უკომპრომისობის, დაუმორჩილებლობის ალში იყო მუდამჟამს გახვეული. ჯერ კიდევ შვიდი წლის ბიჭს თამარის დროინდელ საქართველოში ცხოვრება და სამშობლოს მტრების შემუსვრა ეოცნებება. სიყრმეშივე განიცადა მან პირველი პატიმრობით მოგვრილი ნეტარება. ნიშნეულია პატარა კონსტანტინესა და მოხუცი ჟანდარმის დიალოგი გამართული საპატიმროში:

"რად ილუპავთ, შვილებო თავს. რუს ხელმწიფეს თქვენ მოერევით?

— მოვერევით ძია კაცო, ისე მოვერევით, მზე მაღლა იდგეს"[1].

ეს მეამბოხე სულისკვეთება სიცოცხლის ბოლომდე თან სდევდა მწერალს. წინაპართა გმირული სული მძლავრად ბოგინობდა მის პრო-

მეთესეულ სხეულში და სამანებში ვერ ეტეოდა, განუწყვეტლივ ეულ-კანურ ამოხეთქვასა და გააფთრებულ წინააღმდეგობას ლამობდა ერის ეკვდავი სული. როცა საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრა, კ.გამსახურდიამ გაშიშვლებული მახვილით ხელში საქართველოს ახალგაზრდობის სახელით ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, მან, ამსოფლიურ ლხენას, პირსისხლიანი მახვილის ხელში აღება არჩია.

კ.გამსახურდია ილია ჭავჭავაძის იდეების თანამოზიარე იყო. მან იმთავითვე აიტაცა და ცხოვრების წესად გაიხადა ილიასეული დევიზი: "მამული, ენა, სარწმუნოება". მწერლის მფეთქავი ძარღვი და სალოცავი ხატი სამშობლო იყო. საქართველოს ტკივილითაა გათანგული მისი სხეულის ყოველი უჯრედი. მას უყვარდა თქმა: "საქმე ის კი არაა პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე, საქმე ის არის, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს"[2] ყმაწვილური ენინიანობით იცავდა მწერალი ბოლშევიკური აგრესიით დამცირებული ქართველი ერის სინდისს და ნამუსს. ის არასოდეს შერიგებია მონობაში გართხმული ერის მძიმე ხვედრს, ურყევად სწამდა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის აღსასრულისა, თავისუფლების მზის მოახლოებისა. მწერალი მიუთითებს: "მრავალი ერი, მრავალი ტომი შეეწირა არსებობისათვის ბრძოლას. მართალია, ჩვენს ხალხს აბჯარი შემოაცვდა პერმანენტულ ომებში, მაგრამ მისი შეუდრეკელი სული თავგამეტებით იბრძოდა და იბრძვის დღესაც"[3]. თავისუფლების შეგრძნებით შეპყრობილი ქართველი ერის მაჯისცემა არასოდეს შეწყვეტილა, ის ძალუმად ფეთქავდა, რამეთუ კ.გამსახურდიას დარი მესვეურნი ფარად და დარაჯად ედგნენ ერის ეროვნულ სხეულს, რათა საღათას ძილის ტყვეობიდან გაენთავისუფლებინათ ერის მთვლემარე სული.

სვეტიცხოვლის ჩუქურთმასავით ეფერებოდა მწერალი "მყინვარივით გულზვიად", "თასმასავით მოქნილ" ქართულ ენას. მუხლჩაუხრელად იღწვოდა ქართული ენის შინაგანი ბუნებისა და უმდიდრე-

სი რესურსების სრულად წარმოჩენისთვის. მწერალმა თავისი იგავ-მიუწვდომელი ქმნილებებით დიდების ოლიმპზე აიყვანა "ღმერთების ენად" შერაცხული რუსთაველის ენა. როგორც ვაქკაცი მეუღლის ნამუსს, ისე უფრთხილდებოდა მწერალი ქართული ენის სიწმინდეს და სინატიფეს. ენის სამსახურს სამშობლოს სიყვარულთან აიგივებდა, რადგანაც, მწერლისათვის ქართული ენის გაალმასება ისეთივე საშური საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსი"[4]

კ.გამსახურდიას მსოფლხედვით ქართულმა რასსამ თავისი საუკეთესო სისხლი შესწირა ქრისტიანულ სარწმუნოებასა და კულტურის დაცვის საქმეს. ეს უწინარესად განპირობებული იყო ქართული კულტურის რელიგიოზური ხასიათით. მწერლის აზრით, ქრისტიანული რწმენისადმი სიყვარულმა შემოინახა საქართველო, ვითარცა ქრისტეს კუნძული. მართალია, მწერალი მწარედ მისტირის ერთმორწმუნეობის სახელით დაკარგულ სახელმწიფოებრიობას, მაგრამ ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური აღმშენებლობის წინაპირობას ისევ და ისევ ქრისტიანული რწმენის აღორძინებაში და ქართველი ერის ღვთისმოსაობაში ხედავს.

კონსტანტინე გამსახურდია თავს აკუთვნებს იმ მაღალ მოდგმას, ვინც უუფლებობის წყვდიად ღამეში მზეს შენატროდა. მან ერის მესაჭისა და მეურვის სახელი შეულახავად ატარა ცხოვრების კიდემდე, ერის დაცემული ვინაობის აღდგენა იქადაგა უკეთეს დღეთა სახელით.

ერის ჭირთა მეურვედ შერაცხულ შავჩოხოსან რაინდს ბევრი მომდურავი ჰყავდა. თუმცა, თავად მწერალი დიდად უმადლიდა თავის ლიტერატურულ მტრებს, ვინაიდან მათ მიერ ნასროლი შხამიანი ისრებით იწრთობოდა და ვაქკაცდებოდა ის მწერლობაში. მათ მიერ ნასროლი ტალახით რწმენისა და მეობის ტაძარს აგებდა, სადაც მარადიული ცეცხლით იწვოდა ერის დიდების სალოცავად დანთებული კელაპტარი.

ცხოვრების ქარტეხილებმა მრავალჯერ დაარისხეს უბედურებისა და გლოვის ზარი კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზაზე, მაგ-

რამ არ შედრკა მწერლის ამაყი სული. ერთიანი, ძლევამოსილი საქართველოს შექმნისაკენ მიმავალ გზაზე ყავარჯნის მოშველიების გარეშე ვიდოდა და ერთხელაც არ წაუბორძიკებია. ლაღად, ვაჟკაცურად დააქროლებდა ტრიუმფატორის ეტლს ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ სარბიელზე და არსად მარცხი არ განუცდია. მხოლოდ გამარჯვება და გამუდმებული წინსვლა იყო მისი ცხოვრების მეფლასმუნე და ალამდარი რამეთუ იმ ჯიშისა და გვარის სისხლი-სისხლთანაგი და ხორცი-ხორცთაგანი იყო, ვისაც ერთხელ არჩეული გზიდან უკან დაბრუნება არა სჩვევია.

თავი II. პოლიტიკური ორიენტაციის დილემა: რეალობა თუ ილუზია?!

კ.გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების ქვაკუთხედს ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის ნიშანდობლივი ატრიბუტების გათავისება და შეცნობა წარმოადგენს. სახელმწიფო ორგანოს მოკლებული ერი, მწერლის აზრით, უიალქნო გემს მოგვაგონებს, რომელსაც რაც არ უნდა გამეტებით უსვა ნიჩბები, მცირეოდენი ზღვის ტალღებიც ნაფოტივით შეათამაშებს. მწერლის უწყებით, ამქვეყნად წმინდა ნაციონალური და მაღალხარისხოვანი კულტურა იმ ერს შეუქმნია, რომლის ფიქრი და გონება მუდამჟამს ქვეყნის სიმტკიცეს და შეუვალობას რომ ემსახურება. თუ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხს ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობა გათავისებული არ აქვს, თუ ერი და ბერი ერთი შეგნებით არ ცხოვრობს, თუ ეროვნული უფლებები მიჩქმალულია და ცნობიერება დარღვეული, ქვეყანას შიდაპოლიტიკური არეულობა და უზნეობის ჭაობში მოქცევის საშიშროება ემუქრება. არადა ქართველობა დიდი ხანია ეთნიურ მასალას არ წარმოადგენს, რადგანაც მის შემოქმედებით კალოზე ადრე დაირწა კულტურისა და ცივილიზაციის აკვანი, რამაც მისცა მას საშუალება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის უკან ზიარებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციებს. მწერალი ერთგან მიუთითებს: "ჩვენ უკან სძევს ორიოდე ათასეული წლის სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ჩვენი საზოგადოებრივობა უფრო ხნიერია, ვიდრე რომელიმე დასავლეთ ევროპიელ ეროვნებისა"[1]

სახელმწიფოებრიობაა ის მძლავრი ბერკეტი, რომელმაც გადაარჩინა ქართველი ერი უცხო თესლში აღრევას. თავის მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობა თავის თავში შეიცავდა ქვეყნის ტერიტორიალური და სულიერი მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობას, რაც უწინარეს ყოვლისა გაპირობებული იყო ქვეყნის ხელი-

სუფალთა მიერ შემუშავებული მართვა-გამგეობის წესებითა და სწორი ორიენტაციის არჩევით.

ამ მხრივ კი ქართველი მეფეები და დიპლომატები ხშირად ცოდავდნენ და საბედისწერო შეცდომებს უშვებდნენ. მწერალი ქართველ კაცს არ მიიჩნევს ჭკვიან პოლიტიკოსად. ის აცხადებს "პოლიტიკა ჩვენ არასოდეს გვემარჯვებოდა. ჩვენთვის პოლიტიკა ხათრი-ჯანობა იყო მუდამ. ჩვენთვის პოლიტიკური ტრაქტატების თავზე გადახევა მოკითხვის ბარათის უკან დაბრუნებას უდრიდა. ჩვენი მინისტრები და მეფეები უფრო კაი მოშაირენი იყვნენ, ვიდრე დიპლომატები"[2] მართალია, ლ'ექსებს დავითი, დემეტრე უფლისწული და თამარიც სწერდნენ, მაგრამ მათი მეფობის ჟამს ქვეყანა ზეობის მწვერვალზე იყო. ლექსების თხზვა კი გამარჯვებულ მეფეს ეხელწიფება მეტადრე, ვიდრე დამარცხებულსა და გვემულს.

კ. გამსახურდია თავის პოლიტიკურ წერილებში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ტრაგედიის აკვანი მაშინ დაირწა, როცა ქართველობამ სწორი ორიენტაცია ვერ აირჩია. სწორი არჩევანის გაკეთებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს უხდებოდა არსებობა და ბრძოლა ორ სავსებით მტრულად წაკიდებულ სამყაროს შორის. აქედან გამომდინარე, ქვეყანა მუდამჟამს ორ ორიენტაციას შორის მერყეობდა, და ერი რომელიც ორ კულტურულ სამყაროთა, ორ დიდ მიმდინარეობათა ქროლვას განიცდის თავის სხეულზე, რომელიც ორ ძუძუსა სწოვს, იძულებულია ფიზიკური გადარჩენის მიზნით ერთ-ერთ მათგანს შეეხიზნოს, თუმცა მწერლის აზრით "ერისათვის არც ერთი ორიენტაცია არაა ისე ხელსაყრელი, როგორც საკუთარი, მაგრამ როცა ჩვენი ხმალი ჩვენი უფლებების ფარად ველარ გამოდგება, ჩვენ იძულებული ვართ უცხო ორიენტაციას შეუფარდოთ შეძლებისდაგვარად საკუთარი"[3]

სწორედ ეს ვერ მოახერხეს XVII-XVIII საუკუნის მეფეებმა. მათი პოლიტიკა ქრისტიანული დოგმატიზმით იყო გამსჭვალული. მათ დაიწყეს ბრძოლის ის ხერხები და მეთოდები, რითაც მათი წინაპრები იყვნენ ეგზომ გაცნობიერებულნი. მათ რეალურ სინამდვილეში

ორიენტაციის უნარი დაკარგეს და გადაჭარბებულ იდეალიზმს მიეცნენ, აბა, სხვას რას უნდა მიეწეროს შემთხვევა, როცა ოსმაღლების მიერ 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, ქართლის მეფე ჩადის ახლადაღებულ ქალაქში და სულტანს შველასა და დახმარებას სთხოვს სპარსელებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ფაქტით გულგატეხილი მწერალი აცხადებს: "მეორე არ მეგულება ისეთი ერი, რომელსაც ეგზომ სუსტი ეროვნული ორიენტაცია ჰქონოდა წარსულში"[4]

კ. გამსახურდიას აზრით, აღორძინების ხანის ქართველ მეფეთა პოლიტიკა დაღმავალი გზით იმადაც მიდიოდა, რომ მათ თავიანთ დიპლომატიურ საქმიანობაში ურთიერთში აურიეს რელიგიური და პოლიტიკური მომენტები, მაშინ, როცა მათი წინამორბედი მეფეები მეტ ლავირებას იჩენდნენ. ერთმორწმუნეობას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას და არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. თავად ერთმორწმუნე ბიზანტიაც იმსახურებდა ქართველთ მხრიდან აგრესიას, რამეთუ იმის მაგიერ, რომ ეს მეზობელი ქვეყანა საქართველოს ბუნებრივი მოკავშირე ყოფილიყო აღმოსავლური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხანდახან გადაუდგებოდა და თავად შეუდგებოდა ქართული ტერიტორიების მიტაცებას. საქართველოს მეფე, გიორგი პირველი, ბიზანტიასთან გამართულ ომში ერთმორწმუნეობას არაფრად აგდებს და ხალიფა ალ-ჰაქიმთან კრავს კავშირს. არც დავითმა მიანიჭა დიდი მნიშვნელობა რელიგიურ მომენტს, როცა ყიფჩაღთა ურდოები ჩამოასახლა მუდმივი არმიის შესაქმნელად საქართველოში. თამარ მეფემ კი უკვე დასუსტებულ ერთმორწმუნე ბიზანტიას ტრაპიზონის ტერიტორიები წაართვა და თავისად მიითვალა.

"უცნაური დეზორიენტირება ახასიათებდა XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მეფეებსა და ჩვენი პოლიტიკის თავკაცებს — წერს კ.გამსახურდია, — მათ დაავიწყდათ ის ტრადიციები ქვეყნის მართვისა, შინაურ და გარეულ მტრებთან ბრძოლისა, რომელნიც დაგვიტოვეს ჩვენმა დიდმა მეფეებმა — ბაგრატ IV და დავით აღმაშენე-

ბელმა, გიორგი III და თამარმა, ბაგრატ V და გიორგი ბრწყინვალემ.

ქართველი ტომების გაერთიანებისათვის ბრძოლა და ეროვნული ენერგიის ერთობლივი მიმართვა გარს მოჯარულ მტერთა წინააღმდეგ.

მოკავშირე მეზობელთა გონივრული შერჩევა, ერთი მტრის მეორის წინააღმდეგ გამოყენება რეალური და ფხიზელი პოლიტიკის წარმოება, როგორც შინ, ასე გარეთ"

სწორედ ეს მანევრირების პოლიტიკა, რომელიც შეადგენდა გიორგი პირველის, ბაგრატ მეოთხის, თამარის, დავით აღმაშენებლის დიპლომატიის თავკიდურს საესებით გადაავიწყდათ აღორძინების ხანის ქართველ მეფეებს, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, გიორგი XI. მათ არ გაითვალისწინეს წარსულის მწარე გამოცდილებები და რელიგიური მომენტი საყრდენ ღერძად აღიარეს პოლიტიკაში.

გიორგი XI და ვახტანგ VI კათოლიკური რელიგია აღიარეს, რათა ამ გზით მოკავშირეები მოეპოვებინათ და ეხსნათ ქვეყანა ურჯულოთა ხელყოფისაგან. დესპანებსაც აგზავნიდნენ მალი-მალ ევროპაში. სულხან-საბა იძულებული იყო მამა-პაპისეული სარწმუნოებისათვის ზურგი შეექცია და კათოლიკური კრედო ეღიარებინა. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ევროპის სახელმწიფოების გულგრილმა და ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ საქართველოსადმი კ. გამსახურდია პროტესტის გრძნობით განმსჭვალა. საგულისხმო და ნიშანდობლივია სავარსამიძის მუქარა ევროპელებისადმი, რომლებმაც უკიდურესი გაჭირვების ჟამს ხელი არ გაუმართეს მის სამშობლოს. "ზვალ რომ მარტორქაზე შემჯდარი მონღოლი შეესიოს თქვენს ქვეყანას, ჩვენ ხელს არ გავანძრევთ ისე, როგორც თქვენ გიქნიათ ჩვენთვის მრავალგზის..."

აღორძინების ხანის მეფეებმა საგარეო პოლიტიკა უმეცრულად, დაუფიქრებლად გაატარეს. მათ მიახლოებითი ინფორმაციაც კი არა აქვთ იმის შესახებ თუ რა ხდებოდა იმხანად ევროპაში. არადა ევროპაში არეული ვითარება სუფევდა. ვატიკანი თავად საჭიროებდა დახ-

მარებას. საფრანგეთის მეფემ, ლუი XIV კი გარეშე მეზობლებთან ომებში სასტიკი მარცხი იწვნია. ამას დაერთო პირადი ოჯახური ტრაგედია, მას ხუთი ვაჟი მოუკვდა. და ასეთ სულიერ დეპრესიაში მყოფ მეფეს სთხოვს მატერიალურ და ფიზიკურ დახმარებას ქართლის მეფე, რაც ქართლის სამეფო კარის პოლიტიკური ორიენტაციის სიბეცეზე მეტყველებს. ქართულმა დიპლომატიამ ინფორმაციული ვაკუუმის შედეგად არასწორი პოლიტიკური გეზის გატარებით გააღიზიანა ისლამური სახელმწიფოები და ფიზიკური განადგურების პირას მიიყვანა ქართველი ხალხი. მწერალი ქებით მოიხსენიებს იმ მეფეთა პოლიტიკურ ღვაწლს, რომელთაც რელიგიური ნიშნით ბრძოლა არ უწარმოებიათ ერის გადარჩენის მიზნით. "მე ახლა ვხედავ თუ როგორი ჭკვიანები ყოფილან ის პოლიტიკური მოღვაწენი ჩვენი წარსულის, მუსულმან მეზობლებთან დაზავებას რომ მოითხოვდნენ, რათა ქრისტეს ჯვარის გამო ბრძოლაში არ გაეწყვიტათ ხალხი. ჯერ იყო და ანაციონალურ და დამპალ ბიზანტიას ავყევით, ისლამური ხალხების ზღვა მტრად მოვიკიდეთ და ჭიანჭველასავით წელში გაგვწყვიტეს"[6]

მართალია, დრო და დრო ქართველი მეფეები იცვლიდნენ პოლიტიკურ კურსს, თუმცა რელიგიურ მომენტს ხშირად არ უარყოფდნენ. როცა ვახტანგ VI ევროპისაგან ვერ იხეირა, ორიათასკაციანი ამალით რუსეთს მიაშურა პეტრე პირველისაგან დახმარების გაწევის იმედით. აქაც გამტყუნდა ქართლის მეფის პოლიტიკური იდეალები. მართალია, მწერალი ერთგან აცხადებს "ხსენებული თავკაცები ქართული პოლიტიკისა მართებულად სთვლიდნენ, რომ ერთმორწმუნე რუსეთის ძალა და ავტორიტეტი უნდა გამოეყენებინათ ისლამის ბნელეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რადგან თვით პეტრე პირველის რუსეთი გაცილებით უფრო პროგრესული მოვლენა იყო, ვიდრე ირანისა და ოსმალეთის ტირანია"[7]. მაგრამ მათ სწორად ვერ შეაფასეს არსებული სიტუაცია, ანგარიში არ გაუწიეს მეზობელი მუსულმანური ქვეყნების მომძლავრებულ აგრესიას, რომელიც უწინარესად მიმართული იყო რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ მცირე აზიაში და თავიანთი ბეცი პოლიტიკის მსხვერპლი შეიქნენ. მწერალი აღნიშ-

ნავს, "გიორგი XIII მმართველობის ნაყოფი იყო საქართველოს ისედაც არეული სამეფოს უარესად აღრევა. გიორგიმ და მისმა წინამორბედებმა მუსულმანური აღმოსავლეთი გადაჰკიდეს საქართველოს და რა საკვირველია თუ შედეგად ამისა, ქართველ ხალხს მონობის ეღელი დაედგა"[8]

რელიგიური მომენტის პოლიტიკაში აღრევის გზა ერეკლე მეორემაც გააგრძელა წინამორბედთა მსგავსად. კ. გამსახურდია ერეკლე მეფის შესახებ ამბობდა "იგი დავით აღმაშენებელს სპასალარად თუ გამოადგებოდაო". თუმცა ამ შეფასებით მწერალი როდი ამცირებს ერეკლე მეფის დამსახურებას ქართველი ერის წინაშე. უბრალოდ, ამით ის აღიარებდა მის სამხედრო ნიჭს, მაგრამ უარყოფდა მეფის პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას და გამჭრიახობას.

კ. გამსახურდიას შეხედულებით "მსოფლიო ისტორია იმის მოწმეა, რომ ერები და სახელმწიფონი მეტწილად შინაგანი გამოფიტულობისა და დაძაბუნების მეოხებით ილუპებოდნენ. ასე მოუვიდა რომს და მრავალ იმპერიას. დაძაბუნების, დაკნინების პირველადი უჯრედი საკუთარ ოჯახში ჰქონდა ერეკლეს. მან ვერ შეძლო ხვანჯების მოყვარულ დარეჯან დედოფლისა და თავაწყვეტილი უფლისწულების "წურთნა"[9]. დარეჯან დედოფალი ნატრობდა კიდეც აღა-მაჰმად ხანის თბილისში შემოჭრას, რადგანაც მას არ სურდა გიორგის გამეფება. ასეთივე პირადული ინტერესები ამოძრავებდა ერეკლე მეორის შვილებს, რომლებიც დიპლომატიისაგან და პოლიტიკისაგან შორს იდგნენ და ამ საკითხში მწყრალად გამოიყურებოდნენ. ამაზე მეტყველებს ირანის შაჰის ელჩების აუდიენცია ერეკლე II სამეფო კარზე. მაშინ როცა მეფე ელჩებს ესაუბრებოდა ირანსა და საქრთველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე, ერთ-ერთმა ბატონიშვილმა მინარეთზე აყვირებულ მოლას თოფი ესროლა და სული გააცხებინა. ამ ინციდენტის გამო პოლიტიკური ვითარება დაიძაბა ორ სახელმწიფოს შორის. ასეთი უნიათო უფლისწულებისაგან დახმარებას ამაოდ ელოდა საქართველოს "უკანასკნელი ლომი" კრწანისის ველზე. შვილებმა მამის მიშველებას უთავბოლო ქეიფი და ზარბაზნებით ნადი-

რობა ამჯობინეს. ასეთმა უპრინციპობამ, ოჯახში გამეფებულმა ანარქიამ იმსხვერპლა ბაგრატოვანთა სამეფო დინასტია და ორიათასწლოვანი ნაციონალური სახელმწიფო ხუხულასავით დაემხო.

ერეკლე მეორე ბრმად მიენდო ერთმორწმუნეობის ფაქტორს, და ის არ უწყოდა, ამ პოლიტიკით მეტ საფრთხეს რომ უქმნიდა ქვეყანას. ნადირ-შაჰისა და აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობები ხომ დამსჯელი ომის ხასიათს ატარებდა, იმ ორიენტაციის საპასუხოდ მეფე ერეკლე რომ მიმართავდა იმხანად, არადა "არც ძველ დროში გაუმარჯვნიათ მარტოოდენ ხმლის მეოხებით მეფეებს, დიპლომატიური მანევრირება წაგებულ საქმეს მოაგებინებდათ ხოლმე"[10]. სწორედ ეს დიპლომატიური ალღო აკლდა ერეკლეს. ერთმორწმუნეობით დაბრმავებულს არ ჰქონდა ბოლომდე გათვითცნობიერებული, თუ რა მზაკვრულ მახეს უგებდა ქრისტიანული რუსეთი საქართველოს. "დიპლომატია — წერს ერთგან კ. გამსახურდია — ყოველ დროში მოითხოვდა არა შუბლით კლდესთან შეხეთქებას, არამედ გონივრულ მანევრირებას, როგორც არა ერთხელ მოუხერხებია იმავე ერეკლეს. მას უნდა მოეცადა რუსეთის ეფექტური სამხედრო დახმარების მიღებისათვის და მერმე შებმოდა შაჰს.

ერეკლე მეორეს საქართველოს გაერთიანების შემდეგ უნდა დაეწყო ეკატერინე მეორესთან მოლაპარაკება.

ცხადია, გაერთიანებულ საქართველოს უფრო მეტი თავისთავადი უფლებების მოხვეჭა შეეძლებოდა"[11]

მეფე ერეკლეს მიერ არჩეულმა ორიენტაციამ, რომელიც დაყრდნობილი იყო მეტწილად რელიგიურ ფაქტორზე, კრახი განიცადა. ერთმორწმუნეობის მიღმა კი მიჩქმალული იყო ის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც მოგვიანებით ნიკ. ბარათაშვილმა შეამჩნია თავისი უტყუარი ალღოთი:

"სახელმწიფოსა, სჯულის ერთობა.
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს
...ვით შეითვისოს რუსმა ქართველი

ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა"

რუსმა ქართველი მართლაც ვერ შეითვისა, ქართველმა ვერ შეიწყნარა რუსთა მეფობა, რამეთუ ამ ერთა ზნე-ჩვეულებანი და ნიშანთვისებანი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე რომ, ერთმორწმუნეობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მეტიც, ქრისტეს სჯული მწერალს ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია. თუმცა, მწერალი მიუთითებს იმ მნიშვნელოვან ფაქტორზეც, როცა ქრისტიანულმა რელიგიამ იხსნა ქართველი ერი არაქართულ რასათა წიაღში ათქვეფისაგან. მწერლის აზრით ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თავისი კოსმოპოლიტიკური, ანაციონალური პრინციპების წყალობით მრავალ ერს გაუთხარა საფლავი, მაგრამ ქართველ ხალხს ის უებარ მალამოდ მოევლინა, ვინაიდან ქართველობამ იმთავითვე გაითავისა ამ რელიგიისათვის ნიშანდობლივი შტრიხები. ქართველი ერის შემოქმედებითი ძალის თავისებურება და მისი სიძლიერე აქაც გამოიხატა. ერთმორწმუნეობა ბადებდა საფრთხეს ბიზანტიელებთან ათქვეფისა, "მაგრამ ჩვენი ეროვნული სულის მძლითა ძალა საკმაოდ ღონიერი აღმოჩნდა, ქართული ეკლესია ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში დაადგა ნაციონალიზაციის გზას"[12]. საქართველოს ეროვნული სხეული იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ ქართველობამ ქრისტეს რელიგია ნაციონალურ დარჯაკში გაატარა და უცხო რასის მიერ შექმნილ სჯულს ქართული ეროვნული სახე მისცა. ამიტომაც არ გაბატონდა საქართველოში "არც ესპანური ფანატიზმი, არც რომაულ-კათოლიკური ასკეტიზმი და დოგმატიზმი. ჩვენ არ გვახსოვს არც ბართლომეს ღამის საშინელებანი, არც ჰუგენოტები, არც აუტოდაფე"[13]

ქართველობამ პოეზიის თვალსაწიერიდან შეისისხლხორცა ქრისტიანული სენტენციები და ქრისტიანული იდეოლოგია უფრო პოლიტიკური თავდაცვის იარაღად აქცია. მართლაც, საუკუნეების მანძილზე ნაზარეველის მოძღვრება იყო "ფარი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად. ამ მხრით არც პოლიტიკურ წყობილებას, არც გეოგ-

რაფიულ, ბუნებრივ ზლუდეებს იმდენი მფარველობა არ გაუწევია ჩვენთვის, მცირე აზიიდან ტრანსკავკასიაში შემოფარებულ ქართული რასისათვის, როგორც სჯულს..."[14].

მაგრამ, თუ ქრისტიანიზმი 17 საუკუნის მანძილზე იცავდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, 1801 წლიდან მოუქნელი ქართული დიპლომატიის მეოხებით ის აქტიურ როლს თამაშობს ქართული სახელმწიფოებრივი შენობის დასამარებაში. მწერალი ერთგან აცხადებს: "სავალალოდ ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენთვის ის ფონი გახდა, რომელიც თავში კარგია და ბოლოში ახრჩობს..."[15]

საქრისტიანოზე დამყარებულმა ყალბმა ილუზიამ დააბრმავა და მოხიბლა არა მარტო ერეკლე მეორე, არამედ სრულიად მოწინავე არისტოკრატია საქართველოსი.

ერთმორწმუნეობის ფაქტორმა იმსხვერპლა ორიათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა. რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ისარგებლა ქვეყანაში შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით და ერთიანი რელიგიის ეგიდით ქართლ-კახეთის ოკუპაცია მოახდინა. 1801 წელს საქართველოს პოლიტიკური დამბლა დაეცა.

კ.გამსახურდია სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას კულტურულ წარმატებას აქცევს, "ვინაიდან გამარჯვების საწინდარი მუდამ და მარად კულტურული უპირატესობა იყო"[16]

მწერლის აზრით, ერი ერად მაშინ იწოდება, როცა ის ღირებულების შექმნას იწყებს, "ერის ისტორიაც იქ იწყება, სადაც იგი თავის შემოქმედების ჭირნახულის მოტანას იწყებს ზოგად ადამიანურ შემოქმედების კალოზე. ისტორიაში, წარსულში და აწმყოში მუდამ ღირებულებათა შემქმნელებს უწევდნენ ანგარიშს"[17]

სწორედ კულტურული უპირატესობის მეოხებით მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას ძველმა ელინებმა. ქართველმა ხალხმაც ზღვა სისხლი გაიღო ქრისტიანული კულტურის დაცვისათვის, და "თუ ქართველობამ დღემდის მოატანა და იგი არ ჩანთქა იმ საშინელი ხალ-

ხების ტალღებმა რომელნიც განუწყვეტლად მოდიოდნენ იმ ხალხთა ხიდზე, რომელსაც გეოგრაფიულად კავკასიას უწოდებენ, ეს მხოლოდ იმ უპირატესობის წყალობით, რომელიც ჩვენ კულტურამ მოგვანიჭა"[18]

სწორედ ეს კულტურული უპირატესობის დაფნა გაუვარდა საქართველოს ხელიდან XVIII საუკუნის ბოლოს. თითქოს ერის წიაღში არსებული შინაგანი ენერგია ერთიანად ამოიწურა და დაიშრიტა.

ქართული კულტურა მეცხრამეტე საუკუნეში მოდერნიზაციას, იდეურ განახლებას მოითხოვდა. მწერლის აზრით, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა მიერ რუსეთიდან ჩამოტანილმა პრიმიტიულმა იდეებმა ქართული სულისა და კულტურის რენესანსი ვერ გამოიწვია. ამ პროცესის მწარე შედეგებს საქართველო დღეს იმკის. კ.გამსახურდია აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს სურს პროვინციულობას თავი დააღწიოს, მან სწორედ ის გეზი უნდა აირჩიოს, რომელიც დასავლეთის კულტურას გააჩნია.

მწერალი დასავლეთის კულტურის აპოლოგეტია, თავადაც არ უარყოფს, "უცხო ქარის" მთესველი რომ არის, მაგრამ იმასაც მიუთითებს, რომ ეს უცხო იდეები სავსებით შეესატყვისება ქართული კულტურისა და სულის აღორძინებას. მსოფლიოში არც ერთ მწერალს ნაციონალური იდეები ნასესხებ იდეებთან შეჯერების გარეშე არ გაუხარებია: მწერლის აზრით, უცხო იდეების "სესხად" აღება კი არაა საშიში, არამედ მისი მოხმარება და ინტელექტუალური მონელება. "მე ქრისტიანული მისტიციზმის იდეოლოგიას ვადექი დღემდის საქართველოში. დასავლეთის კულტურა ამ გზით მიდის დღესაც. ქართული კულტურაც ამ იდეურ ფონზე გაიშალა და სწორედ აქ არის ის მარცვალი, რომელიც ჩვენ ორგანულად გვაკავშირებს დასავლეთის კულტურასთან. XIX საუკუნის ქართული კულტურა ასცდა ამ გზას. დღეს ჩვენ სწორ გზაზე ვლამობთ გამოსვლას"[19]

კ.გამსახურდიას შეხედულებებით დასავლეთის კულტურას ზიარებული ნაციონალური იდეები ფესვმაგარია და გარეშე მტრისათვის ერთგვარად გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს. მწერალი მიუ-

თითებს, რომ დროა რუსეთმა შეიცნოს ის ანბანური ჭეშმარიტება, "რომ დიდ სახელმწიფოებს, მხოლოდ დარღვევის, დაშლის უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის ფარგლებში ისეთ მცირე ერების ძალად მომწყვდევა, რომელთაც საკმაოდ ძლიერ კულტურულ ტრადიციებს გარდა, სრულიად თავისებური ნაციონალური თვითცნობიერება და მკვიდრი ნაციონალური იდეალი მოეძევებათ"[20] მწერლის აზრით, რუსეთისთვისაც საზიანოა საკმაოდ მაღალ კულტურულ საფეხურზე მდგომი ერის თავმოყვარეობისა და ეროვნული თვითშეგნების ფეხქვეშ გათელვა. რუსეთის სახელმწიფოს სტრუქტურა მშვენივრად დაახასიათა გერმანელმა პრფ. ლეპსიუსმა: "ამ ვეებერთელა ტერიტორიის ცენტრსა და განაპირებს თითქმის არაფერი არ აერთიანებს ტლანქი, უხეში ძალის მეტი. მოსკოვიტელებმა უბრალო თავისებური გარეგნული სტილი ვერ ასესხეს ვერც ფინლანდიას, ვერც პოლონეთს, და ვერც უამრავი ტომებით დასახლებულ კავკასიას. როგორც კი ცენტრალურ რუსეთს გასცილდებით, არსად, სადაც კი არარუსნი ბინადრობენ, მდაბიო ხალხში რუსულს ვერ გაიგონებთ. კავკასიაში მოსკოველებმა ესღა მოახერხეს, მათრახებისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის შემწეობით აქა-იქ რუსული ჟარგონი შემოიღეს და თვალწარმტაც ქართულ ტაძრებს ხახვის თავისებური გუმბათები წამოადგეს"[21]

მწერლის აზრით კულტურა და ცივილიზაცია ერთმანეთს ემსახურებიან. "კულტურა სული, ესპრია ერისა, ცივილიზაცია — გზა და საშუალება. ქართველებსაც სწორედ იქ ჩაგვიტყდა ხიდი, სადაც ჩვენმა ცივილიზაციამ ჩვენივე კულტურული პანთეონის მეციხოვნეობა ვერ გასწია"[22]. მწერალს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა ამ დროისათვის მოძველებულია. საქართველოს არ გააჩნია ის ცივილიზაციური ტექნიკა, რომლითაც აწარმოებდა ომებს მუსულმანური კოალიციის წინააღმდეგ, მაგრამ იმავე იარაღით ვერ დაუპირისპირდა რუსეთის სახელმწიფო მანქანას, რომელიც ევროპულ ყაიდაზე იყო მომართული. მწერალი ერთგან წერს: "ქართულმა სახელმწიფოებრიობამ ფეხი ვერ აუწყო იმ

პროგრესულ ტემპს, რომელსაც მიყვებოდა ევროპული მოდერნული ნაციონალური სახელმწიფო. ჩვენი სახელმწიფოებრიობა გაიყინა ფეოდალურ ტირანიაში. როცა ამ მოძველებულ სახელმწიფოებრივ აპარატს დაუპირისპირდა ეკატერინე მეორისა და პავლე პირველის ნახევრად ევროპიული, პრუსიულ ინსტრუქტორებისაგან გაწვრთნილი მაშინა, იგი დაინგრა და გაითქვიფა"[23]

ქართული სახელმწიფოს იავარქმნა ჯერ შინაგან ძალთა რესურსების ამოწურვითა და გახრწნით დაიწყო, და როცა ეს განსხეულებისა და გახრწნის პროცესი დასრულდა, ფიცის გამტეხმა მეზობელმა ნგრევის პროცესი დააჩქარა. მწერლის აზრით, ქართველი ერი იმხანად იმსახურებდა იმ ბედს, რაც მას წილად ერგო XVIII-XIX საუკუნეების შესაყარზე. "ყოველი ერი თვითვე დაიმსახურებს ხოლმე თავის ბედსა და უბედობას. ყოველი ერი ღირსია თავის ბედისა, ისტორიაში არც ერთი ერი არ დალუპულა ისე, რომ მისი დალუპვის მიზეზები მარტო მის ტემპერამენტის, მის შინაგან ძალთა განწყობილების გარეშე ყოფილიყოს საძებნელი"[24].

კ.გამსახურდია XIX საუკუნეს სამართლიანად უწოდებს ნაციონალიზმის საუკუნეს, ვინაიდან XIX ს-ში გააჩაღეს ერებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეროვნული ვინაობის აღსადგენად, მაგრამ ეს არ ითქმის ქართველ ხალხზე, რომელსაც საღათას ძილით ეძინა. მწერალი აღნიშნავს: "თუ XIX საუკუნე ევროპელთათვის უბედნიერესი საუკუნე იყო, ჩვენთვის ხსენებული საუკუნე არა მარტო ჩვენი პოლიტიკური დეგრადაციის ხანა იყო, არამედ ფსიქიკური ეპოპეა, ქართული ეროვნული შემოქმედების აუზი არასოდეს ისე ძღვრიე არ ყოფილა, როგორც მაშინ, ქართულ ეროვნულ სხეულს არასოდეს ისე მახინჯი სახე არ მიუღია, როგორც ამ საუკუნეში"[25]

მწერალს არ უკვირს XIX ს-ის ქართველობის სულიერი წყაროს ამღვრევა, რადგან მისი სათავე იყო ტალახიანი და მღვრიე.

მწერლის აზრით, თუ XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორია უნდა დაიწეროს, უნდა გაწითლდეს მგრძნობიარე ქართველი. იმ ეპოქის ქართველს ვერ გაუთვალისწინებია "ჩვენისა და უც-

ხოს" საზღვარი. ვერ ხედავდა თუ რა საოცარი ვანდალური ინსტინეტებით სდევნიდა და ანადგურებდა ყოველივე არა რუსულს რუსის "შუჟიკი". მწერალი მიუთითებს, რომ XIX ს-ში ჩაეყარა საფუძველი ქართული სულის რუსიფიკაციას. რუსეთის ორთავიანი არწივის მიერ ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაზე მიტანილ სახელმწიფოებრივ იერიშს ზურგს უმაგრებდა რუსი მწერლებისა და პოეტების მოძახილი, რამეთუ "გაბატონებული ერი დაბეჩავებულ, დამონებულ მეზობელს ზარბაზნებით როდი ებრძვის მარტო, არამედ მთელი თავისი შინაგანი არსებითაც შხამავს თავის მსხვერპლის ორგანიზმს, ვინაიდან მშვიდობიანი იდეები ხშირად უფრო ასნეულებენ დაჩაგრული ერის სხეულს, ვიდრე სახელმწიფოსაგან მოგონილი სარეპრესიო წესები"[26]

რუსეთის კოლონიალურმა პოლიტიკამ გეგმაზომიერად დაიწყო ქართული ეროვნული სხეულის რღვევისა და დაკნინების პროცესი. გაუქმებულ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული ენა გამოიდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან. "ეს პოლიტიკა უტიფრად და მოურიდებლად აგებდა რუსული სტილის ტაძრებს, აშენებდა რუსულ შკოლებს, აგზავნიდა ასიათას მოშხამულ რუსიფიკატორს "განაპირებში", რათა არა სლავიანური შტრიხებიც წაეშალა გეოგრაფიული კარტიდან"[27] 100 წლის განმავლობაში რუსეთმა ერთადერთი შტო გაიყვანა ნავთობისა ბაქოდან ბათუმამდის და მთელი მისი კულტურული მუშაობის უდიდესი ნაყოფი კავკასიაში ეს იყო. რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე თაობას არ უცდია შეესწავლა საქართველო მეცნიერული თვალსაზრისით. მათ საქართველო ლერმონტოვის დემონის გმირის ან და ტოლსტოის "ხაჯი მურატის" "გლუპი გრუზინსკი კნიაზის" სამშობლოდ წარმოედგინათ მხოლოდ. ფეხქვეშ ითელებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებანი. XIX ს-ში იმპერიალისტური რუსეთის სოლდატესკა ასი წელიწადი სდევნიდა ქართულ ენას საქართველოში, ქართულ ზნე-ჩვეულებას და ქართულ კულტურას.

მწერალი მიუთითებს, რომ თუ ინგლისის კოლონიალურმა კულტურამ 6 უნივერსიტეტი დაარსა ინდოეთში, რუსებმა საქართველო-

ში პოლიგონებისა და ყაზარმების მთები აღმართეს, გამარუსებელი სკოლები და შხამიანი რუსული გაზეთები ქართული ნაციონალური სულის ჩაკვლას ესწრაფვოდნენ. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა შოვინისტური სულით გაჟღენთილი რუსეთი ქართულ სახელმწიფოებრიობის ერთხელ და სამუდამოდ მოსაშთობად.

კ.გამსახურდია ერთგან წერს: "სახელმწიფო უდიდესი ბედნიერებაა ერისათვის არა მარტო მისი მფარველი, მისი აღმზრდელი და წარმატებისაკენ წარმმართველიც"[28] თუ დაილუპა ნაციონალური სახელმწიფო, მასთან ერთად მყისვე დაკარგვის საუფლოს მიეცემა ის სულიერი კულტურა, რომელიც იქმნებოდა ამ სახელმწიფოში. სახელმწიფოებრიობის მოსპობა წინაპირობაა ქვეყნის სულიერი დაკნინებისა და გადაგვარებისა.

მწერლის აზრით, XIX საუკუნეში ქართველობამ მიტომაც იბრუნა პირი სოფლისაკენ, ხოლო ქალაქში — არაქართულმა მოსახლეობამ იმადაც მოიდგა ფეხი, რომ "გასულ საუკუნეში ქართველ ხალხს დააკლდა უდიდესი სიკეთე, სახელმწიფური ზრუნვა. ქართული მწერლობაღა მოაგონებდა ლიტურგიულ ძილში წასულ ქართველობას სახელმწიფური ტრადიციების რომანტიკას"[29]

მწერლის განცხადებით, ქართული მწერლობა მუდამ მაღალი ჭაღი იყო ქართული ნაციონალიზმისა, და როცა მტრის შემოსევების წყალობით ნადგურდებოდა ნაციონალური სახელმწიფოს ყოველი ატრიბუტი, ქართველი მწერალი მიძინების უფლებას არ აძლევდა რეტდასხმულ ერს და ახალი ბრძოლისაკენ უხმობდა მას. "გასული საუკუნე, — აღნიშნავს კ.გამსახურდია — საუკეთესო ილუსტრაციაა ამ მხრით, როცა ქართველი მწერალი რუქაიასავით სევდით ანთებულ ზღაპარს უამბობდა ქართველობის მიძინებულ სინდისს"[30]

ქართული მწერლობა მუდამ ძილფხიზლობდა. მისი შემუსვრა ვერავინ შესძლო. "ყველა ლერწამივით დაწვებოდა საქართველოში, როცა ქართველების თავზე გადაიქროლებდა გამანადგურებელი გრიგალი მეზობელთა აგრესიული შოვინიზმისა, მხოლოდ ქართული მწერ-

ლობა ფესვმაგარ მუხასავით უშვერდა თავს საქართველოზე მოვლინებულ უბედობასა და ღვთისწყრომას"[31]

გასულ საუკუნეში რუსეთის იმპერიალიზმის აგენტებმა ოქრო-ვერცხლითა და ვერაგული პოლიტიკის წყალობით მოისყიდეს თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობაც. ინტელიგენცია რუსული მასშტაბის აზროვნებისათვის დამახასიათებელი იდეებით გადაიბირეს. ასეთ დროს, მხოლოდ "ქართული მწერლობა შერჩა საქართველოს ეანგარო სიყვარულს და მისთვის თავგანწირულ მარტვილობას, რადგან ქართველი მწერლისათვის არასოდეს არ ყოფილა ქვეყანაზე საუნჯე უძვირფასესი, ვიდრე სიყვარული საქართველოსადმი"[32]

რა დაუპირისპირა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ქართველობამ სანაცვლოდ? ამის შესახებ კ.გამსახურდია წერს: "როცა სულით ძლიერი და კულტურულად მაღალი პატარა ერი დიდი ერის გავლენის ზონაში მოხვდება, იგი უფრო შეიკუმშება და გასალკლდევდება, მაგრამ მე-19 საუკუნის ქართველობამ სამარცხვინო ლაქა დასტოვა ჩვენს ისტორიაში. ასი წლის განმავლობაში ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ამ დროს ერთად ერთი მესაქე იყო ერის კულტურისა და მისი პოლიტიკის მახვილის მტვირთველი, ეპოლეტებზე ყიდდა თავის პატრიოტიზმსა და მამულს"[33]. ისინი ვისაც ერის მეცხოვნეობა უნდა გაეწია, ქვეყნის უკიდურესი გაჭირვების ჟამს ჯურნებითა და ქეიფებით ხვდებოდნენ იმ სულგაყიდულ რუსებს, რომელთაც საქართველო უქართველებოდ უყვარდათ.

ვისაც კალმის ხმარება ეხერხებოდა და გონება უჭრიდა, საქართველოდან გადახვეწილ მეფეებსა და ბოტონიშვილებს გაყვნენ რუსეთში. რაც შეეხება ქართულ მებრძოლ სულს, მწერლის აზრით, მას განასახიერებდა აღმოსავლეთ საქართველოში ალ. ბატონიშვილი, ხოლო დასავლეთში კონსტანტინე დადიშკელიანი, რომელთაც არ იკადრეს ეპოლეტებზე მათხოვრობა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს უწმინდურთ.

კ.გამსახურდია არ სწყალობს 1832 წლის შეთქმულებასაც, რომლის თავკაცებმა ჭკუამჩატე პოლიტიკისა და მალემრწმენობის გამო

დროზე ვერ ააგიზგიზეს საყოველთაო აჯანყების ცეცხლი და დამარცხებულნი განილტვნენ ბრძოლის ველიდან. მოგვიანებით კი, გუშინდელი მტრების სამსახურში ჩადგნენ და ჭაობიან ადგილებში თუ უხეირო ტევრში, სხვა ქვეყნის ინტერესებისათვის იქნევდნენ მახვილს.

1832 წლის შეთქმულების შემდეგ ქართული საზოგადოებრიობა უიმედობამ მოიცვა. ისინი შეეგუენ მონურ ხვედრს, თუმცა ვერ იზიარებდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომ "მონა, გადაგვარებული არავის უყვარს... ქვეყანაზე პატივისცემას იმსახურებს მხოლოდ ძლიერი, მშვენიერი, ძალითა და ღონით სავსე არსება, რადგან მიწა ძლიერთა კერძია"[34]. მათ ქართველი ერის დანიშნულება და ისტორიული მისია ამოწურულად, გათავებულ ამბად მიიჩნიეს. ისინი ვერ ხედავდნენ ერის არტერიებში დარჩენილ ხელუხლებელ, საღ ენერგიას, რომელიც მოწოდებული იყო ეროვნული ცხოვრების საძირკვლის ამოსაძირკვად.

ასეთ დროს ევროპეიზმის ნიღბით შემოპარულ სლავიანურ-მონღოლური გონების სიჩლუნგეს ქართული ცნობიერება ვერ დაუპირისპირდა, რამეთუ, იმდენად იყო მომხამული კოსმოპოლიტიკური მსოფლმხედველობით ჩვენი ეროვნული თვითშეგნება. ერთადერთი კაცი, მწერლის აზრით, ვინც მედგრად შეებრძოლა "რუსული კულტურის ნიჰილიზმს", ილია ჭავჭავაძე იყო, თუმცა დასაწყისში ლესინგობა ვერც მან იკისრა, მაგრამ მერმე შესძლო ბისმარკის მსგავსად ეროვნული ცნობიერების მობილიზაცია და ერთ მუშტად შეკვრა. ქართველი რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, რომელთაც საქართველოს ნანგრევებზე ცრემლების ნთხევა და იერემისებური უსასო მოთქმა რომ ემარჯვებოდათ, ილიამ მომავალი პერსპექტივა იქადაგა. "ილიას პროტესტი — საუკუნის პროტესტია, ჩვენი დაცემული ვინაობის მწერლის აზრით აღდგენის სურვილით განმტკიცებული. ილიამ თავისი ცხოვრებისეული კრედო მოხევის პირით გაამჟღავნა; "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო"[35], წარმოსთქვა სიტყვები ხევის შვილმა ისეთ სამშობლოში, რომელიც "სხვას" გაუხდია სამშობლოდ.

ილიას ეროვნული იდეალები, უწინარეს ყოვლისა, ქართველი კაცის სულმდაბლობისა და მონური ფსიქოლოგიის წინააღმდეგ იყო მი-

მართული. არადა, სულიერად მოღლილი და დაქანცული ეროვნული სხეულის მკურნალობა საოცარ ძალისხმევას და მოთმინებას მოითხოვდა. მწერალსაც ცდა არ დაუკლია, რათა ქართველი ხალხის მიძინებული ენერგიის მაჯისცემა კვალაც აღეზევებინა და მოძრაობაში მოეყვანა.

კ.გამსახურდიას განცხადებით, ილიამ ქართველი ხალხის სულიერი გამრთელება განიზრახა მიზნად უწინარესად: მწერლის აზრით არც ერთი ქართველი უკანასკნელი 7 საუკუნისა არ ყოფილა შეპყრობილი საქართველოს გაერთიანების ისეთი წყურვილით, როგორც იყო ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მონური ფსიქოლოგიით შეპყრობილი საუკუნე ამხედრდა, კოსმოპოლიტიკური მსოფლმხედველობით გონებადაბინდული კაცუნები ილიას ეროვნულ იდეალებს დაუპირისპირდნენ და სვეგამწარებულ მოხუცს "40 წლის იუბილე წიწამურზე გადაუხადეს".

მწერლის აზრით, ილიამ ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენის ლოზუნგი კი გადაისროლა, მაგრამ ხალხი ვერ გრძნობდა მის ტკივილებს, ბევრსაც კი, ქართველი ერის ისტორიული მისია გათავებულ ამბად წარმოედგინა. კ.გამსახურდია, იმასაც აღნიშნავს, რომ ილია მართალია, ქართველი ერის ცხოვრების წესი და პრინციპები იღალადა, მაგრამ გზა და საშუალება ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარებისა ბოლომდე არ მოუციაო, თუმცა იქვე დასძენს, რომ ვერც მოგვცემდა, რამეთუ მაშინდელ ქართველობაში არ არსებობდა ერთიანი სული, და "ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თვითო არ არის, და თვითოში ყველა"[36]

მაგრამ მთელ ერზე ეს არ ითქმოდა. გარკვეულმა ნაწილმა მაინც იგრძნო ის საშინელი კატასტროფა, რომელიც 1801 წელს ჩვენში უცხოდან შემოჭრილმა უხეშმა ძალამ მოახდინა, მაგრამ ეს არ ითქმის ჩვენი ისტორიული ცხოვრების მესვეურებზე და ავანგარდზე თავადაზნაურობაზე, რომელიც დასამარების მწუხრში იდგა "მაგრამ ქართველობას რეზერვი კიდევ გააჩნდა, კიდევ იყო ერის არტერიებში

დარჩენილი ხელუხლებელი და საღი ეწერგია ეროვნული ცხოვრების საძირკველის ამოსაკირავად მოწოდებული"[37]

აგუზგუზებული ეროვნული რევოლუციის ჭიაკოკონები მოწმობდა იმას, რომ ხალხში მთლიანად ჯერაც არ გამქრალიყო ინსტიქტი ზეადამიანური წინააღმდეგობისა. ამ დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის ალამდარნი არიან დიმიტრი ყიფიანი და არჩილ ჯორჯაძე — ქართული დემოკრატიული აზროვნების მესვეურნი.

მწერალი დიმიტრი ყიფიანს საქართველოს ტრაგედიის გმირს უწოდებს. თავად ერეკლე მეორეს ადარებს მას, ვინაიდან დიმიტრი ყიფიანმაც ერეკლე მეორის მსგავსად საქართველოს მაგივრად მიღებული მრავალი იარა ჩაიტანა სამარეში. ამიტომაც ის ერის სინდისისა და ნამუსის განსახიერებაა. მას ილიას დარად ქართული მწერლობა არ გაუმდიდრებია შესანიშნავი ლექსებითა და პროზაული თხზულებებით, მაგრამ თავად მისი ბობოქარი ცხოვრება და მოწამეობრივი აღსასრული იმ წინაპართა გენეალოგიაში მიუჩენს მას ადგილს, რომელთა მეამბოხე სული მარადიული, თანამდევი და გზის გამკვალავია მომავალი თაობებისთვის.

დიმიტრი ყიფიანის მსგავსად არჩილ ჯორჯაძეც მთელი არსებითა და ძალისხმევით ეძებდა რეალურსა და კონკრეტულ საშუალებას ქართველი ერის ზრახვათა და ლტოლვათა ხორცშესასხმელად. თავისუფლებისაკენ მიმართული დახშული გზის გასაკაფავად. მწერლის აზრით, სწორედ მან მიაგნო ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენის გზას. თუ ილია აღიარებდა ქვეყნის თავისუფლების აუცილებლობას, იქვე იმასაც დასძენდა, რომ "ეს გულში უნდა გვქონდეს დამარხულიო", არჩილ ჯორჯაძე კი, რომელიც ილიას იდეალების დამცავი და გამგრძელებელი იყო, ერს ბრძოლის გზით თავისუფლების მოპოვების, სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივას უსახავდა მიზნად.

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის თვალსაზრისით მწერალი ჯეროვან ყურადღებას აქცევს 1905 და 1917 წლის რევოლუციებს, იაზრებს რა მათ ქართული ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპებად. თუმცა მწერალი ანსხვავებს ერთმანეთისაგან ამ რევოლუციებს თა-

ვისი ხასიათითა და დანიშნულებით. 1905 წლის რევოლუცია სულ სხვანაირად მოიმარჯვა ხელში ქართველმა ხალხმა, სულ სხვა მისწრაფებანი ჩააქსოვა მასში. მწერლისათვის ეს რევოლუცია "ერთი თვალსაჩინო ეპიზოდია იმ მრავალი წლის ეროვნული რევოლუციისა, რომლის პირველი საბედისწერო თოფის ხმა მთიულეთში გაისმა 1804 წელს. ქართველმა ხალხმა ამ რევოლუციით ეროვნული აჯანყების ქარიშხალი მოიმკო"[38]

უფლებააყრილი ხალხი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ახალ გზას დაადგა. ეროვნული ენერგია ჩვეული კალაპოტიდან ლამობდა გადმოხეთქას. მტერმაც იგრძნო ხიფათი, გულ-ხელდაკრეფილი ყოფნა მას კარგს არაფერს უქადდა და დამსჯელ ოპერაციებს მიმართა. მიწასთან იქნა გასწორებული გურია. ათი წლის განმავლობაში რუსეთის ჟანდარმერია ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა აღზევებულ ქართულ ენერგიას და გონს. იმპერიის ციხეები ქართველი პატრიოტებით აიესო.

ათი წელი დასჭირდა ქართველობას, რათა წელში გამართულიყო და ახალი რევოლუციისთვის მოეკრიბა საკმაო ენერგია. მაგრამ თუ 1905 წლის რევოლუციას ორი ფრონტი და ორი სახე ჰქონდა, ერთის მხრივ, ერი ირაზმებოდა გარეშე ძალის უვნებელსაყოფად, მეორეს მხრით, სოციალ-კლასიკური ბრძოლის გასაჩაღებლად... "1917 წლის რევოლუცია სულ სხვა კალაპოტში და სხვა სფერომი იშვა. კერენსკის მთავრობის დამხობიდან, როგორც საქართველო, ისე მთელი კავკასიელი ერები, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციის პოლიტიკურ მხარეს აპყრობდნენ გულისყურს"[39]

ქართველმა ერმა და მთელმა კავკასიამ შეიცნო ის გარემოება და ჰეშმარიტება, რომ დადგა დრო პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგებისა და საკუთარ მიწა-წყალზე თვითმმართველობის დამყარებისა.

საქართველოს ორიენტაციის საკითხი აქტიურად იყო დასმული XIX და XX საუკუნეების შესაყარზე. მწერლის ლოზუნგი აქაც უცვლელია — "ოქციდენტ". მწერლის ოპტიმისტური მზერა დასავლეთისკენაა მიმართული, სწორედ დასავლეთიდან მობერილ უცხო ქარს

ძალუძს საქართველოს ინტელექტუალური სტომაქის გაწმენდა მასში დაგუბებული ბალასტისაგან.

მწერლის მსოფლმხედველობით დადგა დრო დასავლეთის დიდი ცივილიზაციის შესაძენად და გათავისებისა.

ევროპის საზოგადოებრივი აზრი უთუოდ ანგარიშგასაწევი ძალაა უფლებააყრილი ერისათვის, რათა მან თავისი შელახული თავმოყვარეობა სამზეოზე გამოავლინოს. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში თვითგამორკვევის გზაზე დამდგარი ერები ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ კონგრესებზე თუ სხდომებზე ცდილობდნენ მიჩქმალული პოლიტიკური ვნებების სრულად გამომჟღავნებას. ქართველები აქაც ჩამორჩნენ სხვებს, კერძოდ, სომხებს, რომლებმაც ევროპის რიგ სახელმწიფოებში მდიდარი დიასპორის წყალობით მოახერხეს მთელი რიგი საზოგადოებათა დაარსება, რომელთა მეოხებითაც თავიანთი პოლიტიკური ტკივილები ევროპის დიპლომატიას მიაწვდინეს. "რაც შეეხება საქართველოს, — წერს მწერალი — ქართული იდეისა და საკითხის შესახებ პირველად სოციალისტ-ფედერალისტების წინამძღოლობით ამოიღეს ხმა ევროპაში, მათ მიაპყრეს პირველად საქართველოზე განათლებული კაცობრიობის გულისყური. მე მოგახსენებთ განსვენებულ არჩილ ჯორჯაძეზე, დეკანოზიშვილზე და ჟურნალ "საქართველოზე"[40]. სწორედ მათი ძალისხმევის შედეგად ჰააგის კონფერენციაზე გახმიანდა ქართველთა ტკივილი, რასაც ევროპელი დიპლომატია გამოესარჩლა, მაგრამ რეალური შედეგები არც ამ ღონისძიებას მოჰყოლია. 1912 წელს აკაკი ჩხენკელმა პირველად ახსენა საქართველოს ავტონომიის აუცილებლობა და ქართული ენის სავალალო კოლონიალური მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, რამაც რუსეთის ინტელიგენციის საერთო აღელვება და პროტესტი გამოიწვია.

კ.გამსახურდიას აზრით, ევროპაში საქართველოს საკითხის გაშუქების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ფაქტი იყო 1912 წელს ჟენევაში გამოსული ჟურნალი "თავისუფალი საქართველო", რომლის თითოეული ნომერი ანტირუსული იდეებით იყო გაჟღენთილი. ჟურნა-

ლის თანამშრომლები სახალხოდ გმობდნენ და კიცხავდნენ რუსეთის იმპერიულ, შავრაზმულ პოლიტიკას, რომელსაც ისინი მიმართავდნენ საქართველოში ქართული რასისა და გენის შესარყვნელად.

ამის შედეგად საქართველოს საკითხი ევროპელ მწერალთა ყურადღების არეალში მოექცა და ისინი მეტი დაჟინებით და წყურვილით ცდილობდნენ ჩაწვდომოდნენ ქართულ სინამდვილეს რიგ საკვანძო საკითხებში. იწერება წერილები, იცემა ბროშურები, სადაც მრავალ საინტერესო პრობლემურ საკითხს ეფინება შუქი. ხოლო რუსეთში მომხდარი რევოლუციური მოვლენების შემდეგ, როცა რეალურად დადგა საკითხი ერთა თვითგამორკვევისა, ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა მოითხოვა საქართველოსთვის "ბუფერ შტატის" მიცემა, მაგრამ მწერალი არ იზიარებს ამ შემთხვევაში ევროპულ მსოფლშეგრძნებას, რადგანაც მისი აზრით, "ბუფერ სახელმწიფოს არც ერთი ერისათვის არ მიუზღავს პოლიტიკური მშვიდობიანობა. წინააღმდეგ; ამგვარი გადაჭრით მუდამ ორ ცეცხლ შუა ვარდებოდნენ მცირე ერები. მომავალმა ინტერნაციონალურმა კონგრესმა საქართველოს ბუფერობა კიდევაც რომ აღიაროს, ეს ვერ იქნება ქართველი ერისათვის იდეალური ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა"[41]

მიუხედავად საქართველოსთვის მიუღებელი მცდარი პოზიციისა, მწერალი დიდად აფასებს ევროპის საზოგადოებრივ აზრს და მიუთითებს იმ სასარგებლო როლზე, რომელიც მას შეუძლია გამოიჩინოს საქართველოს სრული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე.

კ.გამსახურდია სრულიად უარყოფს რუსეთის ფუნქციას და როლს ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში. აძაგებს კიდეც იმ ქარიხვეტია ინტელიგენციას, ვინც დღენიადაგ გაიძახოდა ურუსეთოდ საქართველოს არსებობა არ შეუძლია, რუსეთიდან პური მოგვდისო, მწერალი ამგვარ "მეზობლის ქურქით გათბობის" მოტრფიალეთ სულით მონებს და კუჭის აპოლოგეტებს უწოდებს, რომლებიც სტომაქის ამოვსებას ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობასთან აიგივებდნენ. "ეგზომ დაიშრიტა ქართველი ხალხის სასი-

ცოცხლო ენერგია, აი, ჩვენი მონობის სამარცხვინო ნაყოფი"[42] — აცხადებს მწერალი.

მწერალი იმედოვნებს, რომ ქართველი ერი ახლა მაინც არ დაუშვებს 1917 წლის 19 ნოემბერს დაშვებულ შეცდომას, როცა ქართულმა ინტელიგენციამ რუსული ორიენტაცია ახსენა. მწერალი ჯვარს აცმევს რუსოფილებს, შეახსენებს მათ, როცა "ფეოდალურმა საქართველომ ირაკლი მეორის პირით აღიარა რუსული ორიენტაციის საჭიროება"[43], მაგრამ ამ ორიენტაციამ სავალალო შედეგი გამოიღო. საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა და ის ეთნიურ მასალად იქცა. "ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფო აპარატის, ქართული ენის სისტემატურმა დევნამ, აიძულა საქართველო რუსული ორბიტიდან გამოერიცხა თავი"[44]

მწერალი არაერთგზის მიუთითებს, რომ სწორედ რუსეთის შოვინისტურმა პოლიტიკამ შეაცვლევინა პოლიტიკური მრწამსი ნოე ჟორდანიას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უარყოფდა ეროვნულ ფაქტორს. მან, მართალია გვიან, მაგრამ მაინც აღიარა, რომ "საქართველოს ერთად-ერთი და შესაძლებელი ორიენტაცია — ევროპის ორიენტაციაა"[45]

კ.გამსახურდია, რომელიც სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში ირიცხებოდა 10 წლის განმავლობაში იდეურად ებრძოდა ქართველ მენშევიკებს და მათ იდეურ ხელმძღვანელს. არ იზიარებდა მათ მიერ გატარებულ პოლიტიკურ ხაზს. ერთი პირობა ნ.ჟორდანიას მთავრობის დაპატიმრებასაც კი ამზადებდა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დამოუკიდებლობის მანიფესტს არ მიიღებდა, მაგრამ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და მწერალმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ. ამიერიდან მწერალი შემწყნარებლობასა და ლოიალურ მოპყრობას ქადაგებს: "ჩემი პარტიული ამხანაგები ოპოზიციას აწარმოებდნენ. მე კი მოვითხოვდი ლოიალურ მოპყრობას საქართველოს მთავრობისადმი მას შემდეგ რაც მთავრობა ეროვნული მოღვაწეობის გზას დაადგა"[46]. ამ მოსაზრებით და-

ტოვა მწერალმა პარტიის რიგები, გაეცალა პარტიულ ბრძოლას. იმ დღიდან, რაც საქართველო განთავისუფლდა, მწერალს არანაირი სურვილი არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო პარტიათა ბრძოლაში. ერთადერთ მის სწრაფვასა და წადილს წარმოადგენდა ერთგვარი შემარიგებელი ტონი შეეტანა იმ პოლიტიკურ უთანხმოებაში, რომელიც ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მიმდინარეობდა. მწერალი პოლიტიკურ კონფლიქტში განზე გადგა იმ მიზეზითაც, რომ მას არ სურს რომელიმე პოლიტიკური პარტიის მოჯამაგირე იყოს, რადგანაც "მისი ხელის საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პარტიისა, ან რომელიმე მთავრობისა. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა მარადიული ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანტი"[47]

1918 წლის 26 მაისს ახალი ეპოქა დაიწყო საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ხალხი ეროვნული მოძრაობის საუკუნეში გადაჩეული იყო სახელმწიფოებრივ ერთგულებას. მწერლის აზრით, პოლიტიკა უძვირფასესი იარაღია ერის ხელში, მაგრამ მას მიზანმიმართული გამოყენება სჭირია, რაც ქართულ ინტელიგენციას არ აღმოაჩნდა. პირიქით, ნებსით თუ უნებლიეთ, ერი დაუპირისპირდა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას, რამაც უარყოფითი როლი ითამაშა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მწერალი წერს: "სახელმწიფო წყობილებისადმი მტრული განწყობილება რყვნის პოლიტიკურად ერს, ეს ავითარებს მასში ანტისახელმწიფოებრივ ტრადიციებს, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზიც ქართველი ერის შინაგან არსებაშია საძებნელი"[48]

უწინარეს ყოვლისა, მწერალი ამუნათებს ქართულ ინტელიგენციას, რომელიც ვერ გაუძღვა სახელმწიფო აღმშენებლობის მისიას, არადა მწერლის აზრით, ქართველობა, როგორც სახელმწიფო აღმშენებლობის მასალა კარგია, მაგრამ ეს მასალა ჯეროვნად ვერ გამოიყენა ქართველმა ინტელიგენციამ, ამიტომაც ის არ არის ერის ბელადობის ღირსი. ერის გაჭირვების ჟამს ქვეყნის წინამძღოლისა

და გადამრჩენის მანტიას ვერ მოირგებენ ზნედაცემულნი. მწერალი წერს ერთგან: "ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნული სახელმწიფოს ასაშენებლად. ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა სწორი ორიენტაცია ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ გარემოში, არსად იმდენს არ სწერენ და ლაპარაკობენ ორიენტაციაზე, რამდენსაც ჩვენში, არსად იმდენი შეცდომები არ დაუშვიათ ამ მხრით, როგორც საქართველოში"[49]

მწერლის აზრით, შეცდომები დაშვებული იქნა მაშინ, როცა რეალურად არ იქნა შეფასებული საქართველოს ძალები, ამავე დროს სათანადოდ არ იქნა შეფასებული ის ფაქტორები, რომელზეც დამოკიდებული იყო არა ევროპული ერების ცხოვრება.

ევროპისაკენ ორიენტაცია, ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ საქართველო ევროპის ყველა ქვეყანას ფიანდაზად გადაეშლებოდა. უნდა შერჩეულიყო ერთი მოწინავე ქვეყანა, რომელიც დაეხმარებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის მოწესრიგებაში და განმტკიცებაში. მაგრამ საქმეს ძაბავდა იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, პირველი მსოფლიო ომის პერიპეტიები, როცა ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთს მტრად მოექცნენ. ასეთ დროს საქართველომ გეზი გერმანიაზე აიღო, ვინაიდან ინგლისი მეტ სიმპატიებს სომხეთისადმი ავლენდა (რაც აშკარად გამოვლინდა სომეხ-ქართველთა შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტის დროს, როცა ინგლისელებმა სომხების პოზიცია დაიკავეს) გარდა ამისა, საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება იმდროისათვის სწორედ გერმანიისათვის იყო ხელსაყრელი, რამეთუ რუსეთის იმპერიის ყველაზე დაუძინებელი მტერი გერმანიაა, რომელიც სამარადისო სასუფეველს უმზადებს მონარქისტულ რუსეთს და ამ პოლიტიკურ ომში თავადაც დაინტერესებულია სტრატეგიული მოკავშირე ჰყავდეს საქართველოს სახით. გერმანელებს მთელი გეგმა ჰქონდათ შემუშავებული პან-სლავისტური პოლიტიკის ფრთების შესაკვეცად, რაც მდგომარეობდა უპირველეს ყოვლისა მოსკოველების სრულ განდევ-

ნაში ბალტიისა და შავი ზღვის ნაპირებიდან. ამავე დროს მათი სურვილი იყო, თუ რუსეთის შინაგან გარდაქმნას ვერ მიაღწევდნენ, იმპერიის გარეგანი ფაქტორების ცვლილებისათვის მაინც დაემჩნიათ თავიანთი ზეგავლენის კვალი. რა თქმა უნდა გერმანიას აქ მარტო ჰუმანური გრძნობები როდი ამოძრავებდა, არამედ საკუთარი პოლიტიკის დამკვიდრება და რუსეთთან ტრადიციული მეტოქეობა. ომის გამარჯვების სასწორი გერმანიისაკენ იხრებოდა იმჟამად, გერმანიის გამარჯვება პირველ მსოფლიო ომში უზრუნველყოფილი იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის. მაგრამ გამტყუნდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური იდეალები. გერმანიამ კი აღმოუჩინა საქართველოს დახმარება დამოუკიდებლობის მოპოვებაში და განმტკიცებაში, მაგრამ საბოლოოდ მან თავად იწვნია მარცხი ამ ომში. მწერლის აზრით, საქართველომ მაშინ დაკარგა დამოუკიდებლობა, როცა მან მოკავშირე დაკარგა გერმანიის სახით.

პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები გამოწვეული იყო იმ ყალბი პატრიოტიზმით, რომელსაც ეწეოდნენ მენშევიკები საქართველოში თავიანთი მმართველობის ჟამს. მწერლის აზრით ეს ის თაობაა, რომელიც მხოლოდ წარსულით იკვებება და საფლავებიდან მოელის სასწაულებს, თაობა, რომლის წარმომადგენლები "მუდამ განზე თითს იშვერდნენ და ქართველობის გარეშე ეძიებდნენ ქართველობის დამლუპველებს და ქართული ოჯახის წახდომისა და დაქცევის მიზეზებს"[50]

მწერალი მენშევიკებს ამუნათებს ქართული მიწისადმი გამოჩენილ გულგრილობაში, სულიერ გაუცხოებაში. ბრალს დებს მათ ინტელექტუალურ გაორმაგებაში და რენეგატობაში. მწერალი ერთგან აღნიშნავს: "იმ თაობებმა, რომელთაც ქართველი ერის სადავეები ეპყრათ ახლო წარსულში, მათ ქართულ მიწაზე ორიენტაცია ვერ მოახერხეს, რადგან ქართული მიწა ვერ იცნეს მათ. უცხო მიწამ ისინი უარყო და არ მიიღო. მათ ქართული სული არ ედგათ სხეულში. მათ არ უყნოსიათ სინოყივრე ქართული მიწისა და ამიტომაც ქართული მიწის პოხიერება მათთვის უცნობი დარჩა"[51]

მართველი პარტიის მიერ არასწორად შერჩეულმა ორიენტაციამ და სულით გაორების ფაქტორმა გამოიწვია ქართული თეატრის და ქართული ლიტერატურის ჩამორჩენა, დრომოქმულ დოგმებში გაიყინა ქართული ეკლესია, არ არსებობს ქართული საზოგადოებრივი აზრი. ქართველობა საკმაოდ ჩამორჩა თანამედროვე ცივილიზაციურ სამყაროს, ვინაიდან, დღევანდელ დღეს "ერები იბრძვიან და ჰქმნიან არა მარტო მიწაზე, მიწის ქვეშ, მიწის ზევით. ის ერი, რომელიც მხოლოდ მიწის ზედაპირზე ახერხებს ორიენტაციას, იმ ერს დღეს არავინ გაუტოლდება, არავინ გაუყადრებს თავს"[52].

კ.გამსახურდია წინამორბედი თაობების ზრდას "ვეგეტაციას", მცენარეულ ზრდას უწოდებს, ვინაიდან ეს თაობა იზრდებოდა ოჯახის, სახელმწიფოს, ლიტერატურისა და ეკლესიის ტრადიციების გარეშე. ახალ დროში ქართველობას დიდი სიფხიზლე და ნერვების მოთოკვა მართებს, რათა ზრდასრული ერის სახე აღიდგინოს. ძირძველი ტრადიციების აღსადგენად და ახალი ქართული ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად, მწერლის აზრით, უნდა განახლდეს ქართული შეგნება. მორალურად და შინაგანად უნდა გარდაიქმნას ჩვენი ეროვნული პიროვნება. სენტიმენტალიზმი, წუწუნის პოლიტიკა კარგს არაფერს უქადის ერის მომავალს. არც საფრთხეს და გასაჭირს არ უნდა შეუშინდეს ახალი თაობა, ვინაიდან დიდი ღირებულება არ შექმნილა დიდი საფრთხისა და გასაჭირის გარეშე. მთავარია დროული მობილიზაცია და სერიოზული დაფიქრება მოსალოდნელი განსაცდელის ჟამს: "ქართველობა ერთხელ კიდევ უნდა დაფიქრდეს. დაფიქრდეს არა იმისათვის, რომ შეჩერდეს და უკან დაიხიოს, მხოლოდ იმისთვის, რომ ვეფხისებური ნახტომი გააკეთოს წინ"[53]

თავიდან მწერალი არც საბჭოთა ხელისუფლებისადმია ოპოზიციურად განწყობილი რადგანაც მიაჩნია, რომ "გადაჭარბებული ოპოზიციონური სული ასუსტებს ერის სახელმწიფოებრივ ტრადიციას და შეგნებას, ისიც ისეთ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი ეთოსი ეგზომ სუსტია"[54]

მწერალს არ აშინებს საბჭოთა სისტემა. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ფორმა, იქნება ეს საბჭოთა სისტემა თუ დემოკრატიული პარლამენტარიზმი "ორივე მისაღებია, რადგან ფორმა კი არ არის მთავარი, არამედ ის შინაარსი, რომელსაც მთავრობა და ერი ჩასდებს მათში". ამიტომაც მწერალი, როგორც თავად ამბობს, არ აპირებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ იარაღით გალაშქრებას, "რამდენადაც ბოლშევიზმი განსაზღვრული იდეების მატარებელია", ასეთ დროს იდეების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა სიგიჟეა და დონკიხოტობა. ავადმყოფ და აბსურდულ იდეებს ჯანსაღი იდეებით უნდა დაუპირისპირდე. მთავარია, ახალმა მთავრობამ არ უარყოს ქართული სახელმწიფოს ეროვნული ნიშნით განვითარების გზა და შემოქმედებითი უნარი გამოიჩინოს ახალფეხადგმული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. მწერალი ჯერხნობით არ იცნობს ამ ნახევრადლეგალურ პარტიას და არც ძალუძს, რომ ბოლომდე გაითავისოს მათი მოქმედებები. თუ ქართველი კომუნისტები ქართული სინამდვილისადმი შესაფერის ნიშანდობლივ რეფორმებს გაატარებენ, მწერალი მზადაა ასეთ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად დაეხმაროს კიდეც მათ. მთავარია, ხელშეუხებელი დარჩეს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა. ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო ატრიბუტები. უნდა შენარჩუნდეს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, ჩამოყალიბდეს ქართული წითელი არმია, რომელიც შესძლებს საკუთარი ძალების ამარა სახელმწიფო საზღვრების დაცვას, მიმოქცევაში ეროვნულ ფულს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი და ა.შ. 1921 წლის ივნისში კ.გამსახურდია ხაზგასმით მიუთითებს ერთ წერილში: "დღეს ყოველი ქართველისათვის ურყევი დებულებაა, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ლაპარაკი და ამ ლაპარაკის ტონი და კილო სავსებით გარკვეული უნდა იქნეს ორივე მხარისათვის"[55]

მწერლის აზრით, ქართველი კომუნისტები, როგორც ქვეყნის პატრიოტები, ვერ ითანამშრომლებენ რუსეთის კომუნისტებთან მანამ, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება

აღნუსხული. მწერალს აშინებს ის გარემოებაც, რომ რუსეთს სწადია საქართველო გამოიყენოს მოკავშირედ აღმოსავლეთის გაკომუნისტებისათვის, ისე როგორც 100 წლის უკან მან ქართველი ერი გამოიყენა აღმოსავლეთის პოლიტიკის ურთულესი მიზნების მისაღწევად და განსახორციელებლად. დღესაც ანალოგიური ვითარებაა, ლენინისადმი გაგზავნილ წერილში მწერალი დაუფარავად წარმოთქვამს თავის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით: "დღევანდელი რუსეთი — წერს მწერალი — უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს მსოფლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოსაც აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და თბილისი უნდათ ამ ოპერაციების ბაზად გახადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს"[56]

მწერალიც არ უარყოფს იმ ფაქტორს, რომ ქართველები აღმოსავლეთის მეკლიტეები ვიყავით ოდითგანვე და დღესაც რომ არ გვაქვს ეს ფუნქცია დაკარგული, მაგრამ მცირე აზიისა და სპარსეთისაკენ გზად მიმავალი ვერ გადაალაჯებს ქართულ მიწებზე ისე, თუ მას ზურგს უკან კეთილგანწყობილი ქართველი ხალხი არ უდგას. კეთილგანწყობილების შენარჩუნება კი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით თუ მოხერხდება მხოლოდ. გარდა ამისა საქართველო ვერ გახდება სტრატეგიული მოკავშირე და საყრდენი ძალა რუსეთის კომუნისტებისათვის, რომლებიც მთელი აღმოსავლეთის და კერძოდ, ინდოეთის განთავისუფლებას ცდილობენ ინგლისის ბატონობიდან, ასევე ეწადათ მათ ოსმალეთის "განთავისუფლება" ოსმალებისაგან. ქართველობამ შუამავლის როლი უნდა შეასრულოს დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. მისი ფუნქცია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, სწორედ აქ უნდა გამოიკვეთოს. "დასავლეთის დიდი ცივილიზაციისა და კულტურის ცეცხლოვანი ეტლი უახლოვდება ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. უახლოეს მომავალში ქართველობამ უნდა იკისროს ამ ახალი კულტურის შუამავლობა ძველს ლევანტში, ირანისა და წინა აზიის მიდამოებში. ახლო აღმოსავლეთი, რომელიც ოდესმე ჩვენს შემოქმედე-

ბას ანაყოფიერებდა იდეურად დღეს ჩვენგან მოელის განაყოფიერებას და ახალი იდეების თესლს"[57]

კომუნისტური რუსეთი საქართველოს, ძალის გამოყენებით თავის საგარეო პოლიტიკის ორბიტში ვერ მოაქცევს, რამეთუ ნაციონალური შტრიხებისა და ნიუანსების წაშლა მეოცე საუკუნეში შეუძლებელია. ვინც ეს მოინდომა, ის თავად შეიქმნა ამ უხეში პოლიტიკის მსხვერპლი. კ.გამსახურდიას აზრით წითელმა რუსეთმაც უნდა აიღოს ხელი ამგვარი შოვინისტური პოლიტიკის გატარებაზე, რამეთუ ადრე თუ გვიან ნაციონალური იდეების იგნორირება და ეროვნული ფაქტორის უარყოფა ბუმერანგივით დაუბრუნდება მისსავე გამტარებელს. მწერალი წერს: 'საგარეო პოლიტიკის ორბიტში ვერც ერთი დიდი ერი ძალით ვერ მოაქცევს რომელიმე მცირერიცხოვან ერს და თუ ეს ჩაიდინა მან, მით უარესი მისთვის, მოკავშირის ნაცვლად ის მტერს დაიახლოვებს"[58]

დღესდღეობით შეუძლებელია აბჯრის ჩხარუნით გონების არგუმენტების წინააღმდეგ ლაპარაკი. კ.გამსახურდიას აზრით, სამი წელიწადი საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისა, ქართველობისათვის ისეთ დიდ მანძილს წარმოადგენს, რომ მისი უკან, ეროვნულ ჭაობში მობრუნება ყოვლად შეუძლებელია. და თუ მაინც საქართველო რუსეთის პოლიტიკის ორბიტში უნდა მოხვდეს (მწერალი ანგარიშს უწევს ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებს, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ჯარების საქართველოში ყოფნას) მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით. რუსეთს არაფრად არ უნდა მართებდეს 2 მილიონიანი საქართველოს მტრად მოკიდება, ანგარიში უნდა გაეწიოს ქართველი ერის სასიცოცხლო ძალებს, რადგანაც კეთილგანწყობა და ურთიერთპატივისცემა ორმხრივ პრინციპებზე უნდა იქნეს აგებული.

მწერლის აზრით რუსები იმ შემთხვევაში გააძლიერებენ შინაგან და გარეგან ფრონტს, თუ მეზობელ ქვეყნებს დამოუკიდებელი აღმშენებლობის საშუალებას მისცემენ. მწერლის აზრით, დემოკრატიული რუსეთი მაინც განსხვავდება ავტოკრატული რუსეთისაგან, მაგ-

რამ დღეს ისე წარიმართა პოლიტიკური ქმედება, რომ საქართველოს და რუსეთის დემოკრატებისაგან შემდგარი ჯარები სამკვდროსასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთი მეორეს. რუსეთ-საქართველოს ტრაგიზმით აღსავსე ამ უკანასკნელ ომში ქართულმა ჯარმა მარცხი იწვნია, მართველი პარტია უცხოეთში გაიხიზნა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქედან დავიწყოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დასამარების ქორონიკონი. მწერალი მიუთითებებს: "არც 1801 წლის ამბების გამეორება შეუძლია ვინმეს, რადგანაც დღევანდელი საქართველოს მახვილით დაპყრობა შესაძლებელია, ხოლო ქართველი ერის ჩაჩუმება და პოლიტიკური დამუნჯება კი, ყოვლად მოუხერხებელია"[59]

შესაძლებელია ერთი მეტყველი ბაგის ძალით დადუმება, ერთი პარტიის ან ჯგუფის იზოლაცია, მაგრამ დღეს ყოველ ქართველს მიუხედავად იმისა, ეხერხება თუ არა მას წერა და ლაპარაკი, ერთი ზრახვა უდევს გულში, ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიურად შენარჩუნება.

პარტიების ძიძგილაობას საქართველოს ინტერესები არ უნდა შეეწიროს, ერთი პარტიის ჩაჩუმებას საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ უნდა გადაყვეს. საქართველოს თავისუფლება, რომლისთვისაც ზღვა სისხლი გაიღო ხალხმა, ნებისმიერი ფორმით უნდა შენარჩუნდეს. ამ შემთხვევაში ქართულ სახელმწიფო ორგანიზმს უნდა გაუძღვეს საქართველოს კომუნისტური პარტია, ისე რომ ფუნდამენტალური საკითხების მოგვარებაში აუცილებლად შეუთანხმდეს საქართველოში არსებულ ეროვნულ ძალებს. მხოლოდ ამგვარი ჯანსაღი ურთიერთკავშირი გამოიღებს სასურველ ნაყოფს.

რუსთა ჯარის საქრთველოში ექსპანსიის პირველ თვეებში მწერალს ჯერ კიდევ აქვს იმედი იმისა, რომ საქართველო შეინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას. ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და თავად რუსეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკური ენებათაღელვა იძლეოდა. თუმცა მწერალი მალე დარწმუნდა, რომ რაც არ უნდა იდეები გაეტარებინა კომუნისტურ ხელისუფლებას, ადრე თუ გვიან მათ მიერ გატარებული არაეროვნულ-

პოლიტიკა ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემას უცილობლად მოშლიდა, რადგანაც "ყოველი დაპყრობა ისტორიის მანძილზე მუდამ განმანთავისუფლებელის როლში მოუხდენია დამპყრობელს"[60]. სწორედ განმანთავისუფლებელის სახელით ესტუმრნენ რუსი იმპერატორის ჯარისკაცები ბალკანეთის ნახევარკუნძულს, რათა იქ მოსახლე ერებისათვის მონობის ხუნდები დაედოთ. ნაპოლეონიც ევროპის სახელმწიფოებს მჩაგვრელთა ხელყოფისაგან ანთავისუფლებდა. შაჰ-აბაზი კი პროკლამაციებს ავრცელებდა ქართველ ხალხში "საქართველოს ხალხს მეფისაგან ვათავისუფლებო". მწერალი დასძენს: "ისტორიულად გაწვრთნილი თვალი ყოველთვის შეამჩნევს, რომ ყოველი დამპყრობელი ერი ერთგვარ იდეოლოგიურ შირმას წაუმძღვარებს თავის სამხედრო ოპერაციებს"[61]. აღა-მაჰმად-ხანიც განმანთავისუფლებელის როლში მოეშურებოდა საქართველოსაკენ. ამიტომაც ადარებს მწერალი ერთმანეთს კრწანისის ტრაგედიას და 25 თებერვლის სისხლიან ღამეს: "ორი დიდი უფრსკრული, რომელთა გაღმა იწყება ეპოქა ცრემლისა და ბორკილის ლესვისა. ერი, ტანჯვის ჩირაღდნით განათებული, საქართველო ტანჯვისა და ცრემლის ელიპსზე, ჟამთა სივრცეში გაჭანებული, სად ბრძოლის რაინდებს მიუვალ გზის ახმაურება უყვართ; სადაც სძულთ ნაძირალის სული ნაყიდი და გაყიდული"[62]

სავარაუდოა, რომ მწერალი ნაძირალად სერგო ორჯონიკიძეს მიიჩნევს, რომელმაც 30 ვერცხლად სული მიყიდა სატანას და დამპყრობლებს მეგზურად გამოუძღვა მშობელი ქვეყნის იავარსაქმნელად. პოლიტიკური ქმედებაც ამ სულით გაყიდულთა სცენარით წარიმართა, ანუ ეროვნული ფაქტორისა და ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის უარყოფის გზით, რამაც კ.გამსახურდიას სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. მწერალი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს ბოლშევიკების ანტიხალხურ, ანტიეროვნულ პოლიტიკას.

მწერალი დარწმუნდა, რომ არცერთი ორიენტაცია ქართული სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად არ ყოფილა მართებული, გარდა საკუთარ თავზე და თავისუფლების შეგრძნებაზე დაყრდნობისა, რასაც დაუფარავად აცხადებს კიდეც: "ერთად ერთი გარანტია

ჩვენი დამოუკიდებლობისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით ხელისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს. ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას"[63]. ქართველი ერის ხსნა თვით ქართველი ხალხის მაჯასა და მკლავშია.

ასეთ დროს ერი არ უნდა დაეცეს სულიერად, არ უნდა შეუშინდეს კარს მომდგარ საფრთხეს, პირიქით, ერთ მუშტად უნდა შეიკრას და ერთიანი ძალით თავისუფლების მოპოვების ჩირაღდანი ააგიზგიზოს, რამეთუ "ეროვნული თავისუფლების ერთხელ დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველ დღე ბრძოლით ხელმეორედ უნდა მოიპოვოს ერმა"[64]

1921 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების დღეს, მაშინ, როცა სულ ორი თვეა, რაც წითელმა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო, მწერლის დევიზი და ეროვნული კონცეფცია უცვლელი რჩება. მისი მოწოდებაც ჰეროიკული ტონით არის აღსავსე:

"ის არის ღირსი ცხოვრების და თავისუფლების
ყოველ-დღე ბრძოლით ვინც შეძლებს მის მოპოვებას"[65]

მწერლის აზრით დეკლარაციების დრო წავიდა. ქართველი ერის უფლებები ძალას უნდა დაემყაროს და ეს ძალა საკუთრივ ქართული უნდა იყოს. "ჩვენი არსებობის გარანტია ჩვენივე ძალ-ღონე უნდა გახდეს, თუ გვინდა "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს"[66]

თავი III. სეპარატიზმის პრობლემა კ.გამსახურდიას პუბლიცისტიკაში

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჭეშმარიტი მწერალი ვერ შექმნის მონუმენტურ მხატვრულ ტილოს, თუ მშობლიური ერის სულის წახნაგებს, მის სულიერ სამშვინველს არ წვდება სიღრმისეულად. ერის სვე-ბედი თუ საკუთარ ტკივილად არ გაუხდია. კ. გამსახურდია დოსტაქრის გულმოდგინებით კურნავდა ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და ცდილობდა დიაგნოზიც შესაფერისი დაესვა ზოგიერთი ძნელად განსაკურნებელი ეროვნული სენისათვის. ერთ-ერთ ასეთ ღია ჭრილობად მწერალს კუთხურობა ესახებოდა.

მწერალს ისეთ პერიოდში მოუწია ცხოვრება, როცა საქართველომ 117 წლიანი მონობის შემდეგ ჯერ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, შემოიერთა და ქვეყნის ერთიანობის არტახებში მოაქცია დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ შემდგომ პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად კვლავ დაჰკარგა დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

მწერალმა მტკივნეულად განიცადა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ერთიანობის ხელყოფა. ძნელბედობის ჟამს, როცა თურქი ასკერები საქართველოს შემოესივნენ, ის ქვეყნის სუვერენიტეტს მახვილით იცავს, მაგრამ შემდეგ განგებამ ინება მახვილის ნაცვლად კალამი აეღო ხელში პოლიტიკური ვნებების გამოსახატავად. კ.გამსახურდიამ თავისი მწერლური ნიჭი საგანგებოდ საქართველოს ისტორიის იმ ეპოქის აღწერას მოახმარა, როცა ქვეყნის აღმავალი ძალა გაერთიანებისაკენ იყო მიმართული. მწერლის ინტერესების სფეროში არ შედის ფეოდალური საქართველოს დაქუცმაცების ხანა, როცა იმდენადაა დაქვეითებული ეროვნული ცნობირება, რომ ქვეყნის კუთხეები მოსისხლე მტრებივით ებრძვიან ერთმანეთს და არც კი უწყიან, ერთმანეთის წეწვითა და გლეჯით ერთიანი საქართველოს სა-

ხელმწიფოებრივ ორგანიზმს რომ აყენებდნენ სასიკვდილო იარებს. ვინმეს თუ გაახსენდებოდა და სასიკეთო მოქმედებას განიზრახავდა, აქ გამოჩნდებოდა მანკიერი თვისება ქართველი კაცისა, რომელიც არჩილმა განაცხადა თავის პოემაში:

"ზნეთა სჭირთ ესე ქართველთა
დიდთა და გინდა მცირეთა
აზვავდებიან, იტყვიან —
ეჩემოდ ვინ იმღერეთა"

კ. გამსახურდია ნაღვლობს, რომ ქართული სულის მანკიერებანი სრულად ჯერაც არაა გამჟღავნებული. ერთ-ერთი ამგვარი ნაკლი მწერლის აზრით არის ის, რომ ისტორიულად ვერ მოხდა ქართველ ტომთა გაერთიანება "ყოველი კუთხის ერისთავი" ერისთავთ-ერისთავს უწოდებდა თავის თავს, ყოველი ქართველი პროვინციის მეფე თავის თავს "მეფეთ მეფეს" ეძახდა.

ქვეყნის ერთიანობის იდეა ლეიტმოტივად გასდევს შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანს". გენიალური ქართველი პოეტი ინდოეთის მეფეს ფარსადანს "მეფეთა ზედა მფლობელს" ეძახის, რომელსაც ინდოეთის შვიდი სამეფოდან ექვსი ემორჩილებოდა, მაგრამ მეშვიდე ჯერაც ინარჩუნებდა მიკრო-მეფის სტატუსს, სანამ სარიდანმა საკუთარი ნებით არ გადადგა პოლიტიკური ნაბიჯი, რომელსაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიერწყვებოდა. სარიდანი უთვლის ფარსადანს:

"შესთვალა, შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა,
აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა"

სარიდანს შემეცნებული აქვს ქვეყნის მთლიანობის აუცილებლობა, ამადაც შემოავედრა თავისი სამშობლო ფარსადანს და ნებაყოფლობით უარი თქვა ქვეყნის მართვაზე.

სარიდანის საქციელს საქართველოს ისტორიაშიც მოეძებნება ანალოგი. როცა ფარნავაზ მეფემ შემთხვევით დიდძალი განძი ნახა, ეგრისის მეფეს, ჭუჯის, აზონის წინააღმდეგ ერთიანი ლაშქრობა შესთა-

ვაზა. "ვიყვნეთ ჩვენ ძმა და ვიხმაროთ ჩვენ ხვასტაგი იგი ორთავე, გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონ ერის-თავსა, და სვემან ჩვენმან გვცეს ჩვენ ძლევა კეთილი"[1]

ეგრისის მეფემ უზომოდ გაიხარა ფარნავაზის საქციელით, ვინაიდან მან ფარნავაზში ერთიანი, ძლიერი საქართველოს მესაჭე დალანდა, ამადაც ფარნავაზის მიერ შემოთავაზებულ ძმობას - ერთიანი ძალებით ემართათ ქვეყანა, დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ, როგორც ბრძენ პოლიტიკოსს, ისიც კარგად უწყოდა, რომ ერთიან ქვეყანას ერთი მმართველი უნდა ჰყოლოდა, ამადაც მორჩილება და მფარველობა შესთავაზა სულიერ ძმას. "შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი. და უკეთუ მოგვეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი"[2].

აზონის განდევნის შემდეგ ფარნავაზი ერთიანი საქართველოს პირველი მეფე გახდა, ხოლო ჭუჯი — ერისთავი ეგრისისა.

შ. რუსთაველი ამ პრობლემას პოემაში საგანგებოდ კვლავაც ეხება. როცა სამეფო თათბირზე გადაწყდა ნესტან-დარეჯანის ხვარაზმშას შვილზე დაქორწინება, ამან ნესტან-დარეჯანის გაგულისება გამოიწვია. ქალი გაწყრა, პირველი, იმის გამო, რომ ტარიელმა მეფეს დასტური მისცა და არჩევანი მოუწონა, მაგრამ უმთავრესი, რამაც შესძრა ნესტანის სულიერი სამშვინველი იმაში მდგომარეობდა, რომ მან ამ პოლიტიკურ ნაბიჯში ინდოეთის დაშლის და დაჭუცმაცების საშიშროება შეიგრძნო. ამიტომაც მიახლის ჯერაც დაბნეულ ტარიელს, როგორც მოღალატეს და ინდოეთის გამხლეჩელს:

"ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!"

ე.ი. თუ ინდოეთის დაყოფას, განსხეულებას ეცდებიო, შენი სული ხორცს განშორდესო.

როცა ტარიელს მიეცა საშუალება თავის მართლებისა, ნესტანის შელახული თავმოყვარეობა ნაწილობრივ აღსდგა, რადგანაც შეიტყო, რომ სიყვარულის ფიცი მართლაც არ გაუტეხია მის მიჯნურს,

მაგრამ ინდოეთის დაჭუცმაცების საშიშროება კვლავაც დღის წესრიგშია, ვინაიდან:

"თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!"

ფარსადანისა და ტარიელის მოსალოდნელმა კონფლიქტმა შეიძლება ინდოეთი შინაურ ინვაზიებში გაახვიოს. ამიტომაც ნესტანმა ტარიელს სიძის მიპარვით მოკვლა უბრძანა, თან დაავალა:

"ჰკადრე თუ: "სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა."

ამ მაგალითების მოტანითაც ნათელია, რომ ქართული საისტორიო მწერლობა და პოეზია საგანგებოდ ამუშავებდნენ საქართველოს ერთიანობის იდეას, ვინაიდან ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი ხედავდა, რომ ქვეყნის სიმტკიცე მის ერთიანობაში იყო. მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი პროგრესულად მოაზროვნენი ცოტანი იყვნენ ჩვენი ერის ისტორიაში. განკერძოება, განაპირება, ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლებისადმი უნდობლობა და დაუმორჩილებლობა უფრო ჭარბობდა ჩვენი ისტორიის სინამდვილეში და ყოველივე ეს აჩქარებდა სახელმწიფო სტრუქტურების მოშლას, რაც თავის მხრივ აფერხებდა ერის ერთ ფსიქიურ და ეროვნულ ერთეულად ჩამოყალიბებას. ერის დაცემის ეს პროცესი კარგად შეამჩნია თეიმურაზ ხევისთავმა (მ.ჯავახიშვილი. "ჯაყოს ხიზნები), რომელიც თავად იყო მსხვერპლი ერთიანი საქარველოს დანაწევრებისა.

"ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია! ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიკური და ეროვნული ერთეული არ არსებობს...

საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთიმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირიანებივით გავურბოდით და ისე ვერიდებო-

დით თითქოს სხვადასხვა ტომის და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო, ერთი რომ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მოღრეცილი, მეორე დასავლეთისაკენ იხედებოდა და მესამე კი ან სამხრეთისაკენ ჰქონდა მობრუნებული ან ჩრდილოეთისაკენ, ეროვნული ნებისყოფა და ენერგიაც ასე დაგვეფანტა"[3]

კ. გამსახურდია კარგად იყო ჩახედული საქართველოს ისტორიაში და ისიც თავისი დიდი წინამორბედების მსგავსად სახელმწიფოს იავარქმნის წინაპირობად, კუთხურობას, აულაგმავ პარტიკულარიზმს მიიჩნევს. საქართველოს ცენტრალიზაციას განაპირების მოსურნე ფეოდალები აფერხებდნენ სწორედ. ამიტომაც მწერალი მათ კონდოტიერებს უწოდებს, უსამშობლო და უპრინციპო მხედართმთავრებად მოიხსენიებს, რომელთაც მამულის სიყვარული როდი ამოძრავებდათ, არამედ ოქრო და თავმოყვარეობა. მათმა სულწასულობამ და სიხარბემ საქართველოს სახელმწიფო იდეალები შეიწირა. ფეოდალთა და მეფეთა ატეხილ ომებში მწერალი მეფეთა გამარჯვების მომხრეა. ამიტომაც არ წყალობს ის გიორგი სააკაძეს, პირადი განდიდების მანიით შეპყრობილ ფეოდალს, რომლის პოლიტიკურმა ამბიციებმა და უკეთურმა ზრახვებმა ბაზალეთის ომი გამოიწვია. ამ ძმათა შორის ატეხილ ბრძოლაში მწერალი თეიმურაზის გამარჯვების მოსურნეა. ვინაიდან "საქართველოს თვით უნიათო მეფეებიც ყოველ საუკუნეში უფრო მართებულ საქმეს ჰკეთებდნენ, ვიდრე უმკვიანესი და გაიძვერა, მსტოვარი ფეოდალები"[4]

მწერლის აზრით "სახელმწიფოებრივი ნებისყოფა საქართველოსი, რომელიც ტფილისიდან გამოდიოდა და უნდა გამოდიოდეს, თავისი პერიფერიებისაკენ მსვლელობის გზაზე პროგრესულად როდი უნდა სუსტდებოდეს, არამედ პროგრესულად უნდა ძლიერდებოდეს.

საქართველო წარსულში სწორედ იმ გარემოებამ დალუპა, რომ ცენტრიდან აღმომავალმა ძალამ, საქართველოს გაერთიანებისაკენ მიქცეულმა ნებისყოფამ სავსებით ვერ მოსპო ქართული ტომების პარ-

ტიკულარიზმი. ამ ტომობრივ პარტიკულარიზმის ტენდენციის მატარებელი იყო ფეოდალურ საქართველოში ციხე-სიმაგრეში შეხიზნული მტაცებელი კუთხის ფეოდალი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკას კი არ ემყარებოდა, არამედ თემშარის მძარცველის ინსტიქტებს"[5]

მწერალი წუხს იმის გამოც, რომ წარსულის გაკვეთილებმა გამოცდილება ვერ შეგვძინა და დემოკრატიული საქართველოს დროს სამი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ ვერ გაატარა ცენტრალიზაციის პოლიტიკა ყველა ტომში. მწერალს მხედველობაში აქვს ქართული პოლიტიკური კურსი, მიმართული ზოგიერთი კუთხისადმი, როცა თბილისი იძულებული იყო ავტონომიური უფლებები მიენიჭებინა ზოგიერთი კუთხისათვის. 1919 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია. ამ სამუსლიმანო მხარეში გაერთიანებული იყო აჭარა, ძველი მესხეთი არდაგანას სამხრეთის ნაწილის გამოკლებით. "ავტონომიის გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით ერთგვარად საფუძველი ეცლებოდა იმ დემაგოგიურ ქადაგებას, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ"[6], მაგრამ მას გააჩნდა სხვა უარყოფითი ნიშნები. კერძოდ ის, რომ სხვა კუთხეებსაც გაუჩნდა ანალოგიური სწრაფვა შეუზღუდველი უფლებების გაფართოებისა. მწერალს აშინებს ის გარემოება, რომ ეს ტენდენცია ავტონომიურობისაკენ სწრაფვისა გადამდები არ გახდეს სხვა კუთხეებისთვისაც, მათთაც ხომ შეიძლება გაუჩნდეთ ანალოგიური მისწრაფებანი. მწერალი არ მალავს თავის უკმაყოფილებას ამ ფაქტთან დაკავშირებით, "როდესაც გამოცხადდა აჭარისტანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ერთ-ერთ გაზეთში მე სასტიკად გავილაშქრე ამის წინააღმდეგ, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, არ მომწონს სახელი, ეს რაღაც "სტანი", და მეორეც, მგონია, რომ თუ აჭარისტანი დამოუკიდებლად გამოცხადდა, მაშინ ოსმალები ჩხიკინს დაიწყებენ. გარდა ამისა, ერთმა კუთხემაც წამოყო თავი და თქვა მეც მომეცით დამოუკიდებლობა"[7]. თუ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების პერი-

ოდში სამუსლიმანო ავტონომიის გამოცხადებას ჰქონდა დადებითი შტრიხები, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მწერლის აზრით აჭარის ავტონომიურობას არავითარი იურიდიული გამართლება არ შერჩა. მისი აზრით ამგვარი განკერძოებისაკენ სწრაფვა უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. ამიტომაც არ გაჰკვირვებია მწერალს აჭარისტანის ავტონომიის გამოცხადების შემდეგ რუსი მწერლის მიერ გამოგზავნილი ლექსიკონის გადაკითხვა, სადაც ეწერა "ადჟარსკაია ლიტერატურა, ადჟარსკიი იაზიკ". მწერალმა კარგად უწყის, რომ ლექსიკონის შემდგენელს ეს შეცდომა შეუგნებლად, უნებლიედ არ მოსვლია.

უპირველეს ყოვლისა, მწერალი გაღიზიანებულია მემორანდუმის ტონით და ამ ტონში უცხო სახელმწიფო უფრო შეიგრძნობა, ვიდრე რომელიმე ერთი კუთხის მოკრძალებული პრეტენზიები.

ამ ტონში იგულისხმება ის ფაქტი, რომ აჭარა "შეჯლისით თანახმაა შევიდეს ს.ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში". ასეთი მიმართვა ყოვლად მიუღებელია მწერლისათვის, ვინაიდან ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით აჭარა საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და რომელ "შესვლაზეა" საუბარი. მწერალი აღშფოთებას არ მალავს იმის გამოც, რომ მემორანდუმში არაფერი არ წერია ქართული ენის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

კ. გამსახურდიამ კარგად უწყის, რომ აჭარის ავტონომისტების პარტიკულარისტული ტენდენცია რელიგიოზურ მომენტს ეყრდნობა, მაგრამ რელიგიური ნიშანი ამ შემთხვევაში უარყოფილი უნდა იყოს. ვინაიდან რელიგიურ პრინციპზე აგებული სახელმწიფოები დაინგრნენ და დაიშალნენ (თუნდაც ოსმალეთი, რომელსაც მაჰმადიანური არაბეთი და ეგვიპტე ჩამოშორდნენ). თუ რელიგიას გავუწიეთ ანგარიში, მაშინ საქართველოსაგან ავტონომიურად გამოყოფის უფლება კათოლიკე ქართველებსაც უნდა მიეცეთ!

მწერალი კარგად ხედავს, რომ რელიგიას ამ შემთხვევაში სარჩულის, ნიღბის როლი მიეწერება. "ჩამოაცილეთ მას რელიგიური მომენტი, აჭარის მეჯლისის და საერთოდ აჭარის ავტონომისტების მოთ-

ხოვნილებას და თქვენ ხელში შეგრჩებათ კუთხობრივი პარტიკულარიზმი საქართველოს რომელიმე პროვინციისა"[8] — დასძენს მწერალი.

ამ არგუმენტს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მემორანდუმში მოთხოვნილია ახალციხის მაზრის შეერთება ბათუმის ოლქისათვის, რაც კიდევ ააშკარავებს მათ ციდამტკაველურ ზრახვებს.

კ. გამსახურდია არ უარყოფს რომ საქართველოს მართვა-გამგეობაში ყოველი ტომი თანასწორად იქნეს უფლებრივად წარმოდგენილი, მაგრამ თანამშრომლობის და მოვალეობის პრინციპი თითოეულ ტომისათვის ერთნაირი უნდა იყოს, ფავორიტმი არც ერთ კუთხეს არ უნდა გააჩნდეს, ვინაიდან ზედმეტი პრივილეგიები შვიდკეცად მავნეა ნებისმიერი კუთხისათვის.

"ახალმა საქართველომ უსათუოდ უნდა უარყოს ყოველივე პარტიკულარიზმი, მიუხედავად იმისა ბეგების თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა წარმოშობს იმას, თუ რომელიმე კუთხის "განსაკუთრებული" მდგომარეობა. ჩვენი იდეალია მთლიანი და ძლიერი საქართველო და არა ფეოდალურ საქართველოს კვალობაზე დაქუცმაცებული ქვეყანა"[9]. მწერალი გამოთქვამს იმედს, რომ ვერავითარი ხელოვნური საზღვრები ვერ დააშორებს აჭარასა და საქართველოს ერთმანეთისაგან. ეს სცადეს ინგლისელმა იმპერიალისტებმაც, ეს სცადეს ოსმალებმაც, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ვინაიდან მწერლის ღრმა რწმენით "ჩვენ მუდამ გადავალაჯებთ ისეთ ხელოვნურ საზღვრებს, რომლის გადალმა ჩვენი სისხლისა და ხორცის თანაზიარნი გვეგულებიან".საქართველოს გასაბჭოებისთანავე კ.გამსახურდია გამოთქვამს რწმენას იმის თაობაზე, რომ კომუნისტი რუსები ავტონომიების არსებობის საკითხს საქართველოში სადავოს არ გახდიან და ისინი ცარისტული რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის გატარებაზე გადაჭრით უარს იტყვიან: "ჩვენ ამჟამად, — აცხადებს კ.გამსახურდია — კომუნისტურ რუსეთთან გვაქვს საქმე და ნუთუ თვით რუსის კომუნისტები უხერხულად არ იგრძნობენ თავს, რომ ჩვენ მათთან ისეთივე ვაჭრობა გავმართოთ კულტურულ, ტერიტორიალურ

და სხვა ჯურის "ავტონომიებზე", რომელზედაც ასე ცინიკურად გვევაჭრებოდნენ მალიუკოვები და კერენსკები"[10]. მაგრამ არ გამართლდა მწერლის პროგნოზი. კომუნისტური რუსეთის ლაშქრის საქართველოში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკებიც თავიანთი წინაპრების მსგავსად ცდილობდნენ ავტონომიების შექმნით მტკიცე დასაყრდენი მოეპოვებინათ ანექსირებულ რესპუბლიკაში, რადგანაც კარგად უწყოდათ, რომ ავტონომია ნელადმოქმედი ნაღმია და რომლის აფეთქება საჭიროების ჟამს საკვანძო შესაძლებელ და რეალურ მოვლენას წარმოადგენდა.

მწერალი ასევე წინააღმდეგი იყო საქართველოში აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნების შექმნისა. ამას ადასტურებს "ცაკის" თავმჯდომარის, ფილიპე მახარაძის გამოსვლა მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე 1926 წლის 25 თებერვალს, სადაც მან მწერლებს მოუწოდა გულწრფელად ეთქვათ თუ რა არ მოსწონდათ მთავრობის პოლიტიკაში. კ.გამსახურდიამ ორასი უპარტიო მწერლის სახელით პირში მიახალა სიმართლე ერისა და სულის გამყიდველს: "რაკი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულის ტკივილის გაგება, უნდა მოგახსენოთ, მე მაინც და მაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა, მთლიანად ქართული რეგიონი გალისა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრელ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან"[11]

საერთოდ ქართული ინტელიგენცია წინააღმდეგი იყო ავტონომიებისა. თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო ავტონომიების შექმნა, უნდა შექმნილიყო არა ეროვნული ავტონომია, არამედ ტერიტორიული ავტონომია სოხუმის ოლქისა, აჭარის ოლქისა.

"დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სახელმწიფოს მესვეურთაგან ავტონომიური აფხაზეთის კომისარიატის შექმნა. იმ ოლქს, სადაც 70% წმინდა წყლის ქართველებია. აფხაზეთის ავტონომია დავარქვით და ამით კვერი დავუკარით იმ გარემოებას, რაზედაც მთე-

ლი ქართველობა დღეს ასე გამწარებულია... აფხაზეთის ავტონომიის გამოცხადებით ჩვენ ფორმალურად ვაღიარეთ აფხაზთა სუვერენობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ე.ი. მცხოვრებთა მცირერიცხოვანი ერისა მრავალრიცხოვან ქართველობაზე. ამ განაპირა მხარეში მოსახლეთა 27%-ს მივეცით ფორმალური სანქცია 70% ქართველობისათვის დაეწერა "აფხაზური" სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კანონები.

სულ ერთი წელია, რაც საბჭოთა ხელისუფლება დაფუძნდა საქართველოში და უკვე მის ისტორიულ მიწა-წყალზე აფხაზეთში ქართველობა უკიდურესად მძიმე დღეშია". წერდა გაზეთი "ტრიბუნა"

მწერალიც იზიარებს გაზეთში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ "აფხაზეთში დიდი უმრავლესობა ქართველობაა" და მათი ბედის გადაწყვეტა ასე ხელაღებით არ შეიძლება. ამას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. თუმცა მწერალი გამოთქვამს იმედს, რომ ხელოვნურად გავლებული საზღვრები აუცილებლად მოიშლება, რამეთუ ეს ისტორიულ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. მწერალი ერთგან წერს: "რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს დამოუკიდებელ აფხაზეთთან... ამ საზღვრების გავლებას ბევრს ეცადნენ ნიკოლოზ პირველის რუსიფიკატორები, ხან ანბანები მოუგონეს აფხაზებს, ხან ჩერნომორის გუბერნიებს მიაწერეს სოხუმის ოლქი, მაგრამ აფხაზები 2000 წელზე მეტს ეწეოდნენ ჩვენთან საერთო ისტორიულ ჭაპანს და არ ჩამოგვცილდებიან და ვერც ჩამოგვცილდებიან"[12]. თუმცა მოსალოდნელ საფრთხეს მწერალი კარგად ხედავს. ამას მოწმობს 1926 წლის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, სადაც მწერალი ამათრახებს გააფხაზებულ მეგრელებს, რომლებიც აფხაზეთის სახელით ლაპარაკობენ, თანაც რუსულ ენაზე. მწერალი არ მალავს აღშფოთებას ამ ფაქტთან დაკავშირებით: "აქ გამობრძანდნენ ამხანაგები აფხაზეთიდან. მე უნდა მოგახსენოთ, რომ დიდედიდან აფხაზის სისხლი მაქვს, მიყვარს აფხაზები და გმირებიც მყავს აფხაზები, მაგრამ ამის გარდა ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზი, ჩერქეზი, ოსი ჩვენი მკვიდრი ძმები არიან და ჩვენ ერთმანეთის ინტე-

რესები უნდა დავიცვათ. მაგრამ აქ გამოვიდა ორი ახალგაზრდა კაცი. პირველი — გრიგოლია, მეგრელი, მეორე ჭკადუა, ჩემი მეზობელი, ესეც მეგრელი და რუსულად გველაპარაკება აფხაზეთის სახელით. რაშია საქმე, აფხაზები არიან ესენი, თუ ვინ არიან?"[13].

მწერალს არ მოსწონს ის მენტორული, დამრიგებლური ტონი, რომლითაც ქართულ საზოგადოებას მიმართავდნენ ეს გადაგვარებული ქართველები. "აფხაზეთში უგუნური პოლიტიკა აწარმოეს მენშევიკებმა, და ამ მიმართულებით ჩვენ არ ვამტყუნებთ აფხაზებს მაგრამ აქ ისინი ერთგვარი დამრიგებლური ტონით გამოვიდნენ და ეს არ მომწონს"[14].

კ. გამსახურდია 20-იან წლებში ჰანეთის შემოერთებას ქადაგებს. იმ კუთხისა, რომელიც სეპარატიზმის შედეგად ჩამოშორდა საქართველოს. როცა 1917 წელს ამიერკავკასიის ქვეყნებს განაგებს კავკასიის დროებითი კომისარიატი, ცალკე საქართველოს ეროვნული საბჭო მართავს. მწერალი მოითხოვს ეროვნული საბჭოსაგან კავკასიის ტერიტორიის ეროვნულად გამიჯვნას და ზავის საკითხს. ორივე საკითხი ერთ ფოკუსში იყრის თავს: საქართველომ არ უნდა დაკარგოს ის, რაც მის საკუთრებას შეადგენდა საუკუნეების მანძილზე. ოსმალეთთან შეკრულ მომავალ საზავო კონტექსტში არ უნდა დაიჩრდილოს ქართველი ერის ღირსება და მისი რეალური ინტერესები. მწერლის აზრით, წავიდა ის დრო, როცა ეროვნებათა ბედ-ღბალს ერთი მუჭა დიპლომატები წყვეტდნენ. თუ ძველად თავისუფლება რომაელებისათვის და ბერძნებისათვის რჩეულთა ხვედრი იყო; დღეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი აძლევს საშუალებას ყველა ერს თავად იყოს თავის თავის გამგებელი. საუკუნის დევიზი: ყველა თავისუფალი უნდა იქნეს - რეალურად უნდა განხორციელდეს.

მწერლის აზრით, "სწორედ ეს პრინციპი უნდა იქმნას ლაიტმოტივად მომავალ ქართულ სახელმწიფოისა და ჩვენი დამოკიდებლობაც მეზობელ ერებისადმი ამ პრინციპის ლარსა და ხაზს არ უნდა გადასცდეს"[15]

უპირველეს ყოვლისა, მწერალს ლაზისტანის ბედი აღელვებს. ისტორიულად ლაზისტანი ქართველ ტომებით დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა. აქ ცხოვრობდნენ ხალიბები, ტიბარები, მოსსინიკები, რომლებიც ლაზურ-ჭანურად ლაპარაკობდნენ. ლაზები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ ბიზანტიელებისა და სპარსელების წინააღმდეგ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. 523 წელს ლაზთა მეფე წათე ბიზანტიას გაამგზავრა და იქ კეისარმა იუსტინემ ის მისივე თხოვნით ქრისტიანად მონათლა. მართალია, ლაზიკაში ქრისტიანობა მანამდეც იყო გავრცელებული, მაგრამ წათეს გაქრისტიანებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და "ლაზიკაშიც ამიერიდან ქრისტიანობა, ვითარცა სახელმწიფო სარწმუნოება, საბოლოოდ განმტკიცებულ იქნებოდა"[16]

1204 წელს, ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ბიზანტიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და დალაშქრა შავი ზღვის სამხრეთ ტერიტორიები. დაპყრობილ ტერიტორიაზე შეიქმნა ტრაპიზონის სამეფო, რომლის ხელმძღვანელად დასვეს თამარ მეფის ნათესავი დედის მხრიდან ალექსი კომნენოსი.

ტრაპიზონის სამეფოს შექმნა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. "ტრაპიზონის იმპერია, ერთის მხრივ, უპირისპირდებოდა კონსტანტინეპოლის ლათინთა იმპერიას, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს უშუალოდ გამეზობლებულ მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს"[17]

მაგრამ ჩვენდა სავაგლახოდ ტრაპიზონის საკეისროს საქართველოსათვის დახმარების ხელი არც უკიდურესად გაჭირვების ჟამს გაეწვდენია. მაშინ, როცა ჯალალ-ედინი და მონღოლთა ურდოები ქვეყანას აოხრებდნენ, ტრაპიზონის საკეისროში, იქ არსებული ბერძნული ხელისუფლება ჩაურევლობის პოლიტიკას მიმართავდა. ტრაპიზონის საკეისროში სახელმწიფო სადაოები ლაზებისათვის რომ გადაეცა საქართველოს ხელისუფლებას, უფრო უპრიანი იქნებოდა, ვინაიდან საქართველოს სისხლითა და ხორცით თანაზიარი მოსაზღვრე

სახელმწიფო უფრო გაუწევდა თანადგომას, ვინემ ფიცის გამტეხი ბერძენი იმპერატორები. მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა თამარ მეფის დროს მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლის პოლიტიკური ხაზისაგან, რასაც აღნიშნავს კიდეც თამარის ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოძღვარი. მისი სიტყვით წინააღმდეგ დავითისა, თამარი "არ იღყწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თვისი მამული ძველი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა... ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა"[18]

ე.ი. ბასილ ეზოთმოძღვარის აზრით, დავით აღმაშენებელი იერთებდა სხვათა სახელმწიფოთა სამფლობელოებს, რასაც არ სჩადის თამარი, რომელიც პირიქით, დაგლახაკავებულ მეფეებს კარნუქალაქისა და ტრაპიზონის სახელმწიფოების მეფეებად ამწესებს, ე.ი. თამარი დავითის მსგავსად, გამონაკლისის გარდა, უშუალოდ არ იერთებს დაპყრობილ ტერიტორიებს, არამედ ამ ქვეყნებს ყმადნაფიცობის პირობით იმორჩილებს.

თამარ მეფის ამგვარი პოლიტიკა გამოწვეულია უწინარეს ყოვლისა დიდგვაროვანთა აღზევებით. "სამეფო ხელისუფლებას ურჩევნია დაპყრობილი ქვეყანა ყმადნაფიცობის თუ მოხარკეობის საფუძველზე დაუტოვოს თავის ძველ გამგებელს და ყოველწლიურად ხარკი და სხვა ვალდებულება დააკისროს, ვიდრე განდიდებულ დიდგვარიანს გადასცეს ახლად დაპყრობილი ტერიტორია, ამით უფრო განადიდოს იგი და საბოლოო ანგარიშში, თავისი ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედროს"[19]

მართალია, ასეთი საფრთხე არსებობდა, მაგრამ ტრაპიზონის სამეფოსაგან ნაკლებად მოსალოდნელი, ვინაიდან აქ მოსახლეობის მეტ ნაწილს ქართველი ტომები შეადგენდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამგვარმა ყმადნაფიცობის პოლიტიკამ საბოლოოდ სავალალო შედეგი გამოიღო. საქართველო დაპყრობილ იქნა მონღოლების მიერ, ხოლო ტრაპიზონის საკეისროს ოსმალებმა მოუღეს ბოლო 1461 წელს

და ლაზისტანი თურქეთის ტრაპიზონის ვალაიეთად გამოაცხადეს. საგულისხმოა ის ფაქტორიც, რომ ტრაპეზუნდის იმპერიაში სახელმწიფო მართვის სადავეები მნიშვნელოვნად ეპყრათ ხელთ იქ არსებულ ქართულ პარტიას, რომელიც საკუთარი ძალების ამარა განსაცვიფრებელ მამაცურ წინააღმდეგობას უწევდა მოჰამედ მეორის აურაცხელ ჯარებსა და დრომადურებს. მაგრამ უმთავრეს, საკვანძო საკითხებში ქართული პარტიის შეხედულებებს ბერძნები არ იზიარებდნენ, რამაც გამოიწვია საკეისროს დალუპვა. სახელგანთქმული რუსი ბიზანტიოლოგი უსპენსკი მიუთითებს: "ქართული პარტიისათვის რომ დაეჯერებინათ ბერძნებს, ტრაპეზუნდის იმპერიას კიდევ დიდხანს ვერ დაამხობდნენ ოსმალები"[20]

ტრაპეზუნდის იმპერიის განადგურების შემდეგაც ლაზი მთავრები შეძლებისდაგვარად ინარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას. ამას ისინი ახერხებდნენ XIX ს-ის შუა წლებამდე, თუმცა ევალებოდათ ომის შემთხვევაში გამოეყვანათ ლაშქარი ოსმალეთის დასახმარებლად, მაგრამ ლაზთა რაზმები თურქული ჯარისაგან ყოველთვის განცალკავებით იდგნენ და მასთან არასოდეს ჰქონდათ ურთიერთობა.

1894 წელს ოსმალეთის მთავრობამ ლაზეთში ჩაატარა ექსპედიცია, რის შედეგადაც ლაზები გადაასახლეს ბალკანეთსა და დასავლეთ ანატოლიაში. ლაზები, ჭანები ამის შემდეგ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ შემდგომ წლებშიც გრძნობდნენ თავს დამოუკიდებელ ძალად და არაიშვიათად მტრობდნენ თურქებს.

ქემალისტური რევოლუციისა და თურქეთის ნაციონალურ ბურჟუაზიის სახელმწიფოს სათავეში მიქცევის შემდეგ თურქეთში დადგა ნაციონალურ უმცირესობის საკითხიც. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 1920 წ. მიიღო დადგენილება: "თურქეთის სომხეთს, ქურთისტანს, ლაზისტანს, ბათუმის ოლქს, აღმოსავლეთ თრაკიას, მიეცეთ შესაძლებლობა ძირითადად გამოთქვან აზრი საკუთარ ბედზე"[21]. ათათურქის ამ გამოსვლებს წინ უსწრებდა ქართველ პოლიტიკოსთა აქტიური ბრძოლა დიპლომატიურ ასპარეზზე ლაზეთის ბედზე.

1919 წლის ივლისში ნ. ჩხეიძის დელეგაციამ პარიზის საზავო კონფერენციის სამდივნოს გადასცა მემორანდუმი, რომლის მიხედვით საქართველო ოლთისის, არდაგანის, ყარსის და სხვა სადავო ტერიტორიებთან ერთად ტრაპიზონის ვალაიეთის, ლაზისტანის შემოერთებას მოითხოვს". საბუთად მოჰყავდათ ის ფაქტი, რომ ეს ტერიტორია უეჭველად ქართულია ისტორიულად და მოსახლეობითაც. მაგრამ თურქეთის მთავრობამ არ შეასრულა დანაპირები. ქემალ ათა თურქმა მეჯლისში ასეთი სიტყვები წარმოთქვა: "აქ მყოფი დარბაისლები, თურქეთის დიდი ეროვნული საკრებულოს წარმომადგენლები, არიან არა მხოლოდ თურქები, ქურთები და ლაზები, არამედ ისინი არსებითად ყველა მუსლიმია"[22]

თურქეთის დიპლომატები რელიგიური ნიშნით ცდილობდნენ თურქეთის ერთიანობის შენარჩუნებას.

1919 წელს ქემალ ფაშამ სივაში მოიწვია ეროვნული ყრილობა, რომლის საფუძველზე იმავე წელს ერზერუმის კონგრესმა მიიღო დეკლარაცია ლაზისტანის თურქეთის განუყოფელ ნაწილად გამოცხადების შესახებ, რასაც არ დაეთანხმა ანტანტის სახლმწიფოთა უმაღლესი საბჭო, რომელთა დევიზის მიხედვით ყველას უნდა მიეცეს ზღვაზე გასავლელი, მათ შორის სომხებსაც, რომელთაც აქტიურად ეჭირათ თვალი ლაზისტანზე. ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიხედვით, ლაზისტანი, როგორც ავტონომიური ერთეული, სომხეთის სუვერენობის ქვეშ აღმოჩნდა. ამას მოჰყვა ბერძნების აქტიური საბრძოლო შემოტევები, რის შედეგადაც სულთანის მთავრობა იძულებული იყო სივრის ხელშეკრულების მიხედვით ტრაპიზონის ვალაიეთი სომხეთისათვის გადაეცა, რასაც არ დაეთანხმა ქემალ ფაშა და მოსკოვის დახმარებით ებრძვის ანტანტის სახელმწიფოებს.

სწორედ ამ დროს აღიმაღლა ხმა კ. გამსახურდიამ, რათა არ შელახულიყო ლაზისტანის ინტერესები. მწერლის აზრით "ეროვნულმა საბჭომ უნდა მოითხოვოს, რომ ვიდრემდის ლაზისტანის ბედი გადაწყდებოდეს, ანგარიში გაუწიონ თვით ჭანების რეალურ ინტერესსა და

მათ სურვილს, რათა ჭანეთი მეორე ალზას ლორენი არ გახდეს კავკასიაში"[23].

ასე რომ, მწერალი ამ დროს აქტიურად ქადაგებს ჭანეთის შემოერთებას, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ, მოგვიანებით კი, 1923 წელს თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებამ, ლაზისტანი თურქეთს ერთიან არტახებში მოაქცია. მოგვიანებით მწერალი სევდით იხსენებს ჭანეთს: "პოლიტიკურად მე მაშინ საქართველოს ისტორიული საზღვრებისაკენ მეჭირა თვალი, ჭანეთის შემოერთება ვიქადაგე 1917 წელს, დიდი საქართველოს ოცნებას აყოლილმა"[24].

მწერალი შეურიგდა მწარე სინამდვილეს, საქართველომ ვერ შემოიერთა თავისი ძირძველი ტერიტორია. მოგვიანებით მწერალმა ზოგიერთი რომანის პროტაგონტები (არსაკიძე, სავარსამიძე) ლაზებად გამოიყვანა. ამით ის სულიერად კვლავაც ეხმიანება ტერიტორიულად ახლობელ, მაგრამ მაინც ასე შორეულ ლაზეთს..

კუთხურობის, განკერძოებისაკენ ლტოლვის შედეგად დაკარგული ლაზეთის მაგალითზე კ.გამსახურდია უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ნებსით თუ უნებლიედ საქართველოს ერთიანი სხეულის დანაწევრებასა და დაქუცმაცებას მიელტვოდა. ამგვარ სეპარატისტთა რიცხვს ეკუთვნოდა ისაკ ჟვანია, რომელიც 20-30-იან წლებში ზუგდიდის სამაზრო პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ისაკ ჟვანიასა და მისი დამქაშების სეპარატისტულ ქმედების შედეგად აგორდა "სამეგრელოს საკითხი", რასაც ლამის სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნა მოჰყვა.

ისაკ ჟვანიას აზრით სამეგრელო ისეთივე ეროვნული ერთეულია, როგორც ოსეთი, აფხაზეთი. მეგრელი კაცი თავისი თვისებებით, კულტურით განსხვავდება ქართველისაგან. მეგრელებს აქვს მშობლიური ენა, ეს კი იძლევა იმის საფუძველს, რომ შეიქმნას სამეგრელოს ავტონომია. თავის წიგნში ი. ჟვანია ერთგან წერს "რატომ არ არსებობს მეგრელი ნაცია, სამეგრელოს ხომ ყველა ის თვისება გააჩნია,

რისგანაც იქმნება ნაცია. 1.კულტურის და ყოფის ერთობა, 2.ტერიტორია, 3.ეკონომიური ერთიანობა, 4.ენა და ა.შ."[25]

ისაკ ჟვანია ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, თედო ჟორდანიას ქართველ ნაციონალისტებსა და რეაქციონერებს უწოდებს, რომლებიც არ ცნობდნენ "სამეგრელოს საკითხს" და ახდენდნენ მობილიზაციას სამეგრელოს თავადაზნაურობისა და სამღვდელოებისას სამეგრელოს ეპისკოპოსის "მეგრელ" ბესარიონ დადიანის სახით.

ისაკ ჟვანია გამოთქვამს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობა თავის თავს ქართველად თვლიდა და თუ გლეხებმაც მიბაძეს ზედა ფენას, მეგრელებს ასიმილაცია არ ასცდებათ ქართველებთანო.

საერთოდ ჟვანია ანვითარებს ეთნოგრაფიულ "თეორიას": "სამეგრელოს საკითხი ეს გლეხთა საკითხია. გლეხი მეგრელები, ისევე როგორც სხვები—აფხაზები, ოსები, ლეკები და სხვანი პატარა ეთნოგრაფიული ეროვნებანი გამოირჩევიან თავისი ყოფით და ენობრივი თვისებებით. ამიტომ მეგრელ გლეხებსაც ისევე თბილად უნდა მოვექცეთ, როგორც პატარა სხვა ხალხებს"[26]. საერთოდ ჟვანიას აქცენტი გლეხებზე ჰქონდა გადატანილი, ვინაიდან მათი ინტელექტუალური ჩამორჩენილობით ცდილობდა მტკიცე დასაყრდენი გლეხობაში გაეჩინა, ამიტომაც ის მხოლოდ გლეხების "მეგრელობაზე" ლაპარაკობს და ქვეყნის სხვა მეგრელებს ფაშისტებსა და ნაციონალისტებს უწოდებს, ან საერთოდ არა მეგრელად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე არა გლეხი "მეგრელი" ღირსი არცაა სამეგრელოს ავტონომიაში ცხოვრებისა. ამაზე ირონიულად აღნიშნავს თავის წერილში ზვიად გამსახურდია. "ჟვანიას ლოგიკით თურმე ზუგდიდში მიწის დამმუშავებელი გლეხი მეგრელია, ხოლო მედუქნე, რომელიც დახლთან დგას ან ოფიციანტი, რომელიც რესტორანში მსახურობს, აღარ არის მეგრელი"[27] მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობრივი პოზიციისა, ისაკ ჟვანიას საკმაოდ ჰყავდა მხარდამჭერი და გულშემატკივარი.

სწორედ ამ ანტიქართველთა საერთო ძალისხმევით 1925 წელს ზუგდიდის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა სამეგრელოს საკითხი.

იმავე წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, გამოიტანეს დადგენილება მეგრული ენის შემოღებისა სკოლებში, სასამართლოებში, შესაძლებლად სცნეს მეგრული გაზეთის გამოცემა. გამოსცეს კიდეც "უაზახიში გაზეთი", რომელიც 1930-35 წლებში გამოდიოდა და მთელს სამეგრელოში ვრცელდებოდა. თავდაპირველად გაზეთი ხუთ დღეში ერთხელ გამოდიოდა 16 ათასი ტირაჟით, მოგვიანებით ყოველდღიურ ორგანოდ გადაკეთდა.

გაზეთის ფურცლებზე ყოვლად უსუსური და უგემოვნო წერილები იბეჭდებოდა, მეტწილად იდეოლოგიური ხასიათისა, სადაც ასახული იყო საკოლმეურნეო ცხოვრება, სოფლებს შორის გამართული სოციალისტური შეჯიბრებები. თვალშისაცემია გაზეთში ფართოდ გავრცელებული ანტირელიგიური პროპაგანდა. გაზეთის მთავარი რედაქტორი თავად ისაკ ქვანია იყო, რომელიც გაზეთის ფურცლებიდან ასე მოძღვრავდა ხალხს: "მეგრულ ენას სამი დიალექტი აქვს, სენაკური, ზუგდიდური და სამურზაყანოს" "უაზახიში გაზეთის" მეგრულ ენას ზუგდიდი-სამურზაყანოს დიალექტი დაედო საფუძვლად, რადგანაც სწორედ ამ ორ მაზრაშია მეგრული ენა უკეთეს მდგომარეობაში. ამიტომაც ამ მაზრების გლეხებს უფრო ესაჭიროებათ მეგრულ ენაზე დაწერილი "ჩხორიათი" და "უ. ზახიში გაზეთი"[28]. მაგრამ თუ სამეგრელოს ავტონომიას მწვანე შუქი არ მიეცა, ეს იმ ბურჟუაზიულ-შოვინისტი პროფესორების (ქვანიას ტერმინია) ბრალია, რომლებმაც "ბოროტი" გავლენა მოახდინეს განათლების სახალხო კომიტეტზე და ისევ ააკრძალვინეს მეგრულად სწავლება სკოლებში.

ქვანია მთელი არსებით ილაშქრებს "შავრაზმელი მეგრელი ინტელიგენციის" წინააღმდეგ, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში თბილისში ცხოვრობდნენ და თურმე არც იცნობდნენ მეგრელ გლეხს, ვერ ხედავდნენ მის ლტოლვასა და სწრაფვას ავტონომიისადმი. ქვანიას თქმით "ეს ქართველი ფაშისტები: კოწია გამსახურდია, თედო ჟორდანია, თ. სახოკია და სხვანი, შეიკრიბნენ ქ. თბი-

ლისში, რუსთაველის თეატრში, ცკ-ს მიერ რაიმე დადგენილების გამოტანამდე, და ეს შავი თავადაზნაურული ხროვა გმობს სამეგრელოს საკითხს, როგორც საქართველოში განხეთქილების, გათიშვის შემომტანს. თბილისის მოქალაქეების წინაშე ცხადდება პოლიტიკური და მორალური ტერორი იმათ წინააღმდეგ, ვინც ბედავენ ხმის ამოღებას სამეგრელოს ავტონომიის შესახებ"[29]

ქართული ინტელიგენცია კ. გამსახურდიას თაოსნობით თანმიმდევრულად ამხელს ჟვანიას და მისთანების ანტიქართულ, ანტიეროვნულ პოლიტიკას. ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუშალოს უმეცართ, რათა გზაარეულნი სწორ შარაგზაზე გამოიყვანოს, მწერალმა კარგად უწყოდა, რომ სეპარატისტები ლამობდნენ ხობში ზღვარი დაედოთ ქართული ენისათვის და ამ გზით მეგრული ქართულისათვის დაეპირისპირებინათ. კ. გამსახურდია წერს: "მე წელს ზაფხულში შემოვიარე საქართველო, ვნახე ჟვანია, ვესაუბრე მას და უნდა მოგახსენოთ, რომ აღმშენებლობის თვალსაზრისით ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ რაც შეეხება მეგრულ ენას, აქ შეცდომებია დაშვებული. ამხ. ჟვანიას მოქმედება "ყაზახიში გაზეთის" ირგვლივ პირდაპირ კურიოზამდე მიდის. ის შეგნებულად გვერდს უვლის ქართულ ენას, მას უნდა ქართული ენის საზღვარი ხობი გახადოს. მე ჯვარში გახლდით, იქიდან ჩამოვიარე და არ შემხვედრია არც ერთი მეგრელი, რომელსაც ჩემი ქართული არ გაეგოს"[30]. მწერალმა ამხილა სეპარატისტთა უმწეო ქმედება და მათი საქმიანობა შერაცხა როგორც ეროვნული ღირსების ფეხქვეშ გათელვა. ამით აღშფოთებული ჟვანია გულმოსული ჩივის "ზემოთ ჩამოთვლილი ფაშისტები იქამდე მივიდნენ, რომ მშრომელი მეგრელები, რომელთაც მოისურვეს მშობლიურ ენაზე სკოლა, გაზეთი, სასამართლო და საქმის წარმოება სოფლის საბჭოებში გამოაცხადეს რეაქციონერებად და პარტიის წევრი გლეხები, რომელნიც ემხრობოდნენ ამ საკითხს, გაარიცხვინეს პარტიიდან"[31] ძნელია დაიჯერო რომ კ. გამსახურდიას გამოსვლებით ვინმე გლეხი პარტიიდან გაერიცხათ, თუნდაც ანტიქართული ქმედების გამო. მითუმეტეს, რომ მწერალი პარტიული არ იყო და მას არც

არავინ შეეკითხებოდა პარტიიდან ვინმეს გარიცხვას. თავად მწერალი მორალური თვალსაზრისით არ იკადრებდა ამგვარ საქციელს, მაგრამ ისიც უტყუარია, რომ ამისთანა "ცხენიპარია" გლეხებს მწერალი ეროვნულ ცნობიერებას ულვივებდა და მწარედ წკეპლავდა.

კ. გამსახურდია ერთგან წერს: "წინასწარ უნდა განვაცხადო, თუმცა კომუნისტი არა ვარ, მაგრამ არც საბჭოთა საქართველო და არც სამეგრელო ქვანიებსა და კუციებზე ნაკლებად არ მიყვარს"[32].

ქვანიას და მისთანებს მრავლად ჰყავდათ თანამზრახველები კრემლში, 1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა ცკ ინსტრუქტორი პშენიცინი, რომელმაც სამეგრელოს სოფლების მოვლის შედეგად დაასკვნა "მეგრელ გლეხებს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე"[33]. ამით წახალისებულმა ცკ-ს მდივანმა კახიანმა 1929 წლის 25 მარტს მიიღო ახალი დადგენილება მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლო საქმის წარმოების, გამოძიების საქმეში.

კ.გამსახურდიამ ამხილა პშენიცინის ბოროტი განზრახვა, რომელსაც თავისი წინამორბედების მსგავსად ერთიანი საქართველოს გათიშვა სურდა. მწერალმა მას მოსკოვის იმპერიალიზმის წარმომადგენელი უწოდა, რასაც ი. ქვანია აღნიშნავს და თან სინანულით დასძენს, რომ ამ ნაციონალისტურმა შანტრაბამ "შაინც გაიმარჯვა და მეგრული გაზეთის გამოცემა აიკრძალაო"

ი. ქვანია სტალინსაც ეწვია სამეგრელოს ავტონომიური ოლქის მიცემის თხოვნით და როგორც თავად აღნიშნავს, სტალინისაგან სიტყვიერი დასტურიც მიუღია. სტალინს უთქვამს "რაც შეეხება სამეგრელოს ოლქს, მეგრელ გლეხებს სრული უფლება აქვთ იქონიონ თავიანთი ოლქი და ამ საკითხს მე მხარს დავუჭერ ცკ-ში"

ზ. გამსახურდიას აზრით, სტალინის ზემოხსენებული სიტყვები ქვანიას ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ სტალინს მის შესახებ ასეთი სიტყვებიც უთქვამს: "ამ ქვანიამ გადამკიდა სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენცია: გამსახურდია, აბაშელი, სახოკია და სხვები. მათი აზრი მე უფრო სანდოდ მიმაჩნია, ვიდრე ქვა-

ნიასი, მომაშორეთ თავიდან ეს კაცი". სტალინს ეს თხოვნა მალე შეუსრულეს. ლ. ბერიამ მალე გაანთავისუფლა ი. ჟვანია ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნობიდან, შემდეგ კი 1937 წლის წმენდაში მოაყოლა...

კ. გამსახურდიამ მშვენივრად უწყის, რომ ჟვანიას მსგავსი სეპარატისტები ყამირ ნიადაგზე არ აღმოცენებულან. მწერალი ერთგან წერს "ზშირად შეხვდებით რუსის გეოგრაფიულ საზოგადოების ბიულეტენებშიაც იმ უსაფუძვლო და ტენდენციურ დეფინიციაციას ქართველობისას, სადაც "ქართველი"—"იმერელი", "მეგრელი" და "სვანი" სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებად არიან მონათლული"[34]. მათ ჯერ XIX ს-ში ჰყავდათ სულიერი თანამზრახველები ვოსტორგოვებისა და იანოვსკების სახით. სწორედ მათი ხელშეწყობით შემოიღეს ქართულ სკოლებში XIX ს-ში მეგრული ენა, ამავე დროს ეს შავრაზმელი რუსიფიკატორები ცდილობდნენ მეგრულ-სვანური ანბანისა და სვანური წინსვლა-ლტოლვის დამკვიდრებას, თარგმნეს კიდევაც სახარება მეგრულ ენაზე. მწერალი აღნიშნავს: "რომანოვების რუსეთის ბნელი ხელიც იქითკენ გაემართა, რომ ქართულ ენისა და ეროვნების ფარგალი შეემცირებინათ და ამგვარად სამარადჟამო სიდამპლე მოეგვარათ ქართული კულტურისათვის. ამისათვის უჩიჩინებდნენ აფხაზებს, ხოლო სვანები რუსეთის გათახსირებულმა ეპისკოპოსებმა ენგურში ჩაჰყარეს და მე-7 საუკუნეში მონათლული ხალხი თავიანთი ჭკუით ხელმეორედ მონათლეს. და ყოველივე ამის რეზონდენტი ის იყო, რომ ქართველი ხალხი საქართველოში უმცირესობად გამოეცხადებინათ"[35]

ამგვარ შავრაზმელთა რიცხვს ეკუთვნოდა ვოსტორგოვი. იგი ცხრაასიან წლებში საქართველოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურე იყო ,. მან შეადგინა სასწავლო გეგმა სამეგრელოს სკოლებისათვის, რომლის მიხედვითაც ამ სკოლებიდან იდევნებოდა ქართული ენა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ვოსტორგოვი მეგრელთა სიყვარულით როდი აკეთებდა, არამედ — საქართველოს გათიშვისა და გახლეჩისათვის. ვოსტორგოვი მემკვიდრის გარეშე არ გადაგებულა.

მისი ანტიქართული იდეები ჟვანიამ და მისთანებმა აიტაცეს. კ. გამსახურდიამაც მალე შეიცნო საფრთხე კარსმომდგარი და ჟვანიას მიერ მეგრულ ენაზე გამოცემული წიგნი "ჭითა ჩხორია", შერაცხა, როგორც ანტიქართული, ქართული ენისათვის დამღუპველი მოვლენა. "ყოველივე ჰიპერბოლიის გარეშე წინამდებარე წიგნის "ჭითა ჩხორიას" გამოსვლა ვოსტორგოვის ლეშმა რომ გაიგოს სამარეში (სიხარულით) უთუოდ დატრიალდება სამგზის. ზოგიერთი ქართველი ბოჩოლო ინტელიგენტი, რომელიც ყველაფერზე "ნიჩეოს" იძახის, გულწრფელად ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ უსაქმური კალმის ვარჯიშობაა და სხვა არაფერი"[36], სინანულით დასძენს მწერალი. მწერლის აღშფოთება ბუნებრივია. "ჭითა ჩხორიას" გამოცემით ხომ მეგრულ ანბანსა და დამწერლობას ეყრებოდა საფუძველი, რასაც თავად ისაკ ჟვანია მიუთითებს: "პირადად ჩემი რედაქტორობით ამა წლის ბოლოს უნდა გამოვიდეს წიგნი "ჭითა ჩხორიას" სახელით, რითაც დასაბამი უნდა მიეცეს მეგრულ ანბანს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პირი ღებულობდა მონაწილეობას სახელმძღვანელოს შედგენაში, ვგრძნობდით, რომ აქა-იქ ტექნიკური, სტილისტური და სხვა სახის შეცდომებს ექნებოდა ადგილი. მეგრული ენა თავისი შინაგანი თვისებებით განსხვავდება ქართულისაგან. ამიტომაც ცნო ს.კ.კომპარტიამ საჭიროდ "ჭითა ჩხორიას" და "ყაზახიში გაზეთის" გამოცემა მეგრულ ენაზე"[37]

კ.გამსახურდია ამხელს და ჯვარს აცმევს სეპარატისტებს, მწერლის მითითებით ამგვარი სეპარატისტულ მოძრაობით მრავალმა ქვეყანამ განიცადა დაჭეცმაცება. მწერალმა კარგად იცის მსოფლიო ისტორია, მაგალითების მოხმობაც არ უჭირს იმ არგუმენტის დასამტკიცებლად, რომ ამგვარი ბნელი აზრების გამოვლენა სულაც არ ნიშნავს კალმით უსაქმურ ვარჯიშს. მაგალითისათვის მწერალს ჰოლანდიის ისტორიის ფურცელი მოჰყავს, რომელიც XIII-XIV საუკუნეებამდის ქვემო გერმანიის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა და სწორედ ფეოდალების წაკინკლავების წყალობით გამოეთიშა მას.

მწერალი გამოთქვამს შიშს, რომ ჭკუანაღრძობი "მაფალუისტები" რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის მსხვერპლნი შეიქმნენ. დამპყრობელთა დევიზი "დევიდე ეტ იმპერა" (გათიშე და იბატონე) ქვეცნობიერებაში მთვლემარე კუთხურობის ტენდენციებს აღვივებდა და ეროვნული ორგანიზმის მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა. მითუმეტეს, რომ ვოსტორგოვისა და პურიშკევიჩის "სახელოვანი" მემკვიდრეები სეპარატისტული ზრახვების გასავრცელებლად იგივე არგუმენტებს იშველიებდნენ, რა არგუმენტებსაც ეყრდნობოდნენ მათი რუსი თანამოძმენი, თითქოსდა მეგრელებს ქართული არ ესმით და ქართული წერა-კითხვა ჯვარში არ იციანო. ი. ჟვანია დასძენს: "აკი ჩვენ ყველას გვინდა ხუთწლიანი გეგმის შესრულებამდის საქართველოში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ დარჩეს"[38]. სრულიად საქართველოს მწერალთა 1926 წლის ყრილობაზე კ.გამსახურდიამ ფ.მახარაძის თანდასწრებით გაილაშქრა ენობრივი პარტიკულარიზმის წინააღმდეგ: "ჩვენ იმას ვერ შევხვდებით გულდამშვიდებით, რომ სამურზაყანოში მეგრელ ბავშვებს ქართულად არ ასწავლიდნენ და ამაზე ვერავის მოვერიდებით"[39]

კ. გამსახურდიას აზრით, უმეცართა არგუმენტები მეგრული დამწერლობის შემოღების აუცილებლობის შესახებ ლოგიკას არ ექვემდებარება, "ვინაიდან" ვთქვათ, ჯვარელმა ან გალელმა მეგრელმა გაზეთი "კომუნისტი" ვერ წაიკითხა, მაგრამ "ჟითა ჩხორიაც" ხომ იმავე ანბანითაა დაბეჭდილი, როგორითაც გაზეთი "კომუნისტი" სად არის ამ უებრო პეეტრების ლოგიკა"[40]

კ. გამსახურდია "ჟითა ჩხორიას" ავტორებს ბრალს სდებს იმაშიც, რომ მათ აშკარა სიძულვილი ამოძრავებთ ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართ, არსად მთელ წიგნში არაა ხსენება არც საქართველოსი და არც ქართველი ხალხისა. "მაფალუისტები" ამახინჯებენ მეგრულ სიტყვებს, ცდილობენ შემოიღონ ბარბარიზმები და ამით გაემიჯნონ ქართულ ეტიმოლოგიას. მაგრამ ყველაზე დიდი დანაშაული მათ იმაში მიუძღვით, რომ ისინი შეგნებულად აყალბებდნენ ერის ისტორიას, რითაც კუთხურ ანტიპათიების გაღვივებას ეწევიან. კ.

გამსახურდია წერს: "საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციიდან ვიცით, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს სსრ-ს ავტონომიური ოლქებია. "ჟითა ჩხორიას" გმირებს ჩვენი კონსტიტუციის რევიზია მოუხდენიათ და ასე უტიფრად წერენ "დასავლეთ საქართველოს აკრავს აჭარის და სააბხაზოს ავტონომიური რესპუბლიკები". აღმოსავლეთ საქართველოს აკრავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი"[4].

სეპარატისტები აცხადებენ რა საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებს ქვეყნის მოსაზღვრე მხარეებად, ხელოვნურად ეწევიან ერთიანი საქართველოს ორგანიზმის დაშლას, რათა მოხდეს კიდევ ერთი ავტონომიური წარმონაქმნის შექმნა სამეგრელოს ავტონომიური ოლქის სახით. მაგრამ ველიკოდერჟავული შოვინიზმის მცდელობას სამეგრელოს ავტონომიის შექმნის თაობაზე განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან უწინარეს ყოვლისა, თავად სამეგრელოს მოსახლეობა წინააღმდეგი იყო სამეგრელოს ოლქის შექმნისა, ხელოვნური საზღვრის გავლებისა და მეგრული ანბანის შემოღებისა. მეგრული გაზეთის დაბეჭდასაც ხალხი უარყოფითად შეხვდა, რასაც თავად სეპარატისტები აღიარებდნენ.

მაგრამ, გადამწყვეტი სიტყვა ყბადაღებული სამეგრელოს ავტონომიის დასამარების შესახებ სამეგრელოდან გამოსულმა ინტელიგენციამ თქვა კ. გამსახურდიას თაოსნობით. სამეგრელოს მოსახლეობისა და ინტელიგენციის ერთსულოვანმა პოზიციამ საბოლოოდ დაასამარა სეპარატისტთა ბნელი ზრახვანი და მისწრაფებანი. საქართველოს ერთიანობის კვართს ამჯერად დანაწევრება არ ეწერა. ძველი კოლხების ამაყმა მემკვიდრეებმა ქვეყნის განსხეულების მაგიერ საქართველოს ერთიანობის ფიალა გამოსცალეს და მით ძალუმად აღბეჭდეს ქართველი კაცის ცნობიერებაში ერთიანი საქართველოს უკვდავების და მარადიულობის იდეის აუცილებლობა.

თავი IV. კონსტანტინე გამსახურდია და "საერთოკავკასიური სახლის" კონცეფცია

"— როცა კავკასიის მზე ჩაესვენა, მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა.

მე ვიფიქრე, შამილს გულისხმობს და ამიტომაც რაღაც ამის შესახებ ვკითხე.

— არა ყმაწვილო, — მიპასუხა მოხუცმა, — მე შამილზე როდი მითქვამს. კავკასიის მზე საქართველო იყო. საქართველომ თავი დაიღუპა და კავკასიაც თან გაიყოლა"[1].

ასეთი ნაღვლიანი სიტყვებით გაუმჟღავნა თავისი გულისნადები უბრალო ყაბარდოელმა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრს გიორგი ლასხიშვილს. ანალოგიურ დიალოგს იხსენებს კ.გამსახურდია, რომელიც შესდგა მასსა და ერთ ჩერქეზს შორის:

"1915 წელს შემთხვევა მქონდა საზღვარგარეთ ერთი ევროპელად განათლებული ჩერქეზი გამეცნო, შამილის გვარის მახლობელი მონათესავე. ის ჩერქეზი მიმტკიცებდა, რომ საქართველოს სამეფო ბუნების დანგრევამ ერთის დაჰკვრით გადასწყვიტა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ერების ბედიღბალი"[2].

ყაბარდოელიც და ჩერქეზიც საქართველოს დაღუპვაში გულისხმობენ იმ მცდარ ორიენტაციას, რომელსაც დაადგნენ ქვეყნის მესვეურნი სახელმწიფოს გადარჩენის მიზნით, რამაც საბოლოო ჯამში ტრაგიკული როლი ითამაშა, როგორც ქართველთათვის, ასევე ჩრდილო კავკასიელთათვის.

კ.გამსახურდია განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამსჭვალული კავკასიის ხალხებისადმი. უცხოეთში თუ საქართველოში ყოფნის ჟამს მომეტებული გულისხმიერებით ეკიდებოდა კავკასიის მკვიდრთ და შეძლებისამებრ მუდამ შველოდა მათ. ასეთი მოწონება და მოკ-

რძალება მწერლისა ამ ხალხებისადმი გამოვლენილი, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება იმ ზოგადკავკასიური ერთიანობის შეგნების აუცილებლობით, რასაც შორეულ საუკუნეებში ჰქონდა ფესვები გადგმული. ამის უშუალო გამოძახილია ლეონტი მროველის მიერ X საუკუნეში შექმნილი კონცეფცია კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ერთიანი წარმომავლობის შესახებ: "ძირითადად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს"[3]

ლეონტი მროველის იდეამ საერთო კავკასიური სახლის კონცეფციის შესახებ თავისი პრაქტიკული ხორცშესხმა ჰპოვა თამარის ეპოქაში. კერძოდ, ქართველი და კავკასიელი ხალხები გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში კონფედერაციულ საწყისებზე, რაზედაც ხაზგასმით მიუთითებს თამარის ისტორიკოსი; "ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა"[4]

კავკასია მსოფლიო ცივილიზაციის მხარეთაგანია. თავისი ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით ეს ღვთაებრივი მხარე ერთნაირი დოზით იზიდავდა მტერსა და მოყვარეს. ამადაც კავკასიის მკვიდრს უხდებოდა შეუწყვეტელი თავგანწირული ბრძოლა ნაციონალური, თვითმყოფადი სახის შესანარჩუნებლად. მწერლის აზრით "ქართველ ერს მიუსაჯა ისტორიამ შრომა და ბრძოლა იმ ძნელად გასაძლის ხალხთა ხიდზე, რომელსაც კავკასია ეწოდებოდა ოდითგან"[5]

საუკუნეების მანძილზე საქართველოს კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მწერლის აზრით, "ისტორიულად საქართველომ შესძლო კავკასიაში ქართული რასის ჰეგემონია დაემყარებინა, რადგან მთელ კავკასიაში ბაგრატიონების სამეფოს უკანასკნელ დღემდის, ჩვენი ერის, ჩვენი ეკლესიის და ჩვენი კულტურის დომინაცია იყო. ვიდრემდის ქართულ რასას კულტურულ-

ცივილიზაციური უპირატესობის დაფნა ხელთ ეპყრა ამიერკავკასიაში, იგი ფენომენალურ სასწაულებს ჰქმნიდა: კავკასიის მრავალ ერთა კოლექტივში საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა და ეს პოლიტიკა, არც მეტი არც ნაკლები, იდენტური იყო კავკასიურთან"[6]

კულტურულ-ცივილიზაციის გავლენის სფერო მოიცავდა ჩრდილო კავკასიის ლეკებით, ყუმისებით, ჩეჩნებით, ინგუშებით დასახლებულ მიდამოებს, სამხრეთით — ძველი სომხეთის პროვინციებს, ჩრდილო-დასავლეთით — აფხაზეთის ტერიტორიას. კულტურულ ცივილიზაციურ ურთიერთკავშირს ზურგს უმაგრებდა ის ფაქტორიც, რომ ადრეულ საუკუნეებში საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის კულტურულ ურთიერთობათა საფუძველს ქრისტიანული რელიგია წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში გავრცელებას პოულობს ქრისტიანული სარწმუნოება. ჟამთააღმწერელი წერს: "პიმენ პალოსი წამოვიდა და დაემკვიდრა ჭუაბსა რასამე, რომელმან ნათესავნი ლეკნი წარმართობისაგან მოაქცია, რომელნი ჰგიენ სარწმუნოებას ქრისტესა"[7].

ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტეს სჯულის გავრცელება აბიბოს ნეკრესელსაც მიეწერება, 13 ასურელ მამათაგანს. მისი და სხვა მისიონერების წყალობით ქრისტიანული იდეოლოგია თანდათან იმკვიდრებს ფეხს მთიულეთში. თუმცა ეს პროპაგანდა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ეს რელიგია მთიულეთის მკვიდრთა ყველა ფენაში გავრცელებულიყო. როგორც მიუთითებს ნ.ბერძენიშვილი "ქართული ქრისტიანობა და ქართული ფეოდალური კულტურა აქ მაინც ზედაპირული იყო და თავის შიგნით უპირატესად ფეოდალურ წრეებს ითრევდა, ხოლო ძირეული მასა თავისებურად რჩებოდა და ქრისტიანობას მხოლოდ თავისებურად "წარმართულად" ითვისებდა, მაშინ, როდესაც ფეოდალური წრეები ქართველდებოდნენ"[8].

X-XII საუკუნეებში ქართულ კულტურას ჩრდილოეთ კავკასიაში დომინანტური როლი ენიჭება უკვე. ამაზე მეტყველებს მრავალი ქრის-

ტიანული სალოცავისა და ეკლესიის არსებობა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა. ამავე პერიოდში ქართული დამწერლობა ვრცელდება დაღესტანში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, რასაც ადასტურებს ამ რეგიონში მრავლად მიმოფანტული, ქართულ ენაზე შესრულებული, წარწერიანი ქვები. "ინგუშეთში აღმოჩენილ დოქებზე და თიხის ფირფიტებზე შემორჩენილია წარწერები, რომელიც შესრულებულია ქართული ასოებით ინგუშურ ენაზე, რაც ცხადყოფს ინგუშების სწრაფვას საკუთარი დამწერლობის შესაქმნელად ქართულ დამწერლობის საფუძველზე"[9]. საქართველოს ჰეგემონობა კავკასიაში მარტო კულტურაში როდი გამოიხატებოდა. ქართველი მეფეები ნებიერი პოლიტიკის წარმოებით ცდილობდნენ თავიანთი გავლენის სფეროები მთელ კავკასიაზე გაევრცელებინათ და ამ რეგიონის მკვიდრნი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ქართული სახელმწიფოს დაცვის სამსახურში ჩაეყენებინათ. ამაყი მთიელებიც ხშირად ავსებდნენ ქართულ სამხედრო რაზმებს, ვინაიდან საქართველოს გამარჯვებას ისინი სრულიად კავკასიის განთავისუფლებასთან აიგივებდნენ. კ.გამსახურდიას განცხადებით, "თვით დავითისა და თამარის დიდი სახელმწიფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაფენილი, იბრძოდა და ჰქმნიდა არა მარტო სისხლით ქართველობის, არამედ იმ არაქართული მოდგმის ხალხების თანადგომითაც, რომელნიც ქართული ენისა და ქართული კულტურის თანაზიარად თვლიდნენ თავიანთ თავს.

"უჭკვიანესი ქართველი პოლიტიკოსები და მეფეები იმის ცდაში იყვნენ კავკასიის არაქართული მოსახლეობაც დაეინტერესებინათ ქართული სახელმწიფოს დაცვის საქმითა"[10].

მთიელებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს დამხობა მათი წამოჩოქების წინაპირობა იყო, ქართველობამ კი კარგად უწყოდა, რომ საქართველოს სახელმწიფო აპარატის განმტკიცება სრულიად კავკასიის შეუვალობის გარანტიას წარმოადგენდა. მწერალი ერთგან მიუთითებს: "ჩვენ ბედმა გვარგუნა ამიერკავკასიაში გეოგრაფიული ცენტრის დაჭერა და მიუხედავად იმისა, რომ კავკასია მრავალი საუკუნის რელიგიოზურ და ეროვნული ბრძოლის არენად იყო გამხდა-

რი, თვით ამ ბრძოლის ქარტეხილშიც გამოსჭვიოდა ერთი რამ: ჩვენი გამუდმებული და შეუპოვარი ჭიდილი, ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინსტიტუტის განსამკვიდრებლად პარალელურად მთელი კავკასიის ერთა გათავისუფლების გარანტად იყო გადაქცეული"[11]

ქართველი მეფეები ამ პოლიტიკური სოლიდარობის მეოხებით იოლად უმკლავდებოდნენ გარსმოჯარულ ურიცხვ მტერს. დავით აღმაშენებელმა კი ჩრდილო კავკასიელი ხალხებისადმი გამოჩენილი ყურადღებითა და მამობრივი მზრუნველობით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა მათში. განსაკუთრებული კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა მას ოვსებთან, ჩეჩნებთან, ჩერქეზებთან. დავითმა ეს ამაყი ხალხები ისე მიიყვავილა, რომ მათი დახმარებით შესძლო მუსულმანური კოალიციის დამარცხება დიდგორზე 1121 წელს. კ.გამსახურდიამ თავის რომანშიც "დავით აღმაშენებელი" შეულამაზებლად აღწერა ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ურყევი მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა.

მოგვიანებით, მონგოლებისა და თურქ-სელჩუკების პერმანენტულმა შემოსევებმა კავკასიაში ქართულ სახელმწიფოებრიობის გავლენის ძალა შეასუსტა. მომხვდურნი სარგებლობდნენ კავკასიის მთიანეთში ქრისტეს სჯულის ზედაპირული გავრცელებით და ისლამის რელიგია მოახვიეს თავზე. ამ შორსგამიზნული პოლიტიკით მათ სურდათ ქვეყნის ზურგი წაეხდინათ და ქრისტიანული საქართველო ოთხივ მხრით მუსულმანურ ჩიხში მოექციათ. საქართველოს მესვეურნიც გრძნობდნენ კარს მომდგარ ხიფათს და მთელი არსებით მიელტვოდნენ ზურგის გამაგრებას. კ.გამსახურდიასაც შენიშნული ჰქონდა საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრების გამაგრების აუცილებლობა. მწერალი წერს "კავკასიონი იყო ჩვენი შეუვალი ბარიერი ჩრდილოსი. ამ ქედს გადაღმიდან გვიტევდნენ ხაზარები და ჰუნები, ის ხალხები, რომელთაც გოგსა და მაგოგს უწოდებენ უძველეს ანალებში. კავკასიონი ეს იყო საიმედო ციტადელი, რომელსაც ზურგს

აყრდნობდა ჩვენი ხალხი სამხრეთისა და აღმოსავლეთის ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში"[12].

ქართველთა მხრიდან გამოჩენილი ძალისხმევისდა მიუხედავად გარეშე მტრებმა დასახული მიზანი სისრულეში მოიყვანეს და უკვე თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მეტ ნაწილში ისლამი გაბატონებულ რელიგიად იქცა, რამაც ქართულ სახელმწიფოს კულტურული უპირატესობის დაფნა ხელიდან გააგდებინა: "პოლიტიკური ატმოსფეროს შემთხვევითმა ცვალებადობამ ქართველ ხალხს ხელიდან გააგდებინა ის წერაქვი კულტურის მშენებლობისა, რომლითაც იგი ბნელი საუკუნეების განმავლობაში გზას უკაფავდა სხვა კავკასიურ მოდგმათ კავკასიის მიდამოებში"[13]

კ.გამსახურდია მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების გასათიშავად განუზომელ როლს თამაშობდა ენის ფაქტორიც. არაბული, ირანული და თურქული სამყაროს მომძლავრებით ძალიან ბევრმა ენამ დაჰკარგა თავისი ნაციონალური სახე, ამ ენების გამსრესი ზეგავლენის მეოხებით წინაზიასა და კავკასიაში. მწერალი დასძენს: "მაგალითისათვის კმარა ჩვენი ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები, რომელთაც არაბულისა და თურქულის ზეგავლენის მოეხებით ვერც ალფაბეტი შექმნეს და ვერც ნაციონალური ლიტერატურა წარსულში"[14].

ჩრდილოეთ კავკასიის თემებში ისლამის გაბატონებამ ამ რეგიონში პროქართული ორიენტაცია შეასუსტა, თუმცა კულტურული ერთიერთობანი ქართველებსა და ჩრდილო კავკასიელ ხალხებს შორის ერთიანად არ მოუსპია. ამ ფაქტზე მეტყველებს გიორგი ბრწყინვალეს ზრუნვა და აქტიური ქმედება ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქრისტეს სარწმუნოების გასავრცელებლად. "ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაზე ზრუნავდნენ გიორგი ბრწყინვალე და საქართველოს სულიერი წრეები. ამ მიზნით ექვთიმე კათალიკოსმა მოიარა ეს მხარეები და არსებული ვითარება საფუძვლიანად შეისწავლა"[15] მაგრამ ეს ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა. ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალმა პოლიტიკური ვითარება კავკასიაში საქარ-

თველოსათვის არასასურველი გზით წარმართა. ჩრდილოეთელი მეზობლები საქართველოს სამტროდ მოექცნენ. ყაზიყუმუხის სამამხლოს მსგავსმა ზოგიერთმა სახელმწიფო წარმონაქმნმა საღვთო ომი — ჰაზავატი გამოუცხადა საქრისტიანოს. საქართველოს მძიმე ჟამი დაუდგა. კავკასიელი ტომების თარეში საქართველოს მიწა-წყალზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რაც მუქი ფერებით ხალხურ პოეზიაშიც აისახა:

"აღარ უხარის დედასა გაზრდილი ვაჟიშვილია
გვაწუხებს ლეკი, ჩაჩანი, ვართ მუდამ სისხლის ღვრაშია"

საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმს ყველა წეწდა და გლეჯდა, რაზედაც მოსთქვამს დავით გურამიშვილი:

"თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩეჩენ, ღლიღვი, დიდო, ქისტი
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ გაჰკრა თითო ქიშტი"

თუმცა კ.გამსახურდია იმ გაუსაძლის ეპოქაში საქართველოს დაძაბუნების მიზეზს მხოლოდ ჩრდილო კავკასიელი მეზობლების დამარბეველ ლაშქრობებში როდი ეძიებს, არამედ იმ დასნეულებული სახელმწიფო ორგანიზმის შრეებშიც, სადაც ეროვნული ენერგია ინერტულობისა და პასიურობის ჭაობში იყო მოქცეული. დავით გურამიშვილის ტრაგიკული ბედიც ანარეკლია XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილისა: "გურამიშვილი — წერს კ.გამსახურდია — განმარტოვებით სდგას გაჩანაგებულ, გავერანებულ, ფეოდალების უჭკუობის, სიბეცის წყალობით აოხრებულ საქართველოს ფონზე. ამ საქართველოში მეფეები და მინისტრები უნიჭო შაირობასა და ნადირობას იყვნენ გადაყოლილი. სულთმობრძავი მშრომელი ხალხის ნაამაგარი უჭკუო პოლიტიკისაგან გახელებულ მეზობლებს მიჰქონდა იხრწნებოდა საზოგადოება, იშლებოდა სახელმწიფო"[16]

მიუხედავად ამგვარი მძიმე პოლიტიკური ვითარებისა საქართველოს კეთილისმყოფელი ზეგავლენა მაინც ჰქონდა შენარჩუნებული კავკასიის მთიულეთში, ხოლო ქართველ მეფეთა გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ავარიის სახანოში თუ ხანთა ჩამომავლობა ამოწ-

ყდებოდა, პირობისამებრ, მის ადგილზე ქართველი დიდებული უნდა დაესვათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერთის მხრივ, ეროვნულ-კულტურულ აღორძინებამ და საგანმანათლებლო კერების შექმნამ, მეორეს მხრივ, ერეკლე მეორეს სამხედრო წარმატებებმა განაპირობა საქართველოს ავტორიტეტის კვლავ აღზევება საქართველოში. თუმცა ეს კულტურულ-პოლიტიკური წარმატებანი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანა კავკასიაში შემოჭრილ უხეშ ძალას გამკლავებოდა. ქართლ-კახეთმა თავი ვერ დააღწია ფეოდალურ ტირანიას, საგრძნობლად ჩამორჩა ევროპელ სამხედრო ცივილიზაციას და უკანასკნელი ცივილიზებული ტექნიკით აღჭურვილ რუსულ იარაღს ვერაფერი დაუპირისპირა. "ქართველებსაც სწორედ იქ ჩაგვიტყდა ხიდი, სადაც ჩვენმა ცივილიზაციამ ჩვენივე კულტურული პანთეონის მეციხოვნეობა ვერ გასწია"[17]

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ და "კავკასიაში რუსთა ბატონობის დამყარებამ სარბიელს გადააცდევინა ჩვენი ეროვნების ეტლი და ცთომილი"[18]. საქართველოს დაპყრობით მთელი კავკასიის ბედი გადაწყდა. რუსეთის ობსკურანტულმა რეჟიმმა მძიმე ლოდი დაასვა კავკასიის თავისუფლებას. ცივილიზაციისა და ქრისტიანობის საბურველით შემოსილი რომანოვების ტირანია უმოწყალოდ ჩეხდა "ცივილიზაციურად ჩამორჩენილ, მაგრამ დიდი სულიერი კულტურის მატარებელ ეთნიურ ერთეულებს"[19], რომლებმაც დიდი მსხვერპლი გაიღეს ამ ლოდის ასაღებად. თაობები შეეწირა რუსეთის მიერ გატარებულ ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ერთიანად ამოწყვეტას. „ამსახურდია ჭვარზე აკრავს ერმოლოვს, რომელმაც ათობით სოფელი ქალიან-ბავშვიანად ამოწყვიტა. ამ გენერლის ბარბაროსულმა ქმედებამ თავად იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ისე აღაშფოთა, რომ ჩერქეზეთში მოსახლეობის აკლების გმირი გენერალი ვლასოვი სასამართლოში მისცა.

მიუხედავად უთანასწორო ბრძოლისა, თავისუფლების იდეით გულანთებული მთიელები უანგარო თავდადებისა და სიმამაცის მაგალითს უჩვენებდნენ თანადროულ მსოფლიო კაცობრიობას. მწერალი ამ ომს ნათლავს, როგორც ნამდვილი სამხრეთის რესპუბლიკის ბრძოლას ჩრდილოეთის აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ. და ამ ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თავკაცად შამილს მიიჩნევს, რომელსაც გარიბალდზე, კრომველზე და ნაპოლეონზე მაღლა აყენებს.

შამილს, უწინარესად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ერთ მუშტად უნდა შეეკრა და ერთი რწმენით შეეკავშირებინა, რაც ფრიად საძნელო საქმეს წარმოადგენდა, ვინაიდან ამ ხალხებს, განურჩევლად ყველას განსხვავებული კულტურული თუ პოლიტიკური იდეალები გააჩნდათ. შამილმა დიდი ნებისყოფის წყალობით შეუძლებელი შეძლო. მან თავი მოუყარა და ერთიანი სულისკვეთებით დარაზმა თავმოყვარეობაშელახული მთიელები და მთელს კავკასიაში საღვთო ომი, ჰაზავატი გამოუცხადა ოჯახისა და ქვეყნის შემგინებლებს. მწერალი არ მალავს თავის აღფრთოვანებას შამილის პიროვნებით: "მართლაც რა დიდი ორგანიზაციული ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო შამილი, ესოდენ დაქსაქსული იდიომით, ეთნიური თვისებებით და ტრადიციით განსხვავებული პაწია ტომები რომ შეადუღაბა და უშველებელ ვეშაპს შეება. ეს კაცი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე თავგამოდებით ებრძოდა რომანოვების ბნელ ჟამს, რომელსაც იმ დროებში შეყეფვასაც ვერავინ უბედავდა. მის განკარგულებაში იყო მხოლოდ ხანჯლებითა და კაჟიანი თოფებით შეიარაღებული უორგანიზაციო, შეუკავშირებელი ტომები"[20]

კავკასიის გაუგონარი კამპანიის დროს, როცა ფეხქვეშ ითელებოდა მთიელთა ეროვნული ინტერესები, რუსეთის იმპერიის პრესა და მწერლობა რომანოვებს გვერდით ედგა და გუნდრუკს უკმეცდა. რუსული მწერლობა ქვეყნის იმპერიული პოლიტიკის თანამოზიარე იყო. მხოლოდ ლევ ტოლსტოიმ ამოიღო პროტესტის ხმა და სახალხოდ შეაჩვენა თანამემამულენი. მან თავის "ჰაჯი-მურატში" დაუვიწ-

ყარი სურათი მოგვცა იმ უხეში რუსი სოლდატესკასი, რომელიც ყოველივე "არარუსულს დაპყრობილ ქვეყნებში საოცარი ვანდალური ინსტიქტებით სდევნიდა და ანადგურებდა"[21]. ლევ ტოლსტოიმ პირუთვნელად, შეულამაზებლად წარმოსახა ის კატასტროფა, რომელიც განიცადეს ჩრდილო კავკასიის ხალხებმა. ამის გამო მან უცხო ქვეყანაში შემოხიზნულებს "ყაჩაღები" და "ყასბები" უწოდა. რუსის წარმოდგენაში ყველა ფაფახიანი და ხანჯლიანი კაცი ყაჩაღია ან ნაყაჩაღარი. მწერალმა "ყაჩაღების" მაძიებელ ავტორებს ასეთი პასუხი გასცა: "ვინაა ყაჩაღი! ის რომელიც ცხრა მთას იქიდან ხიშტით მოდის და აულს იკლებს, თუ იგი, ვინც თავის პატარების დასაცავად შაშხანას მოიმარჯვებს, ტყვიას ტყვიაში ჩააჯენს და მტერს მტრულად რომ შეხვდება"[22]

ლევ ტოლსტოი თავად იყო მონაწილე ამ სისხლისმღვრელი ომებისა და ამიტომაცაა, რომ ასე ნაღვლიანად აღწერს რუსი მუჟიკის მიერ მთიელთა აულების აოხრებას და ბავშვების მოთქმა-გოდებას. თუმცა როგორც დიდ ჰუმანისტს და განმანათლებელს მას ეცოდება თანამემამულენიც, ძეშეცდომილებს უწოდებს მათ, რადგანაც, მისი აზრით, მათმა უმრავლესობამ არც კი იცოდა რისთვის იბრძოდა და ვისთვის ღაფავდა სულს უცხო მიწა-წყალზე.

კ.გამსახურდია დიდად აფასებს ლევ ტოლსტოის ამ თანაგრძნობისათვის. მისი განცხადებით: "დიდოსტატის მხატვრულმა ალღომ პოლიტიკურად სწორ ნიადაგზე შეაყენა იგი, როცა თავის "ჰაჯი-მურატში" გაამასხარავა ნიკოლოზ პირველი, როგორც მოძალადე და იმპერიალისტი. ხოლო კავკასიის მთიანეთის თავისუფლების დამცველი შამილი და ჰაჯი-მურატი დიდი სიმპატიით დაგვიხატა"[23]

კ.გამსახურდიას აზრით, თავიდან არსებობდა კავკასიაში შემოსული მტრის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის იდეა ქართველებსა და ჩრდილო კავკასიელებს შორის. ამას მოწმობს ალ.ბატონიშვილის მიერ მოწყობილი ამბოხება მთიულეთში 1804 წელს, რომელიც მეფის რუსეთმა სისხლში ჩაახშო. თუმცა ბატონიშვილის წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა, ლეკებისა და ქართველების გაერთიანებული რაზმე-

ბით ის კარგა ხანს კიდევ მუსრს ავლებდა გადამთიელებს. მთიელთა სიყვარული სრულად მაშინ წარმოჩინდა, როცა მეფის სარდლობამ ერეკლეს შვილის გაცემა მოთხოვა მათ. "ჩვენი ხელით დავხოცავთ ცოლ-შვილს, გადავწვავთ სახლ-კარს და გავანადგურებთ ყველაფერს, ერეკლე მეფის შვილს კი ხელში არ ჩაგაგდებინებთო"[24] —უპასუხეს ამაყმა მთიელებმა სხვისი სისხლით გალეშილებს.

ქართველთა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ერთობლივი მოქმედების აუცილებლობამ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი გამოხატულება ჰპოვა 1832 წლის შეთქმულებაშიც. კერძოდ, შეთქმულები დაუკავშირდნენ დაღესტანის ეროვნული მოძრაობის მეთაურს ყაზი მოლას, ლეგენდარული შამილის მასწავლებელს, მაგრამ შეთქმულების მარცხმა ერთობლივი ბრძოლის შესაძლებლობა უპერსპექტივო გახადა.

მაგრამ მოგვიანებით ეს ერთიანი ბრძოლის იდეა მოიშალა, იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში შემორჩენილმა არაჯანსაღმა ძალებმა კავკასიის განთავისუფლება მშობლიური ქვეყნის განთავისუფლების წინაპირობად არ მიიჩნიეს. საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტის დაშლამ ბუნებრივად გამოიწვია დეგრადირება არისტოკრატიისა და ამ დეგრადირებულ არისტოკრატიას სამარცხვინო ბოძზე აკრავს მწერალი, რომლებმაც ჩინ-მედლებსა და ეპოლეტებზე დახარბებულებმა საღად ვერ შეაფასეს პოლიტიკური სიტუაცია, იანიჩრობის გზას დაადგნენ და მთიელთა ხოცვა-ყლეტით ისახელეს თავი. მწერალი სასტიკად ამათრახებს ამგვარ ზნედაცემულ ადამიანებს: "ქართველმა თავადაზნაურობამ ყოველად სამარცხვინო როლი ითამაშა კავკასიის კამპანიაში. ჩვენი მოწინავე საზოგადოების ნაწილი დაიბნა, ნაწილი სავსებით გულგრილად შესცქეროდა, თუ როგორ სცელავდა კავკასიის ფოლადის ჯაგარს რომანოვების პრუსაკულად აღზრდილი სოლდატესკას სწორყუიანი ხმალი"[25]. ქართველმა თავადაზნაურობამ თავისი ნიჭი რუსული ზარბაზნების კვამლში გაახვია.

მწერალი აძაგებს და ავადსახსენებელთა სიაში მოიხსენიებს პავლე ციციშვილს, რომელიც ყოვლად უპრინციპო კონდოტიერი და

ესამშობლო ავანტიურისტი იყო. ადამიანი რომელიც წარმოადგენდა ტიპიურ განსახიერებას გაყიდული თავადაზნაურობისა. ამ გადაგვარებულმა კაცმა ეპოლეტებისათვის სატანას მიჰყიდა სული და მთელი თავისი ენერგია კავკასიელი ძმების ჩეხვასა და აკლებას მოახმარა.

მწერალი აბუნათებს გრიგოლ ორბელიანს, რომელიც "თავის კერძო წერილებში ტრაბახობს კიდეც, რომ ყაზახებს ხიშტზე ააყვანინა საცოდავი ჩეჩნები"[26]. მწერალი განცვიფრებას არ მალავს იმ გარემოებაზე, თუ როგორ შეეძლო საქართველოს თავისუფლებაზე მეოცნებე პოეტს და 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ სულისჩამდგმელს თავის მოძმეთა მზე დაებნელებინა.

გრ.ორბელიანს იმდენად გაუმწარებია შამილი, რომ ეს უკანასკნელი ოცნებობდა კიდეც ქართველი თავადი ბრძოლის ველზე შეხვედროდა და იქ გასწორებოდა მას. მიეცა კიდეც მასთან შეხვედრის საშუალება, მაგრამ უკვე დამარცხებულს. ლუნიბის ციხესთან, თავის მწარე ვატერლოოსთან შამილს ოცდაათწლიანი გადახდილი ომის შემდეგ თავისი ხმალი გრ.ორბელიანისათვის უნდა გადაეცა, მაგრამ რუსეთის მეფემ და არისტოკრატიამ არ ისურვა შამილის დამტყვევებელი ქართველი კაცი რომ ყოფილიყო და შამილის მახვილი ბარიატინსკიმ ჩაიბარა.

საერთოდ შამილი გამოთქვამდა განცვიფრებას ქართველთა გმირობაზე, რომელსაც ისინი იჩენდნენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში: "რუსები რომ მუსრს გვავლებენ მთიელებს ეს მესმის და მეყურება, ვინაიდან ზღაპრულ მგელსავით ხახაში ძვალსავით გავეჩხირეთ, მაგრამ ამ ქართველებს რაღა უნდათ ჩემგან, რად ეხმარებიან რუსებს ასე ერთგულად და რად უჩვენებენ ასე გაბედულად და ოსტატურად მთის გზა-კვალსო. განა ჩემისა და დაღესტანის დამონება დაუბრუნებს მათ გამქრალ პოლიტიკურ არსებობას"[27]

კ.გამსახურდიას აზრით გრ.ორბელიანს პოლიტიკური გულთამხილაობა არ გააჩნდა. ის ბუნდოვნად ერკვეოდა პოლიტიკის რთულ საკითხებში. პოეტი თავის ლექსებში ერთნაირი გულმოდგინებით უმ-

ღერის პირსისხლიან ნიკოლოზ პირველს და დავით აღმაშენებელს, რადგანაც მისი ღრმა რწმენით რუსეთის მეფის სამსახური და ერთგულება საქართველოს აღორძინების საწინდარია. მწერალი ერთგან აღნიშნავს, "გრიგოლ ორბელიანს, რომელიც სიჰაბუკეში ოცნებობდა ორთავიანი არწივის ჭანგებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის, იმდენი ორდენი და პატივი მიანიჭა ნიკოლოზ პირველმა, მას, უკვე სიბერეში გადამდგარს, ილუზია წარმოესახა, თითქოს ქართველი თავადაზნაურობა და ქართველი ხალხის ისტორიული მისიის გაგრძელება იქნებოდა ცარისტული იმპერიალიზმისათვის ხმლით მიშველიება"[28]. გრ.ორბელიანის პოლიტიკური თვალსაწიერი მცდარი იყო, რადგანაც ის ქართული "პატრიოტიზმისა" და რუსული მონარქიზმის ჰარმონიულად შერწყმის შესაძლებლობას აღიარებდა.

რაც შეეხება ნიკ.ბარათაშვილს, ის გაუგონარ პასიურობას იჩენს. მწერლის აზრით "მერანის" ავტორი პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას ვერ ავლენს, როცა ის სხვისი ძალით გულმოცემული იმუქრება და უბრალო ხალხის დათრგუნვისა და დამონების სურვილს ავლენს:

"ძრწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენი აღსასრულისა!
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა.
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენ შორის ბოროტ სულისა!"

ნიკ.ბარათაშვილის პოეზიაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ბიძის, ილია ორბელიანის დატყვევების ფაქტმა. ახლობელი ადამიანის დაკარგვამ პოეტის ნაზი სული შესძრა. ამ სულნაღვლიანობას ის ამჟღავნებს გრ.ორბელიანისადმი მიწერილ წერილებში. პოეტმა თავისი შედევრი "მერანიც" ილია ორბელიანის დატყვევებით გამოწვეული შთაგონებით დაწერა, თუმცა ის არსად არ მიუთითებს იმ ფაქტორზე, რომ ილია ორბელიანი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სხვათა გულის საამებლად იქნევდა მახვილს და უდანაშაულო.მთიელ ხალხებს ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ უსწორდებოდა. კ.გამსახურდიას შენიშვნით

ნიკ.ბარათაშვილს "არ ესმოდა, თუ რას მოასწავებდა იმ დროს მთიელების მუხანათურად გაჩანაგება"[29]

ერთადერთი ქართველი მწერალი, ვინაც სპეტაკი გულით გაიზიარა ჩეჩნების, ჩერქეზების, ინგუშების უშველებელი ტრაგედია, მწერლის სიტყვით ყაზბეგი იყო, რომელმაც თავის შემოქმედებაში გულწრფელად იგლოვა ამ შესანიშნავი ტომების აყრა კავკასიონის მთიანეთიდან.

კ.გამსახურდია არაერთგან მიუთითებს, რომ ქართულმა მახვილმა გადამწყვეტი როლი შეასრულა შამილის ჰაზავატის ლიკვიდირებისას. მწერალს მხედველობაში აქვს არა მარტო ის მხედარმთავრები, რომლებიც ქართული მახვილით ლაშქრავდნენ მთიელთა აულებს, არამედ საკუთრივ ქართული ხმლის ყოვლისშემძლე ფაქტორი. კავკასიის ომში ჩერქეზებსა და ლეკებს თურმე უჩვეულო მტკიცე ფოლადისაგან ნაწრთობი ხმლები ჰქონდათ, რასაც ვერ უძლებდა რუსის სწორყუიანი ხმალი. რუსის კავალერისტები თბილისში გადაეყარნენ ვიღაც ყარამანს, რომლის საამქროში თურმე უმაღლესი ხარისხის ხმლებს აწრთობდნენ. მწერლის ღრმა რწმენით "რუსეთის სარდლობამ შეისყიდა ეს საიდუმლო ხსენებული ყარამანისაგან და პეტერბურგში შემზადებულმა ქართულმა ხმლებმა გადაწყვიტეს მთიელების კავალერიის ბედი"[30]

მიუხედავად შამილის ოსტატური ხელისა და მეომრული სულისა, ჩერქეზების, ჩეჩნების, ლეკების თავგანწირული ბრძოლისა, კავკასიელ ხალხთა თავისუფლება მკვდრეთით ვერ აღსდგა. მწერლის ვარაუდით, სანამ საქართველო არ მოიპოვებს დამოუკიდებლობას, და ქართველები და მთიელები ხელიხელ-გაყრილნი არ იომებენ ტირანიის წინააღმდეგ, მანამ ჩრდილოეთელი მეზობლები მაჯებს პოლიტიკური კირთებისაგან ვერ გაინთავისუფლებენ.

ეს გარემოება კარგად ჰქონდათ შეგნებული თავად მთიელებს. ქართველი თავადაზნაურობის გაუკუღმართებულ ქმედებას, მათ მიერ კავკასიის ომში "ნავთზე ცეცხლის დასხმას", მთიელები არ აიგივებდნენ მთელი ქართველი ერის პოლიტიკურ იდეალებთან. ამიტომაც XX

საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის იმპერიის რღვევის ჟამს ისინი ცდილობენ თავიანთი გულწრფელი მოწოდებებით ქართველი ერი იმ ძველ პოზიციაზე დააბრუნონ, რომლის გზასა და პოლიტიკურ ლარს საქართველო მისდა უნებლიეთ აცდა.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში სახელმწიფო თეატრში მუშაობას შეუდგა I ეროვნული ყრილობა, რომელმაც ხუთ დღეს გასტანა. ყრილობას უნდა გაერკვია თუ რა გზას დაადგებოდა საქართველო რუსეთის იმპერიის ნანგრევებიდან განთავისუფლების შემდეგ, თუ როგორი იქნებოდა მისი მომავალი.

კ.გამსახურდიას აღნიშვნით საქართველოს ხვალინდელი დღე, მისი სახელმწიფო ბჭეები ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე უნდა დაეყრდნოს უწინარეს ყოვლისა საქართველოს სულიერ ერთიანობას. ეროვნული სხეულის არტერიების გამრთელება და შეერთება ყოველთვის ჭირდა, მაგრამ ერის ინტელექტუალური ძალა გრძნობდა ამ გამრთელების აუცილებლობას და ძალ-ღონეს არ იშურებდა მის განსახორციელებლად. ყრილობაზე მწარედ ჩაფიქრებული მწერალი ამბობს: "თითქოს დღეს გაიგეს ერთი სისხლისა და ერთი ნათესავის წარმომადგენელთა, რომ მომავალი, მთლიანი საქართველოს საძირკვლების სიმძიმე იმ დღეს თავმოჭრილ ქართველების მხრებს უნდა დაემყაროს"[31]. ამასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ფუნდამენტი, მწერლის აზრით, მყარი არ იქნება, თუ ის მეზობელი კავკასიელი ერების მხრებსაც არ დაეყრდნო. საქართველოს თუ სურს დაიბრუნოს ლიდერობა კავკასიაში, მან ეს უნდა მოახერხოს კულტურული წარმატების ხარჯზე, პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად თანმიმდევრულად უნდა აწარმოოს კულტურული საქმიანობა. სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო მისიის გავრცელებით აღწევდნენ ჩვენი წინაპრები პოლიტიკურ ჰეგემონობას. დღესაც, კულტურის ფრონტზე მოპოვებული გამარჯვება ჰქმნის წინაპირობას ჩამქრალი მესიანური კოცონის ხელმეორედ ასაგიზგიზებლად. კ.გამსახურდიას მითითებით "უკანასკნელ ათეულ წლებში საქართველომ ბევრი სისხლი და ენერგია დახარჯა, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენ სულ მოკლე

ხანში ნებსით თუ უნებლიეთ კავკასიის და მთელი მცირე აზიის ერების ავანგარდში მოვექცევით. ამას უკარნახებს ჩვენს აწმყოს და ჩვენს მომავალს ჩვენი ისტორიული ტრადიცია და ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა"[32]. ამისათვის მთავარია, ყველამ, განურჩევლად რწმენისა და პოლიტიკური მიმართულებისა სახელმწიფოებრივი მასშტაბით აზროვნება გაიხადოს ცხოვრების წესად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 117 წლის განმავლობაში დამპყრობლის ფეხქვეშ იყო გართხმული, მას ყველაფერი არ დაუკარგავს. ჭეშმარიტ წინაპართა მიერ საუკუნეთა განმავლობაში დათესილ სიქველეს ამაოდ არ ჩაუვლია და მათ მიერ გაწეულ საშვილიშვილო ნაამაგარს დღეს ვიმკით. ქართველთა რჩევას, აზრსა და გამოცდილებას ანგარიშს უწევენ, მის ბელადობას კვლავაც საჭიროებენ ჩრდილო კავკასიელი ძმები, რომლებიც კეთილშობილური სიწრფელითა და მადლიერების გრძნობის სახით მოვიდნენ ეროვნული აღორძინების დღეს, რათა წრფელი გულისნადები გადმოეშალათ ქართველი ძმებისათვის.

მწერალი და მასთან ერთად მთელი ყრილობა მომეტებული ინტერესით უსმენენ მთიელ წარმომადგენელთა ნათქვამს. ორატორები საქმიანი კილოთი და მანერით მოუწოდებენ ქართველობას კვლავაც მოირგოს სხეულზე ავანგარდის მანტია. რაც მთავარია "117 წლის მანძილზე არც ისე დაცემულა ჩვენი პრესტიჟი მეზობელი ერების თვალში როგორც ბევრს ეგონა. ახლა ვხედავ, რომ ქართული ეროვნული მესიანობის კოცონი თუ ჩვენთვის დღემდის ფერ-მილეული იყო, იგი უცხოთა გულში ჯერ კიდევ ნთებულა"[33]

სწორედ ამ რწმენითა და იმედით უნდა იქნეს გაკაფული გზა ერთიანი კავკასიური სახლის შექმნისაკენ. კავკასიელ ხალხთა სოლიდარობა და ურთიერთპატივისცემა იძლევა ამის საფუძველსა და საშუალებას.

1917 წლის 19 ნოემბერს მიიღეს კიდეც დეკლარაცია, რომელიც თავის მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება 1801 წლის მანიფესტს რუსეთის იმპერატორისას. განსხვავება ისაა, რომ პავლე პირველის მა-

ნიფესტმა მძიმე ლოდი დაასვა კავკასიის თავისუფლებას, 1917 წლის 19 ნოემბრის ყრილობამ კი საფუძველი ჩაუყარა ქართველი ხალხისა და სრულიად კავკასიის სუვერენულ უფლებებს. ქართველებმა მეფის სატრაპების განდევნით შექმნეს წინაპირობა კვლავ დაბრუნებოდნენ ძველ პოზიციებს. "ისევ და ისევ 117 წლის ტანჯვა და 117 წლის ბრძოლა დასჭირდა ქართველ ერს, რათა იგი კვლავ მოქცეოდა ავანგარდში იმ ბრძოლას, რომლის ერთი ნაპირი, ვულგარულ აზროვნებაში კავკასიის დემოკრატიისა და კავკასიელი ერების მთლიან ფრონტს უწოდებენ"[34].

კ.გამსახურდია იმედოვნებს, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვის პოლიტიკურ იანიჩრობაზე და ზოგადკავკასიურ ინტერესთა ჰარმონიიდან გამომდინარე მახვილით დაიცავს საქართველოსა და სრულიად კავკასიის პოლიტიკურ უფლებებს. პირველი მსოფლიო ომის პერიპეტიებმა თვითგამორკვევის პრინციპი მიანიჭა ყველა ეროვნებას. მათ შორის ჩეჩნებს, ჩერქეზებს, ოსებს, ლეკებს გაუჩნდათ შანსი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და სუვერენული უფლებების შეძენისა. თუმცა, ისიც კარგად უწყოდათ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე მრავალი დაბრკოლებისა და გაჭირვების გადალახვა მოუწევდათ. ამიტომაც იგულვეს მათ საქართველო მეციხოვნედ და მეაბჯრედ თავიანთი დაცემული ეროვნული ვინაობის აღდგენისათვის ბრძოლაში. მწერალი არ მალავს თავის სიხარულს ამ ფაქტთან დაკავშირებით; "ამნაირად ჩვენ 19 ნოემბრიდან კვლავ ვუბრუნდებით იმ პოზიციას, რომელიც 1801 წელს ნებით თუ უნებლიეთ შემოჭრილ ძალისათვის უნდა დაგვეთმო. ჩვენ არას ვიტყვით იმ კულტურულ განმანათლებელ მისიაზე, რომლებიც ჩვენს წინაპრებს უწარმოებიათ კავკასიის ტერიტორიაზე. ჩვენი გულისყური ამჟამად იმ პერსპექტივებისკენაა მიმართული, რომელიც წინ გვეცხადება ჩვენი ეროვნული თავისუფლების "მაგნა ხარტიას" გამოქვეყნების დღიდან"[35].

საქართველოს სახელმწიფო უნდა გახდეს ერთგვარი გარანტი და შეუვალი ბასტიონი სოლიდარობის დუღაბით შეკრული კავკასიე-

ლი ხალხების თავისუფლებისა.

ქართველთა და ჩრდილოელ კავკასიელთა ძალისხმევას უკვალოდ. არ ჩაუვლია. 1918 წელს შეიქმნა კიდეც მთიელთა რესპუბლიკა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკა სამი წლის არსებობის მანძილზე ხელს უმართავდა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მიუხედავად იმისა, რომ თავად საქართველო განიცდიდა იარაღის სიმცირეს, ქვეყნის ხელისუფლება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაწიერიდან გამომდინარე დაინტერესებულია ჩრდილოეთის საზღვრების გამაგრებით და მთიელებს მათივე თხოვნის საფუძველზე გამალებით აწვდიდა სამხედრო მასალას. ნოე ჟორდანია ემიგრაციაში ყოფნის ჟამს ამის თაობაზე წერს: "განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი მთიელთა რესპუბლიკას, არ იყო არც ერთი შემთხვევა, მათ თხოვნაზე დახმარების შესახებ უარი გვეთქვას. ამას ითხოვდა ჩვენი ჩრდილო საზღვრების უზრუნველყოფა, ძლიერი დამოუკიდებელი მთა იყო ჩვენი სიმაგრე მოსკოვის წინააღმდეგ ამართული. მის არსებობაში ვიყავით ყელამდე დაინტერესებული და ეს გვიკარნახებდა ჩვენს დამოკიდებულებას მასთან"[36].

ამ ამონაწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩრდილო კავკასიელი ხალხების ეროვნულ-პოლიტიკური უფლებების აღდგენას სრულიად კავკასიის განთავისუფლებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში. მეტიც, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პაქტი იძულებით მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ხელმძღვანელთა შეხედულებით. მაგრამ ქართველ ერს ერთი წამითაც არ შეუწყვეტია ფიქრი და სწრაფვა საერთო კავკასიური სახლის შექმნისათვის, რასაც მოწმობს ნოე ჟორდანიას სიტყვები წარმოთქმული 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ნაციონალური საბჭოს პირველსავე სხდომაზე: "საქართველოს ხალხი, გაერთიანებული საერთო კავკასიური დროშის ქვეშ დასდებენ კავშირს იმ ხალხებთან, რომელნიც ცხოვრობენ ჩვენი სახელმწიფოს გარეთ და ამ გზით აღსდგება სახელმწიფოებრივი ერთობა, და აღადგენს ჩვენს თვალწინ დან-

გრეულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი, ჩვენი გზა ჩვენი იდეალი მიიმართება ასეთი კავშირის შექმნისაკენ"[37]

ანალოგიური მსოფლმხედველობა გააჩნდა საერთო კავკასიური სახლის იდეის თაობაზე პ.ინგოროყვას, რომელიც ერთგან მიუთითებს: "პანმონგოლიზმის საფრთხე ორმხრივ ელის ქართულ-კავკასიურ რასას: სამხრეთით — თურქებისა, ჩრდილოეთით — რუსების; ერთი პირველ რიგში ემუქრება საქართველოს, მეორე — მთიულეთს. ამ საბედისწერო რკალის გარღვევის პოლიტიკა ჩვენ გვიკარნახებს ახლო კავშირს კავკასიის მთიელებთან, და საამისოდ მართლაც არის რეალური პირობები. მთიელებს ჩვენთან აერთებს არა მარტო ძმური რასიული ნათესაობა, არამედ — საარსო ინტერესებიც. მთიელებში ბუნებრივი რასიული მიზიდულობა არის ქართველობასთან და თითონ მთიელების ხელმძღვანელი წრეები იზიარებდნენ კიდეც ქართულ ორიენტაციას, ვიდრე უიმედო არ გამოდგა ჩვენი პოლიტიკური თვიგამორკვევის ლოდინი"[38].

კ.გამსახურდიას აზრით ქართველი ხალხის ისტორიის მაგისტრალი მაშინ დასრულდება, როცა მოისპობა კულტურულ-პოლიტიკური კავშირი მთიელებთან, ამიტომაც ქართველობას, როგორც არასდროს ისე მართებდა იმჟამად დროული თვითორგანიზაცია და ეროვნული ენერგიის ინტენსიური შემოკრება საერთო კავკასიური სახლის შესაქმნელად. მაგრამ ქართველობის სწრაფვასა და წადილს განხორციელება არ ეწერა.ფერშეცვლილმა რუსეთის იმპერიამ დაამხო ქართული სახელმწიფოებრიობა და მასთან ერთად მთიელთა რესპუბლიკა. საერთო კავკასიური სახლის იდეამ ფიასკო განიცადა. მაგრამ კ.გამსახურდიას ცნობიერებიდან არ ამოშლილა ამ იდეის აუცილებლობა და მომავალში მისი განხორციელების შესაძლებლობა. ამ სულისკვეთებით აქვეყნებს მწერალი 1925 წელს რომანს "დიონისოს ღიმილი", რომელშიც აღწერილი ამბები მოიცავს 1915-1919 წლების სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს.

რომანი ანტირუსული განწყობილებითაა გაჟღენთილი. ეს გასაგებიცაა. მწერალი ისტორიულ მოვლენებს (რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევას და საქართველოს დაპყრობას, სახელმწიფო ატრიბუტების მოსპობას, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობას) დღევანდელობის გადასახედიდან და ჭრილიდან აფასებს. ამიტომაც რომანის პროტაგონისტს სავარსამიძეს ორგანულად სძულს რუსები ფიცის გატეხვისა და ვერაგული ქმედების გამო. მას სათუთი გული მისცა ღმერთმა, მაგრამ რუსებმა ისე ჰოუწამლეს საწუთროება, რომ ადამიანის სისხლში აქვს ხელები გაევლებული. ის უკიდურესი შეურიგებლობითა და შურისგებითაა გულანთებული: "1916 წელს ქართული ლეგიონი სარაყამიშვილთან ებრძოდა რუსებს. ღამის ბრძოლაში მტრის რაზმი ჩაგვივარდა ხელში. ოფიცრები გამოვარჩიეთ. ჯერ ქართული ჩვეულებისამებრ ღვინით გავუმასპინძლდით. მათ ძველი სტუმართმოყვარე ქართველები ვეგონეთ, მაგრამ მოსტყუვდნენ. 30 გრადუსიან ყინვაში გავიყვანეთ. ცხელი ტყვიები ვაჭამეთ"[39]. ყალბად გაგებული სტუმარ-მასპინძლობის წესისადმი სავარსამიძე შეუბრალებელია. ნიშნეულია ისიც, რომ ამ თავგანწირულ ბრძოლაში მას გვერდით უდგანან ჩერქეზები და გერმანელები. ჩერქეზისათვის გადამთიელი რუსის გაძევება საქართველოს მიწა-წყლიდან აღიქმება, როგორც ღვთით კურთხეული სამშობლოს განთავისუფლება, გერმანელებისათვის ამ მოვლენას პოლიტიკური მნიშვნელობა მიერწყვება და ამადაც ეხმარებიან თავისუფლების აგონიით შეპყრობილ კავკასიელებს თავიანთი ისტორიული მტრის წინააღმდეგ გამართულ ომში.

მწერალმა ისტორიულ მოვლენებს გვერდი ვერ აუქცია. გერმანია ხომ ის ქვეყანა იყო, რომლის ძალისხმევისა და პოლიტიკური ზეწოლის შედეგად საქართველომ სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. შემდგომშიც "რეალურ იმედად საქართველოსა და მთელი კავკასიისთვის რჩებოდა გერმანია — "მარადიულ ღმერთთან მორკინე იაკობი", ვინც ბედისწერას აუმხედრდა, ვინც საქართველოს 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა მოაპოვებინა"[40]. ამიტომაცა აქვს მწე-

რალს მომეტებული სიყვარული იმ ერის მიმართ, რომლის შვილებმა საკუთარი სიცოცხლე გაიღეს საქართველოსა და სრულიად კავკასიის საკეთილდღეოდ. ათეულობით გერმანელმა ჯარისკაცმა სამუდამო სასუფეველი ხომ საქართველოს მიწაზე ჰპოვა.

სავარსამიძეც გულდამძიმებული იხსენებს პოლიტიკურ რეალიებს. "ახლაც მახსოვს ის ბედითი ღამე, 1916 წლის ნოემბერში შავ ზღვაზე სამი ქართველი, ორი გერმანელი მეზღვაური, ორი ჩერქეზი, წყალქვეშა ნავით ანაკლიას მივადექით. საქართველოში აიარაღი უნდა გადმოგვეტანა". მიუხედავად იმისა, რომ რუსის მესაზღვრეები ტყვიით გაუმასპინძლდნენ თავისუფლების მედროშეებს, მათ თავიანთი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის კოცონის ასაგიზგიზებლად თავიანთი წილი ნაპერწკალი გაიღეს.

რომანში ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების და ქართველების ურყევი ძმობა ნაჩვენებია სავარსამიძისა და ჩერქეზი ხალილ-ბეის ურთიერთმეგობრობის ფონზე. მათ ნაღვლიან სულს სამშობლოს დაცემით გამოწვეული სევდა აერთიანებს. ხალილ-ბეის სამშობლოს მომავალი მუქი ფერებითა აქვს წარმოსახული. ის მხატვარია, მაგრამ ევროპის ქვეყნებში დახეტიალობს და იქ ქმნის მხატვრულ ნიმუშებს, რადგანაც სამშობლოში ასპარეზი არ გააჩნია. მისი აზრით ჩერქეზეთში არ არსებობს არც საზოგადოებრივი ინტერესი, არც კრიტიკა. ჩერქეზეთი და მასთან ერთად მთელი ჩრდილო კავკასია მოწყვეტილია მსოფლიო კულტურას და მის აღორძინებაზე ხალილ-ბეის ხელი აქვს ჩაქნეული. სავარსამიძესთან საუბარში ნაღვლიანად შენიშნავს მხატვარი: "თქვენი ქართველების მდგომარეობა ოდნავ უკეთესია, ჩვენი საქმე წასულია" ერთადერთი რაც მას ამოძრავებს შურისძიების გრძნობაა. მას ურყევად სჯერა, რომ ღმერთი ჯოჯოხეთურ სასჯელს უმზადებს მისი სამშობლოს დამაქცევართ. ხალილ-ბეის სურათიც "ჩინგიზ ხანის შემოსევა" შეიცავს წარღვნას, რომელიც ერთხელ უკვე მოევლინა რუსეთს მონღოლების სახით, და ახლაც წალეკვით ემუქრება ამ ხალხთა საპყრობილესა და ცოდვილიან მიწას. ჩერქეზს სჯერა, რომ აზია გაიღვიძებს და ისტორია განმეორდება. მისი აზრით,

აზია არ მომკვდარა, "ეს სიკვდილი როდია, არამედ გარინდება. სიცოცხლეს შესვენება სჩვევია. ვერძებს ჭიდილი ხომ გინახავთ? ერთი უკან დაიხევს გაინაბება, ისკუპებს ერთთავად და მტერს დაეძგერება"

აზიელებში ხალილ-ბეი საქართველოსაც გულისხმობს და ამ წარღვნაში მათთაც, ქართველებმაც უნდა დაიდონ წილი. თუმცა სავარსამიძე საქართველოს აზიას არ აკუთვნებს, მაგრამ კავკასიელების მიმართ განსაკუთრებული გრძნობა აქვს. მას სჯერა, რომ ჩრდილოეთ კავკასიას ბრწყინვალე მომავალი ელის. ქართველობა კი მზადაა თავისი ისტორიული მისია კავკასიის მზის ამოსაბრწყინებლად შესაფერისად მოიხადოს.

"ჩვენ ჩვენს მეზობლებს უმცროს ძმებად ვსთვლით. წინააღმდეგ, ჩვენ ყველას ისტორიამ დაგვაკისრა წინა აზიის განახლება"

მაგრამ წინა აზიის განახლება და კავკასიის განთავისუფლება მხოლოდ მახვილით თუ შეიძლება. სიმბოლურია ისიც, რომ ჩერქეზი და ქართველი ქართული სატევარის სადღეგრძელოს რომ სვამენ. ისევ უნდა იმძლავროს ქართულმა მახვილმა, რომელიც უქარქაშობასა და მტრის სისხლით შეღებვას ესწრაფვის

"მთვრალ დიონისოს სისხლი წითელი
ჩვენ გაგვაქანებს სხვა საიქიოს
იყავ ქართველი, გინდა სკვითელი.
თან გადაჰყევი დემონს და ქაოსს"

თუმცა სავარსამიძე და ხალილ-ბეი მარტო სატევრის სადიდებელ ჰიმნს როდი ამბობენ. ისინი მზად არიან სიცოცხლის ფასად დაიცვან ერის თავმოყვარეობა და სინდისი. სწორედ კავკასიის განთავისუფლების სახელით არწყევინეს სისხლი და ღვინო ცემისაგან იმ რუსის ოფიცრებს, რომლებმაც რესტორანში მეგრული სიმღერის წამოწყებაზე, გველნაკბენივით იყვირეს:

"ოსტავტე ვაშა დიკია ეოპლი"

სავარსამიძემ რევოლვერი წაართვა ერთ-ერთ მათგანს, სახელად სლანსკის, რომელიც რომანში რუსეთის ბოროტების სიმბოლოს წარ-

მოადგენს. სლანსკისთან ცხადში დაწყებულმა კონფლიქტმა სიზმარში ჰპოვა გაგრძელება და დასასრული. თუმცა სავარსამიძე სიზმარსა და სინამდვილეს ორძილს ეძახის და ერთნაირად აღიქვამს. სლანსკისთან გამართულ ჭიდილში თანადგომას ისევ გერმანელი და ჩერქეზი უწევს.

ძველმა საუკუნეებმა ჩამორეკეს სავარსამიძის სულში. სისხლი ადუღდა მის ძარღვებში. გამეტებით ურტყამს არგვეთის მთავრის ხორასნულით სლანსკის და უყვირის "სლანსკი ასჩვიდმეტი". სლანსკის ეცოტავება საქართველოს 117 წლის დამონება და პირსისხლიანი დათვი კიდევ ამდენის ძახილით სავარსამიძისაკენ მიიწევს.

ქართველი და კავკასიელი ხალხების სისხლით გალეშილს სავარსამიძე არ ინდობს. ყელს გამოჭრის და მის ცხელ სისხლს გახელებული დაეწაფება. მაგრამ ისტორია მეორდება. სლანსკის სისხლის გამოდინებით რუსეთის იმპერია არ მომკვდარა, მან მხოლოდ ფერი იცვალა და კვლავ განაგრძო ქართველთა და კავკასიის სხვა ხალხთა სისხლის წოვა.

კ.გამსახურდიას რომანიც "დიონისოს ღიმილი" იმ დროსაა დაწერილი, როცა ჭეეყანა უკვე ოკუპირებულია წითელი რუსეთის მიერ და 1924 წლის აჯანყებაც სისხლშია ჩახშობილი. სწორედ "ამ სისხლისღვრამ მისცა იმპულსი "დიონისოს ღიმილს"[41]. მწერალმა განცდილი და ნანახი საკუთარ გმირს დაანათლა, რომელიც ავტორის "ძვალი ძვალთაგანი და სისხლი სისხლთაგანია", ამიტომაც სავარსამიძის სიტყვები გააზრებულ უნდა იქნას, როგორც კ.გამსახურდიას მუქარა და საბრძოლო მოწოდება უკვე ფერშეცვლილი რუსეთის იმპერიისადმი: "ქართველი ხალხის სისხლი არავის შერჩენია. ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიდაღა ქართველი ხალხის სისხლში გავლებული ხელები. ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე"

თავი V. ფინანსპარტიკულარიზმი კ.გამსახურდიას ისტორიულ პროზაში

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის აღმავალი, პროგრესული ძალები გაერთიანებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ სხვადასხვა კუთხეების ლტოლვას ერთმეფობის დამკვიდრებისაკენ მნიშვნელოვნად ხელს უშლიდა რამდენიმე ფაქტორი. უწინარეს ყოვლისა, საქართველოს გაერთიანებას აფერხებდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ამავე დროს ქართველი ხალხის გაეთქვეფლად შენახვის ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზიც იყო.

კ.გამსახურდიას რწმენით, თუ ქართველთა თესლი არაქართველ რასათა წიაღში არ გაითქვიფა, ამის მიზეზი ერის რასიული, იდიომურ და ეთნიურ ობლობასთან ერთად ქვეყნის მიუვალი ადგილმდებარეობაც იყო. "არმენიზმის ძლიერი ტალღებით მცირე აზიიდან გამოძევებული ქართველობა ზურგით კავკასიონს მიეყრდნო და ისეთ ორწოხებში შეიფარა თავი, სადაც უცხო თესლის შემოჭრა არც ისე ადვილი იყო. ჩრდილოეთით არ გვყოლია ისეთ თემთა მასები, რომელთა რიცხობრივი უპირატესობით ჩვენი შერევის ან გათქვეფის შესაძლებლობა ანგარიშგასაწევი ყოფილიყო"[1].

მაგრამ თუ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქართველი ერის გენისა და სახის გადარჩენაში, ამავე დროს ის "დიდად აფერხებდა ჩვენი პროვინციების ცენტრალიზაციას და მცნების "ქართველობის" ფესვის გამაგრების საქმეს. ლიხის მთა ის ფატალური ზღუდე იყო ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში, რომელმაც სასწორზე დააყენა ქართველობის მეტროპოლიის მცხეთა-თბილისის ბედი და მთელი საქართველოს ისტორიული ცხოვრების არტერიების თბილისში ერთ ფოკუსში თავმოყრას, კონცენტრაციას ხელი შეუშალა"[2]

თუ ლიხის მთა, ერთის მხრივ, იყო გადაულახავი ზღუდე მტრისათვის, რომელსაც ვერც არაბებმა და ვერც მონღოლებმა ვერ გა-

დაალაჯეს თავისი ნაქები მხედრობით, მეორეს მხრივ, ის სულიერად ბზარავდა და აოხრებდა მთლიან საქართველოს, არღვევდა ერის ერთიან ეროვნულ ცნობიერებას და სწორი ორიენტაციის არჩევის საშუალებას არ იძლეოდა.

ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად საქართველოს გაერთიანებას ძალუმად აფერხებდა შინაარეულობა და ფეოდალური დაქსაქსულობა. შინაპარტიკულარიზმი, რომელიც ფეოდალური საზოგადოებისათვის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენდა, მთელი სისრულით გამოვლინდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. კ.გამსახურდიამაც გვერდი ვერ აუქცია ამ მოვლენას და თავის მხატვრულ პროზაში თუ პუბლიცისტიკაში საგანგებოდ მიუთითებდა იმ დამღუპველ როლზე, რასაც ასრულებდა შინაპარტიკულარიზმი სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე. მწერალი ერთგან წერს: "მთელი საქართველოს ისტორიის მაგალითი ამას გვიდასტურებს, რომ ერი სრულასაკოვანი ხდება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა დაქსაქსული საერისთავოების, სამთავროების, საჰერცოგოების ნაცვლად ერთმეფობა აღმოცენდება"[3]

[კ.გამსახურდიას ისტორიულ რომანში "დიდოსტატის მარჯვენა" ფეოდალური საქართველოს ის ეპოქაა ასახული, როდესაც გაძლიერებული ცენტრალიზებული სახელმწიფო თანდათან უმორჩილებდა მეფის ხელისუფლებას თავნება ფეოდალებს, რომლებიც თავის მხრივ შეუზღუდველი პრივილეგიების დაკარგვის შიშით შეპყრობილნი, პარტიკულარისტულ გამოსვლებს აწყობდნენ]

რომანის სიუჟეტური ქარგა მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას მოიცავს. ამ დროისათვის საქართველო ძირითადად ცენტრალიზირებული სახელმწიფოა და მისი განმტკიცება მეტწილად საშინაო აპარატის მოწესრიგებაზე უფრო იყო დამოკიდებული. ამიტომაც მწერალს თითქმის არ ალუწერია გარეპოლიტიკური ომები და აქცენტი გიორგისეულ საქართველოს შინაურ ვითარებაზე შეაჩერა. ამის გამო მწერალს ხშირად საყვედურობდნენ. უნიათო კრიტიკოსები კი ნიშ-

ნისმოგებით ჟკიჟინებდნენ, თუ რად ჭრ ასახა მწერალმა გარეჭოლიტიკური ომები და რატომ დაუთმო მომეტებული ყურადღება შინაურ ამბოხებათა ჩაქრობის მომენტებს. როგორც თავად მწერალი აღნიშნავს, მან ეს შეგნებულად ჩაიდინა, ვინაიდან "შინაპოლიტიკური ვითარებანი სწყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს. მსოფლიო ისტორია ამის მოწმეა თავად, არც ერთი ნაციონალური გაერთიანება, არც ერთი სახელმწიფო მარტოოდენ გარეპოლიტიკური ინვაზიების შედეგად არ დარღვეულა. შინაური გათიშვისა და ზნეობრივი დეგრადაციის მეოხებით დაილუპა ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, საკეისრო ბიზანტიისა, რუსუდანისა და ლაშა გიორგის სახელმწიფოცა"[4].

მწერალმა აქცენტი თავის რომანში გიორგი პირველისეულ საქართველოს შინაურ ვითარებაზე იმადაც შეაჩერა, რომ ისტორიულ ანალებში ხაზგასმულად იყო მითითებული ის უმთავრესი მიზეზი, რამაც გამოიწვია ქართველთა მარცხი ბიზანტიასთან. "...ჩემს მიერ "დიდოსტატში" ასახულ ეპოქაში რომ კუთხური და ფეოდალური პარტიკულარიზმი ძლიერი იყო, ამას მოწმობს თვით ქრონიკა. აზნაურთა ამ ამბოხსა და უთანხმოებას მიაწერს ანალისტი გიორგი პირველის დამარცხებას ბერძნებთან ომში. მე შეგნებულად ავირჩიე ეს ეპოქა"[5]

კ.გამსახურდიას, როგორც ისტორიაში ღრმად ჩახედულ პიროვნებას, კარგად მოეხსენებოდა, რომ მრავალი დიდი სახელმწიფო მიწის პირისაგან აღიგავა იმის გამო, რომ შინაგან განსხეულებას თავი ვერ დააღწიეს. "კატასტროფა ეროვნული სახელმწიფოსი მუდამ შინაგან ძალთა რესურსების ამოწურვითა და გახრწნით იწყებოდა"[6] ამიტომაცაა, რომ მწერალი სწორედ ამ გარემოებაზე ახდენს აქცენტირებას.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აქილევსის ჭუსლი სწორედ ეს შინაგანი განხეთქილება იყო. ციხესიმაგრეში გამაგრებულ ფეოდალს მეფისადმი არავითარი დამორჩილების სურვილი არ გააჩნდა. ვიწრო, პირადული ინტერესებიდან გამომდი-

ნარე, თავნება ფეოდალები ვერ წვდებოდნენ იმ ჭეშმარიტ აზრს, რომ ერთმეფობა სახელმწიფოებრიობის შეუვალობის აუცილებელ გარანტიას წარმოადგენდა. თუმცა ეს კარგად იცოდნენ ქართველმა მეფეებმა და ისინი იმთავითვე ლამობდნენ პარტიკულარიზმის ალაგმვას.

[რომანში შინაური ომის მოთავენი მთიელები — ფხოველები და არაგველები არიან, რომელთაც ამ ბრძოლაში ზურგს უმაგრებენ წანარები, ოვსები და სხვა მთიელები] საერთოდ "საქართველოს მთიანეთი მუდამ ეურჩებოდა ქართველ მეფეებს, რომელთაც ეწადათ საქართველოს პოლიტიკური ცენტრალიზება". თამარ მეფის დროსაც გაილაშქრეს მთიელებმა ერთმეფობის წინააღმდეგ. განაპირების და განდგომის ნიაზი მათ არც შემდგომ განელებიათ. კ.გამსახურდიას შენიშვნით "არც გიორგი პირველის დროს შეწყვეტილა, ერთის მხრივ, ბრძოლა საქართველოს ერთმეფობისა და ფეოდალების უთავეამო ამბოხი"[7]

[დიდოსტატის მარჯვენაში" მეამბოხეები საერთო ზრახვით არიან გაერთიანებულნი — ყოველგვარი საშუალებით სამეფო ტახტს მოაცილონ მისი კანონიერი მფლობელი მეფე გიორგი და თავად გახდნენ ქვეყნის გამგებელნი] მაგრამ საკუთრივ ამ განზრახვის სააშკარაოზე გამოტანას ერიდებიან ფხოველნი და არაგველნი, ვინაიდან ბრძოლის ამგვარი ხერხი ნათელს გახდიდა მათ მთავარ მიზანდასახულობას. ასეთ შემთხვევაში კი მეფის მახვილი ორმაგად დაუნდობელი შეიქმნებოდა ორგულთათვის, რადგანაც წმიერი მოდუნება, სამეფო ტახტის დაკარგვის მომასწავებელი შეიქმნებოდა უსათუოდ. ასე რომ, ბრძოლის შეუნიღბავი ხასიათი შეთქმულთა მიწის პირიდან აღგვის საწინდარი გახდებოდა იმთავითვე.

რომანში ფხოველთა და არაგველთა სამი ამბოხებაა აღწერილი. მიუხედავად იმისა, რომ მთიელები მრავალ საბაბს მიმართავენ შინაური შფოთის დასაწყებად, საერთო ჯამში [ისინ] ერთ ფოკუსში იყრიან თავს — [ბრძოლის ფარული, შენიღბული ხასიათით ბალავარი შეურყიონ სამეფო კარის სიმტკიცეს და მიმდინარე მომენტის პირობებში იავარჰყონ ის სრულიად]

პირველი გამოსვლა, რომელიც ეკლესია-მონასტრების ალაგმვით და წარმართული კერპების აღდგენით მიმდინარეობს, მთიელთა საბრძოლო პროგრამის პირველ ეტაპად უნდა ჩაითვალოს. ცხადი იყო, რომ ისინი წარმართული სალოცავების განახლებას არ ცდილობდნენ. ბრძოლის ამგვარი ფორმა მისი შემდგომი ეტაპის განგრძობისათვის თადარიგის დაჭერა იყო მხოლოდ, ვინაიდან "ეკლესიების შემუსვრა მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვას მოასწავებდა" შორსგამიზნული ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. პირველი ამბოხების მარცხით გულდამწვარი ტოხაისძე ასე გაუმხელს თავის გულის ზრახვას მამამზე ერისთავს: "გვინდოდა მე და კოლონკელიძეს მეფე გიორგი შეგვეპყრო, ჭიაბერი ტახტზე დაგვესვა, მცხეთას ავიღებდით, უფლისციხეს შემოვეწყობოდით, თმოგვის ციხეს ავიღებდით და ციხეს ფანასკერტისას"

[პირველი ამბოხებისათვის ჯეროვნად მოემზადნენ განდგომილი ფეოდალები] თითოეულ მათგანს კონკრეტული მისია ჰქონდა დაკისრებული. ასე მაგალითად, [მეფესთან სტუმრად მოსულ მამამზე ერისთავს სამეფო "სპათა საომარი მზაობა" უნდა დაეზვერა, რათა ყოველივე ემცნო თანამზრახველთათვის აჯანყების სხვა მოთავეებმა კოლონკელიძემ და ჭიაბერმა საბრძოლო წარმოდგენა გაითამაშეს. არაგვის ხეობას შესეული კოლონკელიძე მარტოოდენ ხატების შემუსვრითა და ეკლესიების გადაწვით იფარგლება. მოწინააღმდეგის მხრიდან ოციოდე მეომრის მსუბუქად დაკოდვა ააშკარავებს მათ შორის გამართული ომის მოჩვენებით ხასიათს. ბრძოლის ამგვარი ფანდით მათ სურდათ, რათა მოედუნებინათ მისი პოლიტიკური სიფხიზლე და აეცილებინათ თავიდან, წინასწარ დაგეგმილი ზრახვის — ერთიანი ძალებით მცხეთის დალაშქვრის მოსალოდნელი მარცხის საშიშროება.

მაგრამ ამაო გამოდგა დიდგვაროვანთა მცდელობა. მეფე გიორგისათვის ცხადი შეიქმნა მამამზე ერისთავის სტუმრობის ნამდვილი მისია. ისიც მოხსენდა მეფეს ზვიადისაგან, რომ კოლონკელიძე თავისი ლაშქრით მამამზე ერისთავის საბრძანებელს შესევია დათქმულისამებრ, "ეკლესიები გადაუბუგავს, ხატები შეუმუსრავს. ხუცები

და ბერები სამრეკლოზე დაუკიდნია თოკით, ბორცვებზე ბომონები ალუმართავთ კვლავ, არაგველებიც შეერთებიან ფხოველთა და მათთა მიმყოლთა, ღამეები უთევებიათ კერპებისათვის, ძენი და ასულნი შეეწირავთ უძველესს წესისამებრ".

ქრისტიანობასა და კერპთაყვანისმცემლობას შორის ატეხილ პერმანენტულ ომში გიორგი შორს ჭვრეტდა ფრიად. მან კარგად უწყოდა, რომ ქრისტეს სჯული საფარველი იყო ამ შემთხვევაში". მეფემ იცის, რომ "არც მამამზე და არც მისი ვაჟი ჭიაბერი გულით ქრისტიანები არ იყვნენ. საქართველოს მეფისათვის თვალის ასახვევად ხატებითა და ჯვრებით ჰქონდათ მორთული ქორსატეველას ციხე-დარბაზი და კარის ეკლესია. მიუვალ მთებში წარმართული ბომონები ჰქონდათ მცხოვანებში ალმართული და იქ ლოცულობდნენ თავად" შინაგამცემთა მთავარი ზრახვა მეფისათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრძოლის ამ მონაკვეთში სიფხიზლეს, წინდახედულებას იჩენს და ქრისტეს ჯვრის მეოხებით ცდილობს მათ დაშოშმინებას. მეფეს კარგად მოეხსენებოდა, რომ შინაური შფოთის დაწყებას მთიელები მარტოოდენ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ვერ შესძლებდნენ. ბიზანტიის კეისარი ან სარკინოზების ამირა იყო მათი თავმდები, რომლებიც თავიანთ საგარეო პოლიტიკურ დასაყრდენს ქვეგამხედვართა საქმიანობაში ეძებდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ შინაარეულობაში მოქცეული საქართველო პოლიტიკურ ჩიხში მოექციათ. გარდა ამისა, ჭიაბერი ახალი მობრუნებული იყო ბიზანტიიდან და გამორიცხული არ იყო, რომ ბასილ კეისართან სამხედრო კავშირი ჰქონოდა დადებული. ამ შემთხვევაში მეფეს ორ ფრონტზე მოუხდებოდა ბრძოლა, რაც მას მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამიტომაც მეფემ მეამბოხეთ ამ შემთხვევაში "ჯვრის ლაშქრობა" აკმარა მხოლოდ. ამგვარი ფანდით მეფე ბიზანტიასთანაც კეთილმეზობლურ ურთიერთობას აღადგენდა, რადგანაც "კეისართან ზავის დარღვევას გაურბოდა გიორგი", ამასთან ერთად "...ბიზანტიისათვის თვალის ასახვევად დაუცხრომლად აგებდა ქრისტია-

ნულ ტაძრებსა და მახვილით ავრცელებდა მთელს კავკასიონში ქრისტეს სჯულს"

თავის მხრივ მეფის მიერ ქრისტეს სჯულის გავრცელება საქართველოში მარტოოდენ ბიზანტიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მიზეზით როდი იყო განპირობებული. მან კარგად იცოდა, რომ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება ქმნიდა მყარ ნიადაგს ერთიანი ქვეყნის განსამტკიცებლად, ვინაიდან სჯულის ერთიანობა ბევრწილად განაპირობებდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. თუმცა "გიორგისაც შერყეული ჰქონდა რწმენა. არაბი ბაზიერნი უწვრთნიდნენ მას მიმინოებს, ხოლო ფარსმან სპარსთან ღამეული საუბრების დროს იგი დიდის გულისყურით ისმენდა მისგან პლატონის სწავლას სულთა გადავლენისათვის" მაგრამ მეფე გიორგი ერთიანი საქართველოს მთავარ დულაბად მაინც ქრისტიანობას ხედავს და სწორედ ქრისტეს სახელით ლაშქრობს ფხოვში, ქრისტესა და ერთიანი საქართველოს სახელით"[8]. მაგრამ არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, მან ქრისტეს სჯული ნაციონალური იდეოლოგიის იარაღად გაიხადა და განდგომილ დიდგვაროვანთა ბედი სვეტიცხოვლის საოცარ ყოვლისშემძლეობას მიანდო (ცხადია, არა ბრმად). ამ პოლიტიკური ხრიკით მეფე ბიზანტიასთან არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობას შეანელებდა და სვეტიცხოვლის მიერ საოცრების ჩადენა (ჭიაბერის მოკვდინება) ქრისტეს სჯულს და მეფის ხელისუფლებას განამტკიცებდა აჯანყებულებში დროებით მაინც.

ამ გზით მეფე ძმათა შორის მოსალოდნელ სისხლისღვრასაც აიცდენდა თავიდან მტერმაც და მოყვარემაც კარგად უწყოდა, რომ "ულიშო იყო გიორგი, ვითარცა უხორცო", მაგრამ ეს გარეშე მტრებთან ომებში. ხოლო საერისთავოებში სისხლისღვრას გაურბოდა იგი. ამადაც დაიარება მდაბიოს სამოსელში გადაცმული მეფე საკუთარ სამფლობელოებში, რათა საკუთრივ დარწმუნდეს მოსალოდნელი აჯანყების რეალურობაში და უნებლიეთ ძმათა სისხლით არ შეღებოს ურჯულოთა წინააღმდეგ აღმართული მახვილი. შინაური შფოთის თავიდან ასაცილებლად მეფე პირად საფრთხესაც არ ერიდება და ერ-

თხელაც იყო ლამის არ მოჰკლეს ფხოველებმა ხატობაზე. ქართველთა მეფეს "ომი დიახაც ენატრებოდა, მაგრამ არა შინაური, არამედ გარეშე მტერთან, შინაური ომები სძაგდა ჟამის დღესავით მეფეს" ქვეყნის ერთიანობის სახელით მეფე მრავალ ხერხს მიმართავს, "რათა უსაზმნოდ არ დაღვრილიყო სისხლი" მეფე გიორგის შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო. ფარსმან სპარსის მიერ დამზადებულმა საწამლავმა იმსხვერპლა ჭიაბერის სიცოცხლე. ამ ფაქტმა საგონებელში ჩააგდო არა მარტო მთიელები, არამედ სრულიად კავკასიონის წარმართნი. საშინლად მოტყდა მამამზე ერისთავი, "მანაც დაიჯერა ეს სასწაული. იმ დღესვე აღსარების ნება სთხოვა მელქისედეკს და აღიარა თავისი და ჭიაბერის თანაზიარობა ფხოველთა ამბოხში". თალაგვა კოლონკელიძეც დააფიქრა ჭიაბერის უეცარმა სიკვდილმა. ის ფსალმუნის კითხვას მიეძალა, "კვეტარის ბასტიონის ზეთავზე აღამართინა ჯვარი". სასწაულმოქმედი ძელისცხოვლის დახმარებით კათალიკოსმა მონასტრები და ეკლესიები აღადგინა და ისევ ქრისტეს სჯულზე მოაქცია წარმართნი. ყოველივე ამის შედეგად მშვიდობამ დაისადგურა საქართველოში.

ფხოველთა და არაგველთა პირველი გამოსვლის ჯვრის მეოხებით დათრგუნვის მომხრეა კათალიკოსი, რომელიც მიუხედავად ავადმყოფობისა, საერისთავოებში წასვლას არჩევს ძმათა შორის ზავის ჩამოსაგდებად. "არა ბრძანებულ არს უფლისგან მახვილის აღება, ხამს სახარებითა და პატიოსანითა ჯვრითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტ განდგომილთა, რამეთუ ძელიცხოველის ჯვარი პატიოსანი არს მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ და ძალმან მისმან განანათლოს ბნელი იგი გულითა მათთა". ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ კათალიკოსს სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვა და თავდადება თავისი ცხოვრების უპირველეს მოვალეობად გაუხდია, "არც მე მწადის საქართველოს დაქცევის მოწმე რომ გავხდე, უმალ დამესებია ეს თვალნი და ყურნი დამგმანია, სმენად ბოძებულნი უფლისა მიერ, რამეთუ ნეტარ არიან იგინი ვისაც სიკვდილი უმალ უწევს ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოს თვისის იავარყო-

ფას". სახელმწიფო აპარატის გაძლიერების და მისი მთლიანობის შენარჩუნების აუცილებელ პირობას კი მელქისედეკი უპირველეს ყოვლისა ზნეობრივი ნორმების დაცვაში და სჯულის ერთიანობაში ხედავს. ამიტომაც მეომრული სულით გონებაარეულ ზვიად სპასალარს ასე მიუგებს ღვთისმსახური: "უსჯულოება-მოძალებულ არს საქრისტიანობა ზედა, ასეთ დროს სჯულის სიმტკიცე და ზნეობის სისპეტაკე თუ ვერ შევინარჩუნეთ, ვერას გვიშველის ის ციხეები, რომელთაც მეოხებითა მეფისათა აშენებ, ზვიად ბატონო შენ" ზნეობრივი დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლას და ქრისტესაგან განდგომილთ მოქცევას მელქისედეკი სწორედ ჯვრის მეოხებით ცდილობს, ვინაიდან სახელმწიფოს დაცემა, მისი აზრით, ერის ისტორიულად გამომუშავებული მორალურ-ეთიკური ნორმების წახდენით იწყება. მაგრამ მთიელთა ხელმეორედ გამოსვლამ ის დაარწმუნა, რომ "არ გასწორდებაო კუდი ძაღლისა, არცა კირჩხიბი იწყებსო მართლად სვლას" და მეფის პოზიციას იკავებს მახვილის მეშვეობით ქვეგამხედვართა შორსგამიზნული ზრახვების დასაოკებლად.

ამრიგად, მეფე გიორგი და კათალიკოსი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ლავირებენ მახვილისა და ჯვრის მეშვეობით, რათა უმნიშვნელო მსხვერპლის საფასურად აღკვეთონ შინაამლილობა და ამით ხელი შეუწყონ ქვეყნის სახელმწიფოებრივი ბირთვის გაძლიერებას.

მთიელნი, პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებულნიც, ცდილობდნენ შინაური ომის გამართვას. არგვეთის საერისთაოს სახლთუხუცესი ტოხაისძე ქართული კულტურის "ზსნას" ცდილობს ბერძნული კულტურის მოძალებისაგან. "ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმოთ და მათ ეკლესიებში ვილოცოთ, წინაპართა ჩვენი სალოცავები შეგვიმუსრეს, თავიანთი ხატები და ჯვრები შემოგვაჩეჩეს ხელში.

ბერძნებს ეს სწადით, ჩვენი ენა დაგვავიწყონ და მათი შემოგვჩარონ პირში. ჩვენი სამოსი ჩამოგვაძარცვონ. მათი ჩავიცვათ". ტოხაისძის გალაშქრება ყოველგვარი უცხოურობის წინააღმდეგ მოჩვენებით ხასიათს ატარებს. მან კარგად უწყის "რომ, თავად მეფეც ბიზან-

ტიის მტერია". მაგრამ მაინც უცხადებს ბრძოლას, ვინაიდან, მისი აზრით, მეფე გიორგი "შელქისედეკ კათალიკოსსა და ფარსმან სპარსს შორის ირყევა მუდამ". რაც არ აძლევს მას საშუალებას ერთი რელიგიური მრწამსის ქვეშ მოაქციოს მთლიანი საქართველო. თუმცაღა მეფის მიმართ წაყენებული ეს ბრალდება ფარისეველურ ხასიათს ატარებს, რადგანაც ტოხაისძეს შესანიშნავად აქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მეფეს, წარმართული რელიგია რომც გაეხადა გაბატონებულ იდეოლოგიად, ისინი მაინც წამოიწყებდნენ შინაურ შფოთს, ვინაიდან რელიგიური უთანხმოების მიღმა სამეფო კარის დაუფლების სურვილი იმალებოდა.

ამგვარად, მეორე ამბოხიც ასევე ითვალისწინებს ქრისტიანი მეფის ტახტიდან ჩამოგდებას და კერპთაყვანისმცემლობის აღდგენას. ამ ბრძოლის საბაბი კი მეფის მიერ "მზაკვრულად" მოკლული ჭიაბერის სისხლის აღება იყო. ამადაც ეუბნებოდა მამამზე ერისთავი ტოხაისძეს, "შემომფიცე, შავლეგ, რომ მხოლოდ იმისთვის ვიცოცხლოთ, ჭიაბერის სისხლი ვაზღვევინოთ მეფე გიორგის". თავად ტოხაისძეს კი სურს შურისძიების აქტი სისრულეში მოიყვანოს, მოწამლული ღვინოც შემზადებული ჰქონდა საგანგებოდ მეფისათვის, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მას გამბედაობამ უღალატა, "რადგან ერჩია სხვისი ხელით მოგლეჯა ნარისა"

მესამე ამბოხება თავისი ჩანაფიქრით და ხასიათით ისეთი მასშტაბური არაა, როგორც წინა პირველი ორი. მეამბოხეთა შორის უნდობლობამ დაისადგურა. მათ შორის არ სუფევს ერთიანობა და თანხმობა. მთიელები დაწყებულ საქმეს ანგარიშმიუცემლად აგრძელებენ. გაუთავებელმა ომებმა დააუძლურა ისინი და არაქათგამოლეულთ სამეფო ტახტის დაუფლების სურვილი არ ამოძრავებთ. მართალია, მამამზე ერისთავს მიემხრნენ ფხოვის ხევისბერები, წანარნიც და ოვსნიც თანადგომას უწევდნენ მეამბოხე ერისთავს, მაგრამ ამჯერად ისინი მცხეთისა და უფლისციხის გარემოცვით არ იმუქრებიან და ქორსატეველას ციხის გამაგრებაზე უფრო ზრუნავენ. მამამზე ერისთავს მხოლოდ შურისძიება ამოძრავებს. ამ საბაბით შეიპ-

ყრობს ჭიაბერზე "ცუდად მგლოვიარე" შორენას, რათა ამ ფანდით ქორსატეველას ციხეში შემოიტყუოს მეფე და შვილის სისხლი აზღვევინოს ათმაგად. მეფემაც შეამჩნია, რომ მამამზე ერისთავის ეს გამომწვევი თავხედობა ომის საბაბის ძიება იყო ოდენ.

ამრიგად, შინაური ომების თაოსანნი, ქრისტიანულ რელიგიასა და პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებულნი, დროთა ვითარებისდა მიხედვით ცდილობენ სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. სუბიექტურად "ისინი თავიანთი ჩანაფიქრით მთლიანი საქართველოს იდეას თითქოს არ ეწინააღმდეგებიან", მაგრამ ობიექტური თვალსაზრისით, მათი გამოსვლა სწორედ ერთიანი ქვეყნის არსებობას უქადის საფრთხეს, ვინაიდან ჩამორჩენილი ფხოველები გამარჯვების შემთხვევაში ვერ შექმნიდნენ უფრო სრულყოფილ სახელმწიფოს, ვიდრე ეს ხელეწიფებოდა ერთ, თუნდაც "გულბოროტ", მაგრამ სახელმწიფოებრივი მასშტაბით მოაზროვნე მეფეს.

რამდენადაც, შინაგამცემთა საქმიანობა ობიექტურად ქართველი ხალხის მიმართ მოღალატეობრივი აქტის ნათელი გამოვლინებაა, იმდენად ერთიანი საქართველოს თავკაცი მეფე გიორგი დაუნდობელი და სასტიკია მათ მიმართ. ორგულთა მიმართ ასეთი დამოკიდებულება შეესაბამება მეფე გიოგის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კრედოს. ერთიანი საქართველოს მეფეს ქართველი კაცის ცოდვათა შორის უმძიმეს ცოდვად სამშობლოს ღალატი მიაჩნია: "ზვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი". უგუნურ ქართველ აზნაურთა ღალატი რომ არა, შირიმნის ომში მეფე გიორგის კეისარზე გამარჯვების პაქტს სხვა საბრძოლო წარმატებები მოჰყვებოდა უცილოდ, მაგრამ განკერძოების და განაპირების სენმა, რომელიც ღრღნიდა ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზმს, მეფეს ამის საშუალება არ მისცა. მართალია, არც მეფეა უცოდველი, რამეთუ ისიც ქართველი ხალხის შვილია და მეტნაკლებად ყველა მისი ღირსებისა და ნაკლის მატარებელი, მაგრამ საკუთარი ხალხისათვის ღალატი ფიქრადაც არ გაუვლია. სამშობლოსადმი უანგარო სიყვარუ-

ლი და თავდებდება კი უმსუბუქებს მას ჩადენილ ცოდვებს. მეფის დამოკიდებულება მოღალატეთადმი სასტიკია და ულმობელი. "მოღალატეს არ უნდა შერჩეს თავი მხრებზე" — აი, მეფის დევიზი, რომლის საფუძველზეც მან საოცარი სისასტიკით აწამა სახლთუხუცესი ტოხაისძე, ხოლო მამამზე ერისთავს ძვალთა და რკინათა მკვეთელი მახვილის საიდუმლო საკუთარ თავზე გამოაცდევინა.

მეამბოხეთა დასჯას გონზე უნდა მოეყვანა კავკასიონის წარმართნი, რათა ისინი ცხადლივ დარწმუნებულიყვნენ მეფის შეუზღუდველი ხელისუფლების ცხოველმყოფელობაში, ვინაიდან მათ მიმართ ლბომიერი დამოკიდებულება საწინდარი იქნებოდა მთიელთა მხრიდან ახალი შინაური ომების გამართვისა.

სრულიად საქართველოს მეფემ ქვეყნის მთლიანობის განმტკიცების საქმეს შორენას სიყვარულიც შესწირა მსხვერპლად, მაშინ, როცა საქართველოს ერთიანობის მტერს თალაგვა კოლონკელიძეს თვალები დაუბნელა. როცა შორენა გიორგის შეეევედრება "მე მაპატიეო მამა", მეფის სახეზე თანაგრძნობის ნატამალიც არ შეიმჩნეოდა, თუმცა ის ცდილობს ფარისევლობის მეოხებით პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და მოღალატის შენდობისა და მიტევების პრიორიტეტი ზვიად სპასალარს მიაკუთვნოს. "ომში სპასალარია მბრძანებელი, მე არას მკითხავსო ზვიადი", აცხადებს მეფე.

გიორგი პირველმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ერთიანი საქართველოს განმტკიცებას შეალია, რომელიც მისგან უცილობლად მოითხოვდა შინაპარტიკულარიზმის ალაგმვას. ამდენად, მის მიერ გამოყენებული ბრძოლის მრავალგვარი ხერხი თუ პოლიტიკური ხრიკი, სავსებით გამართლებული იყო საქართველოს საშინაო და საგარეო პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით.

შინაგამცემთა წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის საიმედო დასაყრდენს ზვიად სპასალარი წარმოადგენს, რომელიც სიძულვილითა და ზიზღით არის გამსჭვალული ქვეყნის მოღალატეთა მიმართ: "მრავალჟამიერ ჰყოს დამბადებელმან მეფობა შენი და ისარნი ესე გულსა შინა განერთხოს მეფობისა შენისა ორგულსა. წყეულიმც იყოს ყოველი

გულბოროტი და ქვეგამხედვარი ტახტისა შენისაი". მაგრამ თუ მეფე ზოგჯერ შორსგამიზნულ ლოიალურ პოლიტიკას აწარმოებს ორგულთა წინააღმდეგ, ზვიადი ყოვლად შეუბრალებელია მათ მიმართ. სპასალარი, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც მორწმუნეა, ეჭვის თვალით შესცქერის რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებულ კეთილგანწყობას, რადგანაც "...ჯვარის ძალით დამარცხებული მტერი არსად ენახა ჯერ" ზვიადს ქვეყანაში მშვიდობის დამყარების მთავარ საშუალებად ქვეგამხედვართა ალაგმვა მიაჩნია, ამადაც ურჩევს მეფეს დაჟინებით განდგომილ დიდგვაროვანთა შემუსვრას.

თუმცა აჩქარებული ნაბიჯის გადადგმა არც მას ჩვევია, რაც კარგად წარმოჩნდა ფარსმან-სპარსის საქმის განჩინებისას. საქართველოს ერთიანობის სახელით ზვიად სპასალარი მზადაა სიცოცხლე შეუნარჩუნოს ფარსმანს, როგორც სამხედრო სტრატეგი ის კარგად ხედავს, რომ ბიზანტიასთან ურთიერთობა დღითიდღე იძაბებოდა. ამაში ბიზანტიელი დიდებულების ფოქას და ქსიფეს მიერ მოწყობილმა ამბოხებამაც ითამაშა გარკვეული როლი, რომელშიაც ქართველი მეფეც ღებულობდა მონაწილეობას ფარულად. "გიორგი პირველს ეშინოდა ბასილი ბულგართა მმუსვრელს არ დაეპყრო საქართველო ისევე, როგორც იმჟამინდელი სომხეთი შეიერთა და ამიტომ ხან ბიზანტიელ აჯანყებულ ფეოდალებთან ჰქონდა კავშირი, ხან სარკინოზების ხალიფასთან" ბასილ კეისარს არ გამოჰპარვია მეფე გიორგი ზრახვანი და უნდობლობის ნიშნად ერთ-ერთი სასიკვდილოდ დასჯილი მეამბოხის ფოკას მოკვეთილი თავი გაუგზავნა მეფეს.

ამას მოჰყვა ვასპურაკანის პროვინციის მმართველის "კომნინის შეთქმულება". კეისარმა დასაჯა კომნინი, მასთან ერთად შვიდ პატრიციუსს ამოსთხარა თვალები. გარდა ამისა მან დაიჯერა დამბეზღებლების მოთქმანი მეფე გიორგისა და სტრატიგ კომნენს შორის არსებული სამხედრო კაშირის შესახებ და საგანგებოდ შეთითხნილი შეთქმულება საქართველოსთან ახალი ომის დაწყების საბაბად გამოიყენა. საქართველო ახალი განსაცდელის წინაშე დადგა. მტერი ხომალდებსაც აგებდა გამალებით და ზღვიდანაც აპირებდა საქარ-

თველოში შემოჭრას. ზვიადი ამჩნევდა "კომნინის შეთქმულება" საქართველოსაკენ მოღერილი მახვილის ალესვას მოასწავებდა მხოლოდ. ეკლესიათა მშენებელი დიახაც მოიძებნა, მაგრამ მეფისა და სპასალარის გარდა არავინ უწყოდა, რომ რკინათა მკვეთელ ხმალთა საიდუმლო ერთმა ფარსმანმა იცოდა მხოლოდ. გარდა ამისა, არც საქართველოში, არც წინა აზიაში ფარსმანზე უფრო დიდი მცოდნე ციხეთ მშენებლობისა ზვიად სპასალარს არ ეგულებოდა.

ასეთ დროს ფარსმანის დასჯა არ იქნებოდა მართებული და ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ზვიად სპასალარის ხელშეწყობითა და თანადგომით ფარსმანი შეწყალებულ იქნა. მის მიერ გამოწრთობილ ცეცხლისმფრქვეველ ჯავარდნებს გარეშე თუ შინაური მტრისათვის მხრეებზე თავები არ უნდა შეერჩინა, სწორედ ფარსმანის გამოჭედილი მახვილით სძლია მეფე გიორგიმ ამბოხებულ გოდერძი ქალანდაურს, რომელსაც მეფესთან გააფთრებულ ბრძოლაში ხმლის ვადა შერჩა ხელში. სიმბოლურად, მეფისა და მეამბოხის ეს ბრძოლა წინასწარვე მიგვანიშნებს ქვეგამხედვართა მოსალოდნელ მარცხზე. ასეთი საქვეყნო და პოლიტიკური იდეალები ამოძრავებს ზვიად სპასალარს.

შეთქმულთა წინააღმდეგ მთელი არსებით ილაშქრებს არსაკიძე, რომელმაც თავისი პირადი ბედნიერება დასთმო და ყოველივე საქართველოს ერთიანობას ანაცვალა. შურისძიების გრძნობამ გონება და გული დაუხშო შორენას და შინაური მტრების იდეური თანამზრახველი გახადა ის. ასეთი ფიცით მიმართავს ის ხევისბერებს: "დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის. მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმალს შემოვირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გავუძღვები წითელი დროშით". ამდენად, შორენა, მისდა უნებლიეთ, საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგია, რომლის თავგამოდებული დამცველი არსაკიძეა, ამადაც არ ძალუძს ხუროთმოძღვარს შორენას ბედის გაზიარება, ვინაიდან ამ შემთხვევაში მისი ეს

ნაბიჯი ერთიანი საქართველოს იდეის ღალატის ტოლფასი იქნებოდა.

შორენას ბედნიერებამ თუ მოითხოვა, შეიძლება სვეტიცხოველიც გასწიროს არსაკიძემ, მაგრამ "უმთავრესს" ხელოვანი ერთიანი საქართველოს აუცილებლობაში და მის განმტკიცებაში ხედავს. ამადაც ეუბნება არსაკიძე შორენას: "შენმა ბედნიერებამ თუ მოითხოვა, სვეტიცხოველსაც გავწირავდი ალბათ, მაგრამ უმთავრესი მაინც ეგაა, ადამიანებს ასე ჰგონიათ, როცა ერთ უსამართლობას მეორეთი ცვლიან, მდგომარეობის შეცვლა მოუტანდეს თითქოს მათ შვებას. მე არც გიორგი მეფეს მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი, მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შეჰქმნან ამქამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ.

ჩემდა თავად მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად. ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა". ხელოვანის პოლიტიკური მრწამსი უშუალოდ ეხმიანება მწერლის მსოფლმხედველობას. კ.გამსახურდიას აზრით, ერის დალუპვა, მისი შინაგანი ძალის, განწყობილების გამოფიტვითა და ტემპერამენტის დაქვეითებით იწყება, ამიტომაც "ყოველი ერი თვითვე დაიმსახურებს ხოლმე თავის ბედსა და უბედობას. ყოველი ერი ღირსია თავისი ბედისა"[9]. არსაკიძის უარყოფითი დამოკიდებულება მეამბოხეთადმი მის პოლიტიკურ გონზე მიუთითებს. მან კარგად უწყის, რომ თვით 'შინაგამცემთა შორისაც უთანხმოება სუფევს, "რადგან გიორგი მეფისადმი სიძულვილი აერთიანებდა ხევისბერებსა და ხევისთავებს" თვალდამწვარ ერისთავთან. ასე რომ გამარჯვების შემთხვევაში პირველობის მანიით შეპყრობილნი ერთმანეთს დაერეოდნენ და "უთუოდ აირეოდა მონასტერი". არსაკიძის ეპვები ზედმიწევნით სწორი აღმოჩნდა. ხევისბერები კოლონკელიძეს გადაუდგნენ, რადგანაც ამ უკანასკნელმა არ აპატია მამამზეს ღალატი და არ შეურიგდა მას. ხევისბერები კი მეამბოხეთა თავ-

კაცების შერიგებას მიელტვოდნენ, რათა საერთო ძალით გაეტეხათ მეფე. ასე რომ, მონასტერი ჯერ კიდევ მათ მოსალოდნელ გამარჯვებამდე აირია.

კოსტანტინე არსაკიძე სახელმწიფოებრივ ძლიერებას შინააშლილობის დათრგუნვასთან ერთად ქართველურ ტომთა ერთიანობაში, თანადგომაში ხედავს. ამადაც მოუწოდებს ლაზებს იბერიელებისადმი სიყვარულს და მათდამი გაწეულ უანგარო თანადგომას შეახსენებს სარკინოზებთან და ბერძნებთან გამართულ ომებში, "...იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარნი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი".

მიუხედავად იმისა, რომ არსაკიძე იგავმოუწვდომელი ხელოვნების ნიმუშებით ამდიდრებს ქვეყნის სულიერ საგანძურს, ძნელბედობის ჟამს ის მზადაა მახვილითაც დაუმტკიცოს მშობელ ერს საკუთარი თავდადება და ერთგულება, რასაც ის ამყლავნებს შორენასთან საუბრისას: "ზვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შეეებრძოლები მტერს".

არსაკიძე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით აზროვნებს. ის ცდილობს დათრგუნოს გრძნობები, დაიოკოს გულისთქმა, რათა საქართველოს ეროვნულ მთლიანობას ბზარი არ გაუჩნდეს და ქვეყანა შინააშლილობის ცეცხლში არ გაეხვიოს. ხელოვანის ეროვნული კონცეფცია სავსებით მიესადაგება მის პოლიტიკურ საზრიანობასა და წინდახედულებას.

ამრიგად, შინაპარტიკულარისტული ომები, რომლებიც რომანში რელიგიური და პატრიოტიზმის ნიღაბქვეშ მიმდინარეობს, აუცილებლად მოითხოვდა მის მიწის პირიდან აღგვას, ჩანასახშივე მის მოსპობას. ქვეყნის მესვეურნი სხვადასხვა იარაღით იცავენ სახელმწიფო ერთიანობის იდეას. არსაკიძე ხელოვნების ენით ემსახურება ქვეყნის

მთლიანობაᲘ, მელქისედეკ კათალიკოსი ჯვრის მეოხებით ცდილობს საქართველოს ერთიანობის რღვევას სამანი დაუდოს, მეფეთ-მეფე გიორგი კი პირსისხლიანი მახვილით ხელში დარაჯობს საქართველოს სახელმწიფოებრივ შეუვალობასა და მთლიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ერის მესაჭენი და უბრალო მსახურნი განსხვავებული იარაღით იცავენ ქვეყნის ტერიტორიულ და სულიერ ერთიანობას, მათი ქმედება სრულიად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და პრინციპებს.

კ.გამსახურდიამ თავის მეორე ისტორიულ რომანში "დავით აღმაშენებელი" კონცეფციალურად უფრო განავრცო ფეოდალური საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი მარადიული პარადიგმა გზა — დამოკიდებულება ცენტრალისტურ ხელისუფლებასა და მეამბოხე ფეოდალებს შორის. მწერალმა დავით აღმაშენებლის ბრძოლა შინაპარტიკულარიზმის წინააღმდეგ რომანის სიუჟეტურ ქარგად აქცია. ცენტრალიზირებული ხელისუფლების ერთპიროვნული მართველია დავით აღმაშენებელი, ბაგრატოვანთა დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენელი. მწერალი არ მალავს თავის სიმპატიას ამ უძველესი გვარის მიმართ. "ბაგრატიონების დინასტია იყო უგანათლებულესი და უხუცესი მთელ საქრისტიანოში. ავად თუ კარგად ამ დინასტიის ხელმძღვანელობით საქართველომ გაუძლო ბარბაროსული ხალხების პერმანენტულ შემოსევას და გამუსულმანებას გადაარჩინა საქართველო"[10]

პარტიკულარისტული ტენდენციებით არიან გამსჭვალულნი რომანში ბალუაშ-ორბელიანები, ძაგან ერისთავი, კახეთის მეფენი, თრიალეთის დიდაზნაურნი და სხვანი მრავალნი. საქართველოს განსხეულების მომხრენი დაუნდობლად წეწდნენ და გლეჯდნენ ქვეყნის ეროვნულ სხეულს.

ერის ქვეგამხედვარეთა შორის გამოირჩევიან ბალუაშ-ორბელიანები, მამა-შვილი ლიპარიტი და რატი. მათ თითქოსდა მემკვიდრეობით ერგოთ ბაგრატიონთა სამეფო გვარისადმი გაუნელებელი მტრობა და შუღლი. ლიპარიტისა და რატის წინაპრები ხომ ნახევარი საუ-

ბუნის მანძილზე ებრძოდნენ ბაგრატოვანებს. ამაზე მეტყველებს რატი ორბელიანის თრიალეთელ დიდაზნაურთათვის მიმართული სიტყვები: "აზნაურნო ჩემნო, თქვენ იმათი შვილისშვილები ხართ, ვისაც არაერთგზის შეუმუსრავთ ბაგრატოვანნი... მლაშე ყოფილა ბაგრატოვანთა სისხლი, ახლაც მწყურია იგი. ბაგრატ კურაპალატი გაექცა პაპაჩემს ლიპარიტს, მე არ ვყოფილვარ ლიპარიტის ძე რატი, თუ გასაქცევი გზა დავუტოვო მეფეს". უკომპრომისო, თავდაუზოგავი ბრძოლა გამოუცხადეს ორბელიანებმა ბაგრატიონებს, რათა აღესრულებინათ მათ გერბზე წარწერილი სიტყვები: "განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა განიგდეს წილი". ჯერ კიდევ ბაგრატ IV მეფობის ჟამს ეურჩებოდნენ ორბელიანთა ძლიერი გვარის წარმომადგენლები ბაგრატიონთა შეუვალობას. არაერთგზის შეებნენ ერთმანეთს ბაგრატ IV და ლიპარიტ ორბელიანი. ბრძოლის სასწორი ხან მეფის მხარეს იხრებოდა, ხანაც — ზვიადი ფეოდალისა. იმდენად მისჭირდა საქმე მეფეს, რომ მრისხანე ერისთავის ასალაგმავად მან სამი ათასი ვარანგიც დაიხმარია.

ორ საგვარეულოს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი არც შემდგომ წლებში გენელებულა. ბაგრატ IV სიკვდილით ისარგებლა ლიპარიტ ბალუაშის ძემ ივანემ და ქვეყანა აუშალა ჯერაც მცირეწლოვან გიორგი II. ივანე ორბელიანმა "მოირთნა კახნი და დაადგა ქსნის პირსა და ნიანია წარუღო ჭუთათისისა საჭურჭლე და შედგა ჭუთათისს შიგა. და ვარდან გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვდეს საეგრო..."[11].

გიორგი II წყალობის გაღებითა და მომდორვით შეძლო მეამბოხეთა დაშოშმინება. განდგომილებს მიტაცებული ტერიტორიები დაუმტკიცა და სხვაც მრავალი უბოძა. გიორგი მეფის შემწყნარებლობის პოლიტიკამ კვლავაც ბოროტ განზრახვაზე მოაქცია ფეოდალები. ივანემ გაგის ციხე გამოსტყუა მეფეს და ფადლონს მიჰყიდა.

ქვეყნისათვის ამ ძნელბედობის ჟამს საქართველოს ახალი, მრისხანე მტერი მოევლინა. ტაოსკარს თურქნი მოადგნენ. ქვეყნის გამყიდველებმა იმთავითვე აუღეს ალღო პოლიტიკურ ვითარებას და

თურქეთის სულტანს მალიქ-შას სრული მორჩილება გამოუცხადეს. ივანე ორბელიანმა მთელი ოჯახობაც შემოავედრა დამპყრობელს, თუმცა სულტანი და ზვიადი ფეოდალი რაღაც საკითხებზე ვეღარ შეთანხმებულან. მოგვიანებით ივანე სახლეულითურთ გამოეპარა სულთანს, რომელმაც დასჯის მიზნით სამშვილდე წაჰგლიჯა ერისთავთ-ერისთავს. ივანე ორბელიანის გარდაცვალებითა და საქართველოსა და სელჯუკიანთა სასულტნოს შორის ზავის დადებით მშვიდობამ დაივანა საქართველოში. ივანე ორბელიანის ძე ლიპარიტ II პოლიტიკური ვითარების გამო ვერ ბედავდა განდგომილობას, მაგრამ რაჟამს "შოკუდა სულტანი მალიქ-შა, ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა ხვა"[12].

მართალია, დავითის ისტორიკოსი დაწვრილებით არ მიმოიხილავს ბაგრატიონთა და ორბელიანთა დაუსრულებელ კონფლიქტს, მაგრამ კ.გამსახურდიამ ამ მწირ მასალას მასშტაბური ხასიათი მიანიჭა და რომანის სიუჟეტური ღერძიც მათი უთანხმოების ფონზე ააგო. "ეს მომენტი შემთხვევით არაა ნაწარმოებში აქცენტირებული და ამით მწერალი ხაზგასმით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განმტკიცების გზაზე ყველაზე დიდი ჭირი პირველ რიგში შინაგანი გათიშულობა, პარტიკულარიზმისაკენ სწრაფვა იყო"[13]

რომანში დავითი წარმოდგენილია ისეთ კაცად, რომელმაც მთელი თავისი სულიერი მხნეობა და კაცური ვნებანი თრიალეთის შემომტკიცებას, სელჯუკიანთა მარბიელი რაზმების საქართველოს საზღვრებიდან განდევნას და ქვეყნის სულიერ აღმშენებლობას მოახმარა. "დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და რელიგიურ-კულტურული ერთიანობა — ეს არის დავით აღმაშენებლის ბრძოლისა და მოღვაწეობის მიზანი. ეს არის ერის სულისკვეთებაც"[14].

მწერალი თავიდანვე გვიხასიათებს ლიპარიტ ორბელიანის ძლიერ საგვარეულოს მიზნებსა და სურვილებს. ბალუაშებს ერთადერთი — ტახტის მიტაცების ნიაზი ამოძრავებთ და ამ მიზნის მისაღწევად ყველანაირ საშუალებას მიმართავენ. განკერძოებაში და მეფისადმი

ორგულობაში მათ ხელს უწყობდა ფრიალეთის ადგილმდებარეობა და ხალხმრავლობა. მწერალი ასე აღწერს ბალუაშთა საერისთაოს: "საქართველოს ერთობლივობის მტერთა შორის თრიალეთის საერისთავო იყო ყველაზე ხალხმრავალი. შეუპოვარნი იყვნენ ბრძოლაში როგორც ლიპარიტი და რატი, ისე თრიალეთელნი აზნაურნიცა. მძიმედ შეჭურვილნი ლაშქარნი ჰყავდათ, კარგად გაწვრთნილნი მონასპანი, შეუვალ ქარაფებზე აღმართულნი ციხენი ჰქონდათ, გარდა ამისა მწედ ჰყავდათ თრიალეთის გოროზი ბუნება"

ასეთი ძლიერი კუთხის დამორჩილება და ქვეყნის ერთიან არტახებში მოქცევა მართლაც დიდ ძალისხმევასა და სულიერ სიმტკიცეს მოითხოვდა დავითისაგან. მას უნდა აღესრულებინა ის, რაც ვერ განახორციელა პაპამისმა ბაგრატ IV და მამამისმა გიორგი II. თუმცა ოდენ ბალუაშთა ალაგმვა როდი იყო საკმარისი შინააშლილობის აღმოსაფხვრელად. მათთან ერთად "კახეთ-ჰერეთის მეფენი და აბაზაისძენი სწეწდნენ საქართველოს. მრუში ეპისკოპოსები თანამდებობებით ვაჭრობდნენ. ბნელად მოსჩანდა უფლისწულის მერმისი". ბაგრატოვანთა და ორბელიანთა შორის ატეხილ პერმანენტულ ომში აქტიურ შემრიგებლურ პოზიციას ბიზანტია ადგა, თუმცა ბერძენი კეისრების თავგამოდება შემრიგებლის როლზე მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. მემატიანე არაერთგზის მიუთითებს იმ გარემოებაზე, თუ რა ხშირად მიმოდიოდნენ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ბაგრატიონები და ორბელიანები, კეისრებისაგან სამხედრო დახმარების იმედით აღვსილნი. ლიპარიტ I ბერძენთა დახმარებით ერთ-ერთ ომში სასტიკად დაამარცხა ბაგრატ IV. დავითის ისტორიკოსი ასე წერს მრისხანე ფეოდალის შესახებ: "წარვიდა საბერძნეთს და ნახა ბერძენთა მეფე და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი"[15]. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბერძენთა მიერ დამარცხებული ბაგრატ IV თავშესაფარს კონსტანტინეპოლში ეძებს და სამ წელიწადს დაჰყოფს ბიზანტიის დედაქალაქში, რათა მათივე შემწეობით კვლავ დაიბრუნოს ტახტი.

ბიზანტიელებს, დიახაც რომ აწყობდათ გვირგვინოსანი მეფისა და ქვეშევრდომის გაუთავებელი შუღლი და მტრობა. ამით მათ ეძლეოდათ საშუალება აქტიურად ჩარეულიყვნენ ამ ბრძოლაში, რომელსაც ისინი "თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ, ხან ერთ მხარეს ემხრობოდნენ, ხანაც მეორეს". ამ მანიპულაციებით ისინი საქართველოს საშინაო პოლიტიკასაც აკონტროლებდნენ და ქვეყნის განსხეულებასაც უწყობდნენ ხელს. კეთილსინდისიერი შუაკაცის საქმე მხოლოდ კონსტანტინე მონომახმა იკისრა, რომელმაც ყოველგვარი ანგარების გარეშე შეარიგა ბაგრატ კურაპალატი და ლიპარიტ მესამე. თუმც ეს შერიგება არ გამოდგა მყარი და ხანგრძლივი.

დავითის სახელმწიფო ასპარეზზე გამოსვლა დიდ თურქობას დაემთხვა. თურქ-სელჩუკნი იმხანად იმდენად გაძლიერდნენ, რომ შესძლეს ბიზანტიისათვის აღმოსავლეთის ტერიტორიების წართმევა და საქართველოს საზღვრებთან მიახლოება. სულ მალე ქართული მიწაწყლის დარბევასაც მიჰყვეს ხელი: "და ესე იყო პირველი დიდი თურქობა; მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნენ მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათა"[16]. კ.გამსახურდია კი დავითის ისტორიკოსის კვალად ასე გადმოგვცემს დიდი თურქობის ამსახველ დაქცევა-გაპარტახების სურათებს. "დიდი თურქობის ჟამს გადაბუგულ სოფლებში მამლის ყივილიც არ ისმოდა, თუმცა ჩრდილისძვრა დაწყებულიყო უკვე.

ადრე ნისლით დაბლანდულ გზებზე გამოჩნდებოდა მარტოხელა, მხედარი. შუბოსან სპათა დანახვაზე შეკრთებოდა და გაჰქუსლავდა ცხენს.

სახაზინო ქვაბებისაკენ პარვით მიმავალნი მკვიდრნი ყურს მოჰკრავდნენ თუ არა ცხენების თრარათქურს მიწაზე განერთხმოდნენ, ხოხვით მიაშურებდნენ ტყეს"

საქართველოზე ზეგავლენის პრეტენზიას უკვე თურქები აცხადებენ, რომლებიც ბიზანტიელთა პოლიტიკური კურსის გამგრძელებელნი აღმოჩნდნენ. სელჩუკთა სულტნები ბიზანტიის კეისართა მსგავ-

სად ცდილობდნენ ესარგებლათ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებით და მეფესა და ქვეშევრდომებს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება ჯეროვნად გამოეყენებინათ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. მათ კარგად უწყიან, რომ შინაურ ინვაზიებში გახეულ ქვეყანას არ ძალუძს მედგარი წინააღმდეგობის გაწევა. ამადაც ურჩევნიათ დაპყრობილ სამეფოებში ფეოდალური სამთავროების გაძლიერება და მით მეფის შეუზღუდველი ძალაუფლების შეკვეცა, ვინაიდან ამგვარი პოლიტიკის გატარება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიწვევდა თავმოყვარეობაშელახული მეფისა და დიდგულა, გაამაყებული ფეოდალის ურთიერთწაკიდებას. სელჯუკიანთა ჯარების სარდალი ამირა ახმეტი ასეთ იგავსაც შეახსენებს თანამებრძოლებს საქართველოში გალაშქრების წინ: "ძაღლებთან მებრძოლმა დერვიშმა ქვები რა ვერ მოახელა, გზაზე მიმცოცავ გველს მისწვდა და გველი ესროლა გამძვინვარებულ ძაღლებს. ეს გველებიც უნდა გამოვიყენოთ იმ ძაღლების წინააღმდეგ"

თურქებს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ქართველთა "ორგანული ბუნების" არსი. მათი სურვილი და წადილი ერთია; ურთიერთს შეაბრძოლონ მუჰამედის კანონის მოძულენი და საკუთარ სისხლში ამოახრჩონ ისინი. მათ კარგად უწყიან, რომ "ერთი ხელის მოსმით ვერც ერთ ხალხს ვერ გასტეხს თვით უდიდესი მტერიცა. თუ გსურს რომელიმე უცხო ნათესავი დაიპყრო და ალაჰის მოძღვრებას აზიარო, მას ერთობლივად არ უნდა შეუტიო. ერთ ნაწილს უნდა მოეფერო და დაქრთამო, ხოლო დანარჩენი ამოსწყვიტო, რადგან ყოველი ხალხი ქვიშასა ჰგავს, ხელს წაატან თუ არა, თითებს შორის გაგიძვრება"

დამპყრობლის ამ სიტყვებში ცხადლივ მოიაზრება რომაელი სენტენციის "გათიშე და იბატონეს" ტენდენცია. ამ სენტენციის მიხედვით გარეშე მტერი შუღლს და მტრობას აგდებდა ძლიერ საგვარეულოებსა თუ სამეფოებს შორის, სარგებლობდა მათი გათიშულობითა და ურთიერთმტრობით და შემდგომ ერთმანეთთან ბრძოლით დაუძლურებულთ თავად მოუღებდა ბოლოს. ამ პოლიტიკური ხრიკით

სძლიეს სელჯუკებმა ბერძნებს, სომხებს და ებრაელებს: "რა შევნიშნავდით ორი ტომი ებრძოდა ერთმანეთს, ერთ მათგანს დავუყვავებდით, ან მოვისყიდიდით, ურთიერთს მივუსევდით, როცა ისინი ყელში სწვდებოდნენ ერთმანეთს, ორივეს მოვუთავებდით ხელს... უარეს შემთხვევაში ჩვენ განზე გავდგებოდით და წაკიდებულთა სისხლის ღვრას შევცქეროდით გულგრილად", აცხადებს სელჯუკიანთა სარდალი და ამავე პოლიტიკური მეთოდებით სურს ქართველთა ძლევა და "ურჩი" დავითის მორჯულება. მათ ნაწილობრივ მოახერხეს თავიანთი პოლიტიკური ინტრიგების განხორციელება საქართველოში. თურქების სულტანის ბარქიაროკის წაქეზებით აუჯანყდებიან ბალუაშნი კანონიერ ხელისუფლებას.

რომანში შინაპარტიკულარიზმი წარმოჩენილია ორი ასპექტით. პირველი, სეპარატისტთა მხრიდან "პოლიტიკური დამოყვრების" ფონზე სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მცდელობით, მეორე — მაჰმადის რჯულის, როგორც სეპარატისტთა პოზიციიდან სამეფო ხელისუფლებაზე ზეწოლის, და საბოლოო ჯამში, მისი იავარქმნის პოლიტიკური მექანიზმის დემონსტრირებით.

სეპარატისთა მიერ არჩეული "პოლიტიკური დამოყვრების" გზა, სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, ორი ნიშნით მიმდინარეობს. ერთის მხრივ, მეამბოხეებს სურთ დედისიმედის მეშვეობით მალიქ-შას დინასტიასთან ნათესაური კავშირის დამყარებით ძალა მოირთონ და გაიკვლიონ გზა სამეფო ტახტისკენ, მეორეს მხრივ, პოლიტიკური მოვლენების ცვალებადობა (სელჯუკიანთა სასულტნოში ჩამოგდებული შინაამლილობა, სულტანის შვილების ბარქიაროკისა და მუჰამედის ერთმანეთთან გადამტერება, თურქთაგან მოსალოდნელი დახმარების გაჟიანურება) აიძულებს ქვეგამხედვართ გარეშე მტერთან არჩეული დალხინების გზა ბაგრატიონთა დინასტიასთან შესაძლო დამოყვრების გზით შესცვალონ. ამჯერად, ისპაჰანის ტახტის საეგებიო მემკვიდრეს ბალუაშნი ბაგრატიონთა გვირგვინოსანს ამჯობინებენ. მართალია, დავითს კანონიერი ცოლი ჰყავდა, მაგრამ მასთან გაყრა შეუძლო საქმედ არ მიაჩნდა ლიპარიტ ორბელიანს, გარ-

და ამისა დავითის ტახტის მტედ გამოცხადებაც არ მოსჩანდა შორეულ და განუხორციელებელ მოვლენად, თუ ყოველივე მეამბოხეთა გეგმისამებრ წარიმართებოდა "და დედისიმედი საქართველოს დედოფალი გახდებოდა, მაშინ უმწეო ქალი მაინც შესძლებდა მოხვეჭას იმ გვირგვინისას, რომლის გამო მთელი გვარი ორბელიანთა დედაწულიანად ებრძოდნენ ბაგრატოვანებს თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე"

ამრიგად, პირველმა ამბოხებამ, რომელსაც ერთობლივი ძალით აწარმოებდნენ ბალუაშნი და კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან I, მოვლენათა მსვლელობის გამო შეფერხება განიცადა. ბალუაშნი ამბოხის აგრესიული ფორმით განგრძობაზე უარს აცხადებენ, მზად არიან გუშინდელი მოკავშირენი უღვთოდ გასწირონ და იქით დაეხმარონ ბაგრატიონებს კახეთ-ჰერეთის დანარჩენი ციხეების შემუსვრაში. ბალუაშ-ორბელიანთა ციდამტკაველური ზრახვები საბოლოო ჯამში, ერთ ფოკუსში იყრის თავს: ბაგრატიონთა სამეფო დინასტიასთან "დამოყვრების გზით" შეფარვით აისრულონ თავიანთი გულისნადები და სახელმწიფო მართვის სადავეები უგრძნეულად ჩაიგდონ ხელში.

რომანში მკაფიოდ არის წარმოჩენილი შინაპარტიკულარიზმის ალაგმვის დავითისეული უკომპრომისო ორიენტაცია, რომელიც პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად, უმთავრესად ძმათა შორის მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ჟამიდან-ჟამ შემწყნარებლურ ხასიათს ატარებს.

თავდაპირველად, უფლისწულობისას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით მოაზროვნე დავითს "მსტოვართა მიერ გაზვიადებულ ამბავად ეჩვენებოდა ოდითგანვე გაღიზიანებული მტრობა ბაგრატოვანთა და ორბელიანთა შორის". მართალია ორბელიანთა მუხანათობის გამო მრავალი რამ ჰქონდა განაგები მას, თუმცა ბევრი რამ გადაჭარბებულადაც მიაჩნდა და იმედოვნებდა რომ "მოხერხდებოდა ხიდის გადება ამ ძველ უფსკრულზე".

თუმცა დავითმა მალე აუღო ალღო არსებულ ვითარებას და მტერმოყვარეს თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა. თუ მეფე გიორგისათ-

ვის ყველა სტუმარი ღვთისაა, დავითისათვის: "ზოგი სტუმარი ღვთისაა, ზოგიც — სატანის". ის სიღრმისეულად ჩაწვდა ბალუაშთა შენიღბული ბრძოლის არსს და იმთავითვე უნდობლობა გამოუცხადა ერის ქვეგამხედვართ. სწორედ უნდობლობის ნიშნად შეახსენებდა დავითი ქარაგმულად მამამისის მიერ შევრდომილ და სამეფო სასახლეში მიწვეულ "ძვირფას სტუმრებს" თავის გულისნადებს. "ჩემი ცხენები მე უფრო მიჯერებენ, ვიდრე ერისთავთაგანი ზოგნი". მაგრამ ამჯერად, დავითს არ ძალუძს თავისი უნდობლობის პრაქტიკულად ხორცშესხმა, ვინაიდან ქვეყნის სახელმწიფოებრივი აპარატის გამგებელი ჯერაც გიორგია, რომელიც ჩვეულებისამებრ, ქრისტიანულ ღვთისმოსაობის დარად შებრალების პოლიტიკის მიმდევარია.

მეამბოხეთა მეორე გამოსვლა რელიგიის ნიშნით მიმდინარეობს, თუმცა თავიდან მასაც დამოყვრების ხასიათი აქვს მინიჭებული. თუ პირველი ამბოხებისას ერისა და ტახტის ქვეგამხედვარნი მოწადინებული არიან შეფარვით აღასრულონ განზრახული, აქ "დამოყვრების" აგრესიული ხასიათი გამოაშკარავებულია. განგებამ არ ინება დავითისა და დედისიმედის შეუღლებით სამანი დადებოდა ბაგრატოვანთა და ორბელიანთა დაუსრულებელ შუღლს. მთელმა რიგმა მოვლენებმა (რატის მიერ ჯირითზე განცდილმა მარცხმა, ნომოკანონის წესის შეულახაობამ, სელჯუკიანთა წაქეზებამ) კვლავაც განდრეკილობისაკენ მოაქცია ბალუაშნი. ისინი დედისიმედისათვის საქნიერი როლის დაკისრებით ცდილობენ კლდეკარის ციხეში შემოიტყუონ დავითი და იქ სისხლიანი ქორწილი გადაუხადონ სასიძოს. მაგრამ დავით მეფის მიერ არჩეულმა ფრთხილმა, გაწონასწორებულმა პოლიტიკამ და საკუთარ სამფლობელოში "მიკრო მეფის" სტატუსის შენარჩუნების აუცილებლობამ აიძულა ტახტის მაძიებელნი პოლიტიკური ლავირება გამოეჩინათ და სხვადასხვა საბრძოლო მეთოდები და გზები ერთიმეორისათვის შეენაცვლებინათ. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლის გზას მუსულმანურ სარწმუნოებაზე მოქცევა წარმოადგენდა.

ქრისტიანული სამეფოებისა და სამთავროების გამუსლიმება ისპაჰანის სახელმწიფო აპარატის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. სელჯუკიანთა სულტნები მთელი არსებით იყვნენ დაინტერესებული თავიანთი იდეოლოგიის მარწუხებში მოექციათ ქრისტიანი ერების წინამძღოლნი, ვინაიდან მეფეთა და ერის მთავართა ქმედებას იმხნად დიდი რეზონი მიერწყვებოდა. მათ მიერ რწმენის შეცვლა რეალურ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს, ვინაიდან ხალხთა მასების ცნობიერებაზე მაგიურად მოქმედებდა ერის წინამძღოლთა ქმედება და მოქცევა. მეფის მიერ რწმენის შეცვლა მაჰმადიანური სჯულის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებას უდრიდა, რაც თავის მხრივ, ქრისტიანი ერის სხვა უფრო დიდი ხალხის მასებში ათქვეფასა და შერწყმის საშიშროებას ქმნიდა. მაგრამ მამა-პაპათა სარწმუნოების მოღალატენი იმდენად იყვნენ დაბრმავებულნი სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, რომ არ უწყოდნენ, თუ რას იქმოდნენ და თავიანთი საქციელით სასიკვდილო სარეცელს უმზადებდნენ ქვეყანას.

ამგვარად, ქრისტიანული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შებღალვა და მაჰმადის სჯულისაკენ ლტოლვა მეამბოხეთა ცნობიერებაში აღიქმება, როგორც ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის, შეუზღუდველი მართველობის შენარჩუნებისათვის. სწორედ ამ მიზნით გაეშურა კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან პირველი ისპაჰანს, სადაც მან "დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონით აიღო სულტანისაგან კახეთი"[17]

ქრისტეს სარწმუნოება ანალოგიური მოსაზრებით უარყო აღსართან მეორემაც, რომელიც არც მებრძოლი იყო და არც მარტვილი, თავის სამეფოს კი ნაკრძალად მიიჩნევდა. სელჯუკიანთაგან დახმარების აღთქმით გულმოცემულმა ლიპარიტ ორბელიანმაც უღალატა მამა-პაპათა რწმენას და მუსლიმთა რელიგიას ეთაყვანა. მისთვის უკვე სულერთია, თუ ვის დაუმშვენებს მისი ქალიშვილი სარეცელს, "ოღონდ გადაგვარებული გვარი არ განაგრძოს ბაგრატოვანთა"

მეორე ამბოხება ისპაჰანის სულტნის პალატებში შემუშავებული გეგმით უნდა წარმართულიყო. მეამბოხეთა მიერ რწმენის შეცვლას

საქართველოს შინაურ ინვაზიებში გახვევა უნდა მოჰყოლოდა, რაც თავის მხრივ გაუადვილებდა სელჯუკიანებს მათ წინაშე დასახული ამოცანის პრაქტიკულად ხორცშესხმას.

კ.გამსახურდია რომანში დავითის სახით ქმნის მარად მოიერიშე მეფის ხატებას, რათა თვალნათლივ წარმოაჩინოს შინაპარტიკულარიზმი, როგორც ფეოდალური საქართველოს უკურნებელი სენი და დავითის აზვირთებული ენერგია მიმართული ამ სენის გასაუვნებელყოფად. ამბოხების მასშტაბურობა და ძმათა შორის სისხლისღვრის თავიდან აცილების ფაქტორი აიძულებს მეფეს, უსასტიკეს ზომებს მიმართოს მეამბოხეთა თავგასულობის დასათრგუნავად. დავითმა სწორად განსჭვრიტა და გაიაზრა ამბოხების ხასიათი, მართებულად გაითავისა მისგან მოსალოდნელი რეალური საფრთხე და ლიპარიტ ბალუაშის ცოცხლად შეპყრობითა და ძელზე გასმით ერთიანი მოქმედების გეგმა ჩაუშალა აჯანყებულებს. დავითი აქაც, დიდი პაპის, ბაგრატ IV პოლიტიკის გამგრძელებელია. როცა კლდეკარის ციხე არ დაუთმეს ბაგრატს, მეციხოვნეებმა მისი ბრძანებისამებრ "აღმართეს ძელნი და გახსნეს მას ზედა ლიპარიტ და ივანე და განწირნეს სიკუდილად"[18]. დავითიც სახელოვანი პაპის მაგალითზე ლამობს უსისხლოდ შემოიმტკიცოს თრიალეთის საერისთაო. დავითის მოქნილი პოლიტიკის მეოხებითა და ლიპარიტ ორბელიანის დილეგში გამომწყვდევით ამბოხებამ შეფერხება განიცადა და თავდაცვითი ხასიათი მიიღო. აჯანყებულნი, რატი ორბელიანის თაოსნობით, ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტნენ. ლიპარიტის დატყვევების ფაქტორმა გზა-კვალი აურია ქვეგამხედვართ და დროებით აქტიურ ომს პასიური ბრძოლის ფორმა არჩიეს. სამეფო ტახტის მაძიებელნი ამბოხის შემდგომი წინსვლის უმთავრეს წინაპირობად დავითისა და ლიპარიტ ბალუაშის მოჩვენებით შერიგებაში ხედავდნენ.

რომანში ნიშნეული და მრავლისმეტყველია ლიპარიტის და დავითის შერიგების მიზანსცენები. მეფის მოკეთენი, თავიანთი გულუბრყვილობითა და არაკეთილმოსურნეობით, შორსგამიზნული ავისმზრახველობით მეფისა და ფეოდალის შერიგებას მიელტვიან. მაგ-

რამ თუ ერთი მხარე ამ შერიგებაში ხედავს წინაპირობას საქართველოს პოლიტიკური და სულიერი გაერთიანებისა, მეორე მხარე ოდენ ვიწრო პირადი ინტერესებიდან გამომდინარე აფასებს სიტუაციას.

ბიზანტიის ორი კეისრის ცოლყოფილი მარიამ დედოფალი, მთელი არსებით ლამობს ამოავსოს ორ საგვარეულოს შორის არსებული გადაუხიდავი უფსკრული. დედოფალს გულწრფელად სურს ქვეყნის კეთილდღეობა და სულგრძელობისაკენ მოუწოდებს ძმისწულს: "მთელი საქრისტიანო დიდ განსაცდელშია. შიდა ქართლსაც ეპოტინებიან სელჯუკნი, ბიზანტიიდანაც ცუდი ამბები მომდის, ასეთ დროს არ გირჩევდი ლიპარიტისძეთა კვლავ მომდურებას".

დავითის დედა, ელენე დედოფალიც ქრისტიანულ შემწყნარებლობას შეახსენებს შვილს. ის მორალური ზნეობრიობის ჭრილიდან აფასებს ვითარებას. მისი შეგონებით ქრისტეს სიყვარულმა და ზნეობრიობისაკენ მოქცევამ უნდა განამტკიცოს სიყვარული პატრონსა და ყმას შორის. უკეთეს დღეთა დადგომის იმედით აღსავსე მეფე გიორგიც დავითს ორბელიანთა შეწყალებას ურჩევს. მისი აზრით, ოდენ მიტევებითა და სულგრძელობით უნდა მოხერხდეს ორი მოშუღლე ბანაკის შერიგება. ორბელიანებთან ძველი მტრობა და შუღლი დავიწყებას უნდა მიეცეს ერთხელ და სამუდამოდ.

"საქართველოს გაერთიანების სახელით" ცდილობენ დიდაზნაურნი და მღვდელმთავარნი ორბელიანთა და ბაგრატიონთა საგვარეულოს შორის მშვიდობის დავანებას. ბალუაშებს გულშემატკივარნი მარტო თრიალეთში როდი ჰყავდათ. მთელს სამეფოში ბევრი მოიძებნებოდა ისეთი, ვინც ჩუმ-ჩუმად თანაუგრძნობდა კიდეც საქართველოს ერთიანობის მოძულეთ, მაგრამ დავითის შიშით ვერ ბედავდნენ "ლიპარიტელობას". თუმცა არც ძლიერი თანამოსაყდრის გაწირვა ემეტებოდათ და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ, "მთელი საქრისტიანო ერთიანდება და შემოვირიგოთო ლიპარიტიცა"

კ.გამსახურდია შეეცადა გამოევლინებინა ქართული სამღვდელოების არისტოკრატიული წრეების ობსკურანტიზმი და ციდამტკაცელური ზრახვები, შეძლებისდაგვარად წარმოესახა დავითის ქრონი-

კაში "ქვაბავაზაკთა" გარყვნილებისა და გონების დაჩლუნგების ამბები. საქრისტიანოს გაერთიანების სახელით მოქმედებდნენ მღვდელმთავარნი. დიდაზნაურთა მსგავსად ერის "სულიერი მწყემსები" თავიდან გულარხეინად იყვნენ. მათი მრწამსით დავითი მამის კვალზე ივლიდა და არ ჩაერეოდა საეკლესიო საქმეებში. მათთვის "გიორგი მეფე ხელმარჯვედ მოსახმარი იყო. ეკლესიის საქმეებში არასოდეს ერეოდა იგი. მეფე სავსებით გულგრილად შესცქეროდა იმასაც, თუ როგორ სუქდებოდნენ და ლოთობდნენ "ოქროსა და ვერცლის მხვეჭელნი" მამანი".

გიორგი მეორე შვილსაც ურჩევს შეეგუოს მდგომარეობას და მღვდელმთავრების ცხოვრების წესის შეცვლაზე არ იზრუნოს. მამა ასე არიგებს შვილს, "რა ვუყოთ, შვილო, აგვეთია საწუთრო ჩვენი. აქლემის კუზი, ძაღლის კუდი და ღრიანკალის ბჭაღი ძე ხორციელს არ გაუსწორებია ჯერაც. მამათა ჩვენთა წესი გარდაუვალ არს". თუმცა დავითისათვის მამის შეგონებანი ცარიელი სიტყვებია. ის სწორედ იმადაც მოევლინა ქვეყანას, რომ ძაღლის კუდი და აქლემის კუზი გაასწოროს, მამა-პაპათა არსებულ ცხოვრების წესს გადაუხვიოს. ძველის ნგრევისა და ახლის შენების პროცესი სულიერ მხნეობას და ტკბობას ანიჭებს დავითს. "შერყევა უნდა ამ ქვეყანას. ამსოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ იგი ისეთივე დასტოვე კაცმა, როგორც შენამდის ყოფილა!" — აცხადებს გვირგვინოსანი.

მეფე დავითი დროზე მიუხვდა ერის სვე-ბედით "დაზაფრულ" ხუცესთა წადილს, რომელთაც პატრონისა და ყმის შერიგების მიღმა სხვა ინტერესები ამოძრავებდათ. "ეკლესიის მამებს ერჩიათ კახეთ-ჰერეთის ტახტზე მჯდარიყო ღვთისმოსავი და ხუცთა მოყვარული მეფე გიორგი, დავითს აფხაზეთის სამეფო ეკმარა, ხოლო მათ განუკითხავად ემართნათ თავიანთი სამწყსო"

კირიაონ მანგლელს და მამა ბასილს ამ შერიგებით საკუთარი მიზნების აღსრულება ეწადათ. ეკლესიის მსახურთ კარგად უწყოდათ, რომ მეფის მიერ თრიალეთის სამთავროს შემომტკიცება და კახეთ-ჰერეთის ერთიან არტახებში მოქცევა მათ თავგასულობას და შეუზ-

ღუდველ მართველობას მიჯნას დაუდებდა. ასეთ დროს ისინი სახელმწიფოებრივ იდეალებს პირადულ ინტერესებს ამჯობინებენ.

დავითი იმთავითვე შეუდგა სულიერი მამების წვრთნას. მას კარგად მოხსენდა მღვდელმთავართა მუცელღმერთობისა და მრუშობის შესახებ. ისიც კარგად უწყის, რომ უწესო და უსწავლელი საეკლესიო პირნი ოქროსა და ვერცხლის მოხვეჭას უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე ქრისტეს მაგალითის მიბაძვას. ამადაც არ წააშლევინა მეფემ კირიონ მანგლელს არაბი მხატვრის მიერ შესრულებული ფრესკა ქრისტიანულ ტაძარში, სადაც მაჰმადი იყო გადამჯდარი ლომზე და ნიშნისმოგებით მიუგო ეკლესიის მსახურთ: "რა უშავს, ზედმეტი ეშმაკი რას დააკლებს ღვთის სახლს".

საეკლესიო პირნი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ სასახლეში ერწმუნოებას მოეკიდა ფეხი, არც ის მოსწონდათ, დავითი განუწყვეტლივ არაბულ ეტრატებში რომ იჭვრიტინებოდა. ისინი სახელმწიფო სახსრების განიავებას ციხეთა აგებისთვის ვერ პატიობდნენ მეფეს და მოითხოვდნენ მისგან სამეფო საგანძურის მოხმარებას ეკლესიათა და მონასტერთა აგებისათვის. იმქამად მეფის გულისყური ქვეყნის სამხედრო ძლიერებაზე იყო გადატანილი და ამიტომაც ტაძართა მშენებლობისთვის განკუთვნილ თანხებს ჯერჯერობით ზოგავდა. თუმც დავითის აზრით ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის და მთლიანობისათვის ეკლესია-მონასტრების სიმრავლე როდია საკმარისი, "მარტოოდენ ღვთის სახლთა შეკეთება როდი კმარა, უმთავრესია სულიერადაც განვაახლოთ ქართული ეკლესია". ეკლესიის სულიერი განახლებისთვის დავითმა 1103 წელს რუის-ურბნისის კრება მოიწვია, სადაც მან განპატიჟება და პატივდაკლება მოუწყო სამღვდელო პირებს, რომელთაც თანამდებობები და მამულები ჩამოართვა. მათ ადგილას კი უგვარონი აღაზევა და მონასტრები და საეპისკოპოსო-ეპარქიები ჩააბარა. საეკლესიო კრების შემდეგ დავითმა მტერი ერთი-ორად მეტი გაიჩინა. განპატიჟებული ეპისკოპოსები და ძმანი თავადთაგანნი გულმოდგინედ გესლავდნენ დავითს, ქვესკნელის გენიას და ჯოჯოხეთის დაუშრეტელ ცეცხლს უქა-

დიან საქართველოს მეფეს. თუმცა დავითს ნაკლებად აღელვებს განპატიჟებულთა წყევლა და გნიასი, არც შურისძიების გრძნობითაა გამსჭვალული ამ სულის გლახაკთა მიმართ და საკუთარი გულის კარნახით მოქმედებს. მან იცის, რომ ის ქვეყნისათვის საჭირო საქმეს აკეთებს და ასეთ დროს ნაკლებად უწევს ანგარიშს, თუ ვინ როგორ შეაფასებს მის ნამოქმედარს. თუმცა მტერი რომ ბოლომდე გასრესილი არ იყო, ეს ნიანია ბაკურიანის სიტყვებიდანაც სჩანს: "რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე ჩვენ სასტიკად დავამარცხეთ ქვაბ-ავაზაკნი, მაგრამ პატივდაკლებული ძმანი თავადთაგანნი ჯერაც თავიანთ მამულებში სხედან. საბოლოოდ დამარცხებულად მხოლოდ იგი ჩაითვლება, ვინც საბოლოოდ გასრესილია. მართალია, მათგან ნამუსრევები და ნაფოტებიღა დარჩნენ, მაგრამ ხშირად უმნიშვნელო ნაფოტისაგანაც წარმოსდგება უდიდესი ხანძარი".

საეკლესიო პირნი პატივდაკლების შემდეგ მეტი გულმოდგინებით იყვნენ მოწადინებული მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების შესუსტებით. სწორედ ამის გამოა, რომ ისინი თავგამოდებული მომხრენი არიან ბაგრატოვანთა და ორბელიანთა შერიგებისა, ვინაიდან იმედოვნებენ, რომ ამ გზით ნაწილობრივ მაინც აღიდგენენ დაკარგულ უფლებებსა და შელახულ თავმოყვარეობას.

შემწყნარებლობა, ქრისტიანული მიმტევებლობა არათანამდევი თვისებაა დავით მეფისათვის. არაერთგზის განუცხადებია მას მტერმოყვარისათვის, რომ "სულგრძელობა ხან მშიშარობის საფარველია, ხანაც ქარაფშუტობის უსუსური გამოვლინება". დავითისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს შევრდომებას გამართლება, თუ მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიერწყვება. გარდა ამისა, განგების ნებას მეფენიც ემორჩილებიან: "არც ისაა მართალი თითქოს მეფენი ყოვლისშემძლენი იყვნენ და მათ შეეძლოთ ყოველ წუთს ისეთი რამ მოიმოქმედონ, რასაც კაიკაცობა და გულჩვილობა უკარნახებს მათ. ამქვეყნად ყოვლისშემძლე თავად უფალია ერთი — მე რომ ყოვლისშემძლე ვყოფილიყავი კაცი არ დარჩებოდა ბორკილგაუყრელი ჩემს საბრძანისში"

მეფე, ღვთის მსგავსად, ყოვლისშემძლეობას ნატრობს, რათა თავის სამეფოში ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთოს სეპარატიზმი. მაგრამ მიუხედავად ღვთაებრივი ჩამომავლობისა და მესიანისტური მსოფლხედვისა, ის ადამიანია და ადამიანური თვისებები მისთვის უცხო არ არის. არც მას უხარია ადამიანთა უთავბოლო და უსაზღვრო ტანჯვა, მაგრამ განგებამ ტახტის ორგულის ასული შეაყვარა, რომლის ოჯახობასაც ის თავდაუზოგავად ებრძვის. ამ ხანგრძლივი ომიანობის ჟამს მეფეს პირადი გრძნობები არასოდეს გადაუტიხრია სახელმწიფოებრივ იდეალებთან. არც თუ დედისიმედის ცრემლებს მოულბია დავითის "უძრავი" გული. ასე რომ ყოფილიყო, ის ადრე გაათავისუფლებდა მიჯნურის მამას. მაგრამ იმხნად სელჯუკნი ისე ძლიერნი იყვნენ, რომ ნებისმიერ დროს შეეძლოთ როგორც ლიპარიტისა, ისე ბანუ ჯაფარისა და კახთა მეფისათვის მაშველი ჯარი გამოეგზავნათ. მაგრამ ლიპარიტ ბალუაშის დილეგში ყოფნა ხელ-ფეხს უბორკავდა მათ. ასეთ დროს დავითის მიერ ლიპარიტის გათავისუფლება ნიშნავდა მეფეს სელჯუკთათვის თრიალეთის საერისთაო, როგორც მოკავშირე დაეხვედრებინა, რაც მისგან პოლიტიკური სიშლეგის ქმედებად აღიქმებოდა. და ეგ უნდა გაეკეთებინა დავითს მხოლოდ იმისათვის, რომ მისთვის ძვირფასი ადამიანი ერთის ქალიშვილი იყო და მეორის — და.

დავითი გულმოდგინედ აკვირდება საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას. ის თანდათანობით რწმუნდება, რომ მარტო არაა აურაცხელი მტრის პირისპირ. ცალკერძ, ჯვაროსანთა მიერ მცირე აზიის აღება, ცალკერძ კი — სელჯუკიანთა სასულტნოში ატეხილი შინაშლილობა აძლევს მას საფუძველს განდგომილთ მიუტევოს და ერთგულების ფიცით შემოიმტკიცოს. "მათ ერთგულების ფიცი უნდა მოგვცენ მტკიცე და უქცეველი, აღკვეთონ სამეფოის მტრებთან ყოველივე ურთიერთობა, განიმსჯვალონ ჩვენი ქვეყნის და ტახტისადმი ერთგულებით. თუ ეგ ფიციც დაარღვიეს კვლავინდებურად მათ, ბორკილი და ტაჯგანალი მე არასოდეს გამომელევა ჩვენი ქვეყნის ორგულთა და ქვეგამხედვართათვის"

ამრიგად, დავითი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზას დაადგა. ამ გზას ცენტრალისტური ხელისუფლების განმტკიცება და ძმათაშორისო მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილება უნდა მოჰყოლოდა. მეფეს მოღალატე დიდაზნაურებთან ჭიდილში გაუჭაღარავდა თავი, მაგრამ თუ მაინც მოთმინებით ექცეოდა სამშობლოს ორგულთ, ის იმის გამო, რომ ერთ "ვაცბოროტს" რამდენიმე ათასი ქართველი მეომრის გადაყოლება შეეძლო უფსკრულში.

ლიპარიტ ბალუაშის შემორიგებით დავითი რატისაც შეუბორკავდა მოქმედების ასპარეზს. ვინაიდან მეფის გაანგარიშებით, სანამ ლიპარიტი მის ხელთაა, რატი ორბელიანი მოერიდებოდა მასთან უნიღბოდ შებრძოლებას. თუმცა მეფეს თავაწყვეტილი რატის შემორიგება შეუძლო საქმედ მიაჩნდა, რადგან ის შესაძლო შემორიგების შემთხვევაშიც მუდმივი ამბოხისა და შინააშლილობის თავკაცად ეგულებოდა მომავალშიც. თავად რატი ორბელიანსაც არარეალურად მიაჩნდა ორი მოშუღლე საგვარეულოს მარადიული შერიგება. "მე სიკვდილს უმალვე შევურიგდები, ვიდრე აფხაზთა მეფესა" — აცხადებს ორბელიანთა ნაშიერი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდის ებრძვის ბაგრატოვანებს.

დავით აღმაშენებლის ექვები ზედმიწევნით გამართლდა. ბალუაშებმა ვერ გაითავისეს მეფის ხასიათი, რომელსაც "დათმობაც სჩვევია, მაგრამ დათმობის უკანასკნელ ზღურბლამდის". დამარცხებული ერისთავი "უსწორო ბრძოლაში" დაკარგული ციხეების დაბრუნებას და შემომტკიცებას მიელტვის. ის მთელი არსებით ლამობს მეფისა და ყმის შერიგებისას განსაზღვრულ იქნეს ორივე მხარის უფლებანი და საწადელნი, დადგინდეს ახალი საზღვრები და პირობები სამეფო კარსა და თრიალეთის საერისთაოს შორის. ამპარტავანი ერისმთავარი გიორგი მეფის იმედითაა აღსავსე, სწორედ მისგან მოელის წყალობასა და საბოძვარს, რომელიც თავის მხრივ ასე დაუყვავებს ტახტის მარადიულ მოქიშპეს, "მოვეშვათ აწი ძველ ამბებს, ძველ მტრობასა და შუღლს ერთადერთი წამალი უნდა. ეგ არის დავიწყება". მაგრამ უკურნებელი სენით შეპყრობილ ბალუაშებს არ ძალუძთ

დაივიწყონ გულში ერთხელ გავლებული მტრობა. საკმარისი იყო სელ-ჯუკიანთა სულტანს ბარქიაროკს ჯარი გამოეგზავნა მეამბოხეთა დასახმარებლად, კვლავ აბორგდა მასში ბაგრატიონებისადმი სიძულ-ვილი. შეფერხებაგანცდილ ამბოხებას მეორე სუნთქვა გაეხსნა. აჯან-ყებულებმა საკუთარ თავში გამარჯვების ძალა ირწმუნეს, ციხე-სი-მაგრეები მიატოვეს და გაშლილ ველზე მოიწადინეს დავით მეფესთან შებრძოლება.

მიუხედავად აჯანყების მასშტაბურობისა, მეამბოხეთა გამოსვლა ჩანასახშივე დასამარცხებლად იყო განწირული. დავითის მტრებს შო-რის სრული უნდობლობა სუფევს, არავითარი ერთობლიობა არაა დამკვიდრებული მათ მოქმედებაში. ლიპარიტი, კვირიკე კახთა მეფე და ძაგან ზედაზენის ციხის პატრონი სამანებს გამო ედავებიან ერ-თმანეთს. ტფილისის ამირა ბანუ-ჯაფარი თავის მხრივ მოკავშირეე-ბის ხარჯზე აპირებდა ტფილისის საამიროს საზღვრების გაფართოე-ბას. მეამბოხეებს ერთმანეთში ცილობა აუტყდათ იმის გამოც, თუ ვინ უსარდლებდა ლაშქრის გულს და რა საომარ სტრატეგიას აირ-ჩევდნენ დავითის წინააღმდეგ დასაძლევად. დავით აღმაშენებელმა ისარგებლა მოკავშირეთა დაბნეულობით და სასტიკი მარცხი აწვნია განკერძოების მოსურნეთ. ამიერიდან მათ არ ძალუძთ საკუთარი ძა-ლების ამარა შეებან დავითის ლაშქარს: მაგრამ როგორც კი სულ-ტანმა ხარაჯის არგადამხდელი დავითის "წურთვნა" დააპირა და ამირ ახმეტი დიდძალი ჯარით გამოგზავნა გურჯისტანის დასალაშქრავად, მეამბოხეთა შეუმუსრავმა ძალებმა უმალ გამონახეს საერთო ენა მომ-ხდურებთან. წითლოსან დუკისძე, იაი ცხელაისძე, მამისთვალა მახა-რობლისძე და თრიალეთელი დიდაზნაურნი წინ მიუძღოდნენ მომ-ხვდურებს, ტყემრავალი კახეთ-ჰერეთის დალაშქვრასა და შიდა ქარ-თლში სპიანად შეჭრის გეგმებს სთავაზობდნენ დაუპატიჟებელ სტუმ-რებს. კახეთ-ჰერეთის ციხოვანი აზნაურები და განპატიჟებული ეპის-კოპოსები დავითის წინააღმდეგ ხალხს ამბოხებდნენ. ქართველი რე-ნეგატები აგულიანებდნენ თურქებს, კახელები სიხარულით მოგელი-ანო და ხელის გულზე დაგისვამენო. თუმცა მათი იმედები არ გამარ-

თლდა. ხალხის ცნობიერებაში უკვე ძალუმად იყო ჩაქსოვილი ერთიანობის გრძნობა. გაბოროტებულმა გლეხობამ შავი დღე აყარა სელჯუკიანებს და დიდი მსხვერპლის ფასად შეაფერხეს გარეშე მტრის ექსპანსია.

დავით მეფის რწმენით, "მტერი ყოველ ვაჟკაცს უნდა ჰყავდეს. არ ვარგა კაცი უმტერო, მაგრამ არც მტერმორეული". მეფე უმადლის კიდეც თავის მტრებს, ვინაიდან ისინი სიფხიზლეს და ბრძოლის ხალისს მატებენ მას. დავითმა თანმიმდევრული, გაწონასწორებული პოლიტიკის წყალობით დათრგუნა და სრულიად ალაგმა შინაპარტიკულარიზმი. ლიპარიტის კონსტანტინეპოლს გადასახლებით და რატის მოკვდინებით ძირფესვიანად ამოაგდო და გააუქმა ბალუაშთა საგვარეულო, და მთელი მათი სამფლობელო სამეფო კუთვნილებად გამოაცხადა. კახეთ-ჰერეთის მეფეს აღსართან მეორეს დილეგში ამოჰხადა სული, მისი ქვეყანა კი საქართველოს შემოუერთა. კახეთ-ჰერეთის სახელმწიფოს შემოერთებას მთელი ძალების გაერთიანებისა და ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი "განზე იდგა და სამამულო ომში მონაწილეობას არ იღებდა. აუცილებელი იყო მისი შემოყვანა საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში"[19].

ამრიგად, შინაპარტიკულარიზმი, რომელიც რომანში დამოყვრების ნიშნითა და რელიგიის ნიღაბს ამოფარებული მიმდინარეობს, მიზნად ისახავდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მართველობის გაუქმებას და ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალ პოლიტიკურ ერთეულად დაჭუცმაცებას. ამდენად დავითის თავგამეტებული ბრძოლა, მიმართული ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ, სავსებით შეეტყვისება მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კრედოს და ნაციონალურ სულისკვეთებას.



თავი VI. განწირული ბედი დიდი ხელოვანისა "ტირანულ" სახელმწიფოში

კონსტანტინე გამსახურდია " დიდოსტატის მარჯვენის" ბოლოსიტყვაობაში წერს; "ზოგიერთ კრიტიკოსს აგრე მოეჩვენა, თითქოს მთავარი გმირი ამ რომანისა გიორგი პირველი იყოს და არა კონსტანტინე არსაკიძე. გმირების გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად საგულისხმოა. ამ შემთხვევაში სათაურს უნდა დაუკვირდეს მკითხველი. მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წარკვეთის ამბავი, ე. ი. განწირული ბედი დიდი ხელოვანისა ტირანულ სახელმწიფოში"[1]. მწერლის მიერ გაკეთებულ ამ განცხადებას ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე თუ გავიზიარებთ, მაშინ "ტირანიაზე" დაფუძვნებული შუა საუკუნეების საქართველოში უკლებლივ ყველა დიდი ხელოვნის სიცოცხლე განწირული ყოფილა. მაგრამ, ხომ არ არის ამ სიტყვებში შენიღბულად გატარებული ისეთი აზრი, რომლის ხმამაღალი გამოთქმა იმხანად რთული პოლიტიკური ვითარების გამო გილიოტინაზე დასასჯელად მიმავალი გზის ტოლფასი იყო? რა თქმა უნდა არის, და ამ ფარული იდეის სრულად შესაცნობად უნდა გავითავისოთ ერთი არსებითი რამ, კერძოდ, იყო თუ არა საქართველო XI საუკუნეში თავის სახელმწიფოებრივი სტრუქტურითა და მასში მოქმედი კანონმდებლობით ტირანული ქვეყანა?

ძალმომრეობაზე აგებული სახელმწიფოს წესწყობილებას ბევრწილად განსაზღვრავს ბუნებით დესპოტი მეფის ქმედება, რომელიც გამუდმებული მუქარის ქვეშ ამყოფებს ქვეშევრდომებს და სასტიკად სჯის განურჩევლად ყველას მცირეოდენი დანაშაულის ჩადენის გამოც. ამგვარი სისასტიკე, დესპოტიზმი უცხო იყო ქართველ მეფეთათვის. აქ, გარკვეულწილ, პატრონყმობის ინსტიტუტმაც ითამაშა როლი, უნდა გავითვალისწინოთ ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ღვთით მომადლებული სულგრძელობა და შემწყნარებლური ხასიათი.

ზემოთ ნათქვამი სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ თითქოს ქართველ მეფეთათვის უცხო ხილი ყოფილიყოს ქვეგამხედვართა და გარეშე დამპყრობელთა მიმართ გამოვლენილი სისასტიკე. ამის დამადასტურებელ ფაქტად გიორგი ბრწყინვალეს შეუბრალებელი ქმედების გახსენებაც საკმარისია, რომელმაც მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ეჭვმიტანილებს თავები დააყრევინა, თუმცა მიუხედავად ამისა, მას "ბრწყინვალე" უწოდეს. მაგრამ მაინც, "ქართველი მეფეები უცხო კულტურის გადმომღები უფრო იყვნენ, ვიდრე პოლიტიკური სტრუქტურისა"[2]. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოში მეფის კულტის განმტკიცება. მეფისადმი სიყვარული და მოწიწება ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ხალხს. მემატიანენი, პოეტები, ჰიმნოგრაფები ღვთისწორად რაცხავენ, შესაშური ეპითეტებით ამკობენ ერის მესვეურთ. დასტურად, შოთა რუსთაველის სტრიქონებიც იკმარებდა:

"თუ, ცა ქალია ხელმწიფედ
მართ ღმრთისა დანაბადია"

იმავე რუსთაველმა, თავის ღვთაებრივ პოემაში "XII საუკუნის მსოფლიოში პირველმა შექმნა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს იდეალი, სახელმწიფოსი, რომელიც უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის პრინციპს ეფუძვნება"[3]. და ამ დემოკრატიულ საწყისებზე აგებული სახელმწიფოს მეუფედ სულმნათი თამარი გამოაცხადა.

გენიალური რუსთაველის შემდგომ არაერთმა ქართველმა მწერალმა თუ პოეტმა აღუვლინა ხოტბა ქართველ მეფეთა საგმირო საქმეებს,მაგრამ კ.გამსახურდიას მომნუსხველი, მაგიური სიტყვის ძალამ სულ სხვა შარავანდედით გამოაჩინა ერის სვე-ბედით დაზაფრულ ქართველ მეფეთა ხატება. ერთგან მწერალი აცხადებს, "მე თუ ძეგლი ავუგე გიორგი I და ბაგრატ IV, ეგ იმიტომ, რომ ისინი ქართველი ხალხის საარსებო ბრძოლების თავკაცები და დიდი მამულიშვილები იყვნენ"[4], მწერალმა შემთხვევით როდი აირჩია ეს ხანა საქართველოს პოლიტიკური აღმავლობისა და კულტურული განახლების სა-

სიკეთო ძვრებისა, რომლის ერთ-ერთი მესაძირკვლე და მესვეური გიორგი პირველიც იყო. ამადაც ვერ მალავს თავის სიმპატიას მწერალი გიორგი პირველის მიმართ: "ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს თუ რა მხეცი იყო ბასილი მეორე, ბულგართმმუსვრელი, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე, რომელმაც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა, და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატიანე უწოდებს "უშიშოს ვითარცა უხორცოს", ქართულ ქრონიკებში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი. "მე შემძრა ამ უსამართლობამ და მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მღელვარება ჩემის სულისა"[3]. ამ სიტყვებით მწერალი ხოტბას ასხამს უწინარეს ყოვლისა მეფეს მისი მეომრული სულის, ვაჟკაცური ბუნებისა და ბიზანტიასთან გამარჯვებით გადახდენილი ომის გამო. მეფე თავის ხალხის ღვთისნიერი შვილია და მან მშობელ ერს საკუთარი სიცოცხლის საზღაურადაც სრული თავისუფლება უნდა მოუტანოს. ამ მიზნის მისაღწევად კი მარტოოდენ ბრძოლის ველზე გამოჩენილი მხედრული ნიჭი როდია საკმარისი. მტერს კულტურის სარბიელზედაც უნდა დაუყრევინო ფარ-ხმალი. ამიტომაც, რომანში აღწერილი ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტი საგანგებოდაა დაკავშირებული მეფე გიორგის ძალისხმევასთან, მის აქტიურ ქმედებასთან. ასე რომ, მეფისათვის სულ ერთი როდია ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების ხვალინდელი დღე. ის თავგამეტებით ებრძვის ყოველგვარ უცხოურს. მისთვის უმჯობესია ქართველმა მონამ ააგოს სვეტიცხოველი, ვიდრე დიდებული ჩამომავალობის ბიზანტიელმა ხუროთმოძღვარმა. მთავარია არ დაიკარგოს ქართული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ეროვნული ელემენტები. სწორედ მეფის დაკვირვებულმა თვალმა შეამჩნია, რომ ბიზანტიელი ხუროთმოძღვრების მიერ შემოთავაზებული პროექტების მიღება ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებას შეაფერხებდა. მეფისათვის შეურაცხმყოფელიცაა ბიზანტიის იმპერატორის, ბასილის, სვეტიცხოვლის ფრესკა-

ზე გამოხატვა, იმ იმპერატორისა, რომელსაც ქართველები ძაღლს უწოდებდნენ.

მეფე წმინდა ხელოვნების თვალსაზრისით უარყოფს ბერძენ ხელოვანთა მიერ შემოთავაზებულ პროექტებს, ვინაიდან კარგად უწყოდა, ქართული ხელოვნებისაგან განსხვავებით "უდაბნო იცქირებოდა კესონებში მღვდელმთავრების ფრესკებიდან. განკითხვის დღისა და ჯოჯოხეთის ხატებანი შეიცავდნენ საშინელ მუქარას ყოველივე ადამიანური ვნებების მიმართ" მეფემ არსაკიძის ნიჭი ბიზანტიურ ხელოვნებას დაუპირისპირა, რათა ქართულ ხუროთმოძღვრებას ეროვნული, თვითმყოფადი სახე შეენარჩუნებინა. თუმცა უბრალო კირითხურო ხელაღებით არ დაუნიშნია სვეტიცხოვლის ამგებად. მეფემ ყურადღებით გამოჰკითხა ნახელავი და როცა შეიტყო ცხრაკარისა და ითვალისის ეკლესიები მისი აგებული იყო, დაავალა ოსტატს სვეტიცხოვლის პროექტები წარმოედგინა სასახლეში. მეფემ მოიწონა ხელოვანის მიერ შედგენილი ნახაზები ტაძრისა და მხოლოდ ამის შემდეგ დანიშნა არსაკიძე ხუროთმოძღვართუხუცესად.

გიორგი პირველმა არსაკიძეს ნიჭის გამოვლენის მშვენიერი პერსპექტივა გადაუშალა, თანაც ყველანაირად უმართავს ხელს ოსტატს, რათა ტაძრის მშენებლობა არ შეფერხდეს. ის ხელოვანს არ აბეზრებს თავს განუწყვეტელი მითითებების მიცემითა და რჩევების გულუხვი გაღებით. არ ახშობს არსაკიძის თავისუფალი აზრის გაქანებას. მან კარგად იცის, რომ ხელოვანი საკუთარი შემოქმედების წიაღში უნდა იწვოდეს, რათა უხვშ, მოუქნელ ქვის ლოდებს უკვდავებისა და მარადიულობის სული შთაბეროს. მეფე არ შემცდარა არჩევანში. მას ძლიერ მოეწონება ქმნილება. არანაკლებ ეამება მეფეს ჭეშმარიტი ხელოვანი მშიშარა და ჯაბანი რომ არ აღმოჩნდება. ჟამიანობის ფარდულიდან ამოსულ არსაკიძეს, რომელიც მეფესთან გამოცხადებას ერიდება მისივე უვნებლობის გამო, თავად გიორგიმ ჩამოართვა ხელი და ეს უთხრა " ხუროთმოძღვრების დიდოსტატი დიდი ვაჟკაციც ყოფილხარო, ლაზო"

არსაკიძის მჭევალი ნონაიც ამჩნევს, თუ როგორ წყალობს მეფე ხელოვანს და დაჟინებით "უკირკიტებს" მას, მეფისაგან ახალი სასახლე გამოითხოვოს. თუმცა დიდოსტატი ყურად არ იღებს მოხუცის ვედრებას.

გიორგი პირველი ფარსმანსაც წყალობს, როგორც ხელოვანს. მაშინ, როცა ეკლესია და საერო პირნიც მოითხოვდნენ მეფისაგან ფარსმანის სიკვდილით დასჯას, მის მიერ ფანასკერტელი ქალის გაუპატიურების გამო, მეფემ არ გასწირა ეკლესია-მონასტრებისა და ციხეთ მშენებლობის უბადლო ოსტატი და სიცოცხლე შეუნარჩუნა ხელოვანს. მართალია, ფარსმანის თქმისა არ იყოს "ქარის ქროლვასა ემსგავსება მეფეთ წყალობა. ხან აღმა მიჰქრის ეს ნიავი, ხანაც თავდაღმა. ამის მწარე ნაყოფი ფარსმანმაც მრავალჯერ იგემა, თუმცაღა ის თავისი კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობით ბევრ შემთხვევაში იმსახურებს კიდეც მეფე გიორგის უცნაურ ახირებებს.

რაც შეეხება არსაკიძეს, ის არ იმყოფება დესპოტი მეფის გარემოცვაში. განა მეფე უკრძალავს მას ავადმყოფი დედის მონახულებას, ფხოვის ციე მიწაში დამარხული მამის საფლავის მოვლა-პატრონობას, მაგრამ "ვერ მოათავა სვეტიცხოველი კიდევ" და ამიტომაც არ ემეტება თავის ნახელავთან მცირე დროითაც განშორება არსაკიძეს. მან სვეტიცხოველი შორენას სიყვარულზე მაღლა დააყენა, "რადგანაც ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან", ხელოვნებამ უნდა აპოვნინოს არსაკიძეს საკუთარი სახე, საკუთარი სული. ხელოვანის სიცოცხლე მისივე ნებითაა განწირული: "მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი" შორენაც ქალური ინტუიციით გრძნობს, რომ მის გულისწორს სვეტიცხოველი ურჩევნია ყველაფერს.

თუ არსაკიძისათვის უმთავრესი — სვეტიცხოველია, მეფისათვის სიცოცხლის საზრისი — შორენაა. არსაკიძე თავის ქმნილებას წუთითაც არ შორდება. მეტიც, მიწისძვრისა და ჟამიანობის მსახვრალ ხელს გადარჩენილი ოსტატის ფიქრები თავიდან ტაძარს დას-

ტრიალებს, მხოლოდ მერე მიწვდება ეს ფიქრი შორენას, მაშინ როცა მეფე გიორგი ნატრობს შორენას შესაყრელი ჟამი მას შეეყაროს. არსაკიძე გულისმიჯნურს თანადგომას არ უცხადებს ძნელბედობის ჟამს, მეფე გიორგიმ კი კოლონკელიძის ასულის სიკვდილით გაოგნებულმა, სამეფო ტახტი მიატოვა, რათა ტყეში გადახვეწილს შორენას გაზრდილ ნებიერასთან შეჰყროდა სიკვდილი.

სიყვარულის ნექტარით გახელებული მეფე მშვენიერ ვაჟკაცს, ჭიაბერს, მოაკვლევინებს მელქისედეკ კათალიკოსს მოწამლული ძელიცხოველით, არ დაინდო გირშელიც — დეიდაშვილი და სიყრმის მეგობარი, რომლის სიკვდილი ფარულად უხაროდა კიდეც. მაგრამ მეფეს მალე ახალი მოცილე გაუჩნდა. მან დაჰკარგა წონასწორობა და მკლავის წარკვეთით დასაჯა ოსტატი. არსაკიძე, ჭიაბერი, გირშელი მეფის სასიყვარულო ინტრიგის მსხვერპლნი შეიქმნენ. სიყვარულით დაბრმავებულმა მეფემ პირადი ინტერესებიდან (და არა საქართველოს სახელმწიფოს დესპოტური წეს-წყობილებიდან გამომდინარე) გასწირა გირშელი — "ამპარტავანი ნათესავი", ჭიაბერი — "შეამბოხე", არსაკიძე — "ცუდად ამგები" სვეტიცხოვლისა. ამგვარად, მეფე არსაკიძის პიროვნებაში ხელოვანს როდი სპობს. ასე რომ ყოფილიყო, ის არ დასჯერდებოდა მისთვის ოდენ მკლავის მოკვეთას. მას შეეძლო ათგზის უფრო მეტი სასჯელის გამოტანა — დაენგრია სვეტიცხოველი, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა დროებით რეაბილიტირებული ფარსმანი და როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად გაენადგურებინა ხელოვანი. მეფე ინანიებს თავის ცოდვებს, რაშიც ის თხემით-ტერფამდის გულწრფელია. მას როგორც მეფეს, ისე, როდორც კაცს, მრავალი ცოდვა აწევს მხრებზე, მიუხედავად ამისა, ის ღირსეული მეფეა საქართველოსი, მისი ეროვნული იდეალების თავკაცი და მესვეური. მეფის მზრუნველობა და აქტიური ქმედება რომ არა, სვეტიცხოველიც არ აიგებოდა საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ არაგვისა და მტკვრის შესართავთან, ამიტომაც, თუ ბაგრატის ტაძარი და გელათი ქართველი მეფეების ბაგრატ მესამისა და დავით აღმაშენებლის სახელებს უკავშირდება, სვეტიცხოველიც, უწი-

ნარესად, მეფე გიორგი პირველის სახელთან, მის ძალისხმევასთან ასოცირდება.

კეთილგანწყობა სუფევს მეტნაკლებად ხელოვანსა და სამღვდელოებას შორის. მართალია, მელკისედეკ კათალიკოსი თავისი უთავბოლო მითითებებით თავს აბეზრებს ხელოვანს. რადგან მას ფარსმანის მაგალითით დაშინებულს "ყოველ წვრილმანში წარმართობა ელანდებოდა". ამადაც არჩევს ის უნიჭო ქრისტიანებს ნიჭიერ სარკინოზებს, რაც არსაკიძის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. თუმცა მელქისედეკის ეს ახირებანი არ უნდა ყოფილიყო საფუძველი იმისა, რომ არსაკიძეს ბიბლიური იაკობის ღმერთთან შერკინების სურათი დაეხატა, ამ სურათის შექმნის წინაპირობა მელქისედეკის თეოლოგიური შედეგი იყო, რომელიც სიკვდილის დასჯით ემუქრებოდა ღმერთთან გატოლების მოსურნეთ, "...ამქვეყნიური სახელითა და პატივით გულმოცემულნი შემოქმედს უტოლებენ თავს, ღმერთთან შერკინებას მიელტვიან. ამ საცოდავებს ის ავიწყდებათ, ბარკალი რომ მოსტეხა ღმერთმა თავის უფალთან მორკინე იაკობს" ხელოვანის მსოფლმხედველობა ვერ პოულობს საერთო შეხების წერტილს მელქისედეკ კათალიკოსის მოძღვრებასთან, რომელიც ღვთისადმი მონურ მორჩილებას ქადაგებს. არსაკიძის სურვილია, ჭეშმარიტი ხელოვნება ადამიანთა უფლებებს დაუქვემდებაროს და სრულად გამოდევნოს ხელოვნების სფეროდან მონური ქედმოხრილობა. თუმცა ის ნების უსაზღვრო თავისუფლებით ბალღობიდანვე იყო შეპყრობილი, და ეს ნაპირგადასული, თავაწყვეტილი ნებელობა ემსახურება შემოქმედების უმაღლესი იდეალის მოპოვებას... რასაც დაუფარავად აცხადებს ხელოვანი. "საპატიო ვალია კაცისა არა გლახურ ღმერთის ძიება, არამედ თავად უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქედ". არსაკიძე გრძნობს თავის ძალას. ის მთელი არსებით ელტვის მეფესთან და კათალიკოსთან მეტოქეობას, მაშინ როცა ერთი წყალობით ავსებს, ხოლო მეორე უფალს შეჰღაღადებს მის განკურნებას, მაგრამ ხელოვანი, როგორც თავისუფლებაწართმეული კაცი, იბრძვის საკუთარი იდეალების დამკვიდრებისავთის. მას, როგორც

"დიდი ქმნილების შემოქმედს" თავმოყვარეობაც შეუდგება მეფისაზე აღმატებული ხანდახან". როცა მეფე სთხოვს ბაზიერობის გაწევას, არსაკიძე ხელაღებით უკადრისობს ამგვარ თხოვნას, ბრაზიც კი მოერევა მეფეზე და თავის პროტესტს ფერწერულ ტილოზე ავლენს.

არსაკიძემ ცხოვრებისეულ კრედოდ გაიხადა სენტენცია: "თუ გინდა რომ აღემატებოდე მეფეს, უნდა წარმოადგენდე კიდეც რამეს" არსაკიძე მეფეს უტოლებს თავს, მასთან გაჯიბრებას მიელტვის, თუმცა ეს გაჯიბრება ხელოვანს, ისევე როგორც ჭიაბერსა და გირშელს ძვირად დაუჯდა. აკი აუხდა ყველისციხის პატრონს მეფის ქარაგმულად ნათქვამი სიტყვები: "ჩემთან ჯიბრი გადაგიტანსო გირშელ". მეფესთან გატოლების მოსურნეთ ის ავიწყდებოდათ, რომ საქართველოს ტახტის მპყრობელი ბაგრატიონთა შორეული წინაპრების იესიან-დავითიან-სოლომონიან მეფეთა შთამომავალია, და მესიის მახვილად იწოდებოდა. ღვთაებრივი ჩამომავლობის ხელისუფალი კი თავმოყვარეობის შელახვის უფლებას არავის მისცემს. მეფე გიორგიმ "შანდლების ჭურდი" ფარსმან-სპარსი იმიტომაც დასაჯა, რომ ხუროთმოძღვართუხუცესყოფილმა გაბედა შეეხსენებინა მისთვის მეფეთა ყველაზე დიდი უბედურება. ფარსმანის შეგონებით, "უდიდესი უბედურება მაშინ ეწევა კაცს, როცა მას დაავიწყდება, კაცთაგანი უფლისწულია ყოველი, მეფეებსა და შლეგებს ზნედა სჭირთ ხოლმე, სხვაზე უფრო აღმატებულად შერაცხავენ თავისთავს, და ვინც მათ გაუტოლდება, თავს წააცლიან უთუოდ"

ამგვარად. არც მეფე და არც მელქისედეკი შეგნებულად არ ებრძვიან არსაკიძეს და არც იმ მკრეხელური სურათის გამო დაუსჯიათ ის, უბრალოდ მისმა ნახელავმა ვერ იხსნა სიკვდილისაგან ხელოვანი, რადგანაც კათალიკოსს "წარმართობის შიშმა წამოუარა ისევ და ხელი აიღო ხუროთმოძღვრის დაცვაზე"

არსაკიძე ეკლესიას არ შეურაცხავს ერეტიკოსად, არადა მან თავად უზენაესს გაუყადრა თავი, ამის გამო ის ღვთის რისხვას და დასჯას იმსახურებდა. ხელოვანი ფარსმანის მოშურნეობის მსხვერპლი შეიქმნა. ხუროთმოძღვართუხუცესის თანამდებობის დაბრუნების წადი-

ლით შეპყრობილმა ფარსმანმა მეფესთან დაასმინა ოსტატი, ამ უკანასკნელმა კი თავიდან მოიცილა მოქიმპე, სასჯელად კი სვეტიცხოვლის "ცუდად აგება" დააბრალა. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველო XI საუკუნეში არავითარ ტირანულ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. ერთი მეფის თავნებობას და შელახულ თავმოყვარეობას უნდა დაბრალდეს ხელოვანის სიკვდილი და არა სახელმწიფოში თითქოსდა მოქმედ სარეპრესიო წესებსა და კანონებს. მაშ რას მოასწავებს მწერლის ზემორე მოყვანილი სიტყვები, რომლის მიხედვითაც ხელოვანის სიცოცხლე ტირანულ სახელმწიფოში წინასწარვეა განწირული.

აქ უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ის სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რომლის პერიოდშიაც მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა კონსტანტინე გამსახურდიას. ეს იყო ლენინიზმისა და სტალინიზმის ზეობის ხანა. რასაც წინ უსწრებდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს თავისუფალი საქართველოს ანექსია. მწერალმა მძიმედ და მტკივნეულად განიცადა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ეგზომ ხელყოფა. მან თავისი პროტესტი ლენინისადმი გაგზავნილ წერილში გამოხატა. ადრესატიც შემთხვევით როდი შეარჩია. კარგად უწყოდა, რომ სწორედ "მსოფლიო ბელადი" იყო დამოუკიდებელი საქართველოს მესაფლავე.

კ.გამასახურდიამ იმთავითვე შეიცნო კაცთმოძულეობაზე აგებული საბჭოთა იმპერიის არსებობის დანიშნულება, რომელიც თავისი იმპერიული განზრახვათა ხორცშესხმისათვის მცირეოდენ კრიტიკასაც არ პატიობს არავის და უზომოდ გაკადნიერებულ მწერალსა თუ ხელოვანს ჯვარზე გაცმით ემუქრებოდა. მწერალი ერთგან მიუთითებს "უკულტურო და ტირანულ სახელმწიფოში ჯანსაღი კრიტიკა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება. ასეთ ქვეყნებში ხშირად თავის წაგება შოუხდება რეჟიმის დამწუნებელს"[6]

კ.გამსახურდიამაც დაიწუნა ის პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც მძვინვარებდა საბჭოთა კავშირში. ამ ჯანსაღი კრიტიკისათვის მას განუწყვეტლივ დევნიდნენ და ავიწროებდნენ. "დიდოსტატის მარჯვე-

ნის" დაწერამდე მას უკვე გადალახული ჰქონდა ბოლშევიკების მიერ აღმართული ჯოჯოხეთის ჯურღმულების თითოეული გარსი. თუმცა არ დაცხრა მწერლის მებრძოლი ჟინი, ვერ მოდრიკეს მისი თავნება და ამაყი სული. მაგრამ შიშველი ხელებით ბოლშევიკურ მონსტრთან დაპირისპირებას აზრი არ ჰქონდა. ამიტომაც მწერალმა პოლიტიკური ვნებანი ლიტერატურულ ვნებად გარდასახა და თავისი ცხოვრებისეული პროტესტი თუ გულისნადები ქაღალდზე გადმოანთხია. მაგრამ ჩასაფრებული მტერი აქაც ჰყავდა მწერალს. ეს იყო "ქორმეძებრიანი" ცენზურა, რომელიც მოურიდებლად აფათურებდა ხელს მწერლის სულიერ ლაბორატორიაში. კ.გამსახურდიამ მაინც შესძლო თავისი პოლიტიკური იდეალების გადმონთხევა პროზაში წარსულის გაცოცხლებით, რომელსაც ის აღიქვამს, როგორც აწმყოსა და თანადროულს. "უნდა ვაღიარო, — მიუთითებს ერთგან მწერალი — მე თავად წარსულს ჩემი ერისას როდი განვიცდი როგორც "წარსულს" გადავლენილს. მთელი ჩემი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ იგი აწმყოში გადმომენერგა და უკვე ლანდადქცეული გმირები წარსულისა გამეცოცხლებინა"[7]. ისტორიული პროზა იძლეოდა შენიღბვის საშუალებას. მწერალმა "დიდოსტატის მარჯვენის" დაწერით დიდი ხნის გულისწადილი აისრულა: შენიღბულად, ქარაგმებისა და ქვეტექსტების მოშველიებით მხატვრულ ფორმებში აღწერა ის უსამართლობა და საშინელი ტერორი, რომელიც მძვინვარებდა საბჭოთა იმპერიაში იმხანად. ამ შავბნელმა ეპოქამ მრავალი ხელოვანის სიცოცხლე შეიწირა, რომელთა მეამბოხე ბუნებასა და სულისკვეთებას ანსახიერებს არსაკიძე, ისტორიული წარსულიდან საგანგებოდ გამოხმობილი გმირი. სწორად შენიშნავს მერაბ კოსტავა: "რომანის გმირი კი პირმშოა მწერლისა, რომელიც ჩვეულებრივ პირმშოსაგან განსხვავებით მან შვა არა ხორციელად, არამედ თავისი სულის ნაწილიც ჩასდო მასში"[8]

თუ არსაკიძე განსახიერებაა იმ განწირული ადამიანებისა, რომლებიც საბჭოთა იმპერიის რეპრესიებს შეეწირნენ, მაშინ ბიზანტიის

სახელმწიფოს წეს-წყობილებაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკა უნდა შევიცნოთ.

მეფე გიორგის დაპირისპირებაც ბიზანტიის იმპერიისადმი, როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურის სარბიელზეც მისი მეამბოხე და დაუთრგუნველი სულისკვეთებით როდი უნდა აიხსნას მხოლოდ. საქართველო ბიზანტიის მსგავსად მართლმადიდებლურ ქვეყანას წარმოადგენდა. ეს ერთმორწმუნეობა ბადებდა საფრთხეს პატარა, მცირერიცხოვანი ხალხის დიდ ერში ათქვეფისა და აღრევისა. ასეთ დროს მცირე ქვეყნის მესვეურებს მეტი წინდახედულება მართებდათ, რაც ვერ გამოავლინეს სომხების მეფეებმა. მათ არსებითად ვერ განჭვრიტეს ბიზანტიელი კეისრების მიერ მზაკვრულად დაგებული მახის საშიშროება და საწყალობლად გაებნენ შიგ, როცა "ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობით დაბრმავებულმა თავისი სამეფო გადასცა ბასილ კეისარს სენაქირმა, სომხეთის მეფემ". კეისრის ეს ქმედება მეფე გიორგიმ შეაფასა, როგორც პოლიტიკური აგრესია მიმართული არა მარტო სომხეთის, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის მიწის პირიდან აღსაგველად, ვინაიდან სომხეთის შემდეგ ჯერი საქართველოზე იყო მიმდგარი. მაგრამ ქართველთა მეფემ სენაქირისაგან განსხვავებით სწორი პოლიტიკური კურსი აიღო ბიზანტიის იმპერიასთან მიმართებაში. მან იგრძნო მოახლოებული საფრთხე და ქანცგამწყვეტი ომები გადაიხადა მეზობელ აგრესორთან. ერთ ომში, უხტიკესთან, მარცხიც კი აწვნია ერთმორწმუნეთ. მერმე, მართალია, დამარცხების სიმწარე თავადაც იგემა, მაგრამ არც ორიენტაცია შეუცვლია და არც პროგრამა: "ბასილ კეისარს ეს უნდა, ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილ კეისარი", გახელებულ ავაზასავით იმუქრება მეფე ქართველთა, რომელმაც კარგად შეიცნო ერთმორწმუნე ქვეყნის ფარული ზრახვანი და ის მტაცებლური ბუნება, რომლითაც ყველა აგრესორი ხასიათდება, მეფე ჭურდებს და პლაგიატებს უწოდებს მათ: "ჭურდები არიან ბიზანტიელები, ენა ძველ ბერძნებს მოჰპარეს, სარწმუნოება — ებრაელებს,

ანისი — სომხებს, ბულგარელებს ცეტინიუმი წარსტაცეს, ბასიანს გადაღმა ქვეყნები კი ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ეგეთი რაღაცა არა სჭირიათ ჯერაც"

სწორედ ასეთ პლაგიატებად და ჭურდებად მიიჩნევდა მწერალი რუსებს, რომლებმაც თავიანთი იმპერიაც ბიზანტიის იმპერიისამებრ მცირერიცხოვანი ერების დათრგუნვითა და დამონებით გაიფართოვეს, ხოლო როცა 1453 წელს თურქეთის სულთანის, მუჰამედ მეორის მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ ბიზანტიის იმპერია დაეცა, მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს ახალ ცენტრად რუსეთი გამოაცხადეს. რაკი საქართველო საუკუნეების მანძილზე ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რუსეთიც ამ "შემკვიდრის თვალით უყურებდა საქართველოს და სრულიად კავკასიასაც"[9]

რუსეთის იმპერიამ ერთმორწმუნეობის სახელით 1801 და 1921 წლებში მოახდინა საქართველოს ანექსია. ბიზანტიის მსგავსად მიიტაცა ქართული ტერიტორიები. რუსეთის სამეფო კარი ბიზანტიის იმპერატორთა მსგავსად ყველანიარად ლამობდა ქართული სულის ჩაკვლას, ტრადიციებისა და ნაციონალური კულტურის მოსპობას, ქართული ეთნოსის სხვა რასიულ იდიომში ათქვეფას. ამ პარალელების გავლებითაც ცხადი და ეჭვსგარეშეა, რომ კ.გამსახურდიამ "დიდოსტატის მარჯვენაში" ბიზანტიის იმპერიის გაცოცხლებით და მის მიერ საქართველოსადმი მიმართული აგრესიული პოლიტიკით საბჭოთა კავშირის ობსკურანტული რეჟიმი წარმოგვისახა, რომელიც წარწყმედითა და წალეკვით ემუქრებოდა ყოველივე ეროვნულს. აქედან, ნათელი ეფინება მწერლის ციტირებული ქვეტექსტის ფარულ აზრს; დიდი ხელოვანის ბედი წინასწარვე განწირული შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა იმპერიაში და არა XI საუკუნის "ტირანულ" საქართველოში. მართებულად შენიშნავს ზვიად გამსახურდია: "რომანის გმირი — ბრწყინვალე ხუროთმოძღვარი არსაკიძე — რომელმაც მცხეთაში ააშენა შესანიშნავი ტაძარი, "სვეტიცხოველი", ხელისუფლება მას მარჯვენა ხელს მოჰკვეთს . რომანის დაფარული აზრი თავად ავტორმა ახსნა ბოლოსიტყვაში. "რომანში ნაჩვენებია ხელო-

ვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში"[10]. ტირანულ სახელმწიფოში აქ, რა თქმა უნდა, საბჭოთა იმპერია იგულისხმება, არსაკიძეს სახეში კი — ერთი იმ ათასთაგანი ხელოვანის სიცოცხლე, რომელსაც არასამართლებრივმა სახელმწიფომ ამაგის დაფასების ნაცვლად მზის სინათლე დაუბნელა და საკუთარი შემოქმედებითი ქმნილების ჯვარცმული გახადა. სწორედ ამგვარი წამებული გმირების ხსოვნას უძღვნა კ.გამსახურდიამ "დიდოსტატის მარჯვენა" და მით მთელი ქართველი ერის ტკივილი და გულისთქმა გამოხატა.

რომანში შენიღბული აზრი ფართო საზოგადოებისთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, რასაც ე.მაღრაძის მოსაზრებაც ადასტურებს: "იმხანად ეს მეტად სარისკო, გაბედული ნაბიჯი გახლდათ, რადგან საყოველთა ცნობილი ამბავი იყო: რომ კონსტანტინე გამსახურდია ყოველ გმირში საკუთარ "მეს" შინაარსსა სდებდა. და თუ ლაზ კონსტანტინე არსაკიძეს თვითონ კონსტანტინე გამსახურდიას შორეულ ლანდად მიიჩნევდნენ, მაშინ გაშიფრული იქნებოდა იმ ადამიანის ხატებაც, ვისაც იმდროინდელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული სულგანაბული დაძაბული უსმენდა და მონუსხულივით შესცქეროდა"[11] ამ სიტყვებით ნათლად ჩანს, რომ კ.გამსახურდიამ იგავური ენით გამოაჩინა თავისი თანადროული ეპოქა, მან შესძლო წარსულის გადმოსახლება აწმყოში. აქეთკენ იყო მიმართული მისი ვნებათაღელვა და მწერლური დვრიტა, ვინაიდან "ისტორიის მასალის პოეტიზირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანადროულობის რეზონი, როცა თვით აღებული ეპოქა, ან მისი გმირნი და მათი ხასიათი ეკორესპონდირება თანადროულობის იდეებს"[12]

თავი VII. ეროვნულ - კულტურული კონცეფცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

ეროვნულ-კულტურული კონცეფცია თავის არსში მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ენის სრულ გაბატონებას საეკლესიო და სახელმწიფო-ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში, ეროვნული სტილის განმტკიცებას სამოქალაქო და საეკლესიო არქიტექტურაში, ფრესკულ მხატვრობაში, ლიტერატურაში ეპიგონურობისაგან თავის დაღწევას და ეროვნულობის ღრმა კალაპოტში მის მოქცევას.

კულტურულ-აღმშენებლობითი იდეა, ერთის მხრივ, პრაქტიკულად ხორციელდება ეროვნულ ტრადიციებთან ერთიანობაში, მეორეს მხრივ, ეროვნულის მიერ სხვა ქვეყნების სულიერ კულტურაში მოპოვებული მიღწევების შემოქმედებითი ათვისების ხარჯზე. სწორედ ამგვარი სინთეზი უნდა ყოფილიყო წინაპირობა იმ მყარი ბალავარის შესაქმნელად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო ქართული ეროვნული სულის, ხასიათის გამომხატველი ხელოვნების ძეგლები და ამით ხელი შეეწყო ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისათვის, ვინაიდან "მაშინაც კი, როდესაც ერთი ხალხის პროგრესი ხორციელდება მეორისაგან სესხების გზით, ის მიუხედავად ამისა ხორციელდება ეროვნულად. სხვაგვარად არ არსებობს პროგრესი"[1]

კ.გამსახურდიას რომანებში "დიდოსტატის მარჯვენა" და "დავით აღმაშენებელი" ეროვნულ-კულტურული იდეა, უპირველეს ყოვლისა, აღიქმება, როგორც ბრძოლა ყოველგვარი მიმბაძველობის წინააღმდეგ, რომელსაც თავს ახვევდა ერთმორწმუნე ბიზანტია საქართველოს, რათა კოსმოპოლიტიზმის სარჩულში გაეხვია ქართული სულიერი კულტურის თვითმყოფადობა.

კულტურულ-აღმშენებლობითი კონცეფცია "დიდოსტატის მარჯვენაში" იშლება მეფე გიორგის, დიდოსტატ არსაკიძის, მელქისედეკ კათალიკოსისა და ფარსმან სპარსის ურთიერთმიმართების, სხვადასხვა სფეროებისადმი მათი დამოკიდებულების საერთო ფონზე.

ყოველი ბიზანტიურის წინააღმდეგ აშკარა მტრულ პოლიტიკას ატარებს მეფე გიორგი. ერთმორწმუნეობის ფაქტორს სავსებით გულგრილად შესცქერის მეფე, პირიქით, "კეისრის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინმა და საქართველოსათვის წართმეული პროვინციების დაბრუნების წადილმა ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობა გადაავიწყა გიორგის" და ალ-ჰაქიმთან გამართა მიწერ-მოწერა. ბიზანტიის იმპერია ანაციონალური სახელმწიფო იყო, რომელიც ბერძნულ ენას, ქრისტეს სჯულს სხვადასხვა პოლიტიკური ხრიკების მეშვეობით იყენებდა თავისი დამპყრობლური მიზნების განხორციელებისათვის. ამიტომაც სძაგდა ყოველივე ბიზანტიური მეფეს, რადგანაც მასში მიმბაძველობის და საბოლოო ჯამში ქართული სახელმწიფოებრიობის, ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის დაკარგვის წინაპირობას ჰვრეტდა. როგორც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, მეფე გიორგი უცილობლად გრძნობდა, რომ ეროვნული ენის ავტორიტეტი იყო უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მისი მატარებელი ხალხის თავისთავადობის შენარჩუნებისათვის. ამადაც ახელებდა მას ბერძნული ენა და განსაკუთრებით ჭირის დღესავით სძაგდა სამეფო კარზე და ღვთის სამსჯავროში მიღებული ორენოვნება, რადგანაც კარგად უწყოდა, რომ ორი ენის ჭიდილში ერთ-ერთი ენა დამარცხდებოდა. მეტწილად კი, მარცხი ქართულ ენას ელოდა, ვინაიდან თუ ერის საერო და სულიერი წინამძღვრები უცხო ენაზე მიჰყოფდნენ ხელს სახელმწიფო საქმეების გარიგებასა და წირვა-ლოცვას, მაშინ უპოვრები და გლახაკნიც მათ მიბაძავდნენ უკეთესის მოლოდინის იმედით და უცხო ენაზე მეტყველებას გაიხდიდნენ ცხოვრების წესად. ეს გარემოება კი გამოიწვევდა ქართული ენის აღრევასა და ათქვეფას სხვა ენაში, რაც სახელმწიფო ინტერესებს კარგს არაფერს უქადდა. ყოველივე ეს მნიშ-

ვნელოვნად გაზრდიდა ბიზანტიური პოლიტიკის გავლენას საქართველოში.

თავად "გიორგიმ ბერძნულიც იცოდა და არაბულიც, მაგრამ არასდროს კრინტი არ დაუძრავს უცხო ენაზე სასახლეში". მისი ეს მოქმედება პროვინციული სიძულვილით როდი აიხსნება ბერძნულ და არაბულ ენებზე მეტყველი იმპერიების მიმართ. მან მშვენივრად იცოდა, რომ ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში ეროვნული ენის მეურვეობას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც ომებში მოპოვებულ გამარჯვებებს, ვინაიდან "როცა ერთი ერი მეორის პოლიტიკური გავლენის ზონაში მოექცევა, პოლიტიკურ დაპყრობას კულტურული მოჰყვება, მხედარს მწერალი შეენაცვლება, მახვილის მტვირთველს — კულტურის აგენტი"[2].

მეფე გიორგი ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველოს ერთიანობის მტკიცე ბურჯს ეროვნული ენის პრიორიტეტის ზრდასთან ერთად ეკლესიების აგებაში ხედავდა, მაგრამ ამ მშენებლობის მოთავენი და სულის ჩამდგმელნი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ უეჭველად. ამიტომაც დაიწუნა მან ბიზანტიიდან მოწვეული ბერძენ ოსტატთა მიერ შექმნილი პროექტები სვეტიცხოვლისა, რამეთუ "ამ გეგმების მიღება მოასწავებდა მიბრუნებას იმ ზეგავლენისაკენ, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებას ორი საუკუნით ადრე დაძლეული ჰქონდა უკვე". სვეტიცხოველი თავისი არსით ქართული უნდა ყოფილიყო. ის უნდა გამხდარიყო სიმბოლო ქართული ხუროთმოძღვრების თავის დაღწევისა ბერძნული ხელოვნების ზეგავლენისაგან და ქართულ არქიტექტურაში ეროვნული სტილის დამკვიდრება-გაბატონებისა. ამიტომაც მეფემ სვეტიცხოვლის აგება ქართველ ოსტატ კონსტანტინე არსაკიძეს დააკისრა, რომელმაც თავის მხრივ ნაციონალური მოტივები შეიტანა ტაძარში და ორგანულად გააგრძელა ქართული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

ქართული ხელოვნების განვითარების გზას მისდა უნებლიეთ ამრუდებს მელქისედეკ კათალიკოსი, რომელიც ბიზანტიის კეისარში საქართველოს მოსისხლე მტერს როდი ხედავს, არამედ ქრისტიანუ-

ლი სამყაროს უზენაეს არსებას. ქრისტეს სჯულით გაბრუებულ კათალიკოსს არქიტექტურულ ძეგლებში წარმართული ელემენტები ეჩვენებოდა და ამით შეშინებული "...უნებლიედ ებრძოდა... ქართულ მოტივებს, ძველბიზანტიურ მკვდარ სქემებზე შეყვარებული". ამდენად, კათალიკოსი ბიზანტიური ხელოვნების ეპიგონურობისაკენ უბიძგებდა არსაკიძეს. თუმცაღა, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი, არსაკიძე არასდროს არ შემოფარგლულა ვიწრო ეთნოგრაფიული ჩარჩოებით. ის ბიზანტიაში ეზიარა ხუროთმოძღვრების ბერძნულ სკოლას, რითაც გაიფართოვა და გაიმდიდრა საკუთარი შემოქმედებითი თვალსაწიერი. მაგრამ "მას შემდეგ, რაც თავისთავადი გახდა ოსტატი, გადაუხვია მასწავლებელთა გზას"

კულტურათა ურთიერთზეგავლენა, ურთიერთგამდიდრება ობიექტური კანონზომიერებაა, რომელსაც ისტორიულად ვერც ერთმა ხალხმა ვერ აუქციავ გვერდი. ქართული კულტურა ძველთაგანვე განიცდიდა მუსლიმანური და ქრისტიანული კულტურების გავლენას, მაგრამ ამან როდი დაუკარგა ქართულ კულტურას ეროვნული სახე. ქართველებს სხვა ხალხების მონაპოვარი ხელოვნების სფეროში მექანიკურად და ზედაპირულად როდი გადმოჰქონდათ, არამედ შემოქმედებითად ითვისებდნენ და ქართულ ელფერს აძლევდნენ მას.

მწერალმა ანალოგიური მისიით აღჭურვა არსაკიძე, ბერძნული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ტრადიციებზე აღზრდილი დიდოსტატი, რომელმაც ეპიგონურად კი არ შეითვისა ბერძნული ელემენტები, არამედ შემოქმედებითად გაიცნობიერა, ეროვნულობის დარჯაში გაატარა და მრავალსაუკუნოვანი ქართული არქიტექტურის ტრადიციულ ნორმებს დაუქვემდებარა ის. სწორედ ამგვარმა სინთეზმა უფრო თვალნათლივ გამოკვეთა ის განმასხვავებელი ნიშნები, რითაც არსაკიძემ თვითმყოფადი სახე მიანიჭა ქართულ ხუროთმოძღვრებას. ქართული ხელოვნების განვითარების მაგისტრალური გზა, თავად არსაკიძის ეროვნული კრედო, როგორც ხელოვნების, ასევე პოლიტიკის სფეროში, გადმოცემულია აგრეთვე მის მიერ შექმნილ ფერწერულ ტილოზე, სადაც დახატულია ბიბლიური იაკობის ბრძოლა

ღმერთთან.

ამ ნახატში სიმბოლურადაა გააზრებული ქართული ხელოვნების ბიზანტიური კულტურისადმი ბრმა მიმბაძველობის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან იაკობის სახეში ქართული კულტურის დამოუკიდებლობის დამცველი — არსაკიძე შეიცნობა, ხოლო ღვთაების სახეში ბიზანტიური კულტურის ბრმა მიმდევარის — მელქისედეკისა.

ქართული ხუროთმოძღვრების თვითმყოფადობისაკენ სწრაფვა, მისი შეურიგებლობა კოსმოპოლიტიზმთან იშლება რომანში აგრეთვე არსაკიძის ფარსმან სპარსთან დაპირისპირების ფონზე, რაზედაც მიუთითებს თავად მწერალი რომანის ბოლოსიტყვაობაში: "ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებული უნდა იქნეს, როგორც ერთგვარი ტეზა და ანტიტეზა რომანში.

ერთის მხრით, დიდად ტალანტიანი ფარსმანი, უპრინციპო და გაყიდული უსამშობლო კაცი, მეორე მხრით, აგრეთვე ტალანტიანი არსაკიძე, მისი შეგირდი.

ფარსმანი გადაეგება, როგორც ხელმოცარული კაცი, ხოლო არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი — "სვეტიცხოველი დარჩება როგორც წარმავლობასთან მებრძოლი, უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა"[3]. არსაკიძე, როგორც ხელოვანი, გრძნობს, რომ მეფემ და კათალიკოსმა ის საგანგებოდ დაუპირისპირეს ფარსმანს, მის "სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი მწიფე ნაყოფს". თავად მოკრძალებული და ბუნებით უთვინიერესი ჭაბუკის "ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი ფარსმანის მიერ აგებული მცხეთაში"

მწერალმა შეგნებულად შეადგენინა ფარსმან სპარსს სვეტიცხოვლის სამნაირი გეგმა, რათა უფრო ნათლად წარმოეჩინა მისი შემოქმედებითი მრწამსი, ეროვნული პოზიცია. ფარსმანის მიერ დაპროექტებული სვეტიცხოვლის ტაძარი მუსლიმანური, ბიზანტიური და წარმართული ხელოვნების ელემენტთა უსისტემოდ შეკრულ კომპლექსს წარმოადგენდა, რაც ქართულ ხუროთმოძღვრებას კოსმოპოლიტიზმის საბურველით შემოსვის საფრთხეს უქადდა.

ფარსმან სპარსი უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ კონდოტიერი, "თავის სამშობლოში უსამშობლოდ ქცეულ...ი" ხელოვანია. მისთვის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობას ქართული ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც შემთხვევით როდია, რომ მის მიერ შექმნილი ორი მონასტერი სამცხეში მიწისძვრამ იმსხვერპლა, ხოლო განგებამ არ არგუნა მას სვეტიცხოვლის აგება.

ხელოვნების "მუზასთან" შებმული ფარსმან სპარსი ხელმოცარული დარჩა, რადგან ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი ხელოვანი, კოსმოპოლიტი თავისი სულიერი და პოლიტიკური მრწამსით, ვერ შეერკინებოდა საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს — სვეტიცხოვლის აგების საქმეს.

არსაკიძის დაპირისპირება ფარსმან სპარსთან გააზრებულია მწერლის მიერ, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციული სტილის განვითარების აუცილებლობა, რომელიც განპირობებული იყო იმდროინდელი საქართველოს ობიექტური პირობებით.

სხვა შემთხვევაში არსაკიძე "არც თუ ოდესმე გაბედავდა... არაგვისა და მტკვრის შესართავთან ტაძრის აგებას უკვარცხლბეკო ვაკეზე.

აღმოსავლეთიდან ჯვრის ტაძარი გადმოსცქერის მას, სარკინეთისა და ზედაზენის მთების გვირგვინი, ჩრდილოეთიდან ყაზბეგის მწვერვალიდან ყინვის ბექთარებში ჩაჭედილი მარადჟამობა"

მცხეთის ტაძრის გვერდით ახალი ტაძრის აგება მართლაც დიდ გამბედაობას მოითხოვდა ხელოვანისაგან, რადგანაც "მცხეთის ჯვარი — წინა დროის ქართული ხუროთმოძღვრების ძიებათა დამაგვირგვინებელი და ყველაზე სრულიად განმასახიერებელი ნაწარმოები — საფუძველს უყრის განვითარების მთელ საფეხურს"[4]. მომდევნო საუკუნეებში ქართული ხელოვნება ობიექტური, სოციალ-პოლიტიკური მიზეზების გამო აცდა ტრადიციულ განვითარების გზას და მხოლოდ IX-X საუკუნეებში შეიქმნა პირობები ქართული ხელოვნების ეროვნულ ტრადიციულ გზაზე დაყენებისა და მისი ბიზანტიური

სკოლის გავლენისაგან გასანთავისუფლებლად. ამ ახალი გზის გაკვლევა სვეტიცხოველს უნდა დაეგვირგვინებინა, ისე, როგორც ეს ერთ დროს ჯვრის ეკლესიამ ითავა, მაგრამ სვეტიცხოვლის ტაძარს ემუქრება განადგურება მოშურნე ფარსმან სპარსისაგან, რომელსაც სურს დროებით დაბრუნებული ხუროთმოძღვართუხუცესის თანამდებობა გამოიყენოს სვეტიცხოვლის იავარსაქმნელად. ეს ბარბაროსული მიზანი შელახული პატივმოყვარეობის ჟინის მოკვლა როდი იყო მხოლოდ... ის მოასწავებდა ქართული ხელოვნების უკან მობრუნების მცდელობასაც. თუმცა ფარსმან სპარსის ეს წადილი ამაოა, რადგანაც სვეტიცხოველმა თვით დიდოსტატის ცხოვრებაში გაუძლო ბუნების კაპრიზებს, მოშურნეთა ინტრიგებს და იმთავითვე დაიმკვიდრა ადგილი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც სიმბოლომ ეროვნული მთლიანობისა და თავისთავადობისა.

სვეტიცხოველი უმთავრესად ორი ძირითადი ფაქტორის — მთლიანი საქართველოს არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების ერთ ფოკუსში მოქცევის და სახელმწიფოებრივი მთლიანობის აუცილებლობის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო.

სახელმწიფოებრივი მთლიანობის აუცილებლობაში ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა და აღზევებაც იგულისხმება, რასაც მწერალი აღნიშნავს ერთგან: "დიდოსტატის მარჯვენაში" წარმართობის აპოლოგია როდია მოცემული. პირიქით, ამ რომანში ბრძოლა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის თავდება ქრისტიანული კულტურის გამარჯვებით, სვეტიცხოვლის აგებით"[5]

ძეგლში მთელი სისრულით შენივთდა საქართველოს ყოველი კუთხის არქიტექტურისათვის ნიშანდობლივი ელემენტები. სვეტიცხოველმა განავითარა ქართული არქიტექტურის განმთლიანების ტენდენცია და ამიტომაც არის, რომ "მორთულობის ზოგ დეტალში შეიძლება აღმოვაჩინოთ მოტივები უკვე ცნობილი სამხრეთ საქართველოს X საუკუნის ძეგლებიდან. ეს დამახასიათებელია საქართველოს გაერთიანების ხანისათვის, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა მონაპოვარი საერთო ეროვნულ კუთვნილებად იქცევა"[6].

ქართული არქიტექტურის ნაციონალიზაცია თავის მხრივ ქმნიდა ბალავარს ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის და ცენტრალისტური სულისკვეთებით მსჭვალავდა ხალხს. ქართველ ერს უნდა ერწმუნა ქვაში ჩაკირული საქართველოს პოლიტიკური ძლიერების, მისი ერთიანობის რეალურობა. სწორედ ამ ეროვნული მთლიანობის იდეამ შეჰყარა დარუბანდსა და ნიკოფსიას შორის გადაშლილი საერისთაოებიდან დაძრული ქართველობა მცხეთაში, სადაც სვეტიცხოვლის კურთხევის დღეს მელქისედეკის წირვაში აშკარად გამოიკვეთა ეროვნულ-კულტურული იდეის პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობა.

კათალიკოსი ქართულ ენას ეროვნულ,სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს. მან კარგად უწყის რომ "ბერძნული ენის ზეგავლენა განსაკუთრებით სახიფათო იყო ქართულისათვის, რამდენადაც ქართული ორტოდოქსული ეკლესია ბერძნული ტიპიკონისა იყო" მელქისედეკი გონებამახვილურად საუბრობს ქრისტიანული მოძღვრებით ხალხთა და ენათა თანასწორუფლებიანობის შესახებ, "რამეთუ უკეთუ ვილოცვიდე უცხოითა ენითა, სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონებაი ჩემი უნაყოფო არს", და ამიტომაც მცხეთაში, ტაძრის კურთხევისას კათალიკოსი დაეუფლა "სპილენძივით მტკიცესა და თრიაქივით დამათრობელს, სალმასურის ჯაჭვივით ელვარე, ქართულ სიტყვას და შეატოქა იგი აგრეთვე მშვენიერსა და აგრეთვე ვაჟკაცურ ბერძნულს", რითაც ხაზგასმით გამოკვეთა ქართული ენის ნაციონალური სახე და პოლიტიკური თავისთავადობა.

ქართული ენის სულიერი მწყემსი, მისი ზნეობრივი ნორმების პირუთვნელი დამცველი მელქისედეკ კათალიკოსი სვეტიცხოვლის ამშენებელს — დიდოსტატ არსაკიძესაც ქომაგობს. მართალია ის დრო და დრო წინ ეღობება ხელოვანის თავისუფალი აზრის გაქანებას და ეკიც ქრისტიანებს აწინაურებს ნიჭიერი წარმართების ნაცვლად, მაგრამ წარმართული ელემენტების წინააღმდეგ მებრძოლს და ქრისტეს სჯულით გაბრუებულ კათალიკოსს სხვანაირად არც ძალუძს რომ მოიმოქმედოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თა-

ვად დიდოსტატი არსაკიძე ნახევრად წარმართია. მართალია, ის თავადაც მიუთითებს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარია, მაგრამ წარმართული ელემენტებიც ძევს ორგანულად მის ბუნებაში, რასაც ადასტურებს არსაკიძის მიერ წითელი მამლის შეწირვა ღვთაებისადმი ყვავილის მოხდის გამო. ასე რომ, მელქისედეკ კათალიკოსის დრტვინვა და განცდები ტაძრის ანსამბლეაში წარმართული ელემენტების მოსალოდნელ მოძალეობაზე, სავსებით ბუნებრივია. სწორედ წარმართობის მოძალების შიშით ვერ შესძლო მან ოსტატის გადარჩენა, რადგანაც არსაკიძე ებრძოდა იმ რელიგიურ დოგმებს, რომელთა თაეგამოდებული დამცველი თავად კათალიკოსი იყო. წინაალმდეგ შემთხვევაში არსაკიძის ხსნა მელქისედეკის მსოფლშეგრძნების მარცხის ტოლფასი იქნებოდა. ქრისტიანული რიტუალებისა და ტრადიციების დარღვევის საშიშროება არ აძლევს საშუალებას კათალიკოსს სვეტიცხოვლის ხელთდასხმის დღეს აღმშენებლის სახელი წარმოთქვას სხვებზე ადრე, ამიტომაც "ბოლოს იგი მოიგონა, ვისი ხსენებაც გულით ეწადა პირველად"

კათალიკოსის თანაგრძნობა და მოწიწება დიდოსტატის მიმართ განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტორით, რომ "სვეტიცხოვლის აშენება — ეს იყო ღვთაების იდეის გამიწიერება, რომელსაც უნდა შეეკრა ერთი რწმენითა და სულით, ქართული ენითა და ქრისტეს სჯულით ქართლოსის შთამომავალნი"[8]. ამიტომაც მელქისედეკი ტაძრის კურთხევისას კეისრის მიერ ნაბოძებ ბერძნულ ხატებს განზრახ გვერდს უვლის და ნოკორნადან საგანგებოდ ჩამოსვენებულ უცნობი ქართველი ოქრომჭანდაკებლის მიერ შესრულებულ წმ.გიორგის ხატს მთელს ქართველ ხალხთან ერთად არსაკიძის განკურნებას შეჰღაღადებს.

კ.გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენაში" გაშლილი ეროვნულ-კულტურული კონცეფციის პრაქტიკული განხორციელება აღიქმება, როგორც განუყოფელი ნაწილი იმ მთელისა, რომელსაც ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ მიჰყავდა საქართველო. ამდენად, მელქისედეკ კათალიკოსის ქადაგება სვეტიცხოვლის

კურთხევის დროს ქადილი როდია, არამედ წარმოსდგება, როგორც ქართველი ხალხის საბრძოლო პროგრამა: "ყოველი ერი თავის ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ღმერთი"

კ.გამსახურდიას მეორე ისტორიულ რომანში "დავით აღმაშენებელი" ეროვნულ-კულტურული კონცეფცია მკრთალ ფერებშია ასახული და მას ნაწარმოების სიუჟეტური ქარგის აგებაში არსებითი მნიშვნელობა არ მიერწყვება. რომანში ნაკლებად შეიგრძნობა ბიზანტიური ხელოვნების ზეგავლენა თვითმყოფადი ქართული ხელოვნების განვითარების გზაზე. "დავით აღმაშენებელში" ანტიბიზანტიური სულისკვეთება ნაკლებად ვლინდება. ეს იმითაცაა გაპირობებული, რომ დავითის ხანაში ერთმორწმუნე ბერძნებს სელჯუკები შეენაცვლნენ, რომლებიც თავიანთი აგრესიულობით ბევრად აჭარბებდნენ ბერძნებს. ისინი წალეკვითა და წარწყმედით ემუქრებოდნენ სრულიად საქრისტიანოს.

თუ "დიდოსტატის მარჯვენა" ანტიბიზანტიური რომანია, "დავით აღმაშენებელი" ანტითურქული სულისკვეთებითაა უფრო გაჟღენთილი. დავითის დროინდელ ქრისტიანულ სამყაროს დაუნდობელი მტერი გაუჩნდა სელჯუკთა სახით. საკუთარი მიწა-წყლიდან გამოყრილმა თურქებმა ქრისტიანთა გასაოცარ, ჯერ არნახულ ხოცვასა და რბევას მიჰყვეს ხელი იმთავითვე. ამგვარი განსაცდელის ჟამს ქრისტიანულმა ქვეყნებმა მართებულად შეაფასეს კარს მომდგარი საფრთხე და ერთიანი ძალებით ეკვეთნენ მტერს. ევროპის ქვეყნებიდან დაძრულმა ჯვაროსნებმა რიგ ომებში სასტიკად დაამარცხეს სელჯუკები და ყოველი ქრისტიანისათვის წმინდა ალაგად შერაცხული იერუსალიმიც წაგლიჯეს გადამთიელებს.

დავითმა კარგად უწყის, თუ რას ნიშნავდა ასეთ დროს ქრისტეს მხედრობის გაერთიანება მუსულმანური კოალიციის დასაძლევად. დღენიადაგ იმითაა დაინტერესებული, თუ როგორ მიდის ქრისტეს მხედრობის საქმე, რამდენი ქალაქი და ციხესიმაგრე წაართვეს თურქებს. მხოლოდ ერთ რამეს ნატრობს მეფე, ეს ერთიანობა არ მოიშა-

ლოს. "თუ სჯქრისტიანომ ერთობლივ ბრძოლას მიჰყო ხელი, მუსულმანები ვერას დაკვაკლებენ", აცხადებს დავითი, თუმცა ამ ერთიანობის იმედი არც მას აქვს, ამიტომაც ავლენს თავის ეჭვებს ოვსთა მეფესთან და მის მოსამსახურეებთან, რომელნიც ჯვაროსნებისაგან დახმარების იმედით იკვებებიან: "მე არა ერთგზის მითქვამს ჩემი სპასალარებისათვის, ღვთის იმედი კარგია, მაგრამ ხმლითაც უნდა წავეშველოთ-მეთქი მას. ის ქრისტიანი ფრანკები ერთობლივად ვერ იომებენ, მაგრამ ისინი რომ არ დასძგერებოდნენ სელჯუკიანებს, სელჯუკიანები თქვენც გეწვეოდნენ თუნდაც ჩრდილოეთიდან".

სელჯუკიანების გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად ბიზანტიის იმპერია თავად იმყოფება შეჭირვებულ, გაუსაძლის სიტუაციაში. ასეთ დროს მას არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაზე. თუმცა ბიზანტიური კულტურისადმი დაპირისპირება ეპიზოდურად მაინც შეინიშნება რომანში.

დავითი არ ერევა ბიზანტიის საშინაო საქმეებში, შეგნებულად ეაურბის ბიზანტიელებთან პურობას. მეფეს უგემოვნოდ ეჩვენება ბიზანტიელი მხატვრის მიერ შესრულებული შავი ღვთისმშობლის სახე და ცდილობს განერიდოს ბიზანტიური ხელოვნების სამყაროს. ნიშნეულია ისიც, როცა გელათის მოსაკაზმავად ქართველი ბერები ხატებსა და ჯვრებს ჩამოიტანენ ბიზანტიიდან, მეფე ჯიქურ მიახლის სასულიერო პირთ, "ბიზანტიური თუ ქართულია" თქვენს მიერ ჩამოტანილი ხატებიო. მისი სულიერი სამშვინველი დაოკდება, როცა მოახსენებენ, რომ "მხოლოდ და მხოლოდ ქართული" შეწირულობით აპირებდნენ გელათის მოკაზმვას. ერთ დროს ბერძნების მიერ გატაცებულ სულიერ საგანძურს ქართველები დავითის თაოსნობით იბრუნებენ და წმინდა ალაგს აბინავებენ.

დავითი მთელი არსებით იყო მოწადინებული გელათი გამხდარიყო "აღმატებელი ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, სახელგანთქმული, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად, სასწაულად ყოვლისა კეთილი-

სა მოძღვრად სწავლულებისა და სხვად ათინად ფრიად უაღრეს მასსა". სწორია ზვიად გამსახურდია, როდესაც წერს: "გელათი იყო ისეთი რელიგიური ცენტრი, ისეთი დონის სასულიერო ცენტრი, როგორც იერუსალიმია ქრისტიანული კურტურის თვალსაზრისით და მეორე მხრივ ანტიური ელინური სიბრძნის ისეთი უდიდესი კერა, როგორიც იყო ათინა, ათენი — საბერძნეთის დედაქალაქი და თან ფრიად უაღრეს მისსა", ე.ი. მასზე უფრო დიდი, ვინაიდან ათენი იყო წარმართული, ხოლო გელათი საღვთო წესებით, ქრისტიანული წესებით გამდიდრებული და აღზევებული. ე.ი. ათენი, ათინა მოცემული ქრისტიანულ დონეზე"[9]

გელათის ტაძრის კურთხევის დღეს სრულიად უნდა წარმოჩენილიყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის მაგისტრალური გზა, როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ სარბიელზე. ნიშანდობლივია, რომ გელათის ხელთდასხმაზე "შხატვართუხუცესს თევდორეს მზადა ჰქონდა მეფის ხატები. თავზე ბიზანტიური ოქროს გვირგვინი როდი ადგას მეფეს, არამედ ქართული მუზარადი". ამით ხაზგასმულია დავითის მიერ ბიზანტიის იმპერიული პოლიტიკისაგან თავის დაღწევის აუცილებლობა. დავით აღმაშენებლის სურვილია მოჩვენებითადაც არ იმყოფებოდეს ბიზანტიელი იმპერატორების ზეგავლენის ქვეშ. ყველანაირი ხარისხი და წოდება რასაც ბიზანტიელი კეისრები წყალობის ნიშნად უბოძებდნენ ხოლმე ბაგრატოვნებს,. დავითის მიერ ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილია. კ.გამსახურდია ერთგან წერს: "ნურვის ჰგონია ქართულ ფრესკებში გამოხატულ ქართველ მეფეებს იმ ეპოქისას შემთხვევით ეცვათ წითელი ჩექმები. ეს ჩექმები იყო ინსიგნები ბიზანტიის იმპერატორისა"[10]. სწორედ ეს ბიზანტიური ინსიგნები უარყო დავითმა. ის თავისი წინამორბედი მეფეების მსგავსად არ ელტვის კურაპალატობას და სევასტოსობას. თუ მემატიანე ბაგრატ მეოთხის მეტი შარავანდედით შემკობის მიზნით იტყვის, "ეს ბაგრატ პირველი იყო კურაპალატი და შემდგომად ნოკულისიმოსი, და მერმე იქმნა სევასტოს"[11], დავითს ყოველგვარი ბიზანტიური რეგალიების გარეშე მოიხსენიებს.

დავით აღმაშენებლის სამეფო კარზე მოხუცი მანდატურნი და ხელშინაურნი "ბიზანტიურ მკაცრ ეტიკეტზე და ჩვეულებზე იყვნენ გაზრდილნი" და ამიტომაც ეუცხოვებოდათ დავითის ანტიბიზანტიური სულისკვეთება. მათ ყოველივე არაბერძნული ჩამორჩენილობის ბარბაროსობის ნიშნად მიაჩნდათ. ამიტომაც დავითსა და მის სპასალარებს ათვალისწუნებით უყურებდნენ, ვინაიდან ეს უკანასკნელნი არაფრად აგდებდნენ ბიზანტიურ ხარისხებსა და ჩვეულებებს. ბიზანტიზმის, უცხოურობისადმი ბრმა მიმბაძველობის სენი კ.გამსახურდიამ თვალნათლივ წარმოაჩინა "დიდოსტატის მარჯვენაში", მეფე გიორგის მონოლოგში. "მუდამ ბიზანტიელებს ეგებებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოსები, მეფეები მწვანე ეტლებს მიელტვოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი — გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი — ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს"

"დავით აღმაშენებელში" ომისა და აღმშენებლობის პათოსი ერთმანეთს ენაცვლება. მეფის ძალისხმევა მეფობის ადრეულ წლებში მიმართული იყო ციხესიმაგრეთა გამაგრებასა და მშენებლობისაკენ. გარსმოჯარულ ურიცხვ მტერს მთებზე შეფენილი ციხეები გადაულახავ ბასტიონად უნდა დადგომოდა წინ. ამიტომაც დავითმა "სათამაშო" სასახლეები მიუვალ ბასტიონებად გადააქცია, ციხე-სასახლის გალავნებში სამჭედურები გაამართვინა, სადაც მოელვარე ჯავარდნებს აწრთობდნენ.

რაჟამს მოთავდებოდა ომებისათვის მზაობა და მშვიდობა დაიდგამდა თავის კარავს მეფეთა პალატებში, აღმშენებლობა ერის სულიერი აღზევების ხაზით ვითარდებოდა. "ახლა დღენიადაგ მხატვრობის, ხატების, ოქროქანდაკების, მინანქრული და ხეზე კვეთის ხელოვნებათა გამო იყო საუბარი"

მეფის განკარგულებით ააშენეს ოქროქედვის, ხეზე კვეთის და ფერწერის ოსტატთათვის განკუთვნილი სახელოსნოები. მეფემ ტაოკლარჯეთიდან და სამცხიდან ჩამოიყვანა ხელოსნები და ოსტატები.

მისცა მათ მამული და მოღვაწეობისათვის ნორმალური პირობები შეუქმნა. დავითი წუთითაც არ სცილდება ხელოვნების მსახური, თავადაც "ადიოდა ხარაჩოებზე, დღენიადაგ ამოწმებდა მათ ნახელოვნებს ისეთივე დაჟინებული გულმოდგინებით, როგორც მხედრულ საქმეებში ეგ ჩვეოდა მას". მეფე გეგუთელ და კლარჯეთელ ხუროთმოძღვრებთან ათენებს ღამეებს, გამუდმებით ეთათბირება გელათის გეგმების თაობაზე. დიდი განსჯის შემდგომ სამეფო კარის ხუროთმოძღვარს ჯამლეთ არჯევანიძეს და კარის მხატვარს თევდორეს სასახლეში გელათის აგების გეგმა წარმოადგენინა. მან მოიწონა ქართველი ხუროთმოძღვრის მიერ წარმოდგენილი პროექტი გელათისა და მისცა დასტური ტაძრის ასაგებად.

დავითი ყურადღებით უთვალთვალებს კირითხუროთა და მოქანდაკეთა მუშაობას. მათი სულიერი გამხნევების მიზნით უზარმაზარი ლოდი გამოართვა კალატოზებს და თვითონ ჩადგა საჭირო ალაგს. უხარია კიდეც მდაბიოებთან ფიზიკურ მუშაობას რომ ეწევა. ამავე დროს მეფის გული სევდითაა აღსავსე, ვინაიდან მათი ამაგი დაუფასებელია, ვინც ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს ემსახურება, ეს უპოვარი ხალხი ერის მეხსიერებას არ შემორჩება. არადა დავითის განცხადებით "ესენია მარილნი მიწისა. იგინი ქმნიან თავის შრომით უკვდავ ძეგლებს, მაგრამ რა საწყენია, რომ ათასში ერთის სახელი არ დარჩება მომავალ თაობათა ხსოვნაში. რამდენ უგუნურ მეფეს ასხამდნენ ხოტბას ჩვენი მემატიანენი, ისეთებსაც, რომელთაც უაზროდ ხმლის ქნევისა და ქვეყნის აკლების მეტი არაფერი გაუკეთებიათ. აბა, რა ვიცით ჩვენ, თუ ვინ შექმნა დიდებული ბაგრატის ტაძარი, ბედია, წრომი, ყინწვისი, წულრუღაშენი, გინდა ბოლნისი". დავითმა გელათის ტაძართან დაარსა აკადემია. მისივე მზრუნველობითა და ძალისხმევით გელათის აკადემიაში მნიშვნელოვანი შემოქმედებითი საქმიანობა გაჩაღდა. აკადემიის კედლებში ბიზანტიელი და ქართველი სწავლულნი ახალ თაობებს სულიერ საზრდოს აზიარებდნენ. მათ შორის მეფემ საგანგებოდ მოიწვია იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი,

რომელთა ეროვნულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა რომანში ეპიზოდურადაა აღწერილი.

დავით აღმაშენებელი მოკრძალებულად აფასებს საკუთარ ნაღვაწსა და ნამოქმედარს. თუმცა ღრმად სჯერა იგიც, მომავალი თაობები მის სახელს დავიწყების საუფლოს რომ არ მისცემდნენ და ჯეროვან პატივს მიაგებდნენ. "ისე როგორც ავშანის არც ერთი მარცვალი არ დაუკარგავს დედამიწას, ისე შემოინახავს ჟამი მომავალი ჩვენს სიყვარულსა და ჩვენს საქმეს". დავითი ქრისტიანულ სათნოებასაც ეყრდნობა დედამიწაზე ჭეშმარიტ საქმეთა განდიდებისა და გაუკვდავების გამო. იესო მაცხოვარი იტყოდა, "ამინ, გეტყვი თქვენ, არა მარცვალი იფქლისა დავარდეს ქვეყანასა ზედა და არა მოკვდეს, იგი მარტო ხოლო ეგოს, ხოლო უკეთუ მოკვდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს". თავად დავითს საკუთარი შემოქმედების ნაყოფად გელათი მიაჩნია, რომელიც საკუთარ საძვალედ და "სულის სალხენად" ააშენა მან.

დავით მეფე გელათის აგებას უფლის მიერ ნაკისრ მოვალეობად მიიჩნევს "თუნდაც ეს საყდარი... მამაჩემისაგან მაქვს განაგონი მურვან ყრუს დაუქცევია იგი, უფალმა ინება და სამიოდე საუკუნის შემდეგ მე წარმაგზავნა გელათის ასაგებად" — აცხადებს მეფე და უფლის ნებას პირნათლად აღასრულებს.

გელათი საქართველოს სულიერი გაერთიანების სიმბოლო უნდა გამხდარიყო. ტაძარს მცხეთელი, სამცხელი, ლაზი და საქართველოს სხვა კუთხის შვილები აგებენ. ქვეყნის სხვადასხვა კიდეთაგან დაძრული ქართველობა კუთვნილ აგურს აწყობდა იმ მტკიცე დულაბსა და ბალავარს, რომელზედაც აიგო ეს სახელგანთქმული ტაძარი, რითაც ხაზგასმით გამოიკვეთა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ერთიანობის იდეა და მისი პრაქტიკული ხორცშესხმის გარდაუვალობა.

თავი VIII. "შეიბ მახვილი"

მამა-შვილის კონფლიქტი სამყაროს დასაბამიდან არსებობს. კონ-ფლიქტი, ბუნებრივია, სრულებითაც არ იფარგლება ოდენ პირადუ-ლი უთანხმოებით, არამედ წარსულსა და მომავალს შორის მარადი-ული ბრძოლის ფილოსოფიურ გააზრებას მოიცავს.

კ.გამსახურდიას რომანში "დავით აღმაშენებელი" მეფე გიორგი-სა და უფლისწულ დავითის უთანხმოების ფონზე ორი ურთიერთდა-პირისპირებული ეროვნული კონცეფცია იკვეთება: ერთი — რწმე-ნადაკარგულისა და შემგუებლურისა, მეორე — ურჩისა და მეამბო-ხისა.

მეფე გიორგი რწმენადაკარგული პოლიტიკის გამტარებელია. ის არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში გამოსავალს ვერ პოუ-ლობს და სულიერი მონობისაკენ უბიძგებს ერს. მეფე სასტიკი და დაუნდობელია უმცროსი თაობის მიმართ. მისი უწყებით, აზრი არა აქვს ომებს შეალიოს ადამიანმა სიცოცხლე, ვინაიდან, ყოველივე ამა-ოა სიკვდილის წინაშე. არც ტფილისის, შიდა ქართლისა და ჰერე-თის შემოერთებას მიერწყვება არსებითი მნიშვნელობა, რამეთუ ყვე-ლა სულიერს წმინდა გიორგის რისხვა ემუქრება. მეფე ბაგრატმაც აიღო თბილისი ორჯერ, მახვილის განუწყვეტელი ქნევისაგან მტკვა-რი შეიღება ქართველთა და მომხვდურთა სისხლით, მაგრამ მაინც დამარცხებული ჩავიდა სამარეშიო: "დიდ საქართველოს მიელტვო-და პაპაჩემი გიორგი პირველი, ბასილ კეისარს შეებრძოლა და სძლია, მაგრამ ბაგრატის ტაძარში დააფლეს და სამი ადლი მიწა იკმარა.

დიდი საქართველოსთვის იოცნება მთელი სიცოცხლე მამაჩემმა ბაგრატმა, მაგრამ ბოლოს მოკვდა და სამი ადლი სუდარა თან წაიღო იმ სოფელს. მაშ, ვიკმაროთ ეგ პატარა სამეფო, გეგუთის ტფილი ბუ-ხარი, თაკვერული მაღლნარი და ტკბილი საზანდარი"

მეფე გიორგის გული უკვდება იმის გამო, რომ დავითი, პაპამისის მსგავსად, დღენიადაგ სპათა წვრთვნასა და ცხენთა ჯირითსაა გადა-

ყოლილი, იმის მაგიერ, რომ ამსოფლიურ ლხენას მიეცეს, ნადირობითა და ღვინის სმით გული იჯეროს, "მას სულ ომები სწყურიაო" თავად ცხოვრებაზე გულგატეხილი მეფე შვილსაც ურჩევს გულის კარნი გაუხსნას ამსოფლიურ ლხენას, იკმაროს გეგუთის თბილი ბუხარი და აჯამეთის ტყეში ნადირობა. თავის ხელმწიფურ ძლევამოსილებასაც სიამაყით შეახსენებს ერთადერთ ვაჟს: "მეც ადრევე დამაკისრეს ბაგრატოვანთა უმძიმესი გვირგვინი. ხელში სკიპტრა მომაჩეჩეს ყრმას, მაგრამ ცალი ხელი მაინც არ შემიშვია სანადირო ქეიბურებისა და სასირეთათვის. ღვინოსაც ვსვამდი, არც დიაცთათვის დამიწყვეტია გული"

უფლისწული მამას ჰქირდავს გაუთავებელი ლხინისა და ნადირობის ტრფიალის გამო. გიორგის შეგონებანი, რომელიც ჭამა-სმის აპოლოგიას შეიცავს, უცხოა დავითისათვის. ახელებს კიდეც მამის უთავეამო დარიგება ამქვეყნიური ცხოვრების ავკარგიანობაზე: "კაი უნდა სჭამო კაცმა და კაი უნდა სვა და კაი თქვა კაი დროს მომლოდინემ. არც ის ვარგა, მუდამ აუხდომელს და შეუძლებელს რომ ეპოტინებოდე და ეგ ცოოტა, ცოტა სიტფო, ცოოტა სინათლე და მცირედი სიხარული, რომელიც ჩვენთვის უფალს უბოძებია, სამარადჟამოდ წაიწყმიდო". ასე ეაჯება მამა შვილს, რათა ის თავისი ცხოვრების წესით ატაროს, რიონის ზუთხითა და საღორიის რკოთი გაზრდილი ტახის შაშხით სურს მცირედი კმაყოფის შეგრძნება გაულვივოს შვილს და მით ხელი ააღებინოს დიად ზრახვათა აღსრულებაზე.

მაგრამ გიორგი მეორის უთავბოლო შეგონებებმა ვერ გამოიღო "სასურველი" შედეგი, ვინაიდან ის ვერ ხედავდა რა სამხილი დაენთო არსთაგამრიგეს დავითის სულში, მამას არ ესმოდა ლომის ბოკვერის დვრინვა, რომელიც გეგუთის ბუხართან როდი აპირებდა ნებივრობას. მართალია დავითი ადამიანია, და ყოველივე ადამიანური მისთვის უცხო არ არის. მას ამსოფლიურ ლხენაზე შეგნებულად როდი აქვს გული აცრუებული, მაგრამ გალიაში გამომწყვდეული ლომივით მას არ ძალუძს მამის ნაკვალევზე სიარული, "ევიწროება დუხჭირი ასპარეზი ტრამალების დიად სილაღის მონატრულს. ხლტომა მოს-

წყურებია მის ჭაბუკურ იოგებს, თავაწყვეტილი ნავარდი და ბრძოლა". მის სულში ერთმანეთს უპირისპირდება ცხოვრების ორი დინება, ერთი — გეგუთის ბუხრისაკენ უბიძგებს, მეორე — ლომის გალისაკენ. "გეგუთის ბუხარი თუ ლომის გალია". დავითი უარს ამბობს გეგუთზე, როგორც უზრუნველი მშვიდი ცხოვრების ალაგზე და ომის ღვთაების მსახური ხდება. ის შეგნებულად გაურბის მდორე, უძრავ ცხოვრების დინებას, რადგანაც ვაჟკაცს "არაფერი ისე არ ახალისებს ამქვეყნად, როგორც მეხთა-ტეხის განცდა კავკასიონის მთიანეთში".

მამისა და შვილის ამგვარი დამოკიდებულება იმას როდი ნიშნავდა, გიორგი მეფეს შვილი არ ჰყვარებოდა. პირიქით, დღენიადაგ შვილის კეთილდღეობისათვის ზრუნავდა, და როცა დავითი მეფედ აკურთხეს ფარულად, მამამ შვილს ეს საქციელი კადნიერებად არ ჩაუთვალა და გულწრფელად მიულოცა გამეფება. გიორგი მეორე შვილისადმი სიყვარულს ფარულად ატარებდა და ეს მოსდიოდა იმის შიშით, რომ ქალაჩუნა არ გამხდარიყო ვაჟი. მძინარე დავითს თვალებს რომ ამოუკოცნიდა, მეორე დღეს "მრისხანე მამის" საფარველით შეინიღბებოდა და ერთ ალერსიან სიტყვას არ ეტყოდა დავითს.

მამა-შვილობის ასეთმა უცნაურმა ურთიერთობამ თანდათანობით კონფლიქტური ხასიათი მიიღო. "სახელმწიფური უღლის ნაადრევად დადგმამ ადრე დაავაჟკაცა დავითი, ამიტომაც ადრე იჩინა თავი მამა-შვილის ხასიათთა შორის წარმოშობილმა სხვაობამ". ვეჟინის ომმა კი წარმოშვა ის ბზარი, რომელმაც საბოლოოდ გაჰყარა მათი გზები. ამ ომში დავითმა საბრძოლო ნათლობა მიიღო. თითქოს ყველაფერი წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ მეფე გიორგის უცნაურმა ახირებამ (ეშვზე ნადირობის მონატრებამ) დავითს გეგმები ჩაუშალა. მეტიც, ვეჟინის გარემოცვისას კინაღამ გიორგი მეფის თავაწყვეტილი ქმედების მსხვერპლი შეიქმნა ყრმა უფლისწული და მთლიანად ქართული ლაშქარი. დავითი შეაძრწუნა ამ ამბავმა და აქედან გულცივობა დასჩემდა მამისადმი. სათუთი გრძნობა, რომელიც მამისადმი მომეტებულად ჰქონდა, შავნაღვლიანობით შეეცვალა. გუ-

ლის სიღრმეში ებრალებოდა კიდეც მეფე, რადგანაც ვეჟინის მარცხმა ის საბოლოოდ გატეხა და დააუძლურა. ამ ისტორიულ ფაქტს დავითის ისტორიკოსმაც ვერ აუქცია გვერდი. სწორედ მეფე გიორგისა და კახეთის მეფის აღსართანის ულაჯობის გამო მოსთქვამს იგი ეგზომ მწუხარებით: "ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქციეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა და ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესოდენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა"[1]. კ.გამსახურდიამ განზოგადოებული ფორმა მიანიჭა ამ ისტორიულ მოვლენას. საბედისწერო შეცდომამ ცხადყო, რომ მეფე გიორგი ვერ გამოადგებოდა საქართველოს მაჰმადიანობასთან ბრძოლაში. ერს უნდა გაძღოლოდა მტკიცე ნებელობითა და შეუვალობით აღჭურვილი პიროვნება.

მეფე გიორგისა და დავითს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას კიდევ უფრო აღრმავებს მწერალი, რათა უფრო ნათელყოს გიორგი მეორის სამეფო კარის უსუსური პოლიტიკა ქართველი ერის დავრდომილი სულის მკვდრეთით აღდგენის საქმეში.

დავითს ჭირის დღესავით სძაგს უთავბოლო სტუმრიანობა, რომელსაც მამამისი მიმართავს. თავად ის ღვინოს ერიდება. კარგად უწყოდა, რომ ბევრი მეფე ჭქონდა წახდენილი ღვინის უზომო სმას. ღვინო ყოველგვარი საცდურის მბადია, ამიტომაც მეფემ დროებით საერთოდ აღკვეთა სასახლეში ნადიმობა, რათა სამეფო დარბაზი უთავბოლო ვაკხანალიას არ მისცემოდა. თავიდან დავითი მამას სიმართლის თქმას ვერ უბედავდა, მაგრამ მეფედ ხელდასხმის შემდეგ იგავური ენით ხშირად მიუთითებდა მის ზადზე: "გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა ისევე საუგოა, როგორც წრესგადასული სიძუნწე. ვინც სულიერ სიცარიელეს განიცდის, იგი სტუმრიანობას ნატრობსო დღენიადაგ. ლხინი მოგებულ ომებს შეენისო და არა მოსალოდნელ ომიანობას". დავითი მხოლოდ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო მართავს პურობას. ასე გაიმართა დიდი წვეულება მისი ბრძანებისამებრ იერუსალიმის აღებისა და ერწუხის ომში გამარჯვების გამო.

სხვა შემთხვევაში ის უმიზეზოდ მოჭარბებულ სტუმრიანობასა და ღრეობას გაურბოდა.

საერთოდ დავითს ბევრი რამ არ მოსწონდა მამამისის მიერ დანერგილი წეს-ჩვეულებებიდან, მაგრამ მეფედ კურთხევამდე "ერიდებოდა სასახლის ცხოვრების განრიგის დანდობილად შეცვლას" შვილი გულამრეზილია მამისადმი იმის გამოც, რომ მან არაფრად მიიჩნია უფლისწულის პირადი ვნებანი და მისდა უკითხავად ცოლად შერთო ხუთი წლით მასზე უფროსი რუსუდანი, სომეხთა მეფის ასული, რომელიც ერთობ უჩინო და უსახური მანდილოსანი იყო. სწორედ სეფეწულთა ამ უცნაური ხვედრის გამო ირონიულად შენიშნავს მახარე. "ცხენის დაგრილების გამო უფრო მეტს ჰკითხავენ მათ, ვიდრე საკუთარი ცოლის შერჩევას". დავითსაც ვერ ეპატიებია მამისათვის მის სულიერ სამშვინველში განუკითხავად ჩარევა, და მეფედ კურთხევის შემდეგ შელახული თავმოყვარეობისა და პიროვნული ღირსების აღდგენის თვალსაზრისით გიორგის მიერ შერჩეულ ცოლს გაეყარა. ამ ქმედებით შვილმა მამას აგრძნობინა, რომ დღეიდან სახელმწიფოსა და პირადული ცხოვრების გამგებელი თვითონაა და თავის სულიერ ცხოვრებაში ხელის ფათურის უფლებას არავის მისცემდა.

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს მამა-შვილს გარეშე და შიდა მტრის მიმართ. მეფე გიორგის სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ხელმოცარვის ერთ-ერთი მიზეზთაგანი მისსავე სულგრძელობაში უნდა ვეძიოთ. მეფე გიორგისათვის დამახასიათებელია შემწყნარებლობა, წრესგადასული ჰუმანურობა. მას სიძულვილიც არ გააჩნია სამშობლოს მაბრალებელთა და დამაქცევართა მიმართ. გიორგის ვერ გაუთავისებია თუ რა დაუნდობელი მტერი ჰყავდა საქართველოს სელჯუკთა სახით, რომელიც თავის გზაზე ყოველივე არათურქულს წალეკვითა და წარწყმედით ემუქრებოდა. მოსპობდნენ თუ არა რომელიმე სახელმწიფოში მმართველობას, მყისვე თურქული ენის სწავლებასა და გავრცელებას შეუდგებოდნენ. იმჟამინდელი თურქული განათლება კი სელჯუკიანთა სასულტნოში უპირველეს ვეზირად მიღებული ნიზამ ალ-მულკის მოძღვრებაში პოულობდა სათავეს. ეს გან-

მანათლებელი კი ასე ამტკიცებდა თავის ობსკურანტულ მოსაზრებებს: "თუ შევძელით ისლამური რელიგიისა და თურქული ენის ყველგან გაბატონება, მთელს მსოფლიოს დავიპყრობთ უცილოდ. თურქული ენა ალლაჰის ენაა, ვინც თურქულს ისწავლის, იგი საკუთარს თავისთავად დაივიწყებსო".

ასეთი კაცის სიკვდილი ღრმად დაამწუხრებს მეფე გიორგის, რამეთუ ამ კაცში ის კაცთმოყვარეობის გრძნობას აფასებდა. ამავე მიზეზით მისტირის ის სელჯუკიანთა სულტანის სიკვდილს, ვინაიდან მის არსებაში სელჯუკიანთა გამგებელი იყო, "პურადი და კაცთმოყვარე სულტანი, სიტკბოებითა და სახიერებითა აღმატებული ყოველთა კაცთა". ამაში ის მაშინ დარწმუნდა, როცა ისპაჰანს გაემგზავრა მალიქ-შას წინაშე თაყვანისცემად და "შეწყნარებულ იქნა მისგან ვითარც შვილი საყვარელი". თურქეთის სულტანმა, რომელიც დავითის ისტორიკოსის განცხადებით "ყოვლად უბოროტო" იყო, ყოველნაირი სათხოვარი აღუსრულა გიორგის, თუმცა ხარაჯის გადახდა მაინც დააკისრა.

გიორგი მეორე კაცთმოყვარეობის გრძნობით აფასებს იმ ხალხს, რომელიც დღენიადაგ მისი სამშობლოს მიწის პირისაგან აღგვაზე ოცნებობს. ის მოხიბლულია თურქი ხალხის უბრალოებით და თურქული ენის ტკბილხმოვანებით. "გიორგი მეორე ბრმადმორწმუნე ქრისტიანი არასოდეს ყოფილა. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ხმლით ებრძოდა იგი თურქებს, მაგრამ მათდამი სიძულვილიც უცხო იყო მისთვის.

ისპაჰანსა და ბაღდადში მალიქ-შა სულტანთან სტუმრობისას იგი გაეცნო არა ერთ კაი-კაცს თურქთაგან. მას ხიბლავდა კიდევაც ის მომნუსხველი ხასიათისმიერი სილბო, რომელიც თურქული მოდგმის ხალხებთან ურთიერთობაში საგრძნობი ხდება ხოლმე, უფრო მეტი, მას აჯადოებდა განსაცვიფრებული კეთილხმოვნება არაბულისა, თურქულისა და ირანულისა"

მეფე გიორგის გარეშე მტრისადმი ამგვარი ნებიერი დამოკიდებულება მისი სახელმწიფოებრივი მმართველობის ქვაკუთხედს შე-

ადგენს. უფრო მეტი კეთილგანწყობა გააჩნია მას შინაშლილობის მოთავეების, ქვეგამხედვართა მიმართ. ის უსაზმნო ამბავად თვლიდა ერისთავთა გადაკიდებას და პურ-მარილითა და დასაჩუქრებით ლამობს თავაწყვეტილი ფეოდალების მომდორვას. გიორგის თავიც მოაქვს დამარცხებული მტრისადმი გამოჩენილი გულმოწყალებითა და პატივის მიგებით, "ასეთნი ვიყავით ჩვენ — დამარცხებული მტრისადმი სულგრძელნი და მიმტევებელნიო" — რიხით აცხადებს მეფე და იმას ვერ ამჩნევს თვალნათლივ, რომ მტრისადმი გამოჩენილი ამგვარი ჰუმანურობა გაორკეცებული ძალით აღაგზნებდა განკერძოების მოტრფიალეთ და ხელმეორედ უღვიძებდა მათ განდგომისა და ამბოხების სურვილს, ვინაიდან მოსალოდნელი დამარცხების შემთხვევაშიც მათ მეფისაგან დასჯის მაგიერ წყალობა ელოდათ. ამადაც ასხამს ხოტბას ლიპარიტ ბაღვაში გიორგის, "უუხვეს ყოველთა მეფეთა აფხაზეთისას და პურად ყოველთა კაცთა"-ს უწოდებს ბაგრატოვანთა ტახტის მპყრობელს იმ წყალობისათვის, რომელიც გაიღო ამ უკანასკნელმა მისთვის და მისნაირ მოღალატეთათვის.

მეფეს სურს კაცის კვლას შვილი არ მიაჩვიოს, დღენიადაგ ჩასჩიჩინებს დავითს ლიპარიტისა და რატის შემორიგებას. და როცა დავითი არსებული პოლიტიკური ვითარების გამო ლიპარიტ ორბელიანს შეუნდობს ცოდვებს, გიორგი გახარებული მოიკითხავს შვილთან მებრძოლ ფეოდალს და მის გასაგონად იტყვის: "როგორც იქნა ეჯიათმა დავითმაც იცვალა საგრძნობლად გეზი, დადინჯების გზას დაადგა იგი". დავითის დადინჯებაში მეფე გიორგი გულისხმობს მის მიერ ლიპარიტის შემორიგებას. თავად ერისთავთ-ერისთავს პატარა საყვედურსაც არ აკადრებს სარწმუნოების გამოცვლისა და მუსლიმთა რჯულის მიღების გამო. პირიქით, ამგვარი განხეთქილება გარკვეულ წინაპირობასაც ქმნის ჭეშმარიტი მეგობრობის აღმოსაცენებლადო. "მადლი უფალს ვექო, ყოველივე აგრე მშვიდობიანად რომ დასრულდა, ხანდახან წაკიდებაც ამკვიდრებს ხოლმე მეგობრობას"

გულჩვილობა, წრესგადასული შემწყნარებლობა თანამდევი თვისებაა უფროსი თაობისათვის. გიორგი მეორესა და მის თანამებრძო-

ლებთ აშინებს ზედმეტი სისხლისღვრა, სულის მყუდროებისაკენ ილტვიან დღენიადაგ. გიორგი მეორის აზრით, "ქვეყანა წახდა, მთანიღა შემოგვრჩნენ უცვლელნი კვლავ, მდინარენი თავიანთ სადენს მიჰყვებიან, მაგრამ იცვალნენ ზნენი და ჩვევანი, ჩვენ თვალწინ გულბოროტნი გახდნენ კაცნი, სულის მშვიდობა შემოაკლდა მორჩითა თაობას". ქვეყნის წახდენაში გიორგი უწინარესად დავითის თანაკბილა სარდლებს ადანაშაულებს. მას ჭირის დღესავით სძაგს ნიანია ბაკურიანი, მისი ტყვეობიდან განთავისუფლებაც არ ეამა, რადგან ის გრიგოლ ბაკურიანის უკანონო შვილსა და ჯონდი ერისთავს დავითის უბოროტეს დემონებად მიიჩნევდა.

გიორგის მსგავსად ფიქრობს მისი სარდალი, ბექისციხის პატრონი, გვარამ ერისთავი. ის ლანდივით დასდევს თრიალეთის საერისთაოში მეამბოხეთა დასასჯელად შემოსულ დავით მეფეს. წამდაუწუმ "გულმოწყალე და მორჭმულ" ქრისტიან კეისარს, ალექსი კომნენს ადიდებდა, რომელიც პაჭანიკებთან გადახდილი ომის შემდეგ იმდენად შეზარა ომის სისასტიკემ და შეუბრალებლობამ, რომ მაცხოვარს მუხლმოდრეკილი შენდობას ევედრებოდა. ამით გიორგი მეორის სარდალს სურს შთააგონოს მეფეს, "უკეთუ ქრისტიან კეისარს წარმართნი პაჭანიკნი ასე ებრალებოდა, შენ თანამოძმე ტომის შემოსამტკიცებლად მიდიხარ, როგორც ქრისტიან მეფეს, უფრო მეტად გმართებსო დაზოგო სისხლისმიერი ნათესავი შენი"

გვარამ ერისთავი ხედავს უფროს და უმცროს თაობას შორის ჩამოვარდნილ სხვაობას. დროის ცვალებადობასთან ერთად ზნენი და ჩვევანიც შეიცვალნენ. მოხუცი ერისთავის აზრით გიორგი მეორეც დავითსავით რომ გარჯილიყო, მხოლოდ მას და შამან ერისთავს შერჩებოდათ მხრებზე თავი. დავითის ირგვლივ შემოჯარული თაობა შინაგანადაც ისეთივე სასტიკი და ულმობელია, როგორი სასტიკი იერიც გადაკვროდათ მათ სახეს. ერისთავი ასეთ პარალელებს ავლებს ორ თაობას შორის. "იცვლებიან ჟამნი, ჩვენცა ვყოფილვართ ახალგაზრდანი ოდესღაც. ჩვენცა გვცმია თორნი და ომები გადაგვიხდია.

სულ სხვა თაობა მოჰყვა ამ დროს — მძვინვარე, მოშუღლე და დაუზოგავი".

ამ "მძვინვარე და მოშუღლე" თაობის მეფსალმუნე დავით აღმაშენებელია, რომლის ცხოვრებისეული კრედო რადიკალურად განსხვავდება მამამისის მიერ არჩეული ცხოვრების წესისაგან. დავითს გული სწყდება მამის უილაჯობისა და გულჩვილობის გამო და ფალაშურ ლექსში ჩაქსოვილი სიბრძნე ცხოვრების წესად გაიხადა; "სიძაბუნეᲗ ჩემმა მომაშლევინა გამოშვება ზედმეტი სისხლისა, მე ვცოცხლობ ვითომდაც, მაგრამ სიძაბუნის ჩემის გამო აღარც ვარსებობ თითქმის"

დავითის აზრით გიორგი მგორის უმწეო პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში ანარქიამ და გაუთავებელმა შინაარეულობამ დაისადგურა. ბიზანტიის საკეისროს დაკნინებისა და დაჭუცმაცების წინაპირობაც სწორედ ის გადამეტებული ქრისტიანული გულმოწყალება წარმოადგენდა, რითაც გიორგისა და მის სარდლებს მოჰქონდათ თავი. დავითი ბიზანტიის იმპერიისა და მისი მტრების ურთიერთობას ყვავის მიერ ქორის ბახალას გამოზრდას ადარებს, როცა ყვავის მიერ წამოჩიტებულ ქორს ნავარდი მოუნდა და მზრდელი შემოეჭამა. ბიზანტიელი კეისრების მიერ თურქებისადმი გამოჩენილმა ლბომიერმა მოპყრობამ დიდი განსაცდელი განუმზადა ბიზანტიის საკეისროს. მეზობელი სახელმწიფოს მიუტევებელი შეცთომის გათვალისწინებით დავითი შეუვალი და უკომპრომისოა გარეშე და შინაური მტრების მიმართაც. "ნურავინ შეივრდომებს თავის მტერს, თორემ მასაც იგივე მოუვა, რაც იმ ყვავს შეემთხვა უგუნურს"

დავითს არ ძალუძს მამამისის მსგავსად მტრის სულიერ სამყაროში ადამიანური თვისებები ეძებოს. მისი ცხოვრებისეული კონცეფცია მარტივი და გასაგებია: მტერი მახვილით უნდა მოისრას, მითუმეტეს ის ხალხი, რომლის ნაშიერნი გახელებულ ავაზასავით იმუქრებიან: "ეს უნდა უწყოდეს დავით მეფემ, სადაც თურქული ცხვარი სძოვს, ის თურქების ქვეყანაა და თუ ჯერ კიდევ არ არის თურქის ქვეყნად უნდა იქცეს იგი"

გიორგი მეორისა და მისი თანამოაზრეების შიშნარევმა პოლიტიკამ სავალალო ნაყოფი გამოისხა. ერი ჰიპნოზურ ძილს მიეცა. ცამეტ წელს იცავდა ბერი გოდოლია დუმილს, ერთგვარი პროტესტის ნიშნად უფროსი თაობის მიერ გატარებული უნიათო პოლიტიკის გამო. მისი სულის მყუდროება დავითის პიროვნებამ დაარღვია, რომელშიც მან მესიის მახვილი შეიცნო. "შენ ხარ მახვილი, სიძულვილითა ჩვენითა აელვებული, მახვილი ცხენებისა ზედა მათსა, მახვილი მხედართა ზედა მათსა, განაბნიე სპასპეტნი და მთავარნი მტრისანი, რამეთუ შენ ხარ ლომი მაქნართაგან იორდანისა გამოსული". ბერი გოდოლია დავითისადმი აღვლენილ ღაღადისში ერის სულიერი დაცემის უმთავრეს ფაქტორს უფროსი თაობის მიერ გატარებულ ბეც პოლიტიკაში სჭვრეტს, "შამათა სჭამეს კაწახი და კბილნი შვილთაგან მოლხვეს" კ.გამსახურდია თავის ახალგაზრდობაშიც ანალოგიური სიტყვებით მიმართავს უფროს თაობას, რომელთაც თავისუფლების შეგრძნების ნიჭი წართმეული ჰქონდათ და ბედს ბრმად მინდობილნი იყვნენ: "შამათა ჩუენთა ცოდეს და არა არიან ჩუენ უსჯულეობათა მათთა მოვუხუამთ"[2].

მამების დათესილი "ამაგი" შვილებმა მოიმკეს. მათ სამემკვიდრეოდ ერგოთ დაქცეული და გაპარტახებული ქვეყანა. უფროსი თაობის შემგუებლური ცხოვრების წიაღში იშვა თაობა — მძვინვარე და დაუზოგავი, რომელთა საბრძოლო დევიზია — "სისხლი — სისხლის წილ"

შვილთათვის სახელმწიფოს გამგებლობაში უცხოა გადამეტებული ქრისტიანული გულმოწყალება, ვინაიდან კარგად უწყით, რომ "სულგრძელობა სხვა არაფერია, თუ არადა ორლესული მახვილისათვის თავის შეშვერა", საკუთარი უძლურებისა და ხელმოკლეობის გამოვლინება. დავითმა თავიდანვე გაითვითცნობიერა და გაითავისა ცხოვრებისეული სიბრძნე; "ვინც გველს რძეს ასმევს, შხამს უორკეცებს მასვე". მან გიორგის ცხოვრების მაგალითზე შეიცნო, რომ პოლიტიკაში "სიბრალული სიძაბუნის საფარველია მხოლოდ", ამიტომაც სიყრმის წლებში თუ ბუს მართვეს სიკვდილიც მწუხარებასა და

ნაღველს აღუძრავდა, დახოცილი თურქებით მოფენილი ჭაობის ცქერა და გაროზგილი მოღალატე აზნაურების გულისწამღები ღრიალი, იოტისოდენა სიბრალულის გრძნობასაც ვერ აღვივებს მასში.

მართალია, ძმათა შორის სისხლისღვრას დავითიც გაურბის. ქართლისა და ჰერეთის აზნაურებთან ბრძოლაში გაუჭაღარავდა თავი, მაგრამ შეძლებისდაგვარად ერიდებოდა სისხლისღვრას. მასაც არ სურს ბაგრატოვანთა ხმალს მოძმეთა სისხლი ასვას, მაგრამ უკეთუ ქვეყნის ტერიტორიალური და სულიერ ერთიანობას საფრთხე ემუქრება, ასეთ დროს დავითს სისხლის დანთხევაც არ აშინებს: "უსისხლოდ ჯერ არავის აუგია ციხე-ქალაქი, არც არავის შეურჩენია იგი. ზედმეტი სისხლი უნდა გამოვუშვათ, ამიტომ დაასხამენ ხოლმე აქიმნი სხეულს სახსარზე წურბელს"

საერთოდ, დავითი ერთმანეთისაგან ანსხვავებს მოღალატეებს და ძეშეცდომილებს. ლიპარიტ და რატი ორბელიანებს ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი მამულის ღალატი. ისინი წინაპრების ტრადიციას არ ღალატობდნენ და ბაგრატოვანთა ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით არაფერს თაკილობდნენ. ასეთივე შეგნებული ღალატის მიმდევრები არიან კახეთ-ჰერეთის მეფენი, თრიალეთის დიდაზნაურნი და ეპისკოპოსნი. მათ მიმართ მეფე დაუნდობელია, რადგანაც შეგნებულ ღალატს გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეეძლო სახელმწიფო აპარატისათვის, ვინემ უნებლიე შეცდომას. დავითი მოთმინებით იტანს ქვეგამხედვართა შეგნებულ ღალატს, რომ უნებლიე ღალატში ძალათჩათრეული ათასობით ქართველის სიცოცხლე არ შეიწიროს.

"ომში დიახაც გულფიცხი ვარ, მაგრამ შინ მოთმინებით ვექცევი მოყვასს. არც იმას დავიქადნი, შურისმგებელი არ ვიყვე თითქოს, შურისგების საგანს ურმისებრი სიზანტით მივყვები უკან, მაგრამ ერთხელაც საწყაული თუ აღმევსო მოთმინებისა, შევრდომებისათვის ნულარავინ შემეევდრება"

დავითი ანგარიშმიუცემლად როდი ცდილობს გზააბნეული და ძეშეცდომილნი სახელმწიფოს სამსახურიდან მოკვეთოს. პირიქით, მათ

გადმობირებაზე ზრუნავს დღენიადაგ, რომ უგრძნეულად, ნაკლები სისხლის ფასად შემოიმტკიცოს ქართული მიწა,წყალი. ამიტომაც მიუტევებს დიდაზნაურს ზაზა ჯუბიელს განდგომას და ითაყვანებს მას. "მე მგონია არც ერთ ავაზაკს, არც ერთ მოღალატეს არ უხარია რომ ის აგეთია. ცხოვრება და გარემოება ისევე წარმოქმნიან მათ, როგორც ჭაობის წყალი თავკოპალებს, წურბლებსა და ბაყაყებს".

ზაზა ჯუბიელმა თავის მეომრულ სიტყვას არ უღალატა და ბრძოლის ველზე საკუთარი სისხლით ჩამოირეცხა ჭუჭყი. მის მსგავსად მრავალი ქართველი ძეშეცდომილი მიიყვავილა დავითმა. "განა ყველანი უნდა შევიპყროთ, ვისაც ჩვენ არ მოვსწონვართ?" — ამბობს მეფე და მთელს საქართველოში აგზავნის მსტოვრებს, რათა მათ მიერ მოწვდილი ეჭვმიუტანელი ცნობების საფუძველზე ერთმანეთისაგან გაარჩიოს მტერ-მოყვარე.

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს მამა-შვილს ომის წარმოებისა და საომარი ხერხების შერჩევის მხრითაც. უფლისწული სახელდახელოდ დაწყებულ ომს ჟამის მომწიფებასა და ქანცგაწყვეტილ ლოდინს არჩევს.

დავითი ხშირად მართავს აღლუმებს, რათა გაუსაძლის პირობებში მეომართა ამტანობა გამოსცადოს და გამძლეობის უნარი შეათვისებინოს. დავითი აღლუმებზე თავის სპასალარებსა და მონასპათ ქარაფებზე აღმართულ ციხე-სიმაგრეთა გარემოცვას და გოდოლთა შელეწვის წესებს ასწავლიდა. თავად ყმაწვილობიდანვე მეჯოგეთა კარვებში, მეცხვარეთა ფარეხებში, წისქვილებსა და მიტოვებულ ეკლესიებში ათევდა ღამეებს, უნაგირს სასთუმლად იყენებდა, ტყავკაბას კი — საგებლად. მიუვალ ადგილებში ჯირითში და გაჭენებული ცხენიდან ჰოროლის ცემაში წვრთნიდა მეომრებს. მეფე გულმოდგინედ წვრთნიდა სპასალარებს სახელმწიფო მმართველობისა და სტრატეგიის საქმეებში. გიორგი მეფე კი ბრაზს იკლავდა გულში ამის გამო, მას "ჭაბუკთა ყმაწვილობად მიაჩნდა დავითის ამგვარი საქმიანობა. აგრე ეუბნებოდა დავითის სულიერ აღმზრდელს გიორგი ჭყონდიდელს: "რათა შვრებით ამაოდ, შენ და დავითი, მაინც რამდენი

ხმალი უნდა გამოაწრთობინოთ თქვენ საწყალობელ სამჭედურებში, ამ ბოცომკალსავით მომრავლებულ სელჯუკიანების თავკისერს რომ ეყოს"

მეფე გიორგი ვერ ხედავს, სწორედ ეს გამუდმებული საომარი მზაობა და სპათა წვრთნა რომ აკაქებდა სულიერად ერს, სიმამაცის სტიმულს რომ აძლევდა მას. აღლუმების გამართვით დავითი ფიზიკურად და სულიერად აწრთობს მეომრებს, ხვალინდელი დღის გამარჯვების სულს უნერგავს მათ. გიორგი მეორე კი წინააღმდეგია აღლუმების, ცხენთა და სპათა წვრთნისა. მისი აზრით, კაი ვაქკაცი საომარი მზაობის გარეშეც გამოავლენს მეომრულ სულს ბრძოლის ველზე.

მამა-შვილს სხვა უფრო დიდი ამბების გამოც ჰქონდათ უთანხმოება და ცილობა. "გიორგი მეფე ომის ძველებური საომარი ხერხების მომხრე იყო. მას მტკიცედ სწამდა "რომ ბრძოლაში გადამწყვეტი იყო მძიმედშეჭურვილი აზნაურებისაგან შემდგარი რაზმეულების შეტევა. ქვეით ჯარს ქვის მსროლელებად და მთებიდან საგორავების დასაშენად იყენებდა იგი". მისი აზრით, ნამდვილი მეომარი ქვეითადაც ისევე მამაცი და მარდი უნდა იყოს, როგორც ცხენზე გადამჯდარი.

დავითმა კი, მამისაგან განსხვავებით, უბრალო მონასპების, მდაბიორების ცხენზე შესმა მოიწადინა, რაც თავის მხრივ, მრავალი ცხენის შეძენას საჭიროებდა. ამიტომაც მეფე კავკასიონის მთიანეთში და შირვანში აგზავნის სანდო ხალხს ცხენების შესაძენად, რაც გიორგის უკმაყოფილებას იწვევს. "ჩემი სახელმწიფოს საჭურჭლენი ცხენებს შეაჭამაო". თუმცა მეფედყოფილი სახელმწიფო ხაზინის დაცარიელებას იმდენად არ ჩივის, რამდენადაც შვილის მიერ ახალი საბრძოლო ხერხების დამკვიდრებას.

მეფე გირგის აზრით, ომის ბედს საჭურველი და ომში მონაწილე პირუტყვი წყვეტს. დავითს კი ომის მოსაგებად მონა-სპათა გმირობა და გეოგრაფიული მდებარეობა მიაჩნდა უწინარესად, "ჩვენც გვყავსო ჩვენი საომარი სპილოები, ეგაა ჩვენი მთები, ჩვენი გორაკები, აქლემი და სპილო როდი იგებს ომს, არამედ სული თავდადებული ვაქკაცისა"

დავითი განუზომელ პრიორიტეტს ანიჭებს ქვეყნის ადგილმდებარეობას ომის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში. უმთავრესი ეგ იყო მხოლოდ, ჭკვიან სტრატეგს სწორად შეერჩია ბრძოლის ველი და ბუნებრივი ზღუდეები სრულად გამოეყენებინა. ამადაც აცხადებს დავითი: "სომხეთს გარდა ჩვენ სხვა მოკავშირე არასოდეს გვყოლია. კიდევ გვყავდა ერთი დიდი მოკავშირე, ეს იყო საქართველოს ბუნება და ამ მოკავშირეს ოსტატურად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები"

დიდგორის ომის გაანალიზებისას დავითი სელჯუკიანთა უმთავრეს შეცდომად მიიჩნევდა საქართველოში ტაო-კლარჯეთთან მათ შემოსევას, ვინაიდან ასეთ დროს ლიხის მთა უნდა გაევლოთ ტფილისამდე. მეფის აზრით, "ტყე და მთაა ქვეყნის საფარი", ასეთი საფარის როლს საუკუნეების მანძილზე ლიხის მთა თამაშობდა, რომლის შიშითაც მტერი ვერ ბედავდა ლიხს იქით გადასვლას. "ეს კლდიანი ტყეეთი იყო ჩვენი ციხე-სიმაგრე. ჩვენმა წინაპრებმა ალბათ ამ კლდეების იმედით ააგეს გეგუთის ციხე გავაკებაზე". მეფეს და ნიანიას ლიხის დარი ქედები ხშირად უნატრიათ აღმოსავლეთ საქართველოში. დავით აღმაშენებლის ამ სიტყვებში კ.გამსახურდიას თვალსაზრისიც შეინიშნება. მწერალი ხომ განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას. ერთგან ის მიუთითებს, "დავით აღმაშენებლის გენიოსურ სტრატეგიას ხელს უწყობდა ჩვენი მთიანეთისა და ჩვენი ტყეების მიერ შექმნილი დაბრკოლებანი, რაც დიდი არმიების ჯეროვნად გაშლის საშუალებას არ აძლევდა მტრებს. ნაწილობრივ ამით უნდა აეხსნათ ფარცხისში გამარჯვება გიორგი მეორისა, სადაც მან გაიმარჯვა მალიქ-შა სულტანის აურაცხელ ლაშქართან ბრძოლაში და უმაგალითო გამარჯვება დავით მეფისა დიდგორში 1120 წელს"[3]

გიორგი მეფეს არ გააჩნია მოქნილი პოლიტიკა. მან მხოლოდ ის იცის, რაც ხდებოდა მისი ქვეყნის საზღვრებში და თავის სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ გეზს არ უფარდებდა მეზობელ ქვეყნებში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. დავითი კი ცდილობს არ დაუშვას წინაპართა მიერ ჩადენილი შეცდომები. ის უფრო გაწონასწორებული

პოლიტიკის მომხრეა, ვიდრე ემოციაზე და სიფიცხეზე აგებულისა. მეფემ კარგად უწყის, რომ "მახვილის ამოღება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ძლევამოსილად ჩაგება მისი. ომი მხოლოდ მაშინ უნდა დაიწყოს მეფემ, როცა მის მიერ ამოწვდილი მახვილი სამ რამე მოუტანს მის ხალხს: თავისუფლებას, მიწას და ოქროს"

დავითის სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს საქართველოს გარესამყაროს შეცნობა და საფუძვლიანი შესწავლა წარმოადგენდა. ქართველ ერს უნდა სცოდნოდა მეზობელი აგრესორების ცხოვრების წესი და სახელმწიფო სტრუქტურა. დავითის აზრით, "ის მეფე უცილოდ შლეგია, ვისაც მართლა ეოცნებება, თითქოს მისი ქვეყნის ბედი მარტოოდენ მისი სახელმწიფოს საზღვრებში წყდებოდეს. რეგვენია განა მარტო იგი, ვინც თავის მტრის ძალების გაცნობას არ მიესწრაფვის, არამედ იგიცა, ვინც მტრისაგან არ სწავლობს ნიადაგ. ჩემი მტრები ჩემი მასწავლებლებიც ყოფილან ხანდახან, რადგან მე მათთან ბრძოლაში ჩემს სისუსტესა და ზადს მოვჩხრეკავდი ხოლმე, ღონეს მოვიკრეფდი, კვლავ ვეკვეთებოდი და ვებრძოდი მანამდის, სანამ მათ სისუსტეს არ დამანახვებდა მათთანვე ბრძოლა"

მეფე დაინტერესებულია თუ რა გვარის ლაშქრობა აქვს სელჯუკიანებს და ჯვაროსნებს, თუ რა ხდება ირანში, სირიაში, მესოპოტამიაში და ამ ქვეყნების გადაღმაც. მისი აზრით "ჩვენი მტრების მტრები — ჩვენი მეგობრებია და მათი ვითარების შეცნობაც დიახაც საშურია ამჟამად, რადგანაც ამჟამინდელი დუმილი და მშვიდობა ჭექაქუხილის მოლოდინში გატვრინული ბუნების გაყუჩებასა ჰგავს".

დავითი ამ მიზნით თავის ერთგულ, ფიცვერცხლით შემომტკიცებულ სარდლებს აგზავნის მეზობელ ქვეყნებში, რათა მათ გულდასმით შეისწავლონ და გაიცნობიერონ ბიზანტიის კოჰორტების ახალი საომარი ხერხები, რომელიც მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში ექნებოდათ მოხვეჭილი. მეფის წარგზავნილები ნიანია ბაკურიანი, ჯონდი ერისთავი და სხვები დიდის რუდუნებით და გულმოდგინებით ეწაფებიან სელჯუკიანთა თუ ჯვაროსანთა ლაშქრობაში დამკვიდრე-

ბულ ახალ-ჯხალ საომარ ხერხებს. ს̆აქართველოში ჩამოსვლის ჟამს კი ყოველივე ნანახსა თუ გაგონილს დაწვრილებით უპატაკებენ პატრონს. მეფე ეპვმიუტანელ ცნობებზე დაყრდნობით საკუთარ პოლიტიკურ გეგმებს სახავს. "ამჟამად მთავარზე უმთავრესი ეგაა, ეპვმიუტანელი ცნობები გვექნეს ყოველივე იმის გამო, რაც ამჟამად ხდება როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში და ამას ყოველივეს ჩვენი მოქმედება შევუფარდოთ".დავითს გაგზავნილი ჰყავს სარწმუნო, სანდო კაცნი ოთხივ მხარეს. მათ მიერ მოწვდენილ ინფორმაციას გულდასმით სწავლობს, აჯერებს ერთმანეთთან, რათა უკეთ გაერკვეს არსებულ სიტუაციაში, ხელმარჯვე ჟამი შეურჩიოს მტერს და ერთიანად მოსრას იგი.

დავითს არ ახასიათებს ომში აჩქარება. ის ძალით აკავებს თავის სპასალარების გულფიცხობას, რომლებიც ცხელ გულზე მზად არიან კახნიც და ჰერეთელნიც მოაქციონ ციხის ნანგრევებში თურქებთან ერთად. დავითი შეახსენებს მათ, რომ "ომი მარტოოდენ სიმამაცის ამბავი როდია, არამედ ხერხისა და მოხერხებისა. გამბედაობას მაშინა აქვს ფასი, როცა იგი ჭკუასა და ხერხიანობასთანაა შეწყვილებული". ომებში გამოწრთობილმა მეფემ კარგად უწყის, რომ გამუდმებული წინსვლით გამარჯვება არ მოიპოვება. ომის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში დიდი მნიშვნელობა მიერწყვება შენაცვლებულ წინსვლასა და უკუქცევას. ასეთ დროს მტერს სიფხიზლე ეკარგება და საჭიროების ჟამს მტრის ბანაკი ვერ ახერხებს წელში გამართვასა და მობილიზაციას; "უკუქცევა ყოველთვის როდია სილაჩრის ნიშანი, უკუქცევას ხანდახან შეტევაზე უფრო დიდი დახელოვნება სჭირია".

დავითის სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთ ნიშანდობლივ საბრძოლო ხრიკს წარმოადგენდა მტრისათვის გზა-კვალისა და გონების არევის ხერხი. ის მსტოვრების მეშვეობით ხმებს დააგდებდა ქართლში მივდივარო, თავად აფხაზეთს გაეშურებოდა ფარულად, მტერს მოადუნებდა და მაშინ, როცა მას არავინ ელოდა, მეხთატეხით გადაივლიდა დიდ მანძილს, მტერს შემოდგომის ქუხილივით წამოადგებოდა

თავზე ანაზღაედ და ერთიანად მუსრს გაავლებდა. ამ საომარი ხერხით დავითმა მრავალი შთამბეჭდავი ომი გადაიხადა.

ძმათა შორის სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით დავითი არ ერიდება მოღალატეთა ცოცხლად შეპყრობას და ძელზე გასმასაც. ასე შეიპყრეს პატრონის დავალებით ერთგულმა მსტოვრებმა ლიპარიტ ბალუაში და აღსართან კახთა მეფე, რამაც გაუადვილა მეფეს თრიალეთისა და კახეთ-ჰერეთის ციხეების უდრტვინველად შემოერთება.

მეფე დავითი ომშიც გულდინჯია. გულდასმით სწავლობს საბრძოლო პოზიციებს და ნიუანსებს. ცდილობს მტრის ბანაკში მსტოვარი გაიჩინოს, რათა ზედმწევნით გაითავისოს მტრის მანევრირება და მისწრაფება. ასე გაიჩინა მან მოწინააღმდეგეთა ბანაკში კოზმან ბერი მსტოვრად. როცა შიშით გულგახეთქილმა კოზმან ბერმა არასწორად მიითვალა დავითის სპათა რაოდენობა, მეფის დავალებით მას შეგნებულად გააქცევენ, რათა სელჯუკიანთა სულტანს საქართველოს საომარი პოტენციალის არასწორი ინფორმაცია მოხსენდეს. დავითის მითითებით "სახელმწიფოს ხელმძღვანელის თვალი და ყური არა მარტო მტრის ციხეებში, მტრის გულშიაც უნდა იქვრიტებოდეს"

კ.გამსახურდიას რომანში მეფე გიორგისა და დავითის დაპირისპირების ფონზე წარმოჩენილია საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გზები. დავითს არ სჩევია წარამარა წუწუნი და ჩივილი რაიმე სამძიმალის გამო, მაგრამ მისი სული ტკივილითაა გათანგული იმის გამო, რომ "არც მამას, არც დედას, არც რომელიმე სისხლით ნათესავს არ ესმოდა თუ რას მიელტვოდა იგი. უცხონი იყო მათთვის მისი დიდნი ზრახვანი. დავითის დიდი სულიერი ტკივილების თუნდაც შემთხვევით გამომჟღავნება გიორგი მეფეს და დარბაზისერთ ისე მიაჩნდათ, როგორც ჭირვეულობით შეპყრობილი უცნაურის ახირება"

მეფე გიორგის დარად დიდაზნაურთ, დავითის ქადილი საქართველოს მიდამოებიდან სელჯუკიანების განდევნის თაობაზე ბალღურ ომიანობად მიაჩნდათ. უფროს თაობას არ სჯეროდა დავითი თუ უაქი-

მებდა საქართველოს იარებს და კონსტანტინეპოლისაკენ იცქირე-ბოდნენ ბაგრატიონთა "საამაყო სიძეების" იმედით აღჭურვილნი.

მუდამ სხვის იმედით გულმოცემულ დიდაზნაურობას და სამღვდე-ლოებას გიორგი მეორის მსგავსად დავითზე გული აქვთ აცრუებუ-ლი. მარიამ დედოფლის მეუღლეების, კეისარყოფილ მიხეილ მეშვიდე დუკაზე და ნიკიფორე ბოტანაიტესზე ამყარებდნენ იმედს, გიორგი მეორე ხშირად დესპანებსაც აგზავნიდა კონსტანტინოპოლს, რათა ბიზანტიის საიმპერატორო კარი ქართული სახელმწიფოებრივი გა-დარჩენის სურვილით განეწყო. თუმცა არც ერთმა კეისარმა არ გა-მოიღო თანადგომისა და დახმარების ხელი მეზობლისადმი, მაშინაც კი, როცა მათ ბიზანტიის იმპერიის სკიპტრა და ლაშქარი ხელთ ეპ-ყრათ.

ბიზანტიის იმპერია კოსმოპოლიტური სახელმწიფო იყო. მის ტახ-ტზე ხშირად ისხდნენ მაკედონელი თუ სომეხი კეისრები, მაგრამ არცერთ მათგანს თავისი ძირძველი სამშობლო არ გახსენებია გა-ხელმწიფების ჟამს. მეტადრე არ გაახსენდებოდათ საქართველო ის ბერძენ უფლისწულებს, რომელთაც მეუღლედ ქართველი მანდილოს-ნები ჰყავდათ. ასეთ დროს ისინი ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს დე-დოფლის ეროვნულ წარმომავლობას. ბაგრატიონთა "საამაყო სიძე-ებს" ბერძნულ ტახტზე ქართული საქმეების გაკეთება არ ძალუძდათ. ვინაიდან ბიზანტიის საკეისრო თავად იყო დაინტერესებული საქარ-თველოს დასუსტებითა და დაკნინებით. ასეთ შემთხვევაში ქრისტია-ნული ქვეყნის ხელგამართვა საკუთარი ორიენტაციის იგნორირება-სა და უარყოფას გულისხმობდა. სწორედ საქართველოს გაძლიერე-ბისა და გაერთიანების შიშით არ სურდათ მათ ორბელიანთა და ბაგ-რატოვანთა შერიგება. პირიქით, "როგორც თავის დროზე ბიზანტი-ელ იმპერატორებისათვის, ისე სელჯუკიანთა სულტნებისათვის ხელ-საყრელი იყო ლიპარიტისძეთა და ბაგრატოვანთა ისტორიულ შუღ-ლზე ნავთის დასხმა"

კ.გამსახურდია რომანში საგანგებოდ წარმოგვიჩენს ისეთ დიდ-გვაროვან ქართველებს, უცხო ქვეყნის ძლიერებისათვის რომ იქნევ-

დნენ მახვილს. გიორგი მეორისა და დიდაზნაურთა მსგავსად ისინიც მოელიან ბაგრატოვანთა "საამაყო სიძეებისგან" შველას. იოანე მაგისტრი და გრიგოლ ბაკურიანი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მნიშვნელოვანი, გამოჩენილი პირები არიან. ამ სარდლებმა მრავალი სახელოვანი გამარჯვება მოაპოვებინეს ბიზანტიის იმპერიას. თუმცა მათ შეძლებისდაგვარად არც საქართველო ავიწყდებათ. გრიგოლ ბაკურიანმა, რომელსაც დავითის ისტორიკოსი აღმოსავლეთის ზოროვარს უწოდებს, გიორგი მეორეს კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყნები მისცა", ეს ფაქტი მარტო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ სხვის სამსახურში მყოფი ჭეშმარიტი ქართველები არ ივიწყებდნენ საამშობლოს და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მას. იოანე მაგისტრი, გრიგოლ ბაკურიანი და სხვა ქართველთა მემხრენი ახლა ალექსი კომნენს უყურებდნენ იმედის თვალით. მათი მრწამსით, ეგება ახალმა იმპერატორმა ალექსი კომნენმა შეირთოს მარიამ დედოფალი და ამ გზით ეშველოს სელჯუკიანთა ურდოებისაგან გადათქერილ საქართველოს სამეფოს. მაგრამ გამტყუნდა ქართველ მემხრეთა იდეალები. ახალი იმპერატორი სხვა დიდგვაროვანი ჩამომავლობის ასულზე, ირინეზე დაქორწინდა და ქართველ მომხრეთა უკანასკნელი იმედის ნაპერწკალიც გაქრა თვალსა და ხელს შუა.

თუ გიორგი მეორე ქართველთა "საამაყო სიძეებისაგან" ელის წყალობას, დავითს გულს უკლავდა მამის უილაჯობა და ანგარიშმიუცემელი ორიენტაცია. მას ადრევე ჰქონდა მინიშნებული ერთი ჭეშმარიტება: "სხვისი დახმარების შემყურე ყველაზე ნაკლებად რომ ეხმარება თავის თავს"

დავითი მამისაგან განსხვავებით სასტიკად უკრძალავს ქართველ დიდებულებს ბერძნულ საქმეებში ჩარევას. როცა იოანე მაგისტრი და გრიგოლ ბაკურიანი ალექსი კომნენის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ნიანიას ჩათრევას ცდილობენ, დავითის სპასალარმა მათ კატეგორიული უარი მოახსენა. არადა შეთქმულების წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში საქართველოს ხსნის იმედიც უნდა გამოჩენილიყო. დავითი არანაირ წყალობას არ ელის კონსტანტინე-

პოლის საიმპერატორო კარისაგან. სიბერის ჟამს ქართველთა მემხრენი ხვდებიან, რომ ამაოდ შეალიეს სისხლი და ჯანი ბიზანტიის კეთილდღეობას. იოანე მაგისტრი ასე განიცდის ამაო გარჯას სხვათა საკეთილდღეოდ: "მხოლოდ რეგვენია სხვის ომებში მამაცი. ახლა ჩავვარდი ჭკუაში. ამიერიდან ყველაფერი საქართველოსათვის მინდა, საქართველოს უნდა შევწირო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. თუ საქართველო არ იქნება, ქვამც ქვაზე ნუ დარჩენილა, მეწყერსაც წაულეკავს მთელი ხმელეთი"

მაგრამ არ ეწერა იოანე მაგისტრს ოცნების აღსრულება. შეთქმულება გამღმეღავნდა და მისი მონაწილენიც დაისაჯნენ. ბიზანტიის სახელმწიფოს წინაშე განუზომელი დამსახურების გამო იოანე არ დასაჯეს, მაგრამ არც მან ინება ფიცგამტეხი იმპერატორისაგან ნაწყალობევი სიცოცხლე. შავ ზღვას გაატანა თავისი ტანჯული სული გზაარეულმა ქართველმა, ეგებ ქართულ მიწაზე გამომრიყოსო შავი ზღვის ტალღებმა, მაგრამ არ ინება ქართულმა მიწამ გადაკარგული, უძღები შვილის მობრუნება, რამეთუ ქვეყნის სიყვარული ერის კაცისაგან არა მარტო უკანასკნელ ამოსუნთქვას მოითხოვს, არამედ თავგანწირვას და მსხვერპლთშეწირვასაც.

როცა გიორგი მეფეს გაუქარწყლდა "უკანასკნელი სასო" მარიამის შვილის, კონსტანტინე პორფიროგენიტოსის მიერ კეისრის ტახტის მიტაცებაზე დამყარებულმა, დავითმა ნიშნისმოგებით თქვა: "ამით ბოლო მოეღო "ბიზანტიელი სიძეების" შემყურე დიდაზნაურთა ოცნებასაც"

დავითის პროგნოზი ზედმიწევნით სწორი აღმოჩნდა. გიორგი მეორეს გულცივობა დასჩემდა ბერძნებისადმი, თუმცა არც მანამდე ჰქონია დიდი სიყვარული ბიზანტიელებისადმი, პირიქით, ისარგებლა რა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით, მრავალი ციხე-ქალაქი წაართვა გიორგიმ ბერძნებს: "და შემდგომად ამისსა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი. წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტაანისა"[4] — წერს მემატიანე.

რომანში საგანგებოდაა მითითებული ბერძენთა ფიზიკურ და სულიერ დაცემაზე. გიორგი მეფის აზრით, მეომარი ფასდება სმაში და ომში, "ვინც ომში ვაჟკაცია, არც სმაში იქნება ჯაბანი", აცხადებს "ფარცხისის გმირი", რომელიც სმაში გაჯიბრებას ხმალში გაჯიბრებას ადარებს. ამიტომაც მას არ ესიამოვნა, რომ მისი "საყვარელი" ბერძნები სმაშიც სასტიკად დამარცხდნენ და ომშიც. გიორგის ისიც არ ანაღვლებს, რომ ბერძნებმა მარცხი ქართველებისაგან იწვნიეს, რადგანაც ჭკვიანი მეფე ხვდებოდა ქართველების მიერ დამარცხებული ბერძნებისაგან ნაკლები ხეირი რომ იყო მოსალოდნელი საქართველოსთვის ხელისგამართვის თვალსაზრისით.

გიორგის უმთავრესად პოლიტიკური ვითარების გამო ჰქონდა თფილი დამოკიდებულება ბერძნებისადმი. როცა საქართველოს ახალი მტერი გამოუჩნდა თურქ-სელჯუკთა სახით, ბერძნები ქართველების საიმედო მოკავშირენი უნდა გამხდარიყვნენ აგრესორთა წინააღმდეგ გამართულ ომში. "ისლამურ ვეშაპთან ბრძოლაში სომხებსა და ბიზანტიელებს გარდა, საქართველოს სხვა არავინა ჰყავდა მშველელი. დავით მეფისა და მისი სპასალარების ქადილი სელჯუკიანებს ტფილისს, სამშვილდეს და ანისს წავგლეჯთ და კავკასიონიდან გავრეკავთო, ბალღურ ომიანობად მიაჩნდა გიორგის"

ამიტომაც, მეფე თავიდან აღტაცებული შეეგება ჯვაროსანთა და ალექსი კომნინის გამარჯვებებს თურქ-სელჯუკებზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც კვლავ მოიღრუბლა "საქრისტიანოს თვალსაწიერი" და ბაგრატოვანთა საამაყო სიძეების იმედიც გაქრა, გიორგი მეფე უიმედობამ მოიცვა, ხოლო გეგუთის სასახლეში ბერძენი სტუმრების საპატივცემლოდ გამართულმა უკანასკნელმა პურობამ მის თვალში საბოლოოდ დაჩიავებულად და დაცემულად წარმოაჩინა ბიზანტიელნი. რომანში ბერძენთა დაკნინების ეპიზოდები წარმოჩენილია თავში, რომელსაც "პატივდაკლებულთა სერობა" უწოდა მწერალმა. კეთილად აღზრდილი ბიზანტიელი დიდებულები ნადიმზე უღვთოდ გაილეშნენ და უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენეს სამეფო დარბაზში. გიორგის ურყევად სჯეროდა: "ღვინო ბროლის სარკესა-

ვით გამოაჩენსო ადამიანის შინაგან ბუნებას. დათვრნენ თუ არა დიდებულები მყისვე დაემსგავსნენ ღვინის სარდაფებში გამოლეშილ უპოვარებს". ოდესღაც სახელოვანი ბიზანტია, გიორგის თვალში "შეუმუსვრელი მითიური ლომი რომელიც ხმალამოწვდილი უტევდა გოგსა და მაგოგს" დღეს საოცრად დაცემული და დაოსებული თავად საჭიროებდა შველას. გიორგი სწუხს ყოველივე ამის გამო:

"აბა რას ჰგავდნენ ამ უკანასკნელი სერობის მეინახენი! რა გახუნებული სკარამანგები და ომფორები ეცვათ, ან როგორ ეჭირათ თავი თავმომწონე და კეთილად აღზრდილ დიდებულებს!"

"ინ ვინო ვერიტას" — ღვინოშია ჭეშმარიტება, აი, მათი ცხოვრების დევიზი და საზრისიც, რამაც სულიერად გამოფიტა ერთ დროს ძლევამოსილი იმპერია.

რომანში ეპიზოდურად ნაჩვენებია ბერძენთა ფიზიკური დაცემაც. სტრატიგი ნოტარი გამუდმებით ტრაბახობს საკუთარ გმირობებზე, მაგრამ საკმარისი იყო ამირა ახმეტისა და განძის ათაბაგის სპიანად შემოჭრა კახეთში, ბერძენ სარდალს დაუყოვნებლივ გაეცა ბრძანება ბიზანტიაში გამგზავრებისა. თავად გიორგი მეფეც ძლივს იკავებს ღიმილს, როცა ომებში მრავალნაცადი სტრატიგი ათუხთუხებული და აცახცახებული მოვარდება მასთან გამოსათხოვრად. მეფე უკვე ირონიულად ეუბნება ბერძენს: "ნუ ღელავთ, სტრატიგო ბატონო, ვიდრე თურქები აქ მოაღწევდნენ, ჩვენ კიდევ მოვასწრებთ ყვითელ ,ალმახზე სანადიროდ წასვლას"

"არა, არა, სევასტოს ბატონო, მე ცუდი სიზმრები დამჩემდა ბოლო ხანს. ეგეც არ იყოს, თავი მოგაბეზრეთ ეგზომ ხანგრძლივი სტუმრობითა. ერთადერთი ეგლა მაწუხებს: დღეს ორშაბათია და როგორღა დავადგე გზას?"

თუმცა არც ორშაბათი დღის საკრალურ მნიშვნელობას დაეძებს სახელგანთქმული და ომებში ნაცადი სტრატიგი და სირცხვილეული გარბის საქართველოდან, რაც სიმბოლურად ბიზანტიის იმპერიის უმწეობისა და დაცემის მომასწავებელია.

თავად დავითი არაა იმის წინააღმდეგი, რომ გიორგი მეორემ და მისმა თაობამ გული მოიოხონ და კონსტანტინეპოლს დესპანები წარგზავნონ. თუმცა მან იცის, რომ უნაყოფოა მათი ძალისხმევა, მაგრამ სურს მეფე და დიდაზნაურნი დაარწმუნოს ერთ ცხოვრებისეულ სიბრძნეში, რომ "მხოლოდ უიმედოთა სჩვევიათ სხვის იმედად ყოფნა მუდამ". მითუმეტეს შველას არ უნდა ელოდო ისეთი ქვეყნისაგან, რომელიც თავად საჭიროებს დახმარებას. ბერძნები იმდენად არიან შეჭირვებულნი უშჯულოთაგან, რომ მთელ საქრისტიანოს მეფეებს სთხოვენ არა მარტო დახმარებას, არამედ საკუთარ სახელმწიფოსაც თავისი ბრწყინვალე დედაქალაქით ავედრებდნენ მათ. ალექსი კომნენის მიერ დავითისადმი გამოგზავნილ წერილში კარგადაა დახატული ერთ დროს ძლევამოსილი ბიზანტიის დაკნინება და დაცემა. "სახელითა ღვთისათა და სახელითა ყოველთა მოციქულთა და წმინდანთა, გევედრებით თქვენ, მეომარნო ქრისტეს მიერნო, ვინაც არ უნდა იყვეთ თქვენ და რომელი ნათესავის ნაშიერნი, ისწრაფოდეთ ჩემდა და ქრისტიანთა საშველად. ჩვენ გვირჩევნია თქვენა გეფლობდეთ, ვიდრე წარმართნი დაგვიპყრობდნენ, დეე, კონსტანტინოპოლი თქვენ გერგოთ, ოღონდ სელჯუკიანნი და პაპანიკნი ნუ წაბილწავენ მას"

ბიზანტიის უმწეობა თუ სინანულით და მწუხარებით აღავსებს გიორგისა და მის თანამებრძოლთა გულებს, დავითი სახელმწიფოებრივი მასშტაბით აღიქვამს მეზობლის დაუძლურებას. მას ბასილი ბულგართმმუსვრელის მიერ მიტაცებული ბასიანის მიწებზე უჭირავს თვალი, ასევე ლაზთა სამკვიდროს, ტრაპიზონისა და ხალდეას ქვეყნების მიტაცებაზეც ფიქრობს. მაგრამ არ ჩქარობს ბუნებით გულდინჯი მეფე. ხსენებული ქვეყნების დაუფლებას ის იმ შემთხვევაში აპირებს, თუ ბიზანტია შინააშლილობისა და ტახტისმტეთა ცილობის მსხვერპლი შეიქმნებოდა. ამგვარად დავითს მამისაგან განსხვავებით ისტორიის გაკვეთილებიდან გამომდინარე ანტიბიზანტიური კურსი აქვს აღებული, დროსა და მოვლენებთან შეფარდებით ცდილობს იმოქმე-

დოს. ასეთ დროს ერთმორწმუნეობას ნაკლებად უწევს ანგარიშს "გულით უძრავი" დავითი.

რომანში გიორგი მეორე წარმოდგენილია, მართალია, როგორც გადამდგარი, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში მაინც აქტიურად მოქმედი მეფე, რომლის სიტყვასაც ანგარიშს უწევენ, თუმცა მისი უფლებები, რა თქმა უნდა, შეკვეცილია. ერთხელ იმასაც შეახსენებს დედოფალი, რომ დავითის სახელზე გამოგზავნილი უსტარი არ გაეხსნა. ეს მისი მეფური უფლების შელახვას უდრიდა, მაგრამ მეფის პოლიტიკური იდეალები საბოლოოდ გამტყუნდა, როცა მან სულიერი მარცხი იწვია შვილთან და უმცროს თაობასთან ჭიდილში. საერთოდ გიორგი "მეფობას, კეისრობას და ქვეყნის პატრონობას განიცდიდა, როგორც უფლის განჩინებით დაკისრებულ სასჯელს" მეფე უბრალო მონადირედ ნატობდა გაჩენას, ვიდრე მეფედ ყოფნას. მისი აღარ ესმის ახალ თაობას, ამიტომაც ისიც გადაწყვეტს საბოლოოდ გაემიჯნოს სამეფო საქმეებს და ნადირობის და ღვინის ღვთაებას, ბახუსის სამსახურს შეალიოს დარჩენილი სიცოცხლის წლები. ცხოვრებაზე და ადამიანებზე გულაღრენილმა მეფემ ცხოველების მორჯულებას მიჰყო ხელი: "წავალ ჩემს გეგუთში და მგლის ლეკვების წვრთნას შეეუდგები კვლავ. რაკი ადამიანები აღარ მიგონებენ, ეგებ მხეცებს შევასმინო რაიმე. სიბერეს მრავალ სიავესთან ერთად ერთი ჭირიც თანა სდევს. მას ვინც ბერდება, აგრე ჰგონია ჭკუა მემატებაო, ხოლო მასზე უმცროს თანამედროვეებს ეოცნებებათ, ჩვენ გვემატება ჭკუა და მას აკლდებაო. მე უკვე აღარ ვიცი, ჩვენს შორის ვის აკლდება, ან ვის ემატება ჭკუა, შესაძლოა ორივე ვცდებოდეთ"

გიორგი არ იზიარებს შვილის მოსაზრებას ყიფჩაღების საქართველოში ჩამოყვანაზე. უშჯულო ყიფჩაღები სარწმუნოებას შეგვირყვნიანო — აცხადებს მეფე დარბაზობაზე და დავითსაც მოუწოდებდა ხელი აეღო ამ განზრახვაზე. დავითმა ამჯერადაც არ გაიზიარა მამის შეხედულებანი. ისიც ხედავს ყიფჩაღთა სახით თუ რა ბარბაროსებთან ექნება საქმე. სელჯუკიანები ყიფჩაღებთან შედარებით ანგელოზებად მოჩანდნენ, მაგრამ მეფეს და განგების ნებას აგრე გადაეწყვი-

ტა, დავითი მხეცების მეშვეობით უნდა გამკლავებოდა მხეცებს. ბარ-ბაროსებთან დამოყვრებას არც ის მიელტვის, მეტადრე რომ მას ქრისტიანული სათნოებით აღსავსე მიჯნურიც ჰყავდა, მაგრამ სელჯუკიანთა სასულტნოში დასადგურებული მშვიდობა ავისმომასწავებულ საფრთხეს და განსაცდელს უმზადებს საქრისტიანო სამყაროს. ქართულ ჯარს საკუთარი ძალის ამარა არ ძალუძდა შიშველი ენთუზიაზმით გამკლავებოდა ურიცხვ მტერს. ბაგრატიონთა შორის ჯერ არავის არ მოეყვანა ცოლად არაქრისტიანთა ნაშიერი. დავითი აქაც პირველი უნდა ყოფილიყო. მან მთელი თავისი არსით გაითავისა ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით აღმართულ სელჯუკიანთაგან მომდინარე საფრთხე და დათანხმდა ყიფჩაღთა წინამძღოლის პირობებს. "ათრაღა შარაღანისძის ასულის გურანდუხტის ცოლად მოყვანით დავითმა მყარი ნიადაგი შექმნა იმ ქირის სპისათვის, რომელიც ყიფჩაღთაგან შეადგინა მან"

გიორგი დავითის მიერ შემოღებული საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგაც გამოდის. "მას არც კი ესმოდა თუ რად გამართა დავითმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ან რად მოუწყო მან პატივის დაჭკლებაი და განპატიჟება ქვაბავაზაკებს?"

მცხოვანი მეფისათვის სავსებით გაუგებარი იყო, თუ რად წაართვა დავით მეფემ მათ ოდითგანვე "ღვთით მინიჭებული" სამწყსონი.

უფროსი თაობის პოზიცია, მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კრედო საბოლოოდ წარმოჩნდა იმ დარბაზობაზე, სადაც უნდა გარკვეულიყო სულტანისათვის ხარაჯის მიცემა-არმიცემის საითხი. ამ დარბაზობაზე აშკარად წარმოჩინდა ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ დავითის სხეულში მამის სისხლი კი ჩქეფდა, მაგრამ სული პაპისა, ბაგრატ მესამისა უფრო მძლავრობდა. საერთოდ დავითი ბაბუას უფრო ეთაყვანებოდა, ვიდრე მამას. დღენიადაგ იმის ფიქრშია, თუ მოშიებული ბაგრატისეული მახვილი ვის წანააღმდეგ მიმართოს. ბაგრატ მეფე მისთვის ომის ღვთაება მარსია, თავად ის კი — მისი მსახური: "ჩვენ ჟამიდან ჟამზე ჩვენი მიცვალებული წინაპრების ტყვენი ვართ. ისინი ხშირად ცოცხლებს გადააჭარბებენ ხოლმე. მე აგრე მგო-

ნია პაპაჩემმა ბაგრატმა, რომელიც მე თვალითაც არ მინახავს, ჩემზე გაცილებით მეტი ზეგავლენა მოახდინა, ვიდრე მამაჩემმა. მამაი მუდამ ცდილობდა ნადირობის, მოლხენის ჟინი აღეძრა ჩემში, როგორც ჰხედავ, მიცვალებულმა პაპაჩემმა გადასძლია ცოცხალს. ჩემს სიჭაბუკეში ხშირად ჩამოვსულვარ ამ ზარდახანაში. დღენიადაგ ვათვალიერებდი პაპაჩემის იარაღსა და საჭურველს, მის ჯაჭვის პერანგებსა და ცხენთსაკაზმს. მე აგრე მგონია: უჰასაკო საგანთა მეშვეობითაც გადმოდის ჩვენს არსებაში სული"

ბაგრატის ხატება თან სდევს დავითს. ნიშანდობლივია ისიც, რომ კახეთ-ჰერეთის მეფის აღსართანის ასალაგმავად გამართულ რმში, სადაც უფლისწულმა საბრძოლო ნათლობა უნდა მიიღოს, მას პაპისეულ, ბაგრატისეულ მახვილს შეაბამენ წელზე. სწორედ "მოშიებული ბაგრატეული მახვილით" უნდა დათრგუნოს მან შინაური თუ გარეშე მტერი.

მეტად საგულისხმოა მეფისა და მახარას საუბარი, სადაც დავითის ბიძა დისწულს ბაგრატ მეფისეული ცხენის აჭიხვინებას ამცნობს, რაც ომისა და სისხლის დაქცევის ნიშანია; საოცარი ექსპრესიულობითაა გადმოცემული მათ დიალოგში ომის სული;

"მახარია შემოვარდა აღელვებული. მეჭაღენი დაითხოვა პატრონმა. თავი ზეასწია. რა მოხდაო მახო?

"ესეცაა ანთიმოზ ბერი ჩამოვიდა გეგუთიდან"

"შერმე რაო?"

"ბაგრატ მეფისეული ცხენი აჭიხვინებულა კვლავ"

მეფემ კარგად ვერ გაიგო, რომელ ცხენს გულისხმობდა ქოსა. როცა გამოირკვა ბაგრატისეული ცხენის ხატებას გულისხმობდა მახარა, გეგუთის სასახლის კედელს გამოხატულს, გაეღიმა და უთხრა:

"შერმე რაო, მახო?"

"რაო და ომი გვინდა, მეფეე ბატონო, ომი"

დავითისათვის სახელოვანი პაპის საგმირო საქმენი გაკვეთილია იმისა, თუ როგორ იმოქმედოს მომავალში, როგორ გაუსწორდეს მტერს და როგორ შეივრდომოს ძეშეცდომილნი. გიორგი ჭყონდი-

დელიც საგანგებოდ შეახსენებს მას ბაგრატისეულ ცხოვრების გზას, შინაურ თუ გარეშე მტრის დათრგუნვის მისეულ ხერხებს.

"პაპაშენმა ბაგრატმა კეთილად გამოიყენა ოვსთა მეფეების ყმადნაფიცობა, სულკურთხეულ მამაშენსაც არ სჩვეოდა მეზობელ ხალხებთან კონკლაობა. აიშლებოდნენ შირვანელები, ან ოვსები, თავად ჩავიდოდა მცირე სპით, მამაშვილურად დაარიგებდა.

რად გვინდა, შვილებო, მუდამ ბრძოლა და მოსისხარობა. ასეთი რამ ორ უგუნურ ვერძს სჩვევია, მიადგებიან ერთმანეთს და იმდენხანს უჯახუნებენ რქებით ერთმანეთს, სანამ რომელიმე მათგანი არ წაიქცევა. თუ თურქები აქედან დავძარით, ყველას გვეყოფა, შვილებო, ეს მიწა, ნუ გავიწყდებათ ჩვენ თავად მიწა რომა ვართ და მიწად ვიქცევით"

მიუხედავად იმისა, რომ დავითი სახელოვანი პაპის გარდასული ლანდის ხორცშესხმული სულია, ზოგჯერ ის თავის დიდ წინაპარსაც ეურჩება, მის მიერ ჩადენილ შეცდომებს აანალიზებს და მონასპათაც მოუწოდებს ამ შეცდომების გულდასმით გათვითცნობიერებას. კ.გამსახურდიაც ხაზგასმით მიუთითებს რომანის ბოლოსიტყვაობაში იმ გარემოებაზე, რომ ის რაც ვერ აღასრულეს წინაპრებმა, დავითმა განახორციელა თავისი შეუპოვარი ბუნებითა და აღზევებული ენერგიით: "ისლამს ებრძოდნენ როგორც პაპა დავითისა ბაგრატ IV, ისე მამა — გიორგი მეორე. მხოლოდ დავითმა შესძლო ამ ბრძოლის გასაწევად არა მარტო შეკრება ქართველი ტომებისა, არამედ კონსოლიდირება კავკასიელი ხალხებისა, სომხებისა, ოსების და შირვანელებისა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, დავითის ვაჟკაცობამ, მისმა ბრძნულმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის თავგამეტებულმა ბრძოლამ გადაარჩინა XII ს-ის კავკასია როგორც გამუსლიმანებას, ისე ფიზიკურად განადგურებას"[5] დავითის აზრით, ბაგრატი უბადლო ვაჟკაცი იყო, დიდი ომებიც გადაიხადა, თბილისიც ორჯერ აიღო, თუმცა იმდენჯერვე დაკარგა, მაგრამ მაინც დამარცხებული ჩავიდა საფლავში, რადგანაც მახვილის ამოღება იცოდა უდროოდ და დაუფიქრებლად. დავითის შეგონებით კი მახვილის გაშიშვლება

ვაქკაცობის მაუწყებელი როდია ყოველთვის. მახვილის ამოღებასა .და სიტყვის ღაძვრას დიდი ფიქრი სჭირია, რადგან "უდროოდ ამოწ-ვდილი მახვილი ისევე აუგია, როგორც უსაგნოდ წარმოშობილი სიტ-ყვა". სწორედ ასეთმა უდროოდ გაშიშვლებულმა მახვილმა ჯერ ააღებინა, და მერმე დააკარგვინა თბილისი ბაგრატს. ამიტომაც დავი-თი თბილისის შემოერთებას არ ჩქარობს; ვინაიდან ტფილისის გან-თავისუფლებით გვირგვინი უნდა დადგმოდა სრულიად საქართველოს განთავისუფლებას.

თუ "დიდოსტატის მარჯვენას" სიუჟეტად კრავს სვეტიცხოვლის აგების იდეა, "დავით აღმაშენებელს" ლეიტმოტივად თბილისის გან-თავისუფლების იდეა გასდევს. დავითი ჯერ კიდევ ყრმობისას საკუ-თარ თავს შინაგანად ტფილისის ასაღებად ამზადებს, დღენიადაგ თა-ვის თანამებრძოლებთან ერთად სულიერ და ფიზიკურ წრთობას ეძ-ლევა, რათა, ადრე თუ გვიან, ტფილისი თავის ძალაუფლებას დაუ-მორჩილოს და კვლავ ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქად გა-მოაბრწყინოს. სრულიად ყრმა დავითი ასე ეუბნება დედამისს: "სანამ ტფილისი ჩვენი არ გახდება, მე ვერ მოვისვენებ დედი, სამი სიცოც-ხლე რომ გებოძა ჩემთვის, სამივეს ტფილისის ასაღებად დავლევდი, იცოდე"

თბილისის განთავისუფლების იდეა ომს უკავშირდება. უფროს თა-ობას კი გიორგის წინამძღოლობით არ სურს გააშიშვლოს კარგახანს მთვლემარე მახვილი და მზადაა ხარაჯის გადახდის დასტური მისცეს სულტანს. მეფე და უფროსი თაობა შემგუებლური ცხოვრების პოზი-ციაზე რჩებიან და ყველანაირად ლამობენ ქვეყანა სამართლიან ომსა და სისხლისღვრას აარიდონ: გიორგის მტრის მრავალრიცხოვნება აშინებს. სულტანისადმი ხარაჯის მიცემის მომხრეა, ვინაიდან ქარ-თველ ერში ვერ ხედავს ხელთუქმნელ საღ ენერგიასა და ძალას მტრის დასაპირისპირებლად. შვილსა და ახალგაზრდა ერისთავებს ქირდავს კიდეც ზედმეტი გულფიცხობისა და ომის წყურვილის გამო. "ახალ-გაზრდა სპასალარები იქადნიან: შიდა ქართლისა და თრიალეთის ცი-ხენი შევაკეთეთო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ომისათვის მზაობას არ ნიშ-

ნავს. შემოდგომის ჭუხილივით ამაო ქადილს უნდა ერიდოს ვაჟკაცი".

დავითს გულზე ხვდება მამის მიერ ნასროლი ქარაგმული სიტყვები, მისი ნათქვამი, "შემოდგომის ჭუხილივით ამაო ქადილს უნდა ერიდოს კაცი", დავითმა ჭეშმარიტად მიიჩნია, მაგრამ მისივე აზრით, თუ შემოდგომის ჭუხილს ნაყოფიერი წვიმები მოჰყვება, მაშინ მას ქადილი როდი ეთქმის, არამედ მუქარა.

დავითი არ ერიდება მამის ავტორიტეტს და ქარაგმულად შეახსენებს იმას, რომ უმთავრესი ის როდიაო მეფემ პირველი ომი მოიგოს და საქმე მომთავრებულად მიიჩნიოს, სახელმწიფო საქმეებს გულგრილად უცქიროს და განცხრომას მიეცეს. დავითის აზრით, ჭეშმარიტმა მეფემ თავისი დრო და ჟამი ისე უნდა განვლოს, რომ ერი გამარჯვებული მიიყვანოს აღთქმულ ქვეყანამდე და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მას უფლება ვალმოხდილად შეუერთდეს წინაპართა აჩრდილებს: "ვაჟკაცი ის როდია, ვინც პირველ ომს მოიგებს, არამედ თავის სიცოცხლეში უკანასკნელსაც".

ეფროს თაობას სულით-ხორცამდე არა აქვს გათვითცნობიერებული ერთი უმთავრესი რამ, რომ "ზარაჯა მშვიდობიანი მონობაა, მონობაში აშენებული ერი კი ჯერ არავის უნახავს". ქვეყანა იმხანად ისეთ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებოდა, რომ უომრად უფრო მეტი საფრთხე ელოდა, ვიდრე სამართლიანი ომის გამართვით. გიორგიმ ნებით ჩააგო მახვილი ქარქაშში, ხალხი კი წელში იყო გაწყვეტილი ყოველწლიური ბეგარისაგან. ერთ დროს ძლევამოსილმა ფარცხისის გმირმა მონური მშვიდობა არჩია სამართლიან ომს. საბოლოოდ გაემიჯნა თავის შვილს და შეეგუა "წუთისოფლის სუსხიან ავდარს". მეფე გიორგი განუდგა სამართლიან ომს არა იმ მოსაზრებით, რომ მახვილი არ უჭრიდა, ან ძალა არ ერჩოდა, მან რწმენა დაკარგა, რწმენა — საბოლოო გამარჯვებისა.

დავითს კი ეს უძლეველობის რწმენა გააჩნია. მისი ღრმა შთაგონებით "რწმენა იგივე სიყვარულია და სიყვარული სიკვდილზე უძლიერესია უთუოდ". მეფე დაუცხრომლად აგებდა ახალ-ახალ ციხეებს

სრულიად საქართველოში, ყოველ ზეგანზე და მაღლობზე ციხესიმაგრეები აღმართა, რათა მთელი საქართველოსათვის უძლეველობისა და შეუვალობის აბჯარი შემოეხვია. მაგრამ მისივე აზრით "მარტოოდენ ციხეთა სიმრავლე როდია გადამწყვეტი. მე აგრე მეოცნებება, ჩვენს ხალხს ერთი და უმთავრესი ციხე უნდა ჰქონდეს მტკიცედ დაცული. ეგ არის საკუთარი ძალისადმი რწმენა. თუ ეს სიმაგრე შემუსრეს მტრებმა, სხვა ციხეები თავისთავად მინებდებიან მათ". უმთავრესი მაინც ესაა, რწმენის აბჯარი შემოარტყა ქვეანას.

უმცროსი თაობის მრწამსი ზედმიწევნითაა გადმოცემული დავითისა და ნიანიას საუბარში. ნიანია ბაკურიანს, დავითის ერთგულ ყმასა და თანამებრძოლს სამეფო კარზე შემოაღამდა. დავითის მსგავსად, მისთვისაც არ არსებობს ამსოფლიერი ლხენა, არც ოჯახს მოეკიდა მარიამ დედოფალზე უიმედოდ შეყვარებული. ერთადერთი რაც მას ასულდგმულებდა ომია. ამიტომაც "ომები რა მოთავდნენ და მშვიდობა დამყარდა მთელს მსოფლიოში მას თითქმის ხელიდან გამოეცალა ცხოვრების წადილი" ერთადერთს, ომს შენატრის სახელოვანი სარდალი, ომია მისი ცხოვრების მოუცილებელი მეაბჯრე. ერთხელ უკვე ასაკში გადასულმა შესჩივლა კიდეც თავის პატრონს, "მე უკვე აღარ ვიცი, რად ვცხოვრობ ამქვეყნად მეფევ, ბატონო. გულახდილად მოგახსენო თუ მშვიდობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, მე სანატრელი გამიხდება სიკვდილი"

გამარჯვების რწმენით გულანთებულმა დავით აღმაშენებელმა პირსისხლიანი მახვილის ხელში აღება არჩია კუბიდონის ტკბილ ამბორს. მისთვის "ომი ცხოვრების აჩქარებული მაჯისცემის გამქღავნებაა, სხვა არაფერი". ომის სულმა უნდა გამოაღვიძოს, გამოაფხიზლოს ერი. დავითის მებრძოლი სულით აღტაცებულმა ქართველობამ ირწმუნა საკუთავ თავში არსებული უსაზღვრო პოტენციური შესაძლებლობა, და რაც მთავარია, შეიცნო თავისუფლების აუცილებლობა. ერი სასოებით ელოდა მეომარი მეფის შეძენას და განგებამ მოუვლინა მათ ღვთისმოსავი დავითი. ხალხმა დავითში მხსნელი დალანდა, ერის სვეტედისათვის თავგანწირული და ტარიგად შეწირული. ერი თავის არ-

ჩვენში არ შემცდარა. დავითს და მის თანამოძმეებს საქართველოს განახლებისათვის თავი აქვთ გადადებული. "ერთის ნაცვლად სამი სიცოცხლე რომ მომიზღოს არსთაგანმრიგემ, სამივეს შევწირავდი მამულს, რადგან თავგანწირვის გარეშე ჯერ არავის გაუმარჯვნია. მიწა და ღმერთი უსასტიკესად განმკითხავნი არიან, ისინი სისხლს მოითხოვენ ჩვენგან, არა მარტო სისხლს, უკანასკნელ ამოსუნთქვასაც"

მთელი სიცოცხლის მანძილზე გასდევს დავითს მისი მეფედ კურთხევის ჟამს ამბიონზე მდგარი მთავარდიაკონის სიტყვები, რომელმაც საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მეფის მეომრულ სულზე და წელზე მახვილის შემორტყმის დრო-ჟამის დადგომაზე და აუცილებლობაზე.

"შეიბ მახვილი, წელთა შენთა, ძლიერო, შვენებითა შენითა და სიკეთითა, გარდააცვ, და წარემართე, და სუფევდე ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის. ისარნი შენნი ლესულ არიან ძლიერო, ერნი შენ ქვეშ დაეცნენ გულითა მტერნი მეუფებისა შენისანი"

დავითი "უპოვართა და გლახაკთა" მეფეა, მათი სულის მესაიდუმლეა. ხშირად ნატრობს მდაბიოებთან სიახლოვეს. კეთილად შურს კიდეც მათი გულიანი სიცილისა და უდრტვინველი ყოფის გამო. "როგორი შეუმუსვრელი სიყვარული აქვს უბრალო ხალხს სიცოცხლისადმი, უამისოდ იგი ვერც გაუძლებდა ამდენ ომებსა და სიდუხჭირეს!"

უპოვრებსა და მკოდოვანთაც განსაკუთრებული მოწიწებით უყვარდათ დავით მეფე. მის დანახვაზე თვალები სიამაყის ცრემლით ევსებოდათ, ფერხთით უვარდებოდნენ და გულდათუთქული ეჯვნოდნენ მონობაში გართხმული ქვეყნის კვლავ აღდგენას და ფერიცვალებას.

ერის ცნობიერებაში მესიად შერაცხული დავითი თავის თავს არ ეკუთვნის. მან კარგად უწყის, რომ ქართველი ერი ერთ დღეს უნდა აღსდგეს მისი სახელით და "სისხლისაგან დაცლილმა კვლავ დაანთხიოს სისხლი". მსხვერპლთშეწირვის გარეშე დიად მიზანს აღსრულება არ უწერია. ღმერთი რჩეულთაგან რჩეულს მოითხოვს ერის

ჭირთა მეურვედ. ამიტომაც დავითმა ყოველივე საუკეთესო და ძვირფასი საქართველოს ბედნიერებას ანაცვლა. დათრგუნა ხორციელი მისწრაფებანი, განერიდა ღვინოს, ნადირობას, ქალთა სქესს. მან ორი თვალმშვენიერი არსების სიყვარული და სიცოცხლე საქართველოს შესწირა ტარიგად, რამეთუ მისთვის "სამშობლო უსასტიკესი მოლოხია", რომელიც მსხვერპლის გაღებას მოითხოვს ერის მესვეურთაგან.

მეფის სულიერ სამშვინველში ერთმანეთს უპირისპირდება სურვილის გარდაუვალობა და განგების ნება. მეფედ კურთხევის შემდეგ, დავითის რწმენით, მისი ნებისმიერი სურვილის აღსრულებას არაფერი უდგას წინ, მაგრამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში აქტიური ჩარევის შემდეგ რწმუნდება დედისიმედის სიტყვების სიცხადეში, "ველარც მეფენი გარდაუვლენ განგების ნებას"

განგებამ თუ ბედის გარდუვალობამ მეფეს ადრევე წარსტაცა სიჭაბუკის ლხენა, არადა დავითის შეგონებით "ჭეშმარიტად ბედნიერია იგი, ვისაც სიჭარმაგეში არ გადაჰყვება ხელიდან გამოცლილი სიჭაბუკის დარდი". მართალია, დავითი ერის მიერ მესიადაა შერაცხული, მაგრამ ის ჩვეულებრივი ადამიანია თავისი ზადითა და კარგით. მწერალი გვიხატავს მეფეს როგორც ყოფითი, ადამიანური პრობლემებით დატვირთულს, რომელსაც ეძნელება კიდეც ყველაფრის ტარიგად მიტანა ერის სამსხვერპლოზე. წამით ადამიანური სისუსტე სძლევს და მზადაა მეფური სიტყვაც გატეხოს ყიფჩაღებთან დამოყვრების გამო მიცემული. თითქოსდა წამით დაივიწყა აღმზრდელის შეგონება სიცოცხლის მსხვერპლად გაღებაზე. "მართებულია უწინარეს ყოვლისა, რჩეულთ მიიტანონ საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად მამულის წინაშე, რადგან შენ ხარ რჩეულთა შორის რჩეული, ამიტომაც შენ გერგო სასუმელი ესე და პირადი ბედნიერება მამულისათვის უნდა დასთმო ამიერიდან სულიერო შვილო და ჩვენო პატრონო". მეფეს ერთხელ მაინც სურს დაგვიანებული ეზიაროს სიჭაბუკის ლხენას, მაგრამ განგების ნებას მაინც ვერ გადაუვა. ის მოერევა წამიერ მოდუნებას, მოთოკავს და დაიოკებს კაცურ ვნებებს. სიყ-

ვარულის ღმერთი არ წყალობს მეფეს. „უხდა კიდეც აცინგანის მკითხაობა: "ყოველი ქალი, რომელსაც შენ გაეკარები, მწუხარებით აღივსება უთუოდ". ომის ღვთაება მარსსა და ბედნიერების ღვთაება კუპიდონს შორის გამართულ ორთაბრძოლაში პირსისხლიანმა მარსმა გაიმარჯვა. ომსა და კაცისკვლას არც დავითი მიელტვის. უწინარესად მას სურს დაამკვიდროს მშვიდობა ქვეყანასა ზედა, მაგრამ ისიც კარგად მოეხსენება, რომ მშვიდობა უომრად ვერ იქნება, "ისე როგორც ცეცხლი უკვამლოდ, ცხენი უნალოდ, რაინდი უხმლოდ და წისქვილი უღაროდ". მართალია, უთავბოლო ომებმა მრავალი რაინდის სიცოცხლე შეიწირა. დავითი დასტირის კიდეც საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაცემულ მეომრებს, "რამდენი სისხლი და ჯაფა წაიღეს ამ წლებმა. რამდენი შესანიშნავი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა ომის ღვთაებას ტარიგად. დიდი საქართველოს ოცნებას აყოლილმა დავითმა ერთგულ მეაბჯრედ ომი იგულვა. მისი შეგონებით "ომი წრთობაა არა მარტო ხმლისა, არამედ ხალხისაც. ვინც მართებულ ომს გაურბის, იგი ახალ უმართებულო ომებს თავზე მოახვევს თავის ხალხს. ომი საფრთხეა, მაგრამ ამ საფრთხის წამალი მხოლოდ და მხოლოდ წინააღმდეგობაა, ომი სისხლს მოითხოვს, მაგრამ ჯერ უსისხლოდ არავის მოუგია ომი"

დავითმა არც კი იცის ოდესმე თუ მოისპობა ომის გასაგისი, თუმცა ხანგრძლივი მშვიდობიანობაც აშინებს. მას არ სურს ომიანობას, რომელიც "ჩვეულებად ექცევა კაცთაგანს" გადააჩვიოს თანამზრახველნი, ვინაიდან "ყველა სადავო საკითხი, მითუმეტეს ძველ დროში, მახვილს უნდა გადაეჭრა. ამდენად — ომი არის საშუალება და არა მიზანი, ყოველ ბრძოლას მოსდევს დიდი მსხვერპლი სისხლი, ცრემლი და ნგრევა. მაგრამ ეს ხდება უკეთეს დღეთა სახელით". ომი უნდა გამოეცხადოს ომს. მხოლოდ ომის ღვთაებას ძალუძს მონური ცხოვრებიდან თავდახსნა და სასურველი მშვიდობის დავანება. მშვიდობის უთავბოლოდ ქადაგება ყოველთვის როდია სახარბიელო. "შეიბ მახვილი" — ეს მოწოდება ვითარებისდა მიხედვით ჟამით-ჟამად უფრო დროული და უპრიანია, ვიდრე ამქვეყნიური სიამით ტკბობა. დარ-

ბაზობაზე ერთხელ და სამუდამოდ უარი ეთქვა მონობას და სულტან ბარქიაროკსაც საკადრისი პასუხი გაეცა. სელჯუკიანთა იმპერიის მრისხანე მბრძანებელს დავითის ქვეშევრდომებმა თავისუფლების მაუწყებელ უსტართან ერთად ძღვენის სახით ერთი შუბი და სპილენძის ფარი მიართვეს, რითაც დავითისა და სრულიად საქართველოს საბრძოლო პოზიცია გამოხატეს: "თუ თავს დაგვესხმებით, შუბითა და ფარით გაგიმასპინძლდებითო"

უფროსი თაობა დამარცხდა უმცროს თაობასთან ჭიდილში. მაგრამ ეს მარცხი მწუხარებასა და ტკივილს როდი აღუძრავთ მათ. თავიდან თუ მეფე გიორგი "ხავის გენებში ჰქირდავდა თავის ვაჟს დავითს, მისი მოუსვენარი ცხოვრების გამო, სწყალვიდა მის "გადარეულ სპასალარებს", და განსაკუთრებით იმ "ბეხრეკა გიორგი მონაზონს", რომელიც ყმაწვილივით აჰყვა ამ "უგუნურებს" და "თავდაყირა დააყენეს საქართველოს სამეფო", ერწუხის ომში გამარჯვებამ და სხვა წარმატებებმა სულიერი მხნეობა შეჰმატა გიორგი მეფეს. ის უკვე ქეჯნიდა საკუთარ თავს იმის გამო, რომ შვილის შემართებისა და ძლიერებისა არ სჯეროდა. გიორგი მეორემ საბოლოოდ ირწმუნა დავითის ეროვნული ენერგია და უსაზღვრო პოტენციალი, დავითისა, რომლის ეროვნული კონცეფცია ქართველი ერისადმი მიმართულ მოწოდებაში წარმოჩინდა სრულად, როგორც საბრძოლო დევიზი: "შემომფიცეთ, რომ ყველანი უკანასკნელ სუნთქვამდის დიდ საქართველოს შესაქმნელად იბრძოლებთ, შეწევნითა დამბადებლისათა ვიყვეთ არავისა და არავის ვმსახუროთ თვინიერ ღვთისა"

დამოწმებული ლიტერატურა

თავი I
"მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დაბრუნება არა სჩვევია"

1. კ.გამსახურდია. თხზულებათა ათტომეული. ტტ. I-X, თბ., 1973-1985 წწ. ამ და სხვა შემთხვევაში ეეყრდნობით ხსენებულ ათტომეულს.
2. კ.გამსახურდია. ტ. VIII, გვ.430.
3. კ.გამსახურდია. ტ. III, გვ.791.
4. კ.გამსახურდია. ჰამლეტის თარგმანის გამო. ტ. VIII, გვ.332.

თავი II
პოლიტიკური ორიენტაციის დილემა: რეალობა თუ ილუზია?!

1. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს. "სოციალისტ-ფედერალისტი", 1921, 25.V. №70.
2. იგივე.
3. კ.გამსახურდია. ორი ორიენტაცია. "სახალხო საქმე", 1918, 10.V. №227.
4. კ.გამსახურდია. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე, "სახალხო ფურცელი" 1917. 21.III. №824. №825. №830.
5. კ.გამსახურდია. სულხან-საბა ორბელიანი. ტ.IX, გვ.173.
6. კ.გამსახურდია. მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა. ტ.VII, გვ.229.
7. კ.გამსახურდია. სულხან-საბა ორბელიანი. ტ.IX, გვ.174.
8. კ.გამსახურდია. პლატონ იოსელიანი_ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ტ.VII, გვ.8.
9. კ.გამსახურდია. მწერლებისა და კინო-მუშაკების გაერთიანებულ კრებაზე. ტ.VIII, გვ.500.
10. იგივე.

11. იგივე.
12. კ.გამსახურდია. ახალმოსულის შენიშვნები. მესამე საფრთხე. "სახალხო ფურცელი", 1917. 7.II. №789.
13.
14. კ.გამსახურდია. ქართველობა და უცხოეთის გენია. ტ.VII, გვ.295.
15. კ.გამსახურდია. ახალმოსულის შენიშვნები.
16. კ.გამსახურდია.ველიკორუსები და არარუსები. გაზ. "სახალხო საქმე" 1917წ. 13.VII. №25.
17. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
18. იგივე.
19. კ.გამსახურდია. ბიბლიოგრაფია. "გ.ტაბიძის ჟურნალი" №5.
20. კ.გამსახურდია. ველიკორუსები და არარუსები.
21. იგივე.
22. იგივე.
23 კ.გამსახურდია, სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
24. იგივე.
25. კ.გამსახურდია. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე.
26. კ.გამსახურდია. ქართველობა და უცხოეთის გენია.
27. კ.გამსახურდია. ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი. "სოციალისტ-ფედერალისტი" 1921. №25.
28. კ.გამსახურდია. რუსთავი. ტ.VII, გვ.240.
29. იგივე.
30. კ.გამსახურდია. ქართველ მწერალთა კონფერენცია. გაზ."ტრიბუნა" 1921. №45. X.13.
31. იგივე.
32. იგივე.
33. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
34. კ.გამსახურდია. წერილები გერმანიიდან. ტ.VIII, გვ.277.
35. კ.გამსახურდია. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე.
36. იგივე.
37. იგივე.

38. კ.გამსახურდია. პოლიტიკური მიმოხილვა. ჟურნ."პრომეთე", 1917წ. №1.
39. იგივე.
40. კ.გამსახურდია. მწერლის დღიური. საქართველოს საკითხი საზ-ღვარგარეთ. "სახალხო ფურცელი" 1917. 4.II. №904.
41. იგივე.
42. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი.
43. კ.გამსახურდია. ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი.
44. იგივე.
45. იგივე.
46. კ.გამსახურდია. მე ბრალს ვდებ. "სახალხო ფურცელი". №103.
47. კ.გამსახურდია. პასუხი. "სოციალისტ-ფედერალისტი" 1921.V. №62.
48. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი.
49. იგივე.
50. კ.გამსახურდია. ANNO 1923. ტ.VII, გვ.451.
51. იგივე.
52. იგივე.
53. იქვე, გვ.452.
54. კ.გამსახურდია. მე ბრალს ვდებ.
55. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
56. კ.გამსახურდია. ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი.
57. იქვე.
58. კ.გამსახურდია. ANNO 1923.
59. კ.გამსახურდია. საქართველო-რუსეთის დამოკიდებულები-სათვის. "სოციალიხტ-ფედერალისტი". 1921, №№75,76.
60. კ.გამსახურდია. პასუხი.
61. იგივე.
62. კ.გამსახურდია. პასუხი.
63. კ.გამსახურდია: ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი.
64. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი.
65. იგივე.

66. კ.გამსახურდია. ბიბლიოგრაფია.

თავი III
სეპარატიზმის პრობლემა კ.გამსახურდიას პუბლიცისტიკაში

1. ქართლის ცხოვრება. ტ.I, გვ.22.
2. იგივე.
3. მ.ჯავახიშვილი. ჯაყოს ხიზნები. თხზულებანი რვა ტომად. ტ.I, გვ.127.
4. კ.გამსახურდია. ტ.VIII, გვ.505.
5. კ.გამსახურდია. ძმები ხართ თუ მტრები?! "სახალხო ფურცელი" 13.VIII, 109.
6. ვ.ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ., 1991. გვ.37.
7. კ.გამსახურდია. ტ.VIII, გვ.341.
8. კ.გამსახურდია. ძმები ხართ თუ მტრები?!
9. იგივე.
10. კ.გამსახურდია. საქართველო რუსეთის დამოკიდებულებისათვის.
11. მ.კოსტავა. გამოსათხოვარი. "ლიტერატურული საქართველო" 1990. №6.
12. კ.გამსახურდია. პასუხი.
13. კ.გამსახურდია. საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის რეზოლუციის გამო. ტ.VIII, გვ.309.
14. იგივე.
15. კ.გამსახურდია. ძმები ხართ თუ მტრები?!
16. ივ.ჯავახიშვილი. ტ.I გვ.283.
17. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.VIII, გვ.333.
18. ქართლის ცხოვრება. ტ.II, გვ.148.
19. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.VIII, გვ.318.
20. კ.გამსახურდია. ტ.VII, გვ.137.

21. საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკა. 1917-44წწ. ტ.I გვ.455. (რუსულ ენაზე).
22. ათა თურქი. ათა თურქის სიტყვები და მოხსენებები. 1945. გვ.70. (თურქულ ენაზე).
23. კ.გამსახურდია. პოლიტიკური მიმოხილვა.
24. კ.გამსახურდია. გამოძახილი. ტ.VIII, გვ.21.
25. ზ.გამსახურდია. სამეგრელოს საკითხი (რეცენზია ისაკ ჟვანიას წიგნზე "ჭითა ჩხორია". ხელნაწ.)
26. იგივე.
27. იგივე.
28. ი.ჟვანია. გაზ. "ყაზაყიში გაზეთი" 1930. №11, IV.
29. ზ.გამსახურდია. სამეგრელოს საკითხი.
30. კ.გამსახურდია. საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის რეზოლუციის გამო. ტ.VIII, გვ.309.
31. ზ.გამსახურდია. სამეგრელოს საკითხი.
32. კ.გამსახურდია. წერილი ამხ. გიორგის. "ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" 1932 №3.
33. ზ.გამსახურდია. სამეგრელოს საკითხი.
34. კ.გამსახურდია. ქართული აკადემია. "სახალხო ფურცელი" 1917. №852. IV.
35. კ.გამსახურდია. წერილი ამხ. გიორგის. "ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში"
36. იგივე.
37. "ყაზაყიში გაზეთი" 1930. №11.IV.
38. კ.გამსახურდია. წერილი ამხ. გიორგის.
39. კ.გამსახურდია. სიტყვა წარმოთქმული სრულიად საქართველოს მწერალთა 1926 წლის ყრილობაზე. ტ.VIII, გვ.306.
40. კ.გამსახურდია. წერილი ამხ. გიორგის.
41. იგივე.

თავი IV
კონსანტინე გამსახურდია და "საერთოკავკასიური სახლის" კონცეფცია.

1. გ.ლასხიშვილი. მემუარები. თბ., 1991. გვ.48.
2. კ.გამსახურდია. მწერლის დღიური 12. რეფლექსები 19 ნოემბერზე. "სახალხო საქმე" 1916. 30.XI. №115.
3. ქართლის ცხოვრება. ტ.I. თბ., 1955, გვ.4-5.
4. ქართლის ცხოვრება. ტII, თბ., 1959, გვ.147.
5. კ.გამსახურდია. სულხან-საბა ორბელიანი. ტ.IV, გვ.169.
6. კ.გამსახურდია. მწერლის დღიური. ველიკორუსები და არარუსები.
7. ქართლის ცხოვრება. ტII, თბ., 1959, გვ.283.
8. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.VI, თბ.,1975, გვ.605.
9. სემიონოვი. არქიოლოგიური და ეთნოგრაფიული ძიებანი ინგუშეთში 1925-33წწ. მოსკოვი 1936წ. გვ.60 (რუსულ ენაზე).
10. კ.გამსახურდია. ფაშიზმი და მსოფლიო კულტურა. ტ.IX, თბ.,1985, გვ.149.
11. კ.გამსახურდია. პოლიტიკური მიმოხილვა.
12. კ.გამსახურდია. კოლხეთში. ტ.VIII, თბ.,1985. გვ.68.
13. კ.გამსახურდია. ტროასეულ ცხენი, ტ.VII, თბ.,1983. გვ.291.
14. კ.გამსახურდია. მთარგმნელის ოსტატობისათვის. ტ.VIII, თბ.,1985. გვ.411.
15. სემიონოვი. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძიებანი ინ-გუშეთში 1922-32წწ.
16. კ.გამსახურდია. უკრაინის თემიდა. ტVII, გვ.194.
17. კ.გამსახურდია. მწერლის დღიურიდან. ველიკორუსები და არა-რუსები. გაზ. "სახალხო საქმე", 1917.VI. №25.
18. კ.გამსახურდია. მწერლის დღიური. რეფლექსები 19 ნოემბერ-ზე.
19. კ.გამსახურდია. უკრაინის თემიდა. ტ.VII, გვ.189.

20. იქვე. გვ.193.
21. იგივე.
22. იგივე.
23. იგივე.
24. ზ.ედილი. საინგილო. თბ., 1974, გვ.34.
25. კ.გამსახურდია. უკრაინის თემიდა.
26. იგივე.
27. ალ.ფრონელი. მთის არწივი შამილი. თბ., 1914წ.
28. PATEB PATBIAF ტ.IX, გვ.511
29. კ.გამსახურდია. უკრაინის თემიდა.
30. კ.გამსახურდია. რუსთავი. ტ.VII, გვ.128.
31. კ.გამსახურდია. რეფლექსები 19 ნოემბრამდე.
32. კ.გამსახურდია. კულტურული მუშაობა. "ლომისა" 1922. №7.X.
33. კ.გამსახურდია. რეფლექსები 19 ნოემბრამდე.
34. კ.გამსახურდია. პოლიტიკური მიმოხილვა.
35. იგივე.
36. ნ.ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ.,1990. გვ.110-111.
37. იგივე.
38. პ.ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბ.,1990. გვ.36.
39. კ.გამსახურდია. ტ.II, გვ.227.
40. ს.სიგუა. მარტვილი და ალამდარი. ტ.I. თბ.,1984. გვ.532.
41. იგივე.

თავი V
შინაპარტიკულარიზმი კ.გამსახურდიას ისტორიულ პროზაში

1. კ.გამსახურდია. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე.
2. იგივე.
3. კ.გამსახურდია. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს

გამო. ტ.VIII, გვ.343.
4. კ.გამსახურდია. ტIV, გვ.343.
5. იგივე.
6. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
7. კ.გამსახურდია. თანამედროვე რომანისათვის. ტ.IX, გვ.422.
8. ზ.გამსახურდია. წერილები. ესეები. თბ.,1991, გვ.380.
9. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი.
10. კ.გამსახურდია. გრიგოლ აბაშიძის "ლაშარელა" ტ.VIII, გვ.477.
11. ქართლის ცხოვრება. ტ.I, გვ.316.
12. იქვე. გვ.324.
13. ა.ნიკოლეიშვილი. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. თბ.,1994, ტ.I, გვ.431.
14. ს.სიგუა. მარტვილი და ალამდარი. ტ.I, თბ.,1991.
15. ქართლის ცხოვრება. ტ.I, გვ.303.
16. იქვე: გვ.320.
17. იქვე. გვ.322.
18. იქვე. გვ.305.
19. ნ.ბერძენიშვილი. ვ.დონდუა. მ.დუმბაძე. საქართველოს ისტორია. თბ.,1958, გვ.156.

თავი VI
განწირული გედი დიდი ხელოვანისა "ტირანულ" სახელმწიფოში

1. კ.გამსახურდია. ტ.IV, გვ.342.
2. ს.სიგუა. კ.გამსახურდიას პროზის სტრუქტურა. თბ.,1980, გვ.304.
3. ც.კარბელაშვილი. რუსთველისეული "ესე ამბავი სპარსულის" ინტერპრეტაციისათვის. ჟურნ. "ცისკარი", №7 1989, გვ.175.
4. კ.გამსახურდია. ტ.III, გვ.795.
5. კ.გამსახურდია. ტ.IV, გვ.342.

6. კ.გამსახურდია. ტ.VII, გვ.385.
7. კ.გამსახურდია. ტ.III, გვ.791.
8. მ.კოსტავა. გამოსათხოვარი. გაზ. "ლიტერატურული საქართველო" 1990. №6.
9. ა.ბაქრაძე. რწმენა. თბ.,1991, გვ.128.
10. ზ.გამსახურდია. წინასიტყვა. იხ. კ.გამსახურდია. თხზულებანი ოც ტომად. ტ.I, თბ.,1992, გვ.13.
11. ე.მაღრაძე. გულითა მართლითა, თბ., 1983, გვ.45.
12. კ.გამსახურდია. ტ.III, გვ.791.

თავი VII
ეროვნულ-კულტურული კონცეფცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

1. ბ.ბელინსკი. სრული კრებული. ტ.X, გვ.29 (რუსულ ენაზე).
2. კ.გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.
3. კ.გამსახურდია. ტ.IV, გვ.342.
4. ვ.ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ.,1974, გვ.32.
5. კ.გამსახურდია. ლიტერატურული განცხადება, ტ.VIII, გვ.392.
6. ვ.ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. გვ.57.
7. კ.გამსახურდია. ტ.IV, გვ.342.
8. ს.სიგუა. მარტვილი და ალამდარი. ტ.I, თბ.,1991, გვ.352.
9. ზ.გამსახურდია. საქართველოს სულიერი მისია. თბ.,1990, გვ.90.
10. კ.გამსახურდია. გრიგოლ აბაშიძის "ლაშარელა" ტ.VII, გვ.477.
11. ქართლის ცხოვრება. ტ.I, გვ.315.

თავი VIII
"შეიბ მახვილი"

1. ქართლის ცხოვრება. ტ.I, გვ.322.
2. კ.გამსახურდია. პოლიტიკური მიმოხილვა.
3. კ.გამსახურდია. ტ.III, გვ.794.
4. ქართლის ცხოვრება. ტ.I, გვ.317.
5. კ.გამსახურდია. ტ.II, გვ.700.

სარჩევი

თავი I. "მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დაბრუნება არა სჩვევია" 3

თავი II. პოლიტიკური ორიენტაციის დილემა: რეალობა თუ ილუზია?! 7

თავი III. სეპარატიზმის პრობლემა კ.გამსახურდიას პუბლიცისტიკაში 39

თავი IV. კონსტანტინე გამსახურდია და "საერთოკავკასიური სახლის" კონცეფცია 63

თავი V. შინაპარტიკულარიზმი კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ პროზაში 86

თავი VI. განწირული ბედი დიდი ხელოვანისა "ტირანულ" სახელმწიფოში 121

თავი VII. ეროვნულ-კულტურული კონცეფცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში 134

თავი VIII. "შეიბ მახვილი" 149

დამოწმებული ლიტერატურა 183

ლადო ბანია

კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი

ტექნიკური რედაქტორი: გ.ჟორდანია
უფ.კორექტორი: ელ.ლემონჯავა
კორექტორი: გ.ფარცვანია
სტილისტი: ნ.ბერია

კომპიუტერზე ააწყო
და დააკაბადონა: პაატა ჩაჩიბაიამ

გამომცემლობა "ბედია"
თბილისი 1997